

„ცოდნა, სწავლა-განათლება დაუშრეტელი წყაროა, როგორც კაცად მყოფობისათვის, ისეც თავის სარჩენად, ქონების და სარჩოს მოსაპოვებლად... მცოდნე კაცი... ქვასაც წყალს გამოადენს, სიმდიდრის წყაროს იქ ამოახეთქებს, საცა უცოდინარს სიზმარ-შიც არ მოეჩვენება.“

(ილია)

საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის

მოამბე

ВЕСТИК
АКАДЕМИИ ОБРАЗОВАТЕЛЬНЫХ НАУК ГРУЗИИ

NEWSLETTERS
OF
ACADEMY OF EDUCATIONAL SCIENCES OF GEORGIA

16

0100900 - TBILISI - ТБИЛИСИ
2017

რეცენზირებადი და რეფერირებადი პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი „საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის მოამბე“ გამოდის საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის გადაწყვეტილებით.

სარედაქციო საბჭო:

ნათელა ვასაძე - სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე, ქამალ აბდულაევი – აზერბაიჯანის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, ავთანდილ ასათიანი - საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის თანაპრეზიდენტი, სერგეი ბოგდანოვი - სანკტ-პეტერბურგის გერცენის სახ. უნივერსიტეტის რექტორი (რუსეთი), დავით გოცირიძე - საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, რაფაელ გუსმან-ტირადო - გრანადის უნივერსიტეტის პროფესორი (ესპანეთი), დენ დევიდსონი - საერთაშორისო განათლების ამერიკული საბჭოების (American Councils for International Education) პრეზიდენტი (აშშ), კლავდია ლასორსა - რომის უნივერსიტეტის (ლა საპიენცე) ემერიტუს – პროფესორი (იტალია), როინ მეტრეველი – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, არტო მუსტაიოვი - ფინეთის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, სესილია ოდე - ამსტერდამის უნივერსიტეტის პროფესორი (ჰოლანდია), გიორგი ხუხუნი - რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

სარედაქციო კოლეგია:

დავით გოცირიძე - მთავარი რედაქტორი, მარინე აროშიძე - მთავარი რედაქტორის მოადგილე, ნათელა მოსიაშვილი - მთავარი რედაქტორის მოადგილე, გურამ ხანდამიშვილი - მთავარი რედაქტორის მოადგილე, იმერ ბასილაძე, ლუბა ბიბილეიშვილი, როზა გაბეჩავა, თამაზ კარანაძე, დავით მალაზონია, კონსტანტინე რამიშვილი, ლამარა ქადაგიძე, ინდირა ძაგანია, თემურ ჯაგოდნიშვილი.

Scientifically Reviewed and Referenced Periodical Journal “Moambe of the Georgian Academy of Education Sciences” is issued by the decision of the Georgian Academy of Education Sciences

Editorial Board:

Natela Vasadze – Head of the Editorial Board, Abdulaev Kemal-a true member of the Academy of Science of Azerbaijan, Asatiani Avtandil – Co-president of the Georgian Academy of Education Sciences, Bogdanov Sergey – Rector of St. Petersburg Gertsen University (Russia), Gotsiridze Davit – President of the Georgian Academy of Education Sciences, Gusman-Tirado Rafael, Professor at Granada University (Spain), Davidson Dan – President of the American Councils for International Education (USA), Lasorsa Claudia – Emeritus Professor at Rome University (La Sapienza) (Italy), Metreveli Roin – Vice-president of the Science Academy of Georgia, Mustayok Arto – Vice-president of Science Academy of Finland, Ode Sesilia – Professor at Amsterdam University (Netherlands), Khukhuni Giorgi – member-correspondent of the Science Academy of Russia.

Editors:

Gotsiridze Davit – editor in chief, Aroshidze Marine – assistant to the editor, Mosiasvili Natela – assistant to the editor, Khandamishvili Guram – assistant to the editor, Basiladze Imer, Bibileishvili Luba, Gabechava Roza, Karanadze Tamaz, Malazonia Davit, Ramishvili Konstantine, Kadagidze Lamara, Dzagania Indira, Jagodnishvili Temuri.

Рецензируемый и рефирируемый периодический журнал «Вестник Академии образовательных наук Грузии» издается по решению Академии образовательных наук Грузии.

Редакционный совет:

Васадзе Натела - председатель редакционного совета, почетный президент Академии образовательных наук Грузии, Абдулаев Кемаль - действительный член Академии наук Азербайджана, Асатиани Автандил - сопрезидент Академии образовательных наук Грузии, Богданов Сергей - ректор Санкт-Петербургского университета им.Герцена (Россия), Гоциридзе Давид - президент Академии образовательных наук Грузии, Гусман-Тирадо Рафаэль - профессор Гранадского университета (Испания), Дэвидсон Дэн - президент Американского совета по международному образованию (США), Ласорса Клаудиа - почетный профессор Римского университета Ла Сапиенца (Италия), Метревели Роин - вице-президент Национальной академии наук Грузии, Мустайоки Арто - вице-президент Академии наук Финляндии, Оде Сесилия - профессор Амстердамского университета (Нидерланды), Хухуни Георгий - член-корреспондент Российской академии наук.

Редакционная коллегия:

Гоциридзе Давид - главный редактор, Арошидзе Марине – заместитель главного редактора, Мосиашвили Натела - заместитель главного редактора, Хандамишвили Гурам - заместитель главного редактора, Басиладзе Имер, Бибилишвили Люба, Габечава Роза, Карападзе Тамаз, Малазония Давид, Рамишвили Константин, Кадагидзе Ламара, Дзагания Индира, Джагоднишвили Темури.

ზოგადი პედაგოგიკა

ლია მათოვაშვილი
თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის
პროფესორი

საოჯახო აღზრდის ზოგიერთი ასპექტი

აღზრდა რთული პედაგოგიური პროცესია, რომელიც მიზანმიმართულად და გეგმაზომიერად უნდა წარიმართოს როგორც მშობლების, ისე მასწავლებლების მიერ.

როგორებაც აღზრდაზე ვსაუბრობთ, უპირველეს ყოვლისა, მხედველობაში უნდა გვქონდეს ის, რომ მშობლები ბავშვის პირველი აღმზრდელები არიან და აღზრდა ოჯახიდან იწყება.

საოჯახო გარემოს, მშობლებს შეუცვლელი ადგილი აქვს ბავშვთა აღზრდაში და სკოლისა თუ სკოლის გარეშე დაწესებულებების ზრუნვა მოზარდ თაობაზე მშობლებს ვერ გაათავისუფლებს მათზე დაისრებული მოვალეობისა და პასუხისმგებლობისაგან.

ოჯახს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ბავშვთა აღზრდაში, მათი პიროვნებად ჩამოყალიბებაში. ბავშვის აღზრდა – ეს არის დიდი პირადი, საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მოვალეობა მშობლებისათვის.

დიდი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ილია ჭავჭავაძე უდიდეს პასუხისმგებლობას აკისრებდა მშობლებს მომავალი თაობის აღზრდაში. ამასთან დაკავშირებით იგი წერდა: „საჭიროა ვიცოდეთ, რომ შვილის გაზრდა, შვილის კაცად გამოყვანა უნინდესი და უდიდესი ვალია მშობლებისა. გაზრდა შვილის კი ისეთი მოვალეობაა, რომ სხვა ყველაფერი ამას უნდა შევნიროთ, ამას უნდა შევალიოთ, სხვაგან და სხვაში უნდა დავიკლოთ და ყოველივე ნაწვავ-ნადაგი, ყოველივე ამაგი და უფროს – ერთი დრო ამას უნდა შევახმაროთ“ (7, 365).

მოზარდის მაღალზნეობრივი თვისებებით აღზრდისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება მშობლის პიროვნულ თვისებებს, მის ქცევას, მოქმედებას.

მშობლის მაგალითს – ეს იქნება დადებითი თუ უარყოფითი, დიდი ზემოქმედების ძალა აქვს. ამიტომ, მშობელი ვალდებულია თავისი შვილი დადებით მაგალითებზე აღზარდოს, თვითონ იყოს მისაბაძი და ავტორიტეტი.

მშობლებთან ერთად მოზარდზე გარკვეულ ზემოქმედებას ახდენენ ოჯახის სხვა წევრებიც. აუცილებლად მხედველობაშია მისაღები ეს გარემოება, როგორც უშუალოდ მშობლებისაგან, ისე ოჯახის სხვა წევრებისაგან შეიძლება შეითვისოს მოზარდმა მაღალზნეობრივი თუ ნეგატიური თვისებები.

ზნეობრივად სრულყოფლი პიროვნების აღზრდაში დიდ როლს ასრულებს სწორად ორგანიზებული ოჯახური გარემო. იმ ოჯახებში, სადაც მშობლები მკაცრად იცავენ რეჟიმს და შვილებისგანაც მოითხოვენ საოჯახო წესების, მოთხოვნებისადმი დაქვემდებარებას, ბავშვები ეჩვევიან ორგანიზებულობას, შრომისმოყვარეობას, უნითარდებათ მოვალეობისა და პასუხისმგებლობის გრძნობა. ოჯახში თუ მომთხოვნელობა, რეჟიმის დაცვა უგულებელყოფილია მოზარდებში ვითარდება უარყოფითი თვისებები – უსაქმურობა, ფუქსავატობა, უნესრიგობა. ბავშვები თავიდანვე უნდა მიეჩივინენ რეჟიმის დაცვას, რომ მათში არ განვითარდეს მოუწესრიგებელი ცხოვრებისადმი მიღრეკილება და სხვა მანკიერი თვისებები.

მშობლებს კარგად უნდა ჰქონდეთ გაცნობიერებული აღზრდის მიზანი და ამოცანები, ოჯახის როლი და დანიშნულება. ოჯახში ეყრება საფუძველი მოზარდის გონებრივ, მორალურ, ეს-თეტიკურ, შრომით, ფიზიკურ აღზრდას. ამიტომ, ოჯახში ბავშვის აღზრდისათვის საჭიროა მშობელი დაუფლებული იყოს აღზრდის მეთოდებს და მუდმივად ეძიებდეს აღზრდის საუკეთესო გზებსა და საშუალებებს.

ჩვენი ხანგრძლივი დაკვირვების შედეგად დავასკვნით, რომ თანამედროვე პირობებში კიდევ უფრო გაიზარდა ოჯახის წინაშე წაყენებული მოთხოვნები, მშობელთა პასუხისმგებლობა, რადგან დღევანდელი ახალგაზრდობა მკვეთრად გამოხატული ინდივიდუალური თავისებურებებით გამოირჩევა. თანამედროვე ახალგაზრდობას თუ შევადარებთ მე-20 საუკუნის 70-იანი და 80-ია-

ნი წლების ახალგაზრდობას, ისინი მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. იმ თაობის დიდი ნაწილი ცოდნის შეძენაზე იყო ორიენტირებული, ზნეობრივი ქცევის ნორმები სწორად პქონდათ გააზრებული და ა.შ. ცხადია ბევრი დადებითის გახსენება შეიძლება იმ პერიოდიდან, მაგრამ არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ მაშინაც იყო ახალგაზრდების ქცევაში გარკვეული გადაცდომები.

ბუნებრივია ჩნდება მრავალი კითხვა. რა ხდება დღეს, რატომ არის საოჯახო აღზრდაში ამ-დენი პრობლემა, ვინ არის დამნაშავე ამაში, მშობლებმა არ იციან როგორ აღზარდონ შვილები თუ თვითონ მოზარდებში უნდა ვეძებოთ მიზეზები და ა.შ. გვინდა ჩვენი მოსაზრება გამოვთქვათ იმ ფაქტორებთან (ხშირ შემთხვევაში უარყოფითი) დაკავშირებით, რომლებიც მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენენ მომავალი თაობის აღზრდაზე და ამასთან დაკავშირებით წარმოვადგინოთ ჩვენი მოსაზრებები მშობლებისათვის საოჯახო აღზრდის გაუმჯობესების მიზნით.

საოჯახო აღზრდის პრაქტიკაში არსებული მრავალი ხარვეზის მიზეზია მშობელთა დაბალი პედაგოგიური მომზადების დონე. აუცილებელია ყველა მშობელი ფლობდეს პედაგოგიკის ელე-მენტარულ ცოდნას. მშობელთა ერთ ნაწილს ჰგონია, რომ მათ აღზრდის განუმეორებელი მე-თოდები აქვთ შემუშავებული, არავითარი ცოდნის მიღება აღარ სჭირდებათ შვილის აღზრდი-სათვის. მშობლები დიდი სიფრთხილით უნდა ეკიდებოდნენ ბავშვის აღზრდას. თავად უნდა იყ-ვნენ დაინტერესებულნი, რომ რაც შეიძლება მეტი ცოდნა შეიძინონ აღზრდის საკითხებზე და მხოლოდ საკუთარი შეხედულებებით და მოსაზრებებით არ წარმართონ ბავშვის აღზრდა.

მშობელთა ერთი ნაწილი რომ დაბალი პედაგოგიური განათლების მქონეა, ეს მუღავნდება მასწავლებლებთან დამოკიდებულებაში, ზოგჯერ თვით ბავშვის მიმართ, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში და ა.შ.

ძალიან ბევრია ისეთი მშობელი, რომელიც შვილებს ყოველგვარ სურვილს უსრულებს. სამ-წუხაროდ, სურვილები თანდათან მკაცრ მოთხოვნებში გადაიზრდება ხოლმე, ბავშვობაში თუ მშობელი შედარებით ადვილად უსრულებდა შვილს ყველაფერს, შემდეგ, გაზრდილი მოთხოვნე-ბის დაკავშირებით აღვით აღარ შეუძლია სხვადასხვა მიზეზების გამო, რაც მშობელსა და შვილს შორის ხშირად წარმოშობს კონფლიქტს, რის შედეგადაც მშობელი კარგავს აღზრდის პროცესის მართვის უნარს. ბავშვის აღზრდაში ყოველთვის გარკვეული ზომიერების დაცვაა სა-ჭირო, გადაჭარებული აღერსი, ყოველგვარი სურვილების შესრულება, ზედმეტი განებივრება ხელს შეუწყობს მოზარდებში უარყოფითი თვისებების განვითარებას, ეგონისტის აღზრდას.

ზოგიერთი მშობელი ხშირად გამოთქვამს გულისტყვილს თავისი შვილის დაბალი აკადემი-ური მოსწრების გამო. ცხადია, ამაში არც ერთი საგნის მასწავლებელი არ არის დამნაშავე. მშობლები ზოგჯერ ასახელებენ იმავე კლასის სხვა მოსწავლეს, რომელსაც უკეთესი აკადემიუ-რი მოსწარება აქვს ვიდრე მათ შვილებს და მოურიდებლად აცხადებენ, რომ ეს მასწავლებლების ტენდენციურობის შედეგია. ხშირია მშობლების არასწორი შეხედულების გამოვლენა მოზარდის ჩაცმაზეც, ზოგიერთ მათგანს ჰგონია, რომ ამხანაგს, კლასელს არ უნდა ეცვას მის ბავშვზე უკე-თესად და ვალიც რომ აიღოს, აუცილებლად უყიდის ძვირფას ტანსაცმელს და ჩაცმევს. არიან ისეთი მშობლები, რომლებიც ბავშვის თანდასწრებით სავსებით დაუმსახურებლად აკრიტიკე-ბენ მასწავლებლებს, აუგად იხსენიებენ.

აღნიშვნული მოქმედების გამოვლინების შემთხვევაში მშობელთა გამართლება შეუძლებე-ლია. მშობლები საკუთარი შვილების შესაძლებლობებს ნაკლებად ითვალისწინებენ, დაუმსახუ-რებლად თხოულობენ შვილებისათვის მაღალ ნიშნებს. მშობლები მაშინაც არასწორად იქცევი-ან, როდესაც შვილებს ჩაცმაში აჯიბრებენ თანაკლასელ მოსწავლეებს, მეგობრებს, მაგრამ იმას არ ფიქრობენ როგორ იციან მათმა შვილებმა შ. რუსთაველის, ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, გ. ტაბიძისა და სხვათა შემოქმედება, როგორ ერკვევიან ისინი ხელოვნების სხვადასხვა დარგებში, საერთოდ როგორია მათი შვილების ზოგადი განვითარების დონე.

ბავშვის უპირველესი აღმზრდელები მშობლები არიან, მაგრამ მძიმე სოციალური პირობე-ბის გამო, ხშირ შემთხვევაში, ისინი ქვეყნიდან არიან გასული ოჯახის მატერიალურად უზრუნ-ველსაყოფად; თუ საქართველოში არიან, მაინც, თითქმის ოცდაოთხი საათი გასულები არიან ლუკმა-პურის საშოვნელად და შვილების აღზრდას სათანადო ყურადღებას ვერ უთმობენ, რაც თანამედროვე ახალგაზრდების დიდ ნაწილს ეტყობა ყოველგვარ ქცევასა და მოქმედებაში.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დადებითი შედეგები საოჯახო აღზრდაში ზოგჯერ არც იმ ოჯახ-ხებშია, სადაც არ არის მატერიალურ უზრუნველყოფაზე ზრუნვის საჭიროება და მშობლები მუდმივად შვილებთან იმყოფებიან.

ყოველ მშობელს უნდა გააჩნდეს გარკვეული ალლო, უნარი შვილის აღზრდისა. არის შემთხვევები, როდესაც მშობელი ზოგადად განათლებულია, არჩეულ სპეციალობასაც კარგად არის დაუფლებული, მაგრამ შვილის აღზრდის საქმეს თავს ვერ ართმევს, მოიკოჭლებს მშობლის მოვალეობის შესრულებაში, რის გამოც მრავალი პრობლემა წარმოიშვება საოჯახო აღზრდაში.

ბოლო ხანებში გახშირდა ძიძის დახმარებით ბავშვების „აღზრდა“. ძიძის დახმარებას ზოგიერთი მშობელი იმით ხსნის, რომ მუშაობს და არავინ ჰყავს ოჯახში ბავშვის დამტოვებელი. ასეთ შემთხვევაში შეიძლება გარკვეული გამართლება ჰქონდეს ძიძის აყვანას, მაგრამ როდესაც დედა არ მუშაობს, ოჯახში ბებიაც არსებობს, მაინც იყვანენ ძიძას (შეიძლება არ უნდათ მშობლებს დაიტვირთონ და ამიტომ უნდათ ძიძის დახმარება). გვინდა შევახსენოთ მშობლებს, რომ შვილების გამო დაიტვირთონ, დაიღალონ, შეწუხდნენ და ძიძას ნუ დაიხმარენ შვილების აღზრდაში თუ ამის აუცილებლობა არ არის. ძიძას მხოლოდ ფული აინტერესებს და ამის გამო იწყებს ოჯახში მუშაობას ბავშვის მომვლელად. ძიძა აღმზრდელი არ არის, მასთან მხოლოდ დროებით შეიძლება ბავშვის დატოვება.

აუცილებელია აღინიშნოს ისიც, რომ ბევრ ოჯახში რატომდაც აღზრდის ქართული ტრადიციული ადათ-ნესები მოიშალა თანამედროვე პირობებში. შეიძლება ითქვას, რომ მოზარდებმა ხშირ შემთხვევაში არ იციან დედას, მამას, ბებიას, პაპას და ა.შ. სახელით რომ არ უნდა მიმართონ. მათ უნდა ავუხსნათ, რომ სახელით შეიძლება მიმართონ მხოლოდ თანატოლებს, მაგრამ მშობლებთან, ოჯახის სხვა უფროს წევრებთან, ეს ყოვლად დაუშვებელია. სიტყვებს „დედა“ და „მამა“ სხვა დატვირთვა – სითბო და სიყვარული ახლავს თან. როცა მოზარდი სახელით მიმართავს მშობლებსა და ოჯახის სხვა წევრებს, ის ამით თითქოს მათ „უტოლდება“. ვფიქრობთ, ასეთი მიმართვით მშობლიური სითბო, სიყვარული, მორიდება თანდათან ქრება და შეიძლება ითქვას გაუცხოებაც ხდება მათ შორის და მშობლებისა თუ ოჯახის სხვა უფროსი წევრების მიმართ პატივისცემაც იკარგება. აუცილებელია მოზარდებს ადრეული ასაკიდანვე ავუხსნათ და ვასნავლოთ, რომ მშობლებსა და ოჯახის სხვა წევრებს სახელით არ მიმართონ.

არ შეიძლება ყურადღება არ გავამახვილოთ იმაზე, თუ რა გავლენა მოახდინა გლობალიზაციამ მომავალი თაობის, როგორც პიროვნების ფორმირებაზე.

მე-20 საუკუნის 80-იან წლებში ახალი კონცეფცია გამოჩნდა, რომელსაც გლობალიზაციას უწოდებენ. პირველად ეს ტერმინი ამერიკის შეერთებულ შტატებში 1981 წელს მაკლინმა გამოიყენა, შემდეგ კი სოციოლოგმა რობერტსონმა.

გლობალიზაცია გაერთიანებას, გამთლიანებას ნიშნავს. მას საზღვრები არა აქვს და გარკვეულილად ცხოვრების ახლებურად მოწყობას გულისხმობს. გლობალიზაცია არის ისტორიული, ობიექტური პროცესი მისთვის დამახასიათებელი თავისებურებებით, ტენდენციებით და კანონიმიერებებით.

საქართველოც მსოფლიოს ორგანული ნაწილია. აქედან გამომდინარე, არ აგვცდება ინტეგრაციისა და გლობალიზაციის გავლენა, მთავარია თავი ავარიდოთ, გავუფრთხილდეთ მათგან მომდინარე ნეგატიურ ასპექტებს. საქართველომ გააზრებულად უნდა აუბას მხარი გლობალიზაციის, მისი ყოველგვარი სიკეთე უნდა მივიღოთ, გავითვალისწინოთ, მაგრამ ქართულ ეროვნულ ტრადიციებზე, მისი უაპელაციო დაშვება სასურველ შედეგს არასდროს მოგვცემს.

დღეს, საზოგადოებრივი ცხოვრების რომელი სფეროც არ უნდა ავიღოთ, ყველგან იგრძნობა, რომ მიდის ტოტალური შეტევა ეროვნულ ტრადიციებზე, მისი დანგრევის, მოშლის გზით. ყველაფრისადმი ქედის მოხრა, თანადგომა გლობალიზაცია კი არ არის, არამედ ერის სულიერი დეგრადაცია, ყოველგვარი თვითმყოფადობის დამოუკიდებლობის მოსპობაა.

გლობალიზაციამ გარკვეული გავლენა მოახდინა მომავალი თაობის აღზრდაზეც. მთელი დღე-ღამის განმავლობაში ტელევიზიის ყველა არხზე რომ უცხოურ კინოფილმებს უჩვენებენ, სადაც ძალმომრეობა და ადამიანთა პათოლოგიური ურთიერთობებია ნაჩვენები ხშირ შემთხვევაში, ასევე უცხოურ სიმღერებს უსმენენ და უყურებენ უცხოურ ცეკვებს განა ეს კეთილშობილ

გავლენას მოახდენს ქართველ ახალგაზრდებზე? აქ საგანგაშო ის არის, რომ ამით ბავშვის, მოზარდის ფსიქიკას ვამახინჯებთ და ეს ყველაფერი იმდენად უარყოფით ზეგავლენას ახდენს მოზარდზე, რომ იცვლება მისი ზნე-ხასიათი, ფსიქიკა, რაც გარკვეულ სირთულეებს ქმნის მშობელსა და შვილს შორის ურთიერთობაში, შესაბამისად აღზრდის პროცესიც ხშირ შემთხვევაში უმართავი ხდება.

საოჯახო აღზრდის გაუმჯობესებახე როდესაც ვლაპარაკობთ, მხედველობაში უნდა გვქონდეს აღზრდის ის სამკუთხედი (სკოლა, ოჯახი, საზოგადოება), რომელთა ერთიანი შეთანხმებული მუშაობა რამდენიმე წლის წინ საკმაოდ დადებით შედეგებს გვაძლევდა, მაგრამ დღეს თითქმის გათიშულია ეს ყველაფერი ერთმანეთისაგან, საზოგადოება ძველებურად აღარ არის ჩართული მომავალი თაობის აღზრდის პრობლემების მოგვარებაში, არადა საოჯახო აღზრდა საერთოდ წარმოუდგენელია საზოგადოებისაგან იზოლირებულად. სკოლა და ოჯახიც გარკვეულად დაშორდა ერთმანეთს, რადგან მასწავლებლების კომპიუტერით თუ სატელეფონო გზავნილებით მშობლებთან ურთიერთობა დადებით შედეგებს არ მოგვცემს საოჯახო აღზრდის გაუმჯობესების მიზნით. აუცილებელია სავალდებულო გახდეს პირისპირ შეხვედრები მშობლებსა და მასწავლებლებს შორის.

ოჯახში ბავშვთა აღზრდის ამოცანები სკოლასთან, მასწავლებლებთან თანამშრომლობასა და მჭიდრო ურთიერთობაში უნდა წყდებოდეს.

საოჯახო აღზრდის გაუმჯობესების მიზნით აუცილებელია ფართოდ იქნეს გამოყენებული მშობლებთან სკოლის მუშაობის აპრობირებული ფორმები და მეთოდები, რადგან აღზრდის პრაქტიკაში ცნობილია იმის მაგალითები, როდესაც მშობლებისა და პედაგოგების ურთიერთდახმარებით, ურთიერთხელშეწყობით მოზარდების აღზრდის საქმე გაუმჯობესებულია.

პედაგოგიკის მეცნიერებაში საყოველთაოდ არის აღიარებული მშობლებთან სკოლისა და მუშაობის შემდეგი ფორმები: მასობრივი ჯგუფური, ინდივიდუალური.

მშობლებთან მუშაობის მასობრივ ფორმებს მიეკუთვნება პედაგოგიური ლექცია-საუბრები, მშობელთა კონფერენციები ოჯახური აღზრდის გამოცდილებათა ურთიერთგაზიარების მიზნით, კითხვა-პასუხის საღამოები, მშობელთა კრებები, ლია კარის დღეები ანუ მშობელთა დღეების ჩატარება, და ა.შ.

საოჯახო აღზრდის პრობლემების სათანადოდ გადაჭრისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მშობელთა პედაგოგიურ განათლებას. მშობელთა ერთ ნაწილს ჰგონია, რომ მათ აღზრდის განუმეორებელი მეთოდები აქვთ შემუშავებული, არავითარი ცოდნის მიღება აღარ სჭირდებათ შვილის აღზრდისათვის. ზოგიერთ მათგანს მტკიცედ სჯერა, რომ იგი შესანიშნავად არის მომზადებული მშობლის მაღალი მოგვალეობის პირნათლად შესრულებისათვის.

საოჯახო აღზრდაში გასათვალისწინებელია ისიც, რომ აღზრდაში მეთოდთა მექანიკურად შერჩევა-გამოყენება დაუშვებელია. აუცილებელია გათვალისწინებული იქნეს: ა) აღზრდის მიზანი და ამოცანები; ბ) აღსაზრდელთა ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებები; გ) ის გარემო პირობები, სადაც მოზარდს დიდხანს უხდება ყოფნა.

ოჯახში ბავშვთა და მოზარდთა ზნეობრივ აღზრდაში აუცილებლად უნდა იქნეს გამოყენებული აღზრდის შემდეგი მეთოდები: დარწმუნება, მისი სხვადასხვა სახეობით (მაგალითი, ახსნა-განმარტება, ეთიკური საუბარი), ვარჯიში, წახალისება და დასჯა.

საოჯახო აღზრდა უნდა დაეფუძნოს აღზრდის შემდეგი პრინციპებს:

1. მიზანსწრაფვა;
2. ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინება;
3. აღზრდა დადებითზე დაყრდნობით;
4. მოზარდის პიროვნებისადმი მტკიცე მომთხოვნელობის შეხამება მისადმი პატივისცემასთან;
5. აღმზრდელობით ზემოქმედებათა ერთიანობის პრინციპი;
6. სისტემურობისა და თანმიმდევრობის პრინციპი;
7. შრომაში აღზრდის პრინციპი (ამ უკანასკნელს ქართველ მეცნიერთაგან მხოლოდ პროფ. შ. მალაზონია უთითებს, პედაგოგიკა, თბ., 2001).

მშობელთა პედაგოგიური განათლების საქმეში დიდი როლი აკისრია კლასის დამრიგებელს. მან თითოეული მშობლისათვის ნათელი უნდა გახადოს, რომ ბავშვთა აღზრდა წარმართონ პედაგოგიკის მეცნიერების უახლესი მიღწევების გათვალისწინებით.

განათლების სისტემის მესვეურნი უნდა დაფიქრდნენ იმაზე, თუ როგორი შეიძლება იყოს საქართველოს სკოლების მოსწავლეთა საოჯახო აღზრდა, როგორი მოდელი წაადგება საქართველოს მომავლის აღზრდის საქმეს. არ უნდა უარვყოთ სკოლის გამოცდილი პედაგოგებისა თუ ცნობილ მკვლევარ-მეცნიერთა ხანგრძლივი, პრაქტიკული მუშაობის გამოცდილება საოჯახო აღზრდის პრობლემებთან დაკავშირებით. აუცილებელია შეიქმნას პედაგოგიკის მეცნიერებაში მომუშავე მკვლევარ-მეცნიერთა ჯგუფი, რომელთა მიერ შემუშავებული რეკომენდაციებით მოხდება საქართველოს სკოლების მოსწავლეთა საოჯახო აღზრდის პრობლემების მოგვარება. დიდი ქართველი პედაგოგის, იაკობ გოგებაშვილის სამშობლოში არ უნდა იქნეს დავიწყებული საოჯახო აღზრდის მდიდარი ქართული პედაგოგიური ტრადიციები. უცხოეთის, თუნდაც იქ აპრობირებული დადებითი გამოცდილება უნდა დავნერგოთ მხოლოდ ქართული პედაგოგიური რეალობის გათვალისწინებით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბალანჩივაძე რ., ანთროპოლოგიური პედაგოგიკა, თბ., 2011.
2. ვასაძე ნ., პედაგოგიკა, თბ., 2000.
3. მენთეშაშვილი ლ., მშობელთა პედაგოგიზაციის სრულყოფისათვის, ჟურნალი „სკოლა და ცხოვრება“, 1989, 8.
4. კუჭუხიძე შ., კარგისა ყრმისა აღმზრდელი. (საუბარი მშობლებთან ბავშვის აღზრდაზე), თბ., 1984.
5. ნარგიზიშვილი ა., საოჯახო პედაგოგიკა, თბ., 2008.
6. უშინსკი კ.დ., რჩ. პედ. თხზ., (ქართულ ენაზე), ტ. I, თბ., 1948.
7. ჭავჭავაძე ი., თხზ., ტ. IV, თბ., 1955.
8. Ермолова М., У колыбели Родительства, М., 2014.

LIA MENTESHASHVILI

PROFESSOR OF TBILISI TEACHING UNIVERSITY

SOME ASPECTS OF FAMILY UPBRINGING

Summary

Family has a very important role in raising children, forming their personality. After our long observation we concluded, that regarding present conditions demands before the family and parents' responsibility increased, as young people of today abruptly differ with their individual peculiarity. Our consideration is connected to the influential factors making problems in family upbringing and is expressed in the presented article. We offer our recommendations for parents to improve ways of family upbringing.

ЛИЯ МЕНТЕШАШВИЛИ

Профессор Тбилисского учебного университета

НЕКОТОРЫЕ АСПЕКТЫ СЕМЕЙНОГО ВОСПИТАНИЯ

Резюме

Семья занимает особое место в воспитании детей, в формировании их как личности. После длительных наблюдений мы пришли к выводу, что в современных условиях ещё более возросли требования, поставленные перед семьями, возросла ответственность родителей, так как современная молодёжь отличается резко выраженным индивидуальными особенностями. В статье выражено наше мнение по поводу факторов, влияния которых порождает определённые проблемы в семейном воспитании. В связи с этим мы представляем наши рекомендации родителям, с целью улучшения воспитания в семье.

**ლელა თავდგირიძე
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტი**

**ცატო შეროზია
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტი**

**პროფესიული ორიენტაცია პიროვნული ზრდისა და კარიერული
ნინების ერთ-ერთი ფაქტორი**

ნებისმიერი ადამიანის ცხოვრებაში დგება მომენტი, როდესაც მან მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება უნდა მიიღოს-უამრავი პროფესიიდან ერთი აირჩიოს. ამ გადაწყვეტილების მიღების სისწორეზე დამოკიდებულია პიროვნების ცხოვრების გზა, საკუთარი საქმიანობით კმაყოფილება, წარმატებები შრომასა და კარიერაში. პროფესიის არჩევა რთული და მრავალმხრივი პროცესია, რომელზეც მრავალი ფაქტორი ახდენს გავლენას. იგი მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ჩვენს მომავალ ცხოვრებასა და საქმიანობას. პროფესიის სწორად არჩევა განაპირობებს ადამიანის პიროვნული ზრდისა და კარიერულ წინსვლას. თავდაჯერებულობა, საკუთარი თავის რწმენა, ემოციური კმაყოფილება თუ სტაბილურობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ადეკვატურად არის შერჩეული პროფესია. ამიტომ ის სხვადასხვა მეცნიერებების (ფსიქოლოგია, პედაგოგიკა, ეკონომიკა, სოციოლოგია და ა.შ.) მიღწეულების გამოყენებას მოითხოვს. პროფორიენტაციის მიზანია დაეხმაროს ადამიანს სწორად გაერკევს პროფესიათა სამყაროში, მისი ინდივიდუალური თავისებურებებისა და შესაძლებლობების, ასევე დასაქმების პერსპექტივების გათვალისწინებით. ნებისმიერი ადამიანის ცხოვრებაში დგება მომენტი, როცა პროფესიათა გზაჯვარედინზე კონკრეტული მიმართულების ასარჩევად უნდა მიიღოს გადაწყვეტილება. ამ გადაწყვეტილების სისწორეზე დიდად არის დამოკიდებული პიროვნების ცხოვრებისეული გზა, საკუთარი საქმიანობით კმაყოფილება, წარმატებები შრომით საქმიანობასა და კარიერაში. პროფესიული ორიენტაცია საკუთარი თავის, შრომითი ბაზრისა და საგანმანათლებლო შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის შეგროვება, ორგანიზება და სისტემაში მოყვანაა.

ამიტომ, პროფესიული ორიენტაცია ჯერ კიდევ ადრეული ბავშვობიდანვე ყალიბდება. თითოეული ასაკობრივი საფეხური მისთვის უნიკალური სტრუქტურებით ხასიათდება. ყოველ ეტაპზე აღმოცენდება ახალი "ფსიქოლოგიური წარმონაქმნები", რომლებიც ცვლიან ფსიქოლოგიურ სტრუქტურასა და მოზარდის დამოკიდებულებას საკუთარი თავისა და გარე სამყაროს მიმართ, ყალიბდება განსხვავებული ინტერესები და იდეალები. ადამიანები ირჩევენ ამა თუ იმ პროფესიას და ხშირ შემთხვევაში ბოლომდე მიყვებიან მას, მიუხედავად იმისა როგორია პიროვნული რეალიზებულობის დონე, დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში კი იშვიათად ცვლიან მას, რადგან ამისთვის ბევრი სიძნელის გადაღახვა საჭირო. ამიტომ, აუცილებელია, რომ გარდამავალი ასაკი დაგვირგვინდეს სწორი პროფესიული ორიენტაციით, რომელიც პიროვნული ზრდის, კარიერული წინსვლის და შრომითი თუ ემოციური კმაყოფილების წინაპირობას წარმოადგენს. პროფესიული ორიენტაცია აქტუალური დამამთავრებელ კლასებში ხდება, როდესაც მოზარდმა უნდა გადაწყვიტოს, თუ რა მიმართულებით წავა სკოლის დამთავრების შემდეგ — განაგრძობს სწავლას თუ რამე საქმიანობით დაკავდება. შესაბამისად, უკვე უნდა ჰქონდეს წარმოდგენა იმის შესახებ, თუ რა ტიპის სამუშაო შეეფერება ან რა პროფესიის დაუფლება სურს. თუმცა სკოლის დამთავრების შემდეგ პროფესიული ორიენტაციის პროცესი არ სრულდება.

პროფესიული ორიენტაცია, როგორც შრომის ფსიქოლოგიის მიმართულება, უკვე 100 წელზე მეტს ითვლის. ზოგიერთი ავტორი მიიჩნევს, რომ მისი ჩამოყალიბება ცნობილ ამერიკელ ფსიქოლოგს ჰუგო მიუნსტერბერგს უკავშირდება. XX საუკუნის დასაწყისში მან პირველმა შეიმუშავა და გამოიყენა ფსიქოლოგიური ტესტები ადამიანების პროფესიული შესაძლებლობების

შესამოწმებლად. ამ პერიოდშივე განვითარდა ფსიქოლოგიის მიმართულება — პროფესიის ფსიქოლოგია. მიუხედავად ამისა, სამეცნიერო წრეებში პროფესიული ორიენტაციის ისტორიის ათვლას 1903 წლიდან იწყებენ, როდესაც ფრენკ პარსონსმა საფრანგეთში, სტრასბურგში პროფორიენტაციის პირველი კაბინეტი გახსნა. ამის შემდგომ, 1908 წელს, უკვე ამერიკის შეერთებულ შტატებში, ბოსტონში, პროფესიის არჩევის ბიურო ჩამოყალიბდა. (ბენიძე თ: 2013)

XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში სპეციალური პროფორიენტაციული სამსახურები შეიქმნა, რომლებიც დამსაქმებლებს სასურველი მონაცემების მქონე კადრების შერჩევაში, ხოლო სამსახურის მაძიებლებს შესაფერისი სამსახურის მოძებნაში ეხმარებოდნენ.

პედაგოგიურ ლიტერატურაში დღემდე თითქმის უდაო ჭეშმარიტებად არის მიჩნეული აზრი იმის შესახებ, რომ პროფესიული ორიენტაცია, პირველ ყოვლისა უნდა ეფუძნებოდეს მოზარდის ინტერესებსა და მოთხოვნილებებს. ამასთან ერთად რა თქმა უნდა, საჭიროა საზოგადოების ინტერესებისა და მოთხოვნილიების გათვალისწინება. საზოგადოებრივი განვითარების თანამედროვე ეტაპზე განუზომლად დიდია ადამიანური რესურსების განვითარებისა და რაციონალურად გამოყენების მნიშვნელობა. ეკონომიკის მზარდი გლობალიზაცია, ახალი ტექნოლოგიებისა და პროფესიული ცოდნის ათვისების საჭიროება დიდ გავლენას ახდენს შრომის სამყაროზე. სწრაფად იცვლება მოთხოვნები სამუშაოს შესრულებისა და უნარ-ჩვევების მიმართ. შრომის ბაზრის მობილურობის ზრდა, ადამიანის შესაძლებლობების განვითარებისა და გამოყენების აუცილებლობა გაზრდილ მოთხოვნებს უყენებს როგორც პროფესიული მომზადების, ისე პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სისტემას. ადამიანებს სჭირდებათ დახმარება პროფესიის არჩევის, შეცვლის, კომპეტენციების ათვისების, განვითარებისა და პროფესიული ცხოვრების დაგეგმვის საკითხებზე. (პროფორიენტაციის მეთოდური საფუძვლები: 2007) პროფესიის არჩევა მოზარდის განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. ეს არ არის მარტივი პროცესი. არჩევანის გასაკეთებლად მოზარდმა ერთი მხრივ, უნდა გააცნობიეროს, რა არის მისი ინტერესების სფერო და რა უნარები და კომპეტენციები აქვს ამ სფეროში. მეორე მხრივ კი თანხვედრაში მოიყვანოს ისინი სასურველი პროფესიის მოთხოვნებსა და შესაძლებლობებთან. ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, სწორი არჩევანი გულისხმობს სწორედ ამ სამი ფაქტორის სრულ თანხვედრას: „მინდას“, „შემიძლიასა“ და „საჭიროს შორის“.

მოზარდის სასურველი პროფესია თანხვედრაში უნდა იყოს მის პიროვნულ და პროფესიულ ინტერესებთან. პროფესიული ინტერესები დროში შედარებით სტაბილურია და ადვილად არ ექვემდებარება ცვლილებებს, ამიტომ მცდარმა არჩევანმა შესაძლოა ხანგრძლივი არასასურველი შედეგი მოგვიტანოს პროფესიით უკმაყოფილებასა და არარეალიზებულობის განცდის სახით. ამის კვალობაზე, მნიშვნელოვანი და აუცილებელი ნაბიჯი ის არის, რომ პროფესიის არჩევამდე მოზარდმა გააცნობიეროს თავისი ინტერესები და გადაწყვეტილება მათზე დაყრდნობით მიიღოს. ასევე მნიშვნელოვანი ფაქტორი არის ინდივიდის თვითეფექტურობის განცდა. ეს არის საკუთარი ძალების რწმენა, რწმენა იმისა, რომ კონკრეტულ სიტუაციაში ის წარმატებას მიაღწევს. თვითეფექტურობის განცდას უშუალო კავშირი აქვს პროფესიით კმაყოფილებასთან და მნიშვნელოვან წილად მასზეა დამოკიდებული, რამდენად მოახერხებს ინდივიდი საკუთარი პროფესიის პრაქტიკაში რეალიზებას. ამასთანავე, ხშირად ახალგაზრდებს არ აქვთ რეალური ინფორმაცია პროფესიების შესახებ, არ იციან, რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდნენ ამა თუ იმ პროფესიის წარმატებით დასაუფლებლად და როგორ მიმდინარეობს სამუშაო პროცესი კონკრეტული პროფესიის ფარგლებში. ახალგაზრდები ძირითადად იმ პროფესიებს ირჩევენ, რომლებიც ტიპობრივი და პრიორიტეტულია მათი სქესისთვის. წარმატებული და პროფესიულად შემდგარი მშობელი კარგი მოდელია შვილისთვის. მოზარდები ხშირად ირჩევენ მშობლის პროფესიის ანალოგიურ პროფესიებს. ის დამოკიდებულია იმაზეც, გრძნობს თუ არა მოზარდი მშობლის მხარდაჭერას თავისი ინტერესების შესატყვევისი არჩევანის გაკეთებაში. მაგრამ მშობელი ორიენტირებული უნდა იყოს შვილის ინტერესებსა და უნარებზე და არა საკუთარ სურვილებსა და კულტურულ სტერეოტიპებზე. ზოგჯერ მოზარდის პროფესიულ არჩევანზე ხშირად

თანატოლების გავლენა უფრო მეტია, ვიდრე მშობლების ან ოჯახისა. მშობლებთან ერთად მოზარდის ცხოვრებაში მნიშვნელოვან ადგილს იკავებენ თანატოლები და სხვა ავტორიტეტული პირები.

პროფესიის არჩევა, როგორც წესი, შრომითი საქმიანობის დაწყებამდე უნდა მოხდეს. შესაბამისად, პროფორიენტაციული მუშაობა აღმზრდელობითი და სასწავლო დაწესებულებების მოვალეობაა. პროფორიენტაცია შეიძლება რამდენიმე ეტაპად დავყოთ: უნივერსიტეტამდელი, უნივერსიტეტულ და უნივერსიტეტის შედგომი. **უნივერსიტეტამდელი** პროფორიენტაცია, რომელიც შემდგომ გადავა უნივერსიტეტულ პროფორიენტაციაში. უნივერსიტეტამდელ პროფორიენტაციაში ნებისმიერი პროფესიისადმი მომზადებისათვის დიდი როლი აკისრია სკოლას. სწორედ სკოლიდან უნდა დაიწყოს მომავალი მასწავლებლის მომზადების პროცესი და შემდგომ ეს მომზადება გაღრმავდეს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში (თავდგირიძე: 2012). გამოცდილმა მასწავლებელმა თვალყური უნდა ადევნოს თავის მოსწავლეებს, რათა შეისწავლოს მათი პროფესიული ინტერესები და გამოავლინოს ის მოსწავლეები, ვისაც აქვს მიდრეკილება სამასწავლებლო საქმიანობის მიმართ (სიყვარული ბავშვებისადმი, ორგანიზატორული უნარები: მომთხოვნი, როგორც თავის ისევე სხვის მიმართ; კეთილსინდისიერობა). ასეთი ბავშვები უნდა შეეკრიბო ერთ ჯგუფში, სადაც მასწავლებლების ხელმძღვანელობით ისინი გაეცნობიან სამასწავლებლო საქმიანობის სპეციფიკასთან. თითოეულ ადამიანს პროფესიული ცხოვრების გზაჯვარედინზე ყოველთვის სჭირდება დაფიქრება, რათა გამორიცხოს ან მინიმუმამდე შეამციროს შეცდომები. პროფორიენტაციის მეთოდურ სახელმძღვანელოში დასახელებულია პროფესიის არჩევასთან დაკავშირებული რამდენიმე „ტიპური შეცდომა“. პირველი, როცა ადამიანი პროფესიის არჩევისას ხელმძღვანელობს მოტივით, რომ ეს პროფესია „რომანტიული“, „ინტელიგენტურია“, ხშირად არ იცის, რომ ამ ტიპის პროფესიაში საკუთარი თავის წარმატებულად რეალიზაციისთვის მას მოუწევს რუტინული, „არარომანტიული“ და „არაინტელიგენტური“ სამუშაოების შესრულებაც. ამის გამო შემდგომში, მუშაობის რეალურ პირობებთან შეხებისას, მას შეიძლება იმედგაცრუება და ზოგჯერ სასოწარკვეთაც დაეუფლო, რადგან პირვენებისთვის საკმაოდ მტკიცნეული და გულდასაწყვეტია იმის გაცნობიერება, რომ მოლოდინი და რეალობა ერთმანეთს არ დაემთხვა; მეორე, როცა ადამიანი ირჩევს პროფესიას მხოლოდ იმიტომ, რომ იგი პრესტიული და „მოდურია“, ამ დროს დიდი რისკი არსებობს იმისა, რომ გარკვეული დროის შემდეგ ეს პროფესია შეიძლება აღარ იყოს პრესტიული და მოდური. ასეთ შემთხვევაში პიროვნება დგება რეალობის წინაშე და უინტერესოდ ეჩვენება თავისი სამუშაო. შესაბამისად, იმედგაცრუება და ზოგჯერ სასოწარკვეთაც კი ეუფლება.

ამგვარი პროფესიის წარმომადგენლები საქმიანობის პროცესში ხვდებიან, რომ მოცემული პროფესია არა მხოლოდ მატერიალურ კეთილდღეობის უზრუნველყოფას პირდება, არამედ მისგანაც საკმაოდ ბევრს მოითხოვს, იქნება ეს თავდადებული შრომა, დიდი რისკი, პირად სურვილებსა და მოთხოვნილებებზე უარის თქმა და ა.შ. ასეთ სიტუაციებში ხშირია უკმაყოფილებისა და იმედგაცრუების შემთხვევები. განსაკუთრებით მძიმეა საკუთარ არჩევანში შეცდომის აღმოჩენა იმ ადამიანებისათვის, რომლებმაც უკვე წლები დახარჯეს კარიერული ზრდისთვის და დიდი ძალისხმევა მოანდომეს პროფესიულ განვითარებას. არადა, თვითონ ცხოვრება მოითხოვს მათგან გეგმების კორექტირებას და ხშირად ეს პროფესიული არჩევანის შეცვლასაც უკავშირდება. ჩავატარეთ კვლევა, რომლის მიზანი იყო გაგვერკვია რომელმა ფაქტორმა განაპირობა ბსუ-ს სტუდენტთა არჩევანი. გამოვიკითხეთ განათლების ფაკულტეტის პირველი და მეოთხე კურსელები. გამოკითხულ რესპონდენტთა 45% აღნიშნა, რომ მომავალი პროფესიის არჩევა განაპირობა ოჯახის წევრებმა, 17%-მა დაასახელა - მეგობრების გავლენა, 5 %-პედაგოგის მიბაძვის სურვილი, 10%-პროფესიის პრესტიულობა. ჩვენს კითხვაზე-სწავლის პროცესში გამართლდა თუ არა მათი მოლოდინები არჩეული პროფესიის მიმართ, უმეტესობაშ მიუთითა პროფესიის არჩევანში იმედგაცრუება. კვლევის შედეგებმა გვიჩვენა, რომ ადამიანებს უჭირთ პროფესიის

არჩევასთან ან კარიერის დაგეგმასთან დაკავშირებული რთული საკითხების დამოუკიდებლად გადაწყვეტა, თანამედროვე, სწრაფად ცვალებად გარემოსთან ადაპტირება. მოზარდებსა თუ ზრდასრულებს სჭირდებათ პროფესიონალების დახმარება, რომლებიც შეძლებენ მათი პიროვნულ-ინდივიდუალური მახასიათებლების გამოვლენას და პროფესიული საქმიანობის იმ სფეროს განსაზღვრავენ, სადაც ისინი საკუთარი შესაძლებლობების რეალიზაციას ყველაზე უკეთ მოახდენენ. კვლევამ გვიჩვენა, რომ პროფორიენტაციის ძირითად ფორმებს წარმოადგენს: პროფესიული ინფორმირება, პროფესიული კონსულტაცია, პროფესიული შერჩევა. ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიული და უმაღლესი განათლების სისტემა სრულად ვერ პასუხობს იმ მოთხოვნებს, რომლებსაც შრომის ბაზარი დღეს დასაქმების მსურველებს უყენებს. ამ ვითარებას ხელს უწყობს ის, რომ ქვეყანაში არ არსებობს შრომის ბაზრის კვლევის სისტემური მექანიზმი. საგანმანათლებლო პროგრამები არსებითად ორიენტირებულია პროფესიული უნარების განვითარებაზე და ნაკლებად ავითარებს ისეთ უნარებს, როგორებიცაა კომუნიკაცია, გადაწყვეტილების მიღება და სხვა. საქართველოში კარიერული კონსულტაცია ახლა იდგამს ფეხს. შექმნილია პროფესიული კონსულტაციისა და კარიერის დაგეგმვის მომსახურების განვითარების ეროვნული კონცეფცია, რომლის განვითარებასაც განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ახორციელებს. სამინისტროს ინიციატივით გასულ წელს შეიქმნა პროფესიულტაციის ონლაინ მომსახურების ვებგვერდი www.myprofession.ge, რომელიც მომხმარებლებს უფასო ონლაინ მომსახურებას სთავაზობს. ვებზე განთავსებულია აპრობირებული ფსიქოლოგიური ინსტრუმენტები, რომლებიც ადამიანებს ეხმარება საკუთარი უნარების, ინტერესების შეფასების საფუძველზე ნახონ – რომელი პროფესია შეესაბამება ყველაზე მეტად. ამავდროულად ვებზეგანთავსებულია პროექტის ფარგლებში შექმნილი პროფორიენტაციის პირველი სახელმძღვანელო საქართველოში „აირჩიე პროფესია“, ასევე ვიდეოები პროფესიების შესახებ, საკითხავი მასალა, რეკომენდაციები, სავარჯიშოები და სხვა მრავალი რესურსი, რაც ახალგაზრდებს პროფესიის სწორად არჩევაში ეხმარება.(ლომიაშვილი: 2015)

პროფორიენტაცია პროფესიული თვითგამორკვევის საშუალებას წარმოადგენს. პროფესიულ ორიენტაციზე მუშაობა სტუდენტობის წლებში გრძელდება და საუნივერსიტეტო განათლების მიღების შემდეგაც. უნივერსიტეტი მჭიდროდ უნდა თანამშრომლობდეს კურსდამთავრებულებთან და მათ დამსქმებლებთან.

საკვანძო სიტყვები: პროფესიული ორიენტაცია, კარიერული წინსვლა, პროფესია, პიროვნული ზრდა

გამოყენებული ლიტერატურა:

- „პროფორიენტაციის მეთოდური საფუძვლები“ გამომცემლობა „მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია“, თბილისი 2007
- ლომიაშვილი გელა „კარიერის დაგეგმვა და პროფესიული კონსულტაცია“ 29 ივნისი 2015 <http://mastsavlebeli.ge/?p=2590>
- ბენიძე თ., კანდელაკი ქ. ლომიაშვილი გ., და სხვები. აირჩიე პროფესია. 2013წ.
- Пути отбора контингента для учительской профессии. Историко-филологические изыскания. Государственный университет Шота Руставели, Санкт-Петербургский государственный университет. V, Санкт-Петербург- Батуми, 2008, с. 297-303;

**PROFESSIONAL ORIENTATION AS ONE OF THE PERSONAL GROWTH AND CAREER
ADVANCEMENT FACTORS**

Summary

Proper selection of profession is a complex and versatile process. It significantly determines our future life and work. The choice of profession leads to personal growth and career advancement. Many factors influence the choice of profession: confidence, self-confidence, emotional satisfaction or stability depends on how adequately the profession is selected. The choice of profession is the most important decision in life. Professional orientation is to gather, organize, and bring into system the information of own, labor market and educational opportunities. In pedagogic literature, undoubted truth is that the professional orientation, first of all, should be based on a teenager's interests and requirements. Of course, it is necessary to take into consideration the public interests and demands. The article discusses who and how affects the choice of profession.

თამარ გოგოლაშვილი
იღიას სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლებისა
და ხელოვნების ფაკულტეტთან არსებული
ი. გოგებაშვილის პედაგოგიკის სამეცნიერო -
კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერი - მკვლევარი

**თაობას გადავცეთ ძირძველი ტრადიციული
პროცესია - გეპვევრეობა**

სასკოლო რეფორმამ დიდი ზიანი მოუტანა შრომით სწავლებას. იგი შეიძლება ითქვას იგნორირებულია და არჩევით საგანთა შორის მოიაზრება. არადა მისი სწავლება აუცილებლობას წარმოადგენს მოსწავლეთა პრაქტიკული ცხოვრებისათვის მომზადების საქმეში. შრომითი სწავლება მოზარდებისათვის სხვადასხვა პროფესიებზე და მათ ავკარგიანობაზე წარმოდგენების შექმნის საფუძველიცაა. ამ საფუძველს დღესდღეობით მოკლებულები ვართ და ამიტომ თითოეულმა ჩვენთაგანმა უნდა ვიზრუნოთ საკითხის პოზიტიურად გადაჭრისათვის. თანამედროვე ყოფითი პირობები გადაუდებლად მოითხოვს, რომ დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის მოვამზადოთ მომავალი თაობა, რათა შემდგომში გაუადვილდეთ პრაქტიკული ცხოვრებისეული საკითხების გადაწყვეტა, რისთვისაც საჭიროა ისინი შევაირალოთ ტექნიკური, სასოფლო - სამეურნეო და საყოფაცხოვრებო შრომითი უნარ - ჩვევებით. ამ კუთხით სასურველია გავიზიაროთ უცხო ქვეყნების გამოცდილება და სასკოლო განათლების სისტემაში შევიტანოთ ქვეყნისათვის მისაღები ფორმით ფინური მოდელი.

საქართველოში, საბაზო განათლების ცხრაკლასდამთავრებულებს, უფლება აქვთ ასაკის შეუზღუდავად დაეუფლონ ახალ პროფესიებს ან ცოდნა გაიღმავონ მრავალ უფასო თუ ფასიან სასწავლებელში საგანმანათლებლო პროფესიით. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღება წელიწადში ორჯერ საშემოდგომოდ და საგაზაფხულოდ ხდება. პოზიტივად მიგვაჩნია ბოლო წლებში პროფესიული განათლების მსურველთა რაოდენობის გაზრდა, მაგრამ უფრო მეტია საჭირო. თანამედროვე შრომის ბაზრის სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ მოთხოვნა დღითიდლე იზრდება ეროვნულ ტრადიციულ სახელობო სპეციალობებზე. ყურადღების მიღმა არ

რჩება საქართველოს სხვადასხვა კუთხისათვის დამახასიათებელი ხელოსნობისა და ხელსაქმის ფლემდე შემონახული ტრადიციების გამოვლენა და მათი შესწავლისათვის მოსწავლე-ახალგაზ-რდებში ინტერესის გაზრდა მათი რეგიონისათვის დამახასიათებელი ძირძველი პროფესიების მიმართ. მაგ: ნაბდის თელვა; ბუნებრივი საღებავების გამოყენება; მეთუნეობა-მეკეცეობა; წნულის ხელობა-გოდორი, კალათა, გიდელი, ხისა და რკინის ხალხური ნაკეთობები; ქვისაგან კირის გამოწვა; ტყავის დამუშავების უძველესი ტექნოლოგია; ქვაზე დეკორატიული კვეთა; მექანიზმებისა და სხვ.

ქართულ მატერიალურ კულტურაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მეთუნეობას. მისი ისტორია ჩვენს ქვეყანაში უხსოვარი დროიდან იღებს სათავეს და უკავშირდება ადამიანის პრაქტიკული სამეურნეო საქმიანობის სხვადასხვა სფეროს. ისე, როგორც სხვა დარგებში, თიხაზე მუშაობამ ენოლითის ხანიდან მოყვლებული რთული გზა განვლო. ტექნიკის განვითარებასთან ერთად იხვეწებოდა და უფრო შემოქმედებითი ხდებოდა სხვადასხვა სახეობის თიხის დამუშავება დანიშნულების მიხედვით, რაშიც გამოცდილება დიდ როლს ასრულებდა ნაკეთობის დამზადების პროცესში მისი ფორმისა და ფერთა შეხამების თვალსაზრისით.

ძველი წელთაღრიცხვის დასასრულისათვის სოფლის მეურნეობის შესაბამისი დარგების განვითარებასთან ერთად იქმნებოდა მისი საჭიროებისათვის დამახასიათებელი ჭურჭელი. ქართულ ხალხურ შრომით ტრადიციებში ქვევრის ფენომენალური ღირებულებები შეუდარებლად არის მიჩნეული, რამაც 8000 წელს გაუძლო და აქტუალობას დღესაც არ კარგავს, ანუ მეთუნეობის გაჩენა ღვინის ნარმოებასა და შენახვის მთავარ ფაქტორად იქცა. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ქვევრი განმარტებულია, როგორც „ღვინის შესანახი თიხის დიდი ჭურჭელი, კვერცხის მოყვანილობისა, ინახავენ მიწაში ყელამდე ჩამარხულს“ (1. 455). ქსე-ში „ქვევრი, ღვინის დასაყენებელი ან მარცვლეულის შესანახი დიდი თიხის ჭურჭელი. აქვს კვერცხისებრი ფორმა და კონუსური, ზოგჯერ ბრტყელი ძირი. ქ-ს მიწაში ფლავენ და ჰერმენტულად ახურავენ თავს ... ქ-ები მრავლადაა გამოვლენილი ანტ. ხანის ნამოსახლარებსა და სამაროვანებზე ... ელინისტურ ხანაში ქ-ები გვხვდება შიდა ქართლში, ძვ.წ. IV – II სს -ში დიდი მოხატული ქვევრები აღმოჩენილია სამადლოში, უფლისციხეში, ჩიხიაგორაზე და ურბნისში ... საქართველოში ქ-ის (საერთოდ კერამ. ჭურჭლის) დამზადების ყველაზე დიდი ცენტრებია ვარდისუბანი (შიგა კახეთი), ცხავატი (ქსნის ხეობა), შროშა (ზემო იმერეთი) და სხვ. ყველა კუთხისათვის ქ-ების დამზადების წესები ძირითადად ერთნაირია“ (2. 510-511).

ქვევრი ქართული მეღვინეობის სიამაყეა. ჭური მისი იდენტურია და ორივე ეროვნული მატერიალური კულტურის საგანძურად, ღვინის ფენომენალურ ჭურჭლად მიიჩნევა. ტერმინი ჭური იგივე ქვევრის სინონიმია. პატარა ქვევრებს, რომელთა მოცულობაც 10 – 12 ლიტრია „ქოცოს“ უწოდებენ, ხოლო დიდ ქვევრებს, რომელთა მოცულობაც 1000 – 5000 ლიტრის ტევადობისაა - ჭურს. ჭურის მკეთებელ ხელოსანს მეჭურე ჰქვია, ხოლო დარგს „მეჭურეობა“. აღნიშნული ტერმინებიდან ქვევრს აღმოსავლეთ საქართველოში უწოდებენ, ხოლო ჭურს დასავლეთ საქართველოში.

თავდაპირველად დამუშავებული თიხისაგან პატარა ზომის საყოფაცხოვრებო სახის ნივთებს ამზადებდნენ, რასაც ქალები ადვილად ართმევდნენ თავს, ხოლო შემდეგ ნაკეთობების მოცულობა გაიზარდა და ამან გამოიწვია მამაკაცის ძალის საჭიროება, რაც საგნების დამზადების გარდა მათ გადაადგილებაში გამოიხატებოდა, რადგანაც თიხისაგან გამზადებული საგნების გამოშრობა - გამოწვა ღია ცეცხლზე ხდებოდა. მეთუნე ხელოსნის შრომა მარტივი ჩარხის გამოყენებით უფრო ეფექტური საშუალება გამოდგა. დღესაც ეს ტრადიციული საქმიანობა საქართველოს ზოგიერთი თიხის საბადოს მქონე რეგიონისათვის ოჯახის დამხმარე საარსებო საშუალებად ითვლება. ყოფაცხოვრებაში ქვევრს სხვადასხვა ჭურჭლად იყენებენ, მაგრამ სოფლის მეურნობაში მისი ძირითადი დანიშნულება ღვინის შენახვა - დაყენებაა, რომლის ტექნოლოგიამაც საუკუნეების შემდეგ ჩვენამდის თითქმის შეუცვლელად მოაღწია. ქვევრში ღვინის ტრადიციული მეთოდის ნომინაციას საქართველოსთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგანაც

იუნესკომ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კონვენციის ამოქმედების შემდეგ დაამტკიცა და იგი პირველი ქართული არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია. ეს ნომინაცია ამაღლებს საქართველოს ცნობადობას საერთაშორისო მასშტაბით, რომელმაც არა მარტო შემოინახა ქვევრში ღვინის დაყენებისა და შენახვის 8000 წლიანი ისტორია, არამედ დღესაც აქტუალურია საქართველოში. ქვევრის უნიკალურობა თიხის მინერალურმა და ქიმიურმა შემადგენლობამ განაპირობა. ის მდიდარია ოქროთი, სასარგებლო ფერადი ლითონებით, კირით და მინერალური ნივთიერებებით, ხოლო მისი ბოლოში წაგრძელებული ფორმა საუკეთესო ღვინის მიღების საწინდარია, რადგანაც აქ გროვდება ყურძნის მყარი მასალა - წიპრა, კლერტი, კანი რაც ღვინოს 5-6 თვეში საოცარ არომატს, ფერს და გემოს აძლევს ანუ ქვევრში დავარგების ეტაპებს გადის სხვადასხვა ტიპის ღვინო. ალკოჰოლური დუღილის დასაწყისშივე ყურძნის წიპრა მარცვალს მოსცილდება და ქვევრის ძირში ჩაძირულს ლექი გადაეფარება. ამით ხდება წიპრისა და ღვინის ერთმანეთისაგან იზოლირება. ღვინოს შეხება მხოლოდ ჭაჭასთან აქვს, საიდანაც მას გამოაქვს ადამიანის ჯანმრთელობისათვის სასარგებლო ნივთიერებები. იგი ტანინითაა მდიდარი. ქვევრში ღვინოს საკმაოდ ხანგრძლივად ინახავენ, ოღონდ დაცული უნდა იყოს ყველა ჰიგიენური პირობა. მევენახეობა - მეღვინეობის ფესვები იწყება ენოლითის ხანიდან. ვაზის კულტურა წარმოიშვა 7-9 ათასი წლის წინ, რასაც არქეოლოგია ეჭვმიუტანლად გვიდასტურებს. უძველესი ყურძნის წიპრები აღმოჩენილია დანგრეულ გორაზე ძვ.წ. (V-IV ათას-წლეულები); შულავერის გორა (V-IV ათასწლეულები); ხიზანაანთ გორა (VI ათასწლეული).

ანტიკური ხანის მწერლები და საზოგადო მოღვაწეებიც იყვნენ დაინტერესებულები ვაზისა და ღვინის მიმართ. გამოქვეყნებულ შრომებში აღნერდნენ ვაზის ჯიშების დარაიონება მოვლა - პატრონობას, გამრავლებასა და ღვინის დაყენებას. საქართველოს სიმბოლოც ხომ ვაზია. ამბა ალავერდელ მიტროპოლიტ დავითის ინიციატივით ალავერდის მონასტრის ეზოში გაშენებულია ამპელოგრაფიული მუზეუმი, სადაც ასზე მეტი ქართული ჯიშის ვაზია (ძირითადად კახური). ეს ფაქტი, ალავერდის ღვინის მარანთან ერთად, მრავალი ქვეყნიდან ჩამოსული პროფესიონალებისა და ჟურნალისტების დიდ მოწონებას იმსახურებს. აქვე ტარდება ქვევრის ღვინის საერთაშორისო სიმპოზიუმები, კონფერენციები, სადაც მოხსენებებით გამოდიან დარგის გამოჩენილი სპეციალისტები და ერთხმად აღნიშნავენ ქვევრის ღვინის უნიკალურ თვისებებს, რამაც ლიდერული პოზიცია მოგვიპოვა საერთაშორისო დონეზე. სტუმრებს შორის აღსანიშნავია იტალიელი დოქტორი „ბადაგონის“ ენოლოგი დონატო ლანატი. იგი ღვინის ოსკარის მფლობელია, რაც მეღვინეობის უმაღლესი საერთაშორისო ჯილდოა და ენოლოგთა მსოფლიო ხუთეულშია მოხსენიებული. მას ალავერდი ქვევრის ღვინის მსოფლიო სიმბოლოდ მიაჩნია. რობერტ ჯოზეფი - ღვინის მწერალი და ექსპერტი დიდი ბრიტანეთიდან; ენდროუ ჯოფორდი - ღვინის მწერალი საფრანგეთიდან; რუდოლფ კნოლი - ღვინის მწერალი, ჟურნალ „ვინუმის“ რედაქტორი გერმანიიდან; ლიზა გრანიკი - ღვინის მაგისტრი აშშ-დან და სხვები. ქვევრის ღვინის საერთაშორისო სიმპოზიუმი 2011 წლიდან ყოველ 2 წელიწადში ერთხელ ტარდება. 2017 წლის მე-4 სიმპოზიუმის ჟიურის შემადგენლობაში შედიოდა, როგორც ქართველი, ისე უცხოელი პროფესიონალები. პირველად ჩატარდა ქვევრის ღვინის საერთაშორისო კონკურსი, რაც მიგვაჩნია, რომ საფუძველს უქმნის ევროპის მეღვინეობის ტრადიციის მქონე ქვეყნებს ანალოგიური სიმპოზიუმები ჩატარონ. ეს კი დიდ საერთაშორისო კონკურსებზე „ქვევრის ღვინის კატეგორიას გააჩენს“.

მეტად მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ XXI საუკუნის იყალთოში პროფესიული ტრადიციები გრძელდება თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილ „ქვევრის პირველ სკოლა - აკადემიის სახელოსნოს“ სახით, რომელიც თვითონეული ჩვენთაგანის მუდმივი თანამშრომლობის საზრუნავია. იგი ნიშანდობლივია კონკრეტული შრომითი პროფესიის ქვევრისა და თიხის ჭურჭლის დამზადების ტრადიციული მეთოდების აღდგენისა და პროფესიაში ცოდნის საგანძურის მომავალი თაობებისათვის გადასაცემად, ამ საქმით დაინტერესებულ პირთათვისაც - უწყვეტი განათლების მსურველთათვის, განსაკუთრებით კი რევიონში მცხოვრები ახალგაზრდების ინტერესების გაზრდა მივიწყებული შრომითი ტრადიციული პროფესიის მოძიებისა და ქვევრის დამზადების

ტექნოლოგიის მიმართ, რითიც ვინარჩუნებთ თიხის დამუშავების ძირძველ ტრადიციას უახლე-სი ტექნოლოგიური ბაზის დახმარებით. მიღებული პროფესიით რეგიონშივე და მის ფარგლებს გარეთ ხდება მათი დასაქმება. აქ ტურისტებს ინტერესის მიხედვით შეუძლიათ თეორიულ-პრაქ-ტიკულად შეისწავლონ თიხის ჭურჭლის დამზადების ტექნოლოგია, რომლის ეფექტურ შესწავ-ლასაც ერთიორად ზრდის სასწავლებელთან არსებულ მუზეუმში გამოფენილი თიხის ჭურჭლის ექსპონატები. უაღრესად დიდია ასეთი სახის სასწავლებლის საგანმანათლებლო - აღმზრდელო-ბითი მნიშვნელობა, რადგანაც ზოგად განათლებასთან ერთად მხოლოდ რაიმე ხელობას კი არ შეასწავლის ახალგაზრდას, არამედ ფართო პროფესიულ განათლებას მისცემს მას, რაც შემ-დგომში საშუალებას აძლევს ადვილად აითვისონ მონათესავე პროფესიები ახალი ტექნოლოგი-ური პროცესების გათვალისწინებით. სწორედ ასეთი კადრების მომზადება ესაჭიროება დღეს ქვეყანას.

იყალთოს „პირველ სკოლა - აკადემიის სახელოსნოში“ დამზადებული ქვევრი გამოფენილი იყო საფრანგეთის ქალაქ ბორდოში, რომელიც ითვლება ევროპის წამყვან კულტურულ - ტუ-რისტულ ცენტრად, ანუ ღვინის ცივილიზაციის მსოფლიო ცენტრში 2017 წელს ოთხი თვის მან-ძილზე მიმდინარეობდა გამოფენა სახელწოდებით: „საქართველო ღვინის აკვანი“. დამთვალიე-რებლებს ღვინის ცივილიზაციის ისტორიასა და თანამედროვეობას აცნობდა. ქვევრი ცენტრში იდგა და პირველივე ვიზიტორი ნახულობდა. მასზე მითითებული იყო, რომ ქვევრში ღვინის დამ-ზადების ტექნოლოგია „იუნესკოს“ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხაშია. აქვე იყო გამოფენილი უნიკალური არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული ნიმუშები სა-ქართველოს ეროვნული მუზეუმიდან იმის უტყუარ დასტურად, რომ საქართველო ღვინის უძვე-ლესი ცივილიზაციის ქვეყანაა.

ჩვენს ქვეყანაში დღემდე შემორჩენილია „საზედაშე“ ქვევრებისადმი გამორჩეული დამოკი-დებულება. წმინდანებისა და ეკლესიისათვის შენირულ ღვინოს „ზედაშეს“ უწოდებდნენ. ქვევ-რის ღვინოს შეძენილი აქვს საკარალური დატვირთვა და საუკუნეების განმავლობაში ქართველი ერისათვის გადაქცეულია ეკონომიკური კეთილდღეობის ერთ - ერთ ბაზისად. ნიკო ჩუბინაშვი-ლის „ქართულ ლექსიკონში“: „ ზედაშე ღვინო, ხმარებული ჟამის წირვასა ზედა სეფისკვერსა თანა, ცერკოვნოე ვინო. მსოფლიონი უხმობენ ღვინოსა შენახულსა სთულის დროს პატარა ქო-ცოში, ვიდრე დღეობამდე სალოცავის ადგილისა და მაშინ მოხდიან. თან წაიღებენ ნაკვების ზვა-რითურთ ეკლესიის კარს“ (3. 219). ზედაშისათვის განკუთვნილ ქვევრებს დიდი მოწინებით ეკი-დებოდა ყველა ოჯახი და გამორჩეული ადგილი ეკავა როგორც ღვინის ხარისხიანად დაყენების თვალსაზრისით, ისე მცირე მოცულობისაც უნდა ყოფილიყო. ამ ქვევრებს გულმოდგინედ უვ-ლიდნენ და რეცხავდნენ. არ არსებობდა მარანი, სადაც ერთი პატარა საზედაშე ქვევრი არ იყო მიწაში ჩაგდებული და მასთან სანთლის დასანთებლად სახატე ნიშა გაკეთებული. სადღეისოდ ეს ძირძველი ტრადიცია ნაკლებად აღინიშნება.

მექვევრე ოსტატები თავიანთ ნახელავს თავისებური დამღებით ამკობდნენ: ინიციალებით, დამზადების ადგილით, ჯვრებით, ორნამენტებით და ა.შ. თიხის ეფექტურად დამუშავების მიზ-ნით მოსწავლეებს წინასწარ ავუხესნით, რომ თიხა დანალექი და ჰიდროთერმულად შეცვლილი ქანია. თიხის მინერალთა დიდი კონცენტრაცია განაპირობებს მის მაღალ ხარისხს, მინერალო-გიურ და ფიზიკო-ქიმიური თვისებები განსაზღვრავს მის ეფექტურ გამოყენებას კერამიკულ, სამსხმელო, ნავთობის, კომბინირებული საკვების წარმოებაში. აგრეთვე ქანდაკების ორიგინა-ლის შესაქმნელად და სხვა. ბუნებაში არსებობს ნაირგვარი ფერის თიხები: წითელი, ვარდისფე-რი, თეთრი, შავი, ყვითელი, მწვანე ... მაგ. ცისფერი კოსმეტიკური თიხაა და აქრობს ანთებებს, ხელს უშლის გამონაყრის წარმოქმნას, კანს კალციუმით, მაგნიუმით, აზოტით, ფოსფატითა და რადიუმით ამდიდრებს. შავი თიხა ტოქსინებისაგან გვიცავს და შეიცავს კალციუმს, მაგნიუმს, რკინას, სტრომციუმს და კვარცს და სხვ. ასეთი სახით მიწოდებული მასალა მოზარდთა მეტ ინ-ტერესს იწვევს და დადებითი დამოკიდებულება ეუფლებათ აღნიშნული ნედლეულის მიმართ.

ისინი ქვევრების გარდა, დიდი ხალისით ამზადებენ საყოფაცხოვრებო დანიშნულების საგნებს: ქოთნებს, საყვავილებებს, სასანთლებებს, სასმელ ფიალებს, კეცებს და სხვა. უკეთ ეცნობიან დეკორატიულ - გამოყენებით ხელოვნებასაც და ძირითადად შემოქმედებითად მუშაობენ ამა თუ იმ თიხის ნაკეთობებზე უსაფრთხოების წესების მკაცრი დაცვით.

ამრიგად, მრავალმა საერთაშორისო გამოკვლევამ გვიჩვენა ფინელი სკოლის მოსწავლეების ცოდნის მაღალი დონე. აქ პროფესიულ ცოდნას საფუძველი თავიდანვე ეყრება, რისი განმტკიცებისათვისაც ფინეთში მე-9 კლასში ახალი საგანი „შრომითი ცხოვრების გაცნობა“ ისწავლება. მოსწავლეები ირჩევენ თავისათვის „სამუშაო ადგილს“ და „დადიან სამსახურში“. მეორე საფეხურის სკოლაში საგანი შრომა ისწავლება. სასურველია, რომ მსგავსი მოდელი დაინერგოს საქართველოს განათლების სისტემაშიც, რაც ხელს შეუწყობს ახალგაზრდების მომზადებას ღირსეულად უპასუხონ მიმდინარე საუკუნის გამოწვევებს შრომის ბაზრისა და რეგიონების შესაბამისი დეფიციტური ტრადიციული პროფესიების ათვისებისათვის.

- მნიშვნელოვნად მიგვაჩინია გაგრძელდეს და გამოვლინდეს საქართველოს სხვადასხვა კუთხისათვის დამახასიათებელი ხელსაქმისა და ხელოსნობის დღემდე შემონახული კონკრეტული ტრადიციული პროფესიები. განსაკუთრებით მომავალ თაობაში გავზარდოთ ინტერესი მივიწყებული შრომითი პროფესიების მიმართ გარკვეული რეგიონისათვის დამახასიათებელი ელემენტების გათვალისწინებით. მიგვაჩინია, რომ თითოეული საგნის პედაგოგმა პროფორიენტაციული მუშაობის ეფექტურობისა ამაღლებაზე უნდა იზრუნოს. მაგალითისათვის - ქართული ლიტერატურის გაკვეთილზე რომანტიკოსების შესწავლისას მოსწავლეებს გავაცნოთ ქართული რომანტიზმის ფუძემდებლის ალ. ჭავჭავაძის ბიოგრაფიულ მომნაცემებთან ერთად, მისი უდიდესი დამსახურება სოფლის მეურნეობის განვითარების საქმეში, როგორც პირველი ქართველი, რომელმაც აბრეშუმის, მზესუმზირისა და სხვა მარცვლეული კულტურის წარმოება დააარსა. მე-19-ე საუკუნის დასაწყისში ალ. ჭავჭავაძემ საქართველოში განაახლა ღვინის წარმოების უძველესი ტრადიცია ევროპული ტექნოლოგიებით, რითიც მნიშვნელოვნად გააუმჯობესა კახური ღვინის ხარისხი. მან ღვინისა და კონიაკის დასამზადებლად ორიგინალური ტექნოლოგიები დანერგა და განავითარა, რაც იმის საფუძველს გვაძლევს, ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ იგი არა მარტო რომანტიზმის ფუძემდებლია ჩვენს ქვეყანაში, არამედ პირველი ენოლოგიც გახდათ.

- ქართული ღვინის ბიზნესში მომხდარმა პოზიტიურმა ცვლილებებმა მეღვინეებს დიდი ბიძგი მისცა, რათა ქვევრში ღვინის დაყენების ღირსებები გაეთვალისწინებინათ და ეს უძველესი ტრადიცია გაეგრძელებინათ. საერთაშორისო დონეზე ქვევრებით დაინტერესება დადებითი ტენდენციაა, რაც იმის წინაპირობას გვიქმნის, რომ მაღალ დონეზე მოვამზადოთ ქვევრის სპეციალისტები, რისთვისაც საჭიროა იყალთოს პირველი სკოლა - აკადემია სახელოსნოს მსგავსი სასწავლო კერა ამოქმედდეს, რითაც შევინარჩუნებთ ქვევრის დამზადების ძირძველ პროფესიას.

საკვანძო სიტყვები: პროფესია მექვევრეობა (profession subdivision), ფინური განათლება, ქვევრის აკადემია (Akademy Kvevri); ენოლოგი, შრომის ბაზარი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, 1986 წ. (გვ. 455).
2. ქსე, ტ.10, თბილისი, 1986 წ. (გვ. 510 – 511).
3. ნიკო ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი რუსული თარგმნითურთ, სახელმწიო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი 1961 წ. (გვ. 219).
4. <https://ka.wikipedia.org/wiki/თიხა>
5. <http://kvevriwines.com/marani>.

TAMAR GOGOLASHVILI

**DELEGATING GENERATIONS WITH THE ANCIENT TRADITIONAL
PROFESSIONS – “MEKVREOBA”
(Taking care of huge wine vessels)
Summary**

The article deals with depicting the growing interest of youth to traditional occupations, respectively to “Mekvrevreoba” – taking care of a universal Georgian vessel for keeping wine. Utilization of Finnish model of education is also considered in the presented work. The author tells an 8000-year-old history of wine making and a tried-tested traditional method of keeping wine in “Kvevri” (a vessel). She also presents school-academy “Kvevri”, the first in the country in the region of Kakheti called Ikalto along with other pedagogical tips and recommendations.

ТАМАР ГОГОЛАШВИЛИ

**ПЕРЕДАДИМ ПОКОЛЕНИЯМ СТАРЕЙШУЮ ТРАДИЦИОННУЮ ПРОФЕССИЮ –
«МЕКВЕВРЕОБА»**

Резюме

В работе представлен интерес молодежи к традиционным профессиям, в частности – к универсальному грузинскому кувшину для хранения вина – квеври и профессии «меквевреоба». Использование финской модели в национальном школьном образовании. Развитие в Грузии «метунеоба» (специалист по выпечке хлеба в традиционной грузинской печи). Автор повествует о 8000 истории вина, выдержанного традиционным методом в квеври, и прославившим страну во всем мире. Изучение традиционной для грузинской культуры профессии «меквевреоба» возможно в первой школе-академии «квеври», действующей в Икальто. Также в статье представлены педагогические советы и рекомендации.

ოთარ გოგილაშვილი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
საპატიო პროფესორი

საქართველოში ინკუზიური განათლების შესახებ

ინკლუზიური განათლება (ფრანგულად – inclusive – ჩართულობა, ლათინურად include – ვრთავ) არის ზოგადი განათლების პროცესი, რომელიც ხელმისაწვდომია ყველა ბავშვისთვის, მიუხედავად ზოგიერთი მათი ნაკლისა.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) მოსწავლეების ინკლუზიური განათლებისთვის არსებობს შემდეგი ძირითადი პრინციპები:

1. ყველ ადამიანს აქვს შეგრძნებისა და ფიქრის უნარი;
2. ადამიანის ფასი არ არის დამოკიდებული მხოლოდ მის შესაძლებლობებზე და მიღწევებზე;
3. ყველა ადამიანს სჭირდება ერთმანეთი;
4. ყველა ადამიანი უნდა იყოს გაგებული;
5. ყველა ადამიანს სჭირდება თანატოლების მეგობრობა და მხარდაჭერა;

6. ყველა მოსწავლისათვის პროგრესი არის ის, თუ რისი გაკეთება შეუძლიათ მათ, და არა ის, რისი გაკეთებაც არ შეუძლიათ;

7. ჯერ არ დაბადებულა ადამიანი, რომლის სწავლებაც და განათლებაც არ შეიძლება.

შეზღუდული შესაძლებლობების ბავშვებისათვის განათლების მიღება დამტკიცებულია საერთაშორისო კანონმდებლობით. ესენია: დეკლარაცია ადამიანის უფლებების შესახებ (1948წ.), კონვენცია განათლებაში დისკრიმინაციასთან ბრძოლის შესახებ, გაეროს კონვენცია ბავშვთა უფლებების შესახებ (1989წ.), ინვალიდი ადამიანებისთვის თანაბარი შესაძლებლობების შექმნის სტანდარტული წესების შესახებ (1993წ.) – სალამანკის დეკლარაცია.

ყველა ეს დოკუმენტი კრძალავს ყოველგვარ დისკრიმინაციას შეზღუდული შესაძლებლობების ადამიანებზე, რომ მათ მიიღონ განათლება განათლების საერთო სისტემაში.

სახელმწიფოები, რომლებმაც მიიღეს ეს კანონები, ვალდებული არიან უზრუნველყონ შეზღუდული შესაძლებლობების ადამიანების ინკლუზიური განათლება ყველა დონეზე და სწავლება მთელი სიცოცხლის მანძილზე.

დღეისათვის მსოფლიოში დაგროვილია დიდი მასალა ინკლუზიური სწავლების შესახებ. მშობელთა გარკვეულ ნაწილს არ მოსწონს, რომ მათ ბავშვებთან ერთად სწავლობენ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვები. ისინი ფიქრობენ, რომ ასეთი ბავშვების ყოფნა მათ ბავშვებთან დაამუხრუჭებს სწავლებისა და განვითარების პროცესს. მაგრამ პრაქტიკა აჩვენებს საწინააღმდეგოს. ჩვეულებრივი ბავშვების მოსწრება არ ეცემა დაბლა და ინკლუზიურ კლასებში ხშირად მაღალიც კია ჩვეულებრივ კლასებთან შედარებით, ხოლო კლასელების დამოკიდებულება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებთან საკმაოდ ჰუმანური. განსაკუთრებით დიდი ეფექტი მიიღწევა მაშინ, თუ ბავშვებს საბავშვო ბაღებშიც ინკლუზიური კლასები აქვთ გავლილი.

ინკლუზიური განათლება შეიძლება 4 ეტაპად დავყოთ:

1. სკოლამდელი ინკლუზიური განათლება;
2. სასკოლო (ზოგადი) ინკლუზიური განათლება;
3. პროფესიული ინკლუზიური განათლება;
4. უმაღლესი ინკლუზიური განათლება.

ძნელია რაიმე საყვედური გამოთქვა განათლების სამინისტროს მისამართით. ის მუშაობს თავისი ფინანსური შესაძლებლობებიდან გამომდინარე და ცდილობს მაქსიმუმი გააკეთოს თავისი საზოგადოებისათვის. მე, როგორც მასწავლებელსა და მშობელს, საშუალება მაქვს დავაკვირდე საქართველოში ამ ხაზით მიმდინარე მუშაობის პროცესს. წლების განმავლობაში ვაკვირდებოდი ინკლუზიური განათლების მულტიდისციპლინური ჯგუფის მუშაობას, რომლის ფუნქციას წარმოადგენს თბილისის მასშტაბით არსებული ყველა სკოლისთვის საჭიროების შემთხვევაში კვალიფიციური დახმარების გაწევა. ინკლუზიური განათლების განვითარების პროცესში გუნდის წევრები ახდენენ სსსმ მოსწავლეების იდენტიფიკაციას და შეფასებას – მათი ინდივიდუალური საჭიროებების და შესაძლებლობების განსაზღვრას, სსსმ მოსწავლეების მშობლებისთვის რეკომენდაციის გაწევას ბავშვის საგანმანათლებლო პროცესის ეფექტიანად წარმართვისათვის, ასევე სასწავლო პროცესში ჩართული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების აკადემიური და სოციალური მიღწევების შეფასებას და მონიტორინგს.

შესანიშნავი საგამოცდო (გამოსაშვები გამოცდები) ატმოსფერო იქმნებოდა ამ ბავშვებისთვის. მოხსნილი იყო ყოველგვარი საგამოცდო დაძაბულობა. მაგრამ ჩვენი საზოგადოების სამწუხაროდ, ჩემი დაკვირვებით იყო არაადეკვატური საგნის იმ მასწავლებლების დამოკიდებულება სსსმ ბავშვებისადმი, რომლებიც რეპეტიტორობას ეწევიან და დროის დახარჯვა არ უნდოდათ სსსმ ბავშვებზე.

სსსმ ბავშვებზე, რომლებმაც მიიღეს საშუალო სკოლის ატესტატი და სურვილი აქვთ სწავლა გააგრძელონ უმაღლეს სასწავლებლებში. აქაც გრძელდება მთავრობის გარკვეული დახმარება.

ასეთი აბიტურიენტებისთვის არის სპეციალური სასწავლო ტექნიკა: უსინათლობისთვის, ყრუ-მუნჯებისთვის და ა.შ. სპეციალურად მიმაგრებულ პირებს შეჰყავთ და გამოყავთ ეს აბიტური-ენტები საგამოცდო ოთახებში, უგრძელდებათ საგამოცდო დრო და ა.შ.

მიუხედავად სახელმწიფოს მცდელობისა, სსსმ ბავშვების ზოგადსაგანმანათლებლო სკო-ლებში ინკლუზიური სწავლებისა, ეს პრობლემას მთლიანაც მაინც ვერ ხსნის. ამიტომ ჩვენ ქვე-ყანაში ფუნქციონირებს სპეციალური (არაინკლუზიური) სკოლებიც. მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში სპეციალური სკოლები არის მთავარი რესურსი ინკლუზიური სწავლების განვითარების ხელ-შეწყობისათვის. ასეთ სკოლებში უფრო ადვილია ბავშვებისადმი ინდივიდუალური მიდგომა, სპეციალური სწავლების სტრატეგიების განხორციელება. საქართველოს განათლებისა და მეც-ნიერების სამინისტრო საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს – სპეციალიზირებულ საგანმა-ნათლებლო დაწესებულებებს სასწავლო პროცესის ეფექტურად განხორციელების მიზნით უზ-რუნველყოფს ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალისა და სპეციალურ პედაგოგთა შრომის ანაზღაურების და მიმდინარე ხარჯების დაფარვას.

საქართველოს პარლამენტმა 2013 წლის 26 დეკემბერს მოახდინა შეზღუდული შესაძლებლო-ბის მქონე პირთა უფლებების კონვენციის რატიფიცირება. აქედან გამომდინარე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო აწარმოებს პროფესიული განათლების სისტემაში ინკლუზიური განათლების სისტემურ მხარდაჭერას და სპეციალური საგანმანათლებლო საჭი-როების მქონე პირთათვის განათლების თანაბარი შესაძლებლობების განვითარებას.

მთავრობის ძირითადი ამოცანებია:

1. სტუდენტთა აღჭურვა შრომის ბაზარზე მოთხოვნადი პროფესიების შესაბამისი უნარ-ჩვე-ვებით;
2. პროფესიული განათლების მიწოდება სტუდენტთა ინდივიდუალური შესაძლებლობების, ინტერესებისა და საჭიროებების შესაბამისად;
3. კურსდამთავრებულთა დასაქმების მხარდაჭერა ღია შრომის ბაზარზე.

2013 წელს იყო პირველი მიღება პროფესიულ კოლეჯებში. მაშინ ჩარიცხულ სტუდენტთა რა-ოდენობა 51 იყო, 2015 წლისთვის 180, ხოლო დღეისათვის, ე.ი. 2018 წლისთვის დაახლოებით 300.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტები ირიცხებიან 18 პროფესიულ კოლეჯში და პროფესიული პროგრამების განმახორციელებელ 5 უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

უნდა აღინიშნოს სპეციალობების მრავალფეროვნება. მე ჩამოგითვლით ზოგიერთ მათგანს: ხილ-ბოსტნეულის გადამამუშავებელი, კონდიტერი, ხის მხატვრული დამუშავების სპეციალის-ტი, სტილისტი, სარესტორნო საქმის მწარმოებელი, სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი, სამა-ცივრე მოწყობილობის ტექნიკოსი, კომპიუტერული ქსელებისა და სისტემების ტექნიკოსი, დე-კორატიული და გამოყენებითი ქსოვილების სპეციალისტი და ა.შ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მეცნიერულად აქვს გააზრებული თითოეული ინდივიდის ინკლუზიური პროფესიული განათლება. ასეთი განათლების მსურ-ველს (აპლიკანტს) აქვს უფლება მიუთითოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების არ-სებობის ფაქტი. ასეთ აპლიკანტს აფასებს სპეციალურად ამ მიზნით შექმნილი ექსპერტთა გუნ-დი. ეს გუნდი ადასტურებს ან უარყოფს ასეთი განათლების საჭიროებას. ექსპერტთა გუნდი იძ-ლევა რეკომენდაციებს აპლიკანტის პროფესიული ტესტირებისა და განათლების პროცესის მი-წოდებისათვის. ყველაფერი ეს ფორმდება წერილობითი დოკუმენტის სახით და მიეწოდება შე-საბამის პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებას. ამ დოკუმენტით ხელმძღვანელობს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებება აპლიკანტის პროფესიული ტესტირების პრო-ცესის დაგეგმვისა და განათლების მიწოდებისას. შემდეგი ეტაპებია: პროფესიული განათლების სისტემაში რეგისტრაციის ეტაპი, პროფესიული ტესტირების ეტაპი და პროფესიული განათლე-ბის მიწოდების ეტაპი.

საქართველოს შემთხვევაში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისათვის იქმნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც დაფუძნებულია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე.

მისასალმებელია ის ფაქტი, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის დადებითი გარემოს შექმნის მიზნით ყოველ კოლეჯში შეიქმნა ინკლუზიური პროფესიული განათლების მხარდამჭერი გუნდები, სადაც შედიან ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტები და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ასისტენტები.

ინკლუზიური პროფესიული განათლების უზრუნველსაყოფად მასწავლებელთა სახლმა შექმნა სპეციალური საგანმანათლებლო კურსები სპეციალისტთა და დაინტერესებულ პირთა მოსამზადებლად და გასაძლიერებლად:

უესტური ენის თარჯიმანთა კურსები, უესტური ენის შესწავლის კურსები, კურსი ყრუ ბავშვთა აღზრდის თავისებურებების შესახებ, კურსი ყრუ მოსწავლეთა სწავლების თავისებურებების შესახებ, კურსი სმენის დარღვევის მქონე მოსწავლეთა სწავლების თავისებურებების შესახებ, კურსი მცირემხედველ მოსწავლეთა სწავლების შესახებ, ბრაილის სისტემის შესწავლის კურსი, მობილობა და სივრცეში ორიენტაციის სწავლების კურსი, კურსი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა პროფორიენტაციასა და კონსულტაციაში.

რამდენიმე წელია სოხუმის უნივერსიტეტში ბაკალავრიატში მზადდება მასწავლებლები ინკლუზიურ სწავლებაში. ეს შესანიშნავი საქმეა. მე ბედნიერება მქონდა მემუშავა ამ სტუდენტებთან. სწავლება ძირითადად უცხოელი პედაგოგების სახელმძღვანელოებით ტარდებოდა. მე სწავლების პროცესში დამარნმუნა, რომ ქართველ სპეციალისტებს არანაკლები სახელმძღვანელების შექმნა შეუძლიათ.

სპეციალური განათლების სამაგისტრო პროგრამა. ნორვეგიის მთავრობის მხარდაჭერით 2014წ. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში დაინერგა სპეციალური განათლების სამაგისტრო პროგრამა. პირველ წელს ამ პროგრამაზე ჩაირიცხა რვა სტუდენტი. პროგრამის პრიორიტეტია სტუდენტებისთვის სპეციალური საჭიროების მქონე პირთა სწავლების ეფექტური სტრატეგიების სწავლება და სპეციალური და ინკლუზიური განათლების პრაქტიკის კვლევა. პროგრამა იყენებს სწავლებისა და განვითარების თეორიებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) მოსწავლეებზე საგანმანათლებლო პროცესის უზრუნველყოფის მიზნით. კურსდამთავრებულს შეუძლია სასწავლო გარემოს შეფასება, სსსმ მოსწავლისთვის ადეკვატური გარემოს შექმნა; სსსმ მოსწავლის კლასის ეფექტური მართვა. მაგისტრატურა დამთავრებული კონსტრუქციულად თანამშრომლობს სსსმ პირებთან, მასწავლებლებთან, მშობლებთან, კოლეგებთან და სხვა სპეციალისტებთან, ახდენს სსსმ პირების განათლების უფლების დაცვასა და ადვოკატირებას ყველა დონეზე. მაგისტრატურა დამთავრებულებს შეუძლიათ იმუშაონ სხვადასხვა დაწესებულებებისა და ინსტიტუტების სპეციალური და ინკლუზიური განათლების სპეციალისტებად:

- ზოგადსაგანმანათლებლო და სპეციალიზირებული სკოლა, სპეციალური მასწავლებელი, სპეციალური და ინკლუზიური განათლების კონსულტაციი, კოორდინატორი და ა.შ.

- განათლების სფეროში მომუშავე სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები, სპეციალური და ინკლუზიური განათლების კონსულტაციი.

შეზღუდული შესაძლებლობების ადამიანი ამერიკის შეერთებულ შტატებში, ევროპაში და საქართველოში სულ სხვადასხვაა. ზოგჯერ მგონია ხოლმე, ეს საზღვარგარეთის ქვეყნები მათვისაა შექმნილი. იმდენად დიდია ყურადღება ამ ქვეყნებში ასეთი ადამიანის მიმართ. სამწუხაროდ, საქართველოზე ამას ვერ ვიტყვი. ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივი აზრი, ზნეობა ამისთვის არ არის მზად. აი, ერთ-ერთი გამონათქვამი ჰაინრიხ ბიონის ფონდში 2011 წლის 5 ოქტომბერს გამართული საჯარო დისკუსიიდან თემაზე: „ინკლუზიური განათლება საქართველოში“ – „თუ გარშემო არაფერი არ არის ადაპტირებული, არც ტრანსპორტია და ბავშვს მეცხრე სართული-

დან ჩამოსვლა არ შეუძლია, ინკლუზიაზე ლაპარაკი შეიძლება ცოტა ცინიკურად უღერდეს“. ზოგჯერ ვფიქრობ, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს უცხო ქვეყნების ფინანსური მხარდაჭერით მეტსაც კი აკეთებს, ვიდრე ამისთვის საზოგადოების მზაობაა.

ახლა მინდა შევეხო ინკლუზიურ განათლებას უმაღლეს სასწავლებლებში. სიმართლე გითხრათ, ინკლუზიურ განათლებას საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში ვერ ვამჩნევ. ის თითქოს არის და თანაც არ არის. მე არც გამიგია და არც წამიკითხია (შეიძლება ეს ჩემი ბრალიც არის), რომ უმაღლეს სასწავლებლებში ტარდება ინკლუზიური სწავლება. მე ვუყურებ, რომ შეზღუდული შესაძლებლობის ახალგაზრდები სწავლობენ უმაღლეს სასწავლებლებში, მაგრამ ამას ორგანიზებული ფორმა აქვს თუ არა, მე ეს არ შემიმჩნევია. რამდენი ასეთი სტუდენტია საქართველოში, მე ეს არ ვიცი. სხვადასხვა მონაცემებით ამერიკის შეერთებულ შტატებში უმაღლეს სასწავლებელში ასეთი სტუდენტების რაოდენობა 6,75%-ია, დიდ ბრიტანეთში 5,67%, გერმანიაში 5,47%, რუსეთში 4,17%. ყოველდღიურად ვხედავ, რომ ასეთი სტუდენტები მშობლებს მიყავთ უმაღლეს სასწავლებლებში და აქ მათ ადაპტაციას ვერ ვხედავ. მათი სწავლება არაორგანიზებულია და დამოკიდებულია პროფესორის ხასიათზე. ჩემი შეხედულებით, არავითარი სისტემა ინკლუზიური სწავლებისთვის საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში არ არსებობს. საქართველოს ქალაქები მზად არ არის ასეთი ახალგაზრდების გადაადგილებისათვის. ზოგიერთი პროფესორი იმას კი არ ცდილობს, ბავშვი მიიყვანოს ცოდნის მინიმუმის გადალახვამდე, არამედ იმის დამტკიცებაზეა ორიენტირებული, რომ ეს ახალგაზრდა ბარიერს ვერასოდეს ვერ გადალახავს. ერთ და იგივე ბავშვთან პროფესორთა გარკვეული ჯგუფი სიამოვნებით მუშაობს, ხოლო ზოგიერთისთვის ეს ბავშვი იმდენად გონიერაშეზღუდულია, რომ ის ბარიერს ვერასოდეს ვერ გადალახავს. ბუნებრივად, ისმება კითხვა, ყველა პროფესორი ღირსეულად იკავებს თანამდებობას? გადასახედია უმაღლესი სასწავლებლებისათვის პროფესორების მომზადების საკითხი. მოსამზადებელია უმაღლეს სასწავლებლებში ინკლუზიური განათლების სისტემა.

ინკლუზიური განათლება მსოფლიო პრობლემაა. საქართველოში ინკლუზიური განათლების გაუმჯობესებისათვის მიზანშენონილად მიმართავ შემდეგი ღონისძიებების გატარება.

1. ინკლუზიურმა განათლებამ ასახვა უნდა ჰქონოს საქართველოს კონსტიტუციაში;
2. უნდა შეიქმნას ინკლუზიური განათლების სისტემა უმაღლეს სასწავლებელში;
3. შეზღუდული შესაძლებლობების ადამიანების დასაქმებისათვის შესაბამის ფირმებსა და ორგანიზაციებს უნდა დაუწესდეთ გარკვეული შეღავათები.

მინდა დიდი მაღლობა გადავუხადო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინკლუზიური განათლების სამართველოს თანამშრომლებს ამ შრომის მომზადებაში დახმარებისთვის.

OTAR GOGILASHVILI

ON INCLUSIVE EDUCATION IN GEORGIA

Summary

The initiative of the Ministry of Education and Science of Georgia promotes the implementation of the rights of persons with special educational needs/disabilities in education and employment, something that Georgian government is obliged to provide under the UN Convention on the Rights of Persons with Disabilities (December 26, 2013). Inclusive education should be inserted in the Constitution of Georgia. Inclusive education system will be implemented in higher education institutions.

Key words: inclusive,education, resources, college, Georgia.

ნინო იაშვილი

საჯარო სკოლებში მოქმედ სახელმძღვანელოებთან დაკავშირებული პრობლემები

“სწავლა ... ინტერესს უნდა უკავშირდებოდეს და აქედან ამოდიოდეს. მხოლოდ ამ სახით არის შესაძლებელი ბავშვის გონიერის თვალის გახსნა და მორსმჭვრეტელობისა და დაკვირვების უნარის შემუშავება.” (დ. უზნაძე)

დღისციპლინის შესწავლა შეგნებული ხასიათისაა და მაქსიმალურ აღმზრდელობით მნიშვნელობას მაშინ იძენს , როდესაც მოსწავლეები თვითონ მსჯელობენ ნასწავლის შესახებ და ცდილობენ ცხოვრებაში გატარებას შეგნებული გადაწყვეტილებებით. ამიტომ საგნის სწავლებაში უდიდეს როლს ასრულებს სახელმძღვანელო. იგი ხელს უწყობს იმ ღირებულებებისა და უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას, რომლებიც წარმოდგენილია ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებში, ის უნდა შეესაბამებოდეს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ საგნის სწავლების მიზნებს. სახელმძღვანელოს თითოეული თავი ორიენტირებული უნდა იყოს შედეგის მიღწევაზე. საგნობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით . სახელმძღვანელოს ტესტებსა და ილუსტრაციებში დაცული უნდა იყოს თანასწორობა ეროვნების, რელიგიის, სქესის, სოციალური კუთვნილებისა თუ სხვა ნიშნებით.სტრუქტურული ერთეულები (თავი, პარაგრაფი, თემატური ბლოგი, შეჯამება, ტიპობრივი დავალებები და მისთ) ხელს უნდა უწყობდეს მასალის აღქმა-გააზრებას.

სახელმძღვანელო, რა თქმა უნდა, შედგენილი უნდა იყოს თანამედროვე სალიტერატურო ენის ნორმების შესაბამისად. არ უნდა გვხვდებოდეს გრამატიკული შეცდომები და სტილისტური ხარვეზები (ორთოგრაფიისა და პუნქტუაციის ნეები). სახელმძღვანელოს შედგენის ინდიკატორში მითითებულია, რომ სახელმძღვანელო საგნობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით, ხელს უნდა უწყობდეს მოსწავლის მოტივაციისა და ცნობისმოყვარეობის გაზრდას, უბიძგებდეს მეტი ცოდნის შეძენისა და თვითგანვითარებისაკენ. სამწუხაროდ, ხშირად, ეს ძირითადი კრიტერიუმებიც არ არის დაცული ზოგიერთ სახელმძღვანელოში.

„ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკის მიზანია არა მარტო ამ საგნის მაღალხარისხოვნად ათვისება , არამედ მოზარდის ღრმად დაუფლება პროცესთან, მისი გონიერივი და ასაკობრივი განვითარების გათვალისწინებით ... ლიტერატურის სწავლების მიზანი განსაზღვრავს ლიტერატურის სწავლების შინაარსს (რა ვასწავლო?) და ორგანიზაციას (როგორ ვასწავლო?) ეს პროცესი განპირობებულია იმ ობიექტური პირობებით, რომლებშიც იმყოფება საზოგადოება განვითარების განსაზღვრულ ისტორიულ პერიოდში“ (1,16).

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე სახელმძღვანელოში შესასწავლი მასალა შერჩეული უნდა იყოს ასაკის შესაბამისად, ინტერესისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით, რაც ხშირად დარღვეულია სახელმძღვანელოთა შეფარინისას სხვადასხვა კრიტიკულებით.

ვთვლი, რომ სახელმძღვანელოთა (თუნდაც გრიფირებული) ნაირგვარობა მიუღებელია, რადგან ერთი და იგივე ასაკის მოსწავლე სხვადასხვა სკოლაში სხვადასხვა მასალას გადის, ასე-თი შთაბეჭდილება გექმნება, რომ წიგნის შემდგენელი ავტორები ერთმანეთს ეჯიბრებიან გან-სხვავებული მასალის მოძიებაში და ზოგჯერ ნაკლებად ნაცნობი შეაქვთ სახელმძღვანელოში და აქტუალური კი არ ისწავლება. ამ მხრივ ბევრი მაგალითის მოტანა შეიძლება „ბაკურ სულა-კაურის გამომცემლობის“ სახელმძღვანელოებში (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა; ბაკურ სულაკაური, თია ქიტოშვილი. ქართული 7, ქართული 9, ქართული 10).

აგრეთვე შეიძლება დავასახელო გრიფირებული სახელმძღვანელო განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ (ბრძ. N 375.18.05 2012 წელი) ავტორები : ნუგზარ მუზაშვილი, ნიკოლოზ ჩუბინიძე, ნინო შარაშვილი. გამომკვლევა „დიოგენი“. ამ გამომკვლევით

ბის მე-11 კლასის ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოში არ არის არც ილია ჭავჭავაძისა და არც აკაკი წერეთლის სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული ზოგიერთი ლექსი (რომლებიც სხვა კლასებში არ უსწავლიათ და სხვა გამომცემლობების მე -11 კლასის წიგნებში არის) . აგრეთვე ამავე სახელმძღვანელოში არ არის „ოთარაანთ ქვრივი“ - ტექსტი; არც ალ. ყაზბეგის „ხევისბერი გოჩა“... ავტორების ბიოგრაფიის შემდეგ წერია მოიძიეთ ნაწარმოებები. რაც, რა თქმა უნდა, პრობლემას უქმნის ბევრ მოსწავლეს.

გამონაკლისი და, შეიძლება ითქვას, საკმაოდ მისაღებია „სწავლანის“ ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოები (ავტორები: ვახტანგ როდონაია, ნინო ნაკულაშვილი და სხვები). თუმცა ამ სახელმძღვანელოს მიმართაც გვაქვს შენიშვნები პედაგოგებს. მაგ. საკმაოდ როგორია მე-7 კლასის მოსწავლეთათვის აკაკი წერეთლის პოემის „ოთარაანთ ქვრივის“ გაგებაც და გაანალიზებაც. შემდეგ კლასებში ეს ნაწარმოები აღარ ისწავლება, არადა ამ ასაკის ბავშვისთვის ბევრი რამ გაუგებარია (თუნდაც არსენ კათალიკოსისა და თორნიკე ერისთავის საუბრის დედააზრი). მე ვფიქრობ, რომ ეს ნაწარმოები აკაკი წერეთლის სხვა ნაწარმოებებთან ერთად მე-11 კლასის მასალისთვის უფრო მიზანშენილია.

აგრეთვე მე-9 კლასში, ამავე ავტორების სახელმძღვანელოში, ისწავლება ჭაბუა ამირეჯიბის რომანის („დათა თუთაშხია“) ნაწყვეტი - მოსე ზამთარაძის ნამბობი. თემატურად, აზრობრივად თუ იდეოლოგიურად იმდენად ღრმა მნიშვნელობისაა ეს მასალა , ჩემი აზრით, რომ ის მე -12 კლასში თანამედროვე ლიტერატურის სწავლების კურსში შესასწავლად (როცა მე-12 კლასებს (აბიტურიენტებს) ვურჩევთ ამ მასალის გამეორებას , აღფრთოვანებული არიან და ბევრ რამეს სხვაგვარად აღიქვამენ, ვიდრე მე-9 კლასში).

ლიტერატურა და ისტორია მოზარდს უვითარებს არა მარტო ცნობიერებას, აგრეთვე იდეოლოგიასა და ზნეობას. ფსიქოლოგი დიმიტრი უზნაძე წერდა რომ „ზნეობრივ პრონციპებს შეუძლიათ ზნეობრივ ძალად გარდაიქმნენ, ნებისყოფა აამოქმედონ და განსაკუთრებული მიმართულებით აამუშავონ“ (6,147), ამიტომ დიდი სიფრთხილე და დაკვირვებაა საჭირო სახელმძღვანელოში ამ კუთხით მასალის შეტანისას. ახლახანს სოციალურ ქსელებში გავრცელდა და ფართო განხილვის საგანი გახდა მწერალ ნუგზარ შატაიძის მოთხრობა „მოგზაურობა აფრიკაში“, რომლის მიხედვითაც გადაიღეს შესანიშნავი ფილმი „გაღმა ნაპირი“. თურმე რომელიდაც გრიფირებულ სახელმძღვანელოს მე - 7 კლასის მასალაში არის შეტანილი სასწავლად ეს მოთხრობა, რომელიც მიუღებელი და გაუგებარი აღმოჩნდა მოსწავლეებისა და მშობლებისათვის. თუმცა ამდენი წელინადია ეს მოთხრობა ისწავლება (ვ. როდონაიას ჯგუფის მიერ შექმნილი სახელმძღვანელოს) მე-9 კლასში და არა მარტო მოწონებას, გულისტყოვილსა და თანადგომას ავლენს მოსწავლეებში. ამ მოთხრობის გაცნობისას, ავისა და კარგის გარჩევასაც სწავლობენ. მათ ბევრჯერ შეძლეს „ქუჩის ბავშვების“ მონახულება და დახმარება. აი, რა დიდი მნიშვნელობა აქვს მასალის მიწოდებას ასაკის შესაბამისად.

საბოლოოდ, მინდა აღვნიშნო, რომ იდეალური ამ მატერიალურ სამყაროში ვერაფერი იქნება (მით უმეტეს ყველას მოსაწონი), მაგრამ სასკოლო სახელმძღვანელოს შედგენას თუ გამოცემას დიდი რუდუნებითა და დაკვირვებით უნდა მოეკიდონ პასუხისმგებელი პირები.

საკვანძო სიტყვები: ლიტერატურა, სახელმძღვანელო, მოსწავლე, სწავლება, კლასი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. თოფურია აკ., ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკა, თბ., 1983.
2. მალაზონია შ., პედაგოგიკა, თბ., 2001.
3. მუზაშვილი ნუგზარ, ქართული ენა და ლიტერატურა, „დიოგენე“, თბ., 2014.
4. როდონაია ვახტანგ, ქართული ენა და ლიტერატურა, „სწავლანი“, თბ., 2011.
5. სულაკაური ბაკურ, ქართული ენა და ლიტერატურა, თბ., 2014-2015.
6. უზნაძე დ., ზოგადი ფსიქოლოგია, თბ., „საქართველოს მაცნე“ 2009.

NINO IASHVILI

PROBLEMS RELATED TO CURRENT TEXTBOOKS AT PUBLIC SCHOOLS

Main theme of my article was textbooks and the problems connected with them at Public Schools. I am a teacher of Georgian language and literature so I revised the problems connected to that subject. In the previous article I mentioned that some published text books are too close to the national curriculum, while in other publishing houses' textbooks are far away from it. I discussed some officially approved textbooks and mentioned that there are some obvious defections: there are not the stories in the book while these stories are compulsory according to the national curriculum in that class. There is another problem some teaching material is unsuitable for the age of the students and they should not be taught on that stage. In the article I gave some recommendations about that case.

Keywords: Literature, textbook, student, teaching, class

КОНСТАНТИН РАМИШВИЛИ
Почетный профессор государственного
Университета Илии

К ВОПРОСУ ПСИХОЛОГО-ПЕДАГОГИЧЕСКОГО ВЗАИМОДЕЙСТВИЯ СУБЪЕКТОВ ОБРАЗОВАТЕЛЬНОГО ПРОЦЕССА

Ценности складывающейся прогрессивной парадигмы - гуманизация, взаимодействие участников образовательного процесса, личностный подход - в значительной мере проявляются в совместной деятельности, организованной в учебном процессе.

Леонид Выготский в свое время отмечал, что ход развития высших психических функций существенным образом связан с основной формой коллективной социальной деятельности детского сознания. Он возводил это положение в ранг закона, по которому каждая высшая психическая функция проявляется в процессе развития поведения дважды: сначала как функция коллективного поведения, как форма сотрудничества или взаимодействия, то есть, как категория интерпсихологическая, а затем вторично, как способ индивидуального поведения ребенка, как внутренний процесс, т.е. как категория интрапсихологическая [1].

Формы поведения вырастают на основе коллективных форм сотрудничества. Любая индивидуальная деятельность является составной частью деятельности совместной. Б. Ломов отмечает, что «вне общественных связей и отношений индивидуальная деятельность просто не может существовать» [4]. Это относится не только к производственной деятельности, но и ко всем ее другим видам, а именно: познавательной (исследовательской и учебной), игровой.

Анализируя групповую работу, многие исследователи (М. Виноградова, В. Котов, Х. Лийметс, И. Первина и др.) отмечают ее большую эффективность по сравнению с индивидуальной. Совместная работа, считают они, способствует умственному развитию учащихся за счет усиления обмена информацией, широкого применения активных методов обучения (обучающих игр, метода погружения, мозговых атак и т.п.), повышает активность обучающихся, развивает самостоятельность мышления, творчество, способность преодолевать интеллектуальные трудности [6].

Что касается феномена взаимодействия, то ученые считают что оно является одной из онтологических категорий. Это феномен связи, воздействия, перехода, развития разных объектов под влиянием взаимного действия друг на друга, на другие объекты.

А. Леонтьев, рассматривая в диалектико – материалистическом плане категорию взаимодействия, подчеркивает его специфику в органическом мире, в мире живой материи. «Жизнь есть процесс особого взаимодействия особым образом организованных тел» [3].

В условиях взаимодействия «тел живой природы», особенно взаимодействия людей, всегда есть активность обеих сторон, хотя мера ее проявления различна. Эта активность может быть инициальной или реактивной, отмечает И. Зимняя в плане действия субъекта. С инициальной позиции активность может быть преобразующей, созидающей, развивающей или разрушающей. С реактивной позиции, с позиции того, на кого оказывается воздействие, может быть выделена активность принятия или неприятия его, организации ответного воздействия, противостояния нежелательному воздействия или участия в совместном действии [2].

Взаимодействие в образовательной системе имеет свою специфику. Учебное взаимодействие обучающего (педагога) и обучающихся (учеников, сотрудников), общающихся между собой, входит в более сложную систему взаимодействие в образовательном процессе, который реализуется внутри образовательной системы. В этой системе в тесном взаимодействии находится такие ее подсистемы как управление (министрство, отделы образования), администрация (директорат, ректорат), педагогический совет, кафедры, преподавательские коллектизы, классы, группы. Каждая из них характеризуется структурой взаимодействия, определяющей его ситуацию, стиль и эффективность. Учебное взаимодействие проявляется в сотрудничестве как форме совместной, направленной на достижение общего результата деятельности и общения.

Обучение в сотрудничестве (cooperative learning) использовалось довольно давно. Но разработка ее технологии началась лишь в 70-е годы XX века. Основная идеология обучения в сотрудничестве была детально разработана американскими педагогами М. Джонсоном, Р. Славином, Д. Аронсоном.

Л. Уманский внес значительный вклад в уточнение понятия совместная деятельность. Им выделены три основные формы организации совместной деятельности в контактной группе:

- совместно-индивидуальная, при которой все учащиеся вносят равный вклад в решение общей задачи, но в ходе осуществления ее они не зависят друг от друга;
- совместно-последовательная, при которой можно наблюдать сочетание четко организованных индивидуальных задач и общегрупповой цели;
- совместно-взаимодействующая, при которой осуществляется взаимодействие членов группы так, что невыполнение хотя бы одним членом своих функций приводит к срыву выполнения группового задания [6].

В настоящее время учебно-педагогическое взаимодействие обретает организационные формы сотрудничества, такие как деловые, ролевые игры, совместно-распределенная деятельность, работа в группах. При этом сотрудничество предполагает прежде всего взаимодействие самих учеников (студентов).

Учебное взаимодействие ранее часто описывалось схемой $S \rightarrow O$, где S – это активный субъект, инициирующий обучение, передающий знание, формирующий умения, контролирующий и оценивающий их. Ученик рассматривался как объект обучения и воспитания. Основываясь на такой характеристике взаимодействия, как активность всех его участников, схему учебного взаимодействия сегодня трактуют как двухстороннее субъектно-субъектное взаимодействие $S_1 \leftarrow S_2$, где S_1 – учитель (преподаватель) и S_2 – ученик (студент) образуют общий совокупный субъект S_{Σ} , характеризующийся общностью цели этого взаимодействия.

Целая группа ученых (И. Вачков, Н. Мякишева, А. Обухов, Н. Ткаченко, А. Федоссева, М. Швецова) выделила типы взаимодействия между субъектами образовательного процесса, определив сущность полисубъектного взаимодействия [5].

Особо было подчеркнуто, что для анализа полисубъектного взаимодействия принципиальное значение имеет вопрос о признаках полисубъектности, которые можно соотнести с признаками субъектности. Во множестве психологических концепций выделяются различные аспекты важнейших

процессов, осуществляемых человеком: познание мира и себя, отношение к миру и себе и приобразование мира и себя.

Полисубъектность может быть также охарактеризована совокупностью трех важнейших признаков, отражающих связь с такими реальностями, как познание, отношение и преобразование.

Когнитивная характеристика полисубъективности связана со способностью рассматривать себя как целостность.

Высокая способность субъектов, входящих в полусубъект, к осознанию системы отношений между субъектами следующим признаком полисубъекта, отличающимся его от других типов общностей.

Еще одним признаком выступает направленность деятельности на развитие себя и другого [5].

Таким образом, полусубъект понимается как целостное динамическое психологическое образование, отражающее феномен единства развития реальных субъектов, находящихся в субъект – субъектных отношениях. Сущность полисубъекта проявляется в способности к творческой активности, к осознанию системы отношений между субъектами.

Формой взаимодействия является общение, Общение, или, как часто определяют этот процесс, коммуникация – широкое понятие.

Это осознанная и неосознанная вербальная связь, передача и прием информации, что наблюдается повсюду и всегда. Общение имеет много форм, видов, что касается педагогического общения, то оно одновременно реализует коммуникативную, перцептивную и интерактивную функции, используя при этом всю совокупность вербальных, изобразительных, символьских средств.

В широком контексте педагогических общений определяется как «такое общение учителя (и шире – педагогического коллектива) со школьниками в процессе обучения, которое создает наилучшие условия для развития мотивации учащихся и творческого характера учебной деятельности, для правильного формирования личности школьника...»[2].

В педагогической психологии взаимодействие между социально-ролевыми позициями «учитель» и «ученик» всегда находилось в центре внимания как базовое для построения практики обучения, воспитания и развития.

Тип взаимодействия «учитель-ученик» представлен всем спектром видов и форм межличностных отношений: воздействие и взаимодействие, симпатия и антипатия, внимание и игнорирование, эмпатия и эгоцентризм, уважение и презрение, любовь и ненависть и т.д. Однако даже при общении учителя с классом в целом ученик воспринимает воздействие учителя лично. В то же время при общении с учеником учитель понимает, что он включен в систему отношений в классе, а ученик понимает, что учитель включен в педагогический коллектив или обобщенную группу «взрослые». В связи с этим любая форма данных отношений в рамках педагогического общения полисубъектна.

Рассмотрим две парадигмы воздействия учителя на ученика.

Первая парадигма – парадигма воздействия. Учитель выступает активным транслятором знаний, а ученик находится в позиции реципиента транслируемых знаний и осуществляет активность по инструкции и под руководством учителя. В этой парадигме со стороны учителя доминируют такие формы воздействия, как монолог, директива, контроль. Со стороны ученика актуализированы позиции пассивного слушателя и исполнителя. Основной упор делается на память и точность воспроизведения предъявленного знания.

Вторая парадигма – парадигма взаимодействия. Учитель и ученик находятся в коммуникативной ситуации активного взаимодействия и совместно-распределенной деятельности, в ходе которой происходит взаимное развитие ученика (присвоение новых знаний, навыков, развитие способностей) и учителя (профессионально-личностное развитие). В этой парадигме в домinantные задачи учителя входит создание такой ситуации взаимодействия, где могли бы максимально проявляться инициатива и самостоятельность познавательной и учебной деятельности ученика. Задача учителя – актуализировать в ученике творческое начало, вывести учащегося через диалог в позицию активного деятеля. Способность выдвигать инициативы, предлагать нестандартные решения, реализовывать

собственные замыслы становится основным критерием оценки успешности ученика. В парадигме взаимодействия основной упор приходится на развитие мышления, воображения, продуктивных видов деятельности.

Первую парадигму также называют «знанием», поскольку в ней основной акцент делается на самоценность знания, вторую парадигму называют «деятельностной», так как в ней основной упор делается на освоение универсальных и специальных видов деятельности.

Учебное действие в обеих парадигмах можно представить в виде схем:

1) схема учебного действия, контролируемого извне:

ориентировка → исполнение → контроль;

2) схема учебного действия, заданного изнутри:

замысел → реализация → рефлексия.

В первой схеме представлена классическая модель построения урока, который может быть достаточно эффективно построен. Активность учеников присутствует, но на исполнительном уровне, что не всегда требует от ученика осознанности рефлексивности своей деятельности, главное – правильно понять задание и точно по инструкции его выполнить.

Во второй схеме налицо совершенно иная педагогическая ситуация взаимодействия. Она может быть реализована именно в рамках деятельностной парадигмы, направленной на реализацию продуктивных форм активности (исследование, проектирование, конструирование, творчество).

Ключевые слова: воздействие как категория; специфика взаимодействия субъектов образовательного процесса; обучение в сотрудничестве; сущность полисубъекта; взаимодействие и общение; взаимодействие в системе «учитель-ученик».

Литература

1. Выготский Л.С. Педагогическая психология// Психология: классические труды. М., 1996.
2. Зимняя И.А. Педагогическая психология. М., 2000.
3. Леонтьев А.Н. Избранные психологические произведения. В 2 т. М., 1983.
4. Ломов Б.Ф. Методические и теоретические проблемы психологии. М., 1984.
5. Психологопедагогическое взаимодействие участников образовательного процесса. М., 2017.
6. Садыкова Н.У., Савина Ф.К. Технология совместной учебной деятельности обучающего и обучаемых //Основы разработки педагогических технологий и инноваций. Астрахань, 1998.

კონსტანტინე რამიშვილი

საგანმანათლებლო პროცესის სუბიექტების ურთიერთქმედების ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური საკითხისათვის რეზიუმე

ავტორი, ეყრდნობა რა ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური მეცნიერების მიღწევებს, განიხილავს სასწავლო პროცესის სუბიექტების არსისა და სპეციფიკის ურთიერთქმედებას. სტატიაში გამოკვეთილია და ექვემდებარება ანალიზს სწავლება თანამშრომლობაში, მრავალმხრივი ურთიერთქმედება, ურთიერთქმედება და ურთიერთობა, ზეგავლენის პარადიგმები და ურთიერთქმედება, ასევე ურთიერთქმედება სისტემაში “მასწავლებელი-მოსწავლე”, როგორც საფუძველი პრაქტიკული სწავლების, აღზრდისა და განვითარების.

**PROBLEMS OF PSYCHO-PEDAGOGICAL CO-OPERATION OF SUBJECTS
IN EDUCATIONAL PROCESS**

Summary

The author relies on the achievements of psycho-pedagogical science considering essence and specificity of co-operation of subjects in an educational process. Instruction in co-operation is discussed and analyzed in the article, multi-sided co-operation, co-operation and interrelation, paradigms of influence and co-operation, co-operation in the system "teacher-pupil", as a base of practical instruction, upbringing and intelligence.

მალხაზ გაძალუა

**გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის სამართლისა და კრიმინოლოგიის
სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი**

პედაგოგიკის და ეთიკის თანაზღადობა კრიმინოლოგიასთან

კრიმინოლოგის, როგორც დანაშაულობის სოციალურ – სამართლებრივი ანტისაზოგადოებრივი მოვლენის შემსწავლელი კომპლექსური მეცნიერების ძირითადი მიზანია – დანაშაულობისა და მისი ჩამდენი პირის, დანაშაულობის მსხვერპლის, დანაშაულობის მიზეზებისა და ხელშემწყობი პირობების შესწავლა, დანაშაულობის პროგნოზირების, დაგეგმარების, თავიდან აცილებისა და კონტროლის ღონისძიებების შემუშავება და სხვა. გამომდინარე აქედან იგი მჭიდროთაა დაკავშირებული როგორც სამართლის და სოციოლოგიის ასევე ზუსტ, საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარულ მეცნიერებებთან, განსაკუთრებით პედაგოგიკასთან, ფსიქოლოგიასთან, ეთიკასა და სხვა მეცნიერებებთან.¹

პედაგოგიკისა და კრიმინოლოგის ურთიერთკავშირების ჩვენს მიერ განხორციელებული კვლევისას გამოიკვეთა პედაგოგიკასთან ერთად ეთიკის განსაკუთრებული როლი დანაშაულობის დახასიათებისას მისი მიზეზების, ხელშემწყობი პირობების, დანაშაულობის ჩამდენი პირისა და მსხვერპლის, დანაშაულობის თავიდან აცილების საკითხების შესწავლის საქმეში.²

პედაგოგიკის, ეთიკისა და კრიმინოლოგის კავშირი, მათ შორის შეხების წერტილები უფრო ღრმაა სამართალთან შედარებით. კრიმინოლოგია, პედაგოგიკა და ეთიკაც სამართლისაგან განსხვავებით დეპოლიტიზირებულია და გაბატონებული სოციალური ჯგუფების ინტერესებს არ გამოხატავს, პირიქით, ისინი ზეპოლიტიკური ხასიათის, ზოგადად საზოგადეობრივი ინტერესების მატარებლები არიან. პედაგოგიკა არის მეცნიერება, რომელიც იკვლევს აღზრდისა და განათლების პროცესებს, ამ პროცესთა კანონზომიერებას.³ ხოლო ეთიკა ფილოსოფიის შემადგენელი ნაწილია, რომელიც შეისწავლის ადამიანის ზნეობას, წარმოადგენს ნორმებისა და პრინციპების ერთობლიობას, რომლებიც ანესრიგებენ და არეგულირებენ ადამიანის ცხოვრებას და მოიცავს ყველა სფეროს ოჯახიდან დაწყებული წარმოებითი ურთიერთობით დამთავრებული.⁴ კრიმინოლოგიაში, დანაშაულობის ჩამდენი პირისა და მსხვერპლის, დანაშაულობის თავიდან

¹ მალხაზ ბაძალუა „კრიმინოლოგიის ძირითადი ტერმინთა განმარტებები“ თბ.2016.

² მალხაზ ბაძალუა „პედაგოგიკა-დანაშაულობის პრევენციის ეფექტური მექანიზმი“, „სამართლის პრობლემები რომან შენგელია -70“. თბილისი 2012, გვ. 560-567

³ ნათელა ვასაძე. პედაგოგიკა. თბ. 2004. გვ. 7

⁴ გელა ბანძელაძე „ეთიკა“, თბ.1966; გვ.66

აცილების პრობლემების შესწავლა, შეუძლებელია პედაგოგიური და ეთიკის კატეგორიების შესწავლის გარეშე.

კრიმინოლოგიაში დანაშაულობის ჩამდენი პირი ფართო მნიშვნელობის ცნებაა და გამოხატვას მის სოციალურ არსას. ესაა რთული კომპლექსი, რომელიც ახასიათებს მის თვისებებს, კავშირებს, გამოვლინებებს, მის შინაგან ზნეობრივ და სულიერ სამყაროს აღებულს მოძრაობაში, ასევე ავლენს ურთიერთკავშირებს ზოგადსოციალურ და ინდივიდუალურ ცხოვრებისეულ პირობებთან მიმართებაში, რაც თავის მხრივ ამა თუ იმ ზომით განსაზღვრავს დანაშაულის ჩადენას. ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ დანაშაულობის ჩამდენი პირი ყველაზე სრული სახით დანაშაულის ჩადენის მომენტში წარმოგვიდგება.⁵

კრიმინოლოგიაში პიროვნების ზნეობრივი თავისებურებების მნიშვნელობაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ დანაშაულობის ჩამდენი პირი ძირითადად ხასიათდება სოციალურ-დემოგრაფიულ, ზოგად სამართლებრივ და სოციალურ, ფსიქოლოგიურ ნიშნებთან ერთად პედაგოგიურ-ეთიკური ნიშნებით, რის შესწავლაც იძლევა საშუალებას პასუხი გაეცეს კითხვას თუ რატომ, რა მიზეზებით და ხელშემწყობი პირობების საუძველზე მოხდა დანაშაულობა ან ანტისაზოგადოებრივი ქცევა.

პიროვნების ზნეობრივი თავისებურებების შეფასების მაჩვენებელს წარმოადგენს პიროვნების საქციელი, მთელი მისი ცხოვრების მანძილზე, მათ შორის როგორია მისი დამოკიდებულება პედაგოგიურ კატეგორიებთან: სწავლასთან, განათლებასთან, განვითარებასთან, აღზრდასთან და ეთიკის კატეგორიებთან: სიკეთესთან, სამართლიანობასთან, მოვალეობასთან, სინდისთან, პასუხისმგებლობასთან, ღირსებასთან და სხვა.⁶

პედაგოგიური, ეთიკური და კრიმინოლოგიური ხელმიშვებულობა – პრაქტიკულად ანტისაზოგადოებრივი ქცევის, სამართლდარღვევის, დანაშაულის წარმოშობისა და განვითარების წინაპირობაა. ეთიკის ისევე როგორც პედაგოგიკის მნიშვნელობა საკმაოდ აშკარაა, საჭიროა მათი როლებისა და შემადგენელი ელემენტების შესწავლა. პედაგოგიური აღზრდის დეფექტი, რომელიც პირდაპირ მოქმედებს ადამიანის ზნეობრიობაზე, კერძოდ კრიმინოლოგების მიერ უზნება და გაუნათლებლობა დიდი ხანია მიჩნეულია ანტისაზოგადოებრივი ქცევის საფუძვლად. აშკარაა ამ ჭრილში ზნეობრივ-სამართლებრივი და პედაგოგიურ-აღმზრდელობითი საქმიანობის მნიშვნელობა. დეფექტები საზოგადოების ზნეობრივ აღზრდაში აღიარებულია, მაგრამ ზოგიერთი ეჭვეშა აყენებს აღნიშნულს და ეყრდნობა „თეთრსაყელოიან დამნაშაულობას“ რომელსაც ფორმალურად „განათლებული“ და ფაქტიურად უზნეო პირები ჩადიან. კრიმინოლოგია, ეთიკა და პედაგოგიკა საზოგადოებას აფასებს არა დიპლომების მიხედვით, არა როგორც სოციალ-დემოგრაფიულს მახასიათებელს, არამედ როგორც ცივილიზირებულ პედაგოგიურ-ეთიკურ თვისებას რომელიც თანამედროვე მოთხოვნების დონეზე იმყოფება.⁷

კრიმინოლოგიური კვლევები ცხადყოფს, რომ დანაშაულობის ჩამდენი პირის ქცევა ხშირად განპირობებულია მისი მსხვერპლის არაეთიკური ქცევითა და განსაკუთრებული თვისებებით, ასევე არსებული კომფლიქტური ურთიერთობებით, რაც საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ დანაშაულობა არც თუ იმვიათად პროვოცირებულია დაზარალებულის მხრიდან არაპედა-გოგიური და არაეთიკური უარყოფითი ქცევით. დაზარალებულის ქცევა შეიძლება იყოს არა მხოლოდ არასწორი სამართლებრივად არამედ პედაგოგიურად გაუნათლებელ-აუდზრდელი და ეთიკურად უზნეოც. დაზარალებულის გაუნათლებლობა-აღუზრდელობა და უზნეობა დანაშაულობის მიზეზთა პრობლემებისა და დანაშაულობის ქცევის მექანიზმის გარკვევის გასაღებია. რაც არ ხსნის თვით დამნაშავის ანტისოციალურობის პრობლემას.⁸

⁵ ზაურ წულაია „კრიმინოლოგია“ თბ. 2003 გვ.78

⁶ მალხაზ ბაძალუა „იურიდიული პედაგოგიკა“ თბ. 2006. გვ. 94-126

⁷ მალხაზ ბაძალუა „ეთიკა და კრიმინოლოგის ურთიერთკავშირის საკითხები“ ჟურნალი „კრიმინოლოგი“ N 1 (11-12) 2016–2017 გვ.101

⁸ ზაურ წულაია „კრიმინოლოგია“, თბ. 2003 გვ.123

პედაგოგიკის და ეთიკის კრიმინოლოგიასთან ურთიერთკავშირის შემდგომი განვითარება ხელს შეუწყობს პედაგოგიკისა და ეთიკის კატეგორიების მართლმსაჯულების, სამართალდამცავი და სპეციალური სამსახურების სისტემების საქმიანობის პრაქტიკაში გამოყენებას, რათა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მაღალი პროფესიონალიზმის საფუძველზე, ჰუმანური პრევენციული ღონისძიებებით უზრუნველყონ ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მალხაზ ბაძალუა „კრიმინოლოგიის ძირითადი ტერმინთა განმარტებები“ თბ.2016
2. მალხაზ ბაძალუა „პედაგოგიკა—დანაშულობის პრევენციის ეფექტური მექანიზმი „„სამართლის პრობლემები რომან შენგელია –70“ თბილისი 2012, გვ. 560–567
3. ნათელა ვასაძე. პედაგოგიკა. თბ. 2004. გვ. 7
4. გელა ბანძელაძე „ეთიკა“, თბ.1966; გვ.66
5. ზაურ წულაძა „კრიმინოლოგია“ თბ. 2003 გვ.78, გვ.123
6. მალხაზ ბაძალუა „ეთიკა და კრიმინოლოგიის ურთიერთკავშირის საკითხები“ უურნალი „კრიმინოლოგი“ N 1 (11–12) 2016–2017 გვ.101.

MALKHAZ BADZAGHUA

RATIO OF PEDAGOGY AND ETHICS WITH CRIMINOLOGY

The author confirms that the pedagogic, ethics and criminology interactions have shown the importance of their interdependence and a special role of crime, its reasons for the person who committed the offense and the character of the victim, supporting conditions to investigate the offense. Their touch points are much deeper in criminology than in law, it is therefore important to study pedagogical and ethical categories in criminological studies. Deficiencies in this direction - are the prerequisite for anti-social behavior, offense, crime and development.

According to the author, further development of this relationship will help effective use of law enforcement and special services of pedagogy and ethics categories, which provide human rights and freedoms with humane prevention measures.

МАЛХАЗ БАДЗАГУА

СООТНОШЕНИЕ ПЕДАГОГИКИ И ЭТИКИ С КРИМИНОЛОГИЕЙ

Резюме

Автор утверждает, что педагогические, этические и криминологические взаимодействия показали важность их взаимозависимости и особой роли в преступлении для лица, совершившего преступление, и характера жертвы, поддерживая условия для расследования преступления. Их точки касания гораздо глубже в криминологии, чем в законодательстве, поэтому важно изучать педагогические и этические категории в криминологических исследованиях. Недостатки в этом направлении - предпосылка для антисоциального поведения, правонарушения, преступности и развития.

По словам автора, дальнейшее развитие этих отношений поможет эффективно использовать педагогику и этику правоохранительными и специальными службами, что обеспечит права и свободы человека гуманными превентивными мерами.

სკოლაგდები აღზრდა

ნუგზარ აბაკელია
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

სკოლისათვის კოგნიტური მზაობა

ბავშვის ცხოვრების არსი მდგომარეობს მის სწრაფვაში გახდეს დიდი, აღნიშნული ტენდენ-ცია ვლინდება მის ყოველდღიურ ცხოვრებაში – თამაში, ცელქობა, კოგნიტური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება (ისწავლოს ასოები, ციფრები, თვლა, ნუმერაციული შეკრება-გამოკლება და ა.შ.) ანუ ბავშვს სურვილი აქვს მომზადეს სკოლაში სწავლისათვის. ზოგიერთს მიაჩნია, რომ ბავშვს არ უნდა წავართვათ ბავშვობა, ზოგიც მომხრეა ინტენსიური დახმარების ანუ ისე მოვა-ნესრიგოთ მისი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო პროცესი, რომ ბავშვი შეხვდეს სათანადო მომზადებული თავისი ცხოვრების ერთერთ ყველაზე მნიშვნელოვან პერიოდს, რომელსაც ჰქვია სკოლაში სწავლა.

ვგონებ არავინ დაგობს იმაზე, რომ ბავშვი მოვაქციოთ მიზანმიმართულ პედაგოგიურ გარე-მოში. დღეს სკოლაში მიღიან ბავშვები, რომლებმაც დაამთავრეს, მცირე დრო უვლიათ ან საერ-თოდ არ ყოფილან სკოლამდელ დაწესებულებებში. შედეგიც სახეზეა – ზოგიერთი კარგად არის მომზადებული, ზოგიერთი – საშუალოდ და, სამწუხაროდ არიან ისეთებიც, რომელთაც უჭირთ სათანადო დონეზე ურთიერთობა. აღნიშნული გარკვეულ სიძნელეს უქმნის როგორც მასწავლებელს ისე თავად მოსწავლეს.

ამჟამად დაბლა დაინია განათლების დაწყების ასაკობრივმა დონემ. ამაზე მეტყველებს უამ-რავი სასწავლო-დიდაქტიკური თუ განმავითარებელი მასალა და პროგრამები. მათი ძირითადი მიზანია ბავშვის სკოლისათვის მზაობის უზრუნველყოფა.

მათემატიკის სწავლების საკითხი სკოლამდელ დაწესებულებაში აშკარად ვერ აკმაყოფი-ლებს თანამედროვე, გაზრდილ მოთხოვნებს. ჩვენ ჯერაც არ გვაქვს განსაზღვრული კოგნიტუ-რი ცოდნის რა დონით და წარმოდგენების რა მარაგით უნდა მოვიდეს ბავშვი სკოლაში.

ამ გადასახედიდან ვფიქრობ სკოლამდელის აღზრდა-განათლების ინფრა-სტრუქტურის მო-წესრიგებასთან ერთად შესაძლებელია ათის ფარგლებში ნატურალურ რიცხვთა არითმეტიკის ზეპირი კურსის სწავლებაც. ვვარაუდობთ, რომ ბავშვის განვითარების ამ ეტაპზე უპრიანია გან-საკუთრებული აქცენტები არ გავაკეთოდ გასაცნობი მასალის ათვისების ისეთ ფორმებზე, რო-მელებიც გულისხმობენ ვასწავლოთ რაიმე წესი თუ პოსტულატი. ჩვენი ძირითადი მიზანია, შე-თავაზებული ინფორმაცია გახდეს ძალიან კარგად ნაცნობი. მოგვიანებით, დაწყებით სკოლაში იგი აქტუალიზდება და შეასრულებს პოზიტიური კატალიზატორის როლს მათემატიკის ათვისე-ბის საქმეში. ჩვენ ვვარაუდობთ, რომ სკოლაში წამსვლელმა ბავშვებმა:

- უნდა იცოდენ თვლა ათის ფარგლებში და უკუთვლაც; ციფრების სწორი დასახელება და მათი ცნობა ბეჭდვურად; რაოდენობრივი და რიგობითი რიცხვითი სახელების სწორი გამოყენე-ბა; ნუმერაციული შეკრება და გამოკლება (რიცხვზე ერთის მიმატება-გამოკლება);

- შეეძლონ საგანთა შედარება ზომისა და რაოდენობის მიხედვით. საუბარია პრაქტიკულ მა-გალითებზე დაყრდნობით ტერმინების ტოლია, არატოლია, მეტია, ბევრია, ნაკლებია, ცოტაა, გრძელია, მოკლეა, დიდია, პატარა, მაღალია, დაბალია, განიერია, ვიწროა მართებული ხმარება. ამასთან ერთად განახორციელონ პრაქტიკული გაზომვითი მანიპულაციები - მცირე ზომის ეტა-ლონის დახმარებით;

- დაასახელონ და დაახასიათონ მარტივი გეომეტრიული ფიგურები. აქ საუბარია ბავშვების-თვის კარგად ნაცნობ მოცულობით ფიგურებზე ე.წ. ”საშენი მასალაზე“: ბირთვზე, კუბზე, ცილინდრზე, კონუსსა და პირამიდაზე; ვაცნობთ აგრეთვე - სამკუთხედს, ოთხკუთხედსა და ნრეს.

- უფროსის დახმარებით, პრაქტიკული თვალსაჩინო მასალის გამოყენებით შეძლონ ელემენტარული მარტივი ამოცანა-სურათის ამოხსნა. აქ მთავარია საკვანძო სიტყვების გააზრება, კერძოდ „მოიტანა“, „მოფრინდა“, „მოვიდა“ განსაზღვრავს მიმატებას, ხოლო „წავიდა“, „წაიღო“, „გაფრინდა“ - გამოკლებას;

- განახორციელონ სივრცესა და დროში ორიენტაცია: სწორად განსაზღვრონ მიმართულება და საგნებს შორის არსებული ურთიერთობანი; გამოიყენონ ეს ცოდნა სივრცეში ორიენტაციისათვის - საგნებსა და ობიექტებს მიუჩინონ შეთავაზებული ადგილი, გადაადგილდენ სათანადო მიმართულებით და სხვ. სასურველია მართებულად იხმარონ სიტყვები: გუშინ, დღეს, ხვალ, ადრე, გვიან, მანამდე, ჯერ, მერე; დაასახელონ წელიწადის დროები დამახასიათებელი ნიშნებით; კენტექსტში გამოიყენონ თვეებისა და კვირის დღეების სახელწოდებები.

ამასთან ერთად განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საკითხი გააზრებული ცოდნის ათვისების შესახებ:

ასამდე სხაპასხუპით თვლას, ჯობია ესმოდეს, რომ ყოველი რიცხვი მიიღება წინასაგან ერთის მიმატებით და მომდევნოსგან ერთის გამოკლებით, რომ თითოეულ რიცხვს აქვს თავისი განსაკუთრებული სახელწოდება და ადგილი, რომ თვლის დრო არ უნდა გამოვტოვოდ არცერთი რიცხვი და არ დავთვალოთ იგი ერთჯერ მეტად და რომ მიმატების დროს შედეგი ადრინდელზე მეტია, ხოლო გამოკლების დროს - ნაკლებია; სასურველია აგრეთვე ლოგიკური დავალების ხვედრითი წილის გაზრდა.

ტოლობის შემთხვევაში ავღნიშნავთ, რომ ერთ მხარეს არის იმდენივე რაოდენობის ან ისე-თვე სიგრძის (სიმაღლის,...) ობიექტი, რაც მეორე მხარეს. უტოლობის შემთხვევაში კი ავღნიშნავთ, რომ ”ერთ მხარეს არის იმდენი, რამდენიც მეორე მხარეს და კიდევ ამდენით მეტი (ბევრი) ან ნაკლები (ცოტა)“ ან ”ისეთივე სიგრძის (სიმაღლის, ზომის) რაც მეორე მხარეს, ოლონდ ამდენით გრძელი (მოკლე), მაღალი (დაბალი), დიდი (პატარა)“ და ა.შ.

ფიგურების დახასიათებისას, ზოგიერთი მოცულობითი ფიგურა მომრგვალებულია და ადვილად გორავს (ბირთვი, ცილინდრი, კონუსი), ზოგიც კუთხოვანია და მათ უჭირს გაგორება (კუბი, პირამიდა). კუთხოვნობითა და მრგვალობით ვანსხვავებთ აგრეთვე ბრტყელ ფიგურებსაც: წრე მრგვალია, ხოლო საკუთხედი და ოთხკუხედი - კუთხოვანი;

სასურველია ბრტყელი ფიგურების მიღება მოცულობითი ფიგურებიდანაც - მათი წახნაგებისა თუ ფუძეების ანაბეჭდების დატოვება ფურცელზე ან გაბრტყელებულ ცომზე. კერძოდ სამკუთხედი პირამიდის წახნაგის, კვადრატი - კუბის, ხოლო წრე - ცილინდრის ან კონუსის ფუძის ასლი, ანაბეჭდი, კვალია;

ადრეული ასაკიდან ბავშვთა სწავლების იდეა ახალი არ არის. ვფიქრობ შესამუშავებელია პროგრამების, სასწავლო-სააღმზრდელო-მეთოდოლოგიური მასალებისა და რეკომენდაციების პაკეტები, რომელებიც უზრუნველყოფენ ხუთწლიანების ჰომოგენურ გარემოს როგორც სკოლაში, ისე საბავშვო ბალისა და სტიქიური განათლების (ოჯახი და სხვ.). პირობებში. ამით ჩვენ სამართლიანად მივაკუთნებთ სკოლამდელ დაწესებულებას საგანმანათლებლო ფუნქციასაც, რომელსაც იგი დიდი ხანია პირნათლად და კეთილსინდისიერად ასრულებს.

ამასთან ერთად, თუ საბუთების მიღების დროს გამოვლინდა ბავშვის სუსტი მზაობა, სკოლას უნდა ჰქონდეს რეკომენდაციების პაკეტი (სასწავლო-სააღმზრდელო რეკომენდაციებისა და სავარჯიშო მასალების სახით). მათ მშობელი ეფექტურად გამოიყენებს ზაფხულის პერიოდში ბავშვის მზაობის გასაუმჯობესებლად. შესაძლებელია სკოლამ გახსნას მცირევადიანი მოსამზადებელი ჯგუფები (ორთვიანი საზაფხოლო სკოლისათვის მზაობის ჯგუფი, მისაღებია სხვა ვარიაციებიც).

სკოლამდელი აღზრდის ძირითადი მიზანია - ყველა ბავშვს შევუქმნათ ადეკვატური პირობები როგორც გონიერივი, ფიზიკური და ფსიქიკური, ისე მორალური განვითარებისათვის. მისი განხორციელება ვფიქრობ უნდა ეფუძნებოდეს ორ მთავარ პრინციპს "არ ავნო" და "მოერიდე განკარგულებებს" (შალვა ამონაშვილი). ასეთ პირობებში სააღმზრდელო პროცესი ისე იგება, რომ გამოირიცხოს სულიერი ტრამვის მიუენების საფრთხე და ბავშვისადმი მხარდაჭერა გახდეს აქტუალური.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია აგრეთვე საკითხი აღმზრდელის სტატუსისა და მათი განათლება-გადამზადების შესახებ. სასურველია პედაგოგიურ პერსონალს რეალურად მიენიჭოს აღმზრდელ-პედაგოგის სტატუსი. ამასთან ერთად, თითქმის არ დარჩა დაწესებულება, რომელიც დაინტერესებულ პირს გადაამზადებს და მიანიჭებს აღმზრდელის სტატუსს. ამჟამად ბევრი ადამიანი მუშაობს ბაღში, რომელსაც არ გააჩნია პედაგოგიური განათლება და მათ ჭირდება პროფესიული მხარდაჭერა.

НУГЗАР АБАКЕЛИЯ **КОГНИТИВНАЯ ГОТОВНОСТЬ К ШКОЛЕ** **Резюме**

Суть жизни ребёнка в его стремлении стать большим. Это тенденция в его каждодневной жизни – в игре, в баловании, в удовлетворении когнитивных потребностей (выучить буквы, цифры, нумерационное сложение и вычитание,...), т.е. у ребёнка есть желание подготовиться к школе.

Некоторые считают, что не надо отнимать у детей детство, а некоторые, наоборот, считают, что нужна интенсивная помощь, т.е. надо так построить воспитательно-образовательный процесс, чтобы ребёнок подготовленным встретил в своей жизни самый значительный период – учебу в школе.

Основная цель дошкольного воспитания – всем детям создать адекватные условия умственного, физического, психического и морального развития. Её осуществление должно опираться на два основных принципа "не навреди" и "избегайте указаний" (Шалва Амонашвили). В таких условиях нет опасности причинить моральную трамвую, а поддержка ребенка становится актуальной.

Особенного внимания заслуживает вопрос реального присуждения педагогическому персоналу статуса воспитателя-педагога. Вместе с этим надо отметить, что не осталось ни одного учреждения, которое подготовит или повысит квалификацию и даст статус воспитателя. В настоящее время у многих работников детских садов нет педагогического образования – им необходима профессиональная поддержка.

ლილი მექვაპიშვილი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
მოწვეული ასოცირებული პროფესორი

**სკოლამდელი აღზრდის პროგლემები და გათი
გადაცყვატის გზები საქართველოში**

საქართველოში სკოლამდელ აღზრდას საინტერესო ისტორია აქვს. XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან საქართველოში სკოლამდელი აღზრდის საკითხი მეტად აქტუალური გახდა. სწორედ ამ საუკუნეში ჩაეყარა საფუძველი პირველ საბავშვო ბაღებს ჩვენს ქვეყანაში. მეოცე საუკუნში კი იგი გაფართოვდა და განსაკუთრებული ყურადღების საგნად იქცა. 1918 წელს თამარ ერის-თავის ინიციატივით თბილისში 2 უფასო საბავშვო ბაღი გაიხსნა. იმ პერიოდში განათლების სა-სალხო კომისარიატში მოღვაწეობდა ქართველი საზოგადო მოღვაწის ნიკო ნიკოლაძის ქალიშ-ვილი რუსუდან ნიკოლაძე. მისი და თამარ ერისთავის თაოსნობით კიკეთში გაიხსნა სკოლამდელ მუშაკთა პირველი კურსები. ლექციებს კითხულობდა იტალიიდან მოწვეული მონტესორის თეო-რიის კარგად მცოდნე ლოლა კონდულმანი.

1921 წლიდან სკოლამდელ დაწესებულებათა ქსელის სწრაფი ზრდა დაიწყო.

1931 წელს ქ.თბილისში №1 საბავშვო ბაღთან (გამგე ნატალია უნაფქოშვილი) გაიხსნა სათა-მაშობის სახელოსნო. 1939 წელს სახელოსნო გადაკეთდა სამეცნიერო კვლევით ლაბორატორი-ად. მას ახალგაზრდა ფსიქოლოგი, დიმიტრი უზნაძის მოწაფე ბარნაბ ხაჭაპურიძე ხელმძღვანე-ლობდა. ლაბორატორიის მუშაობის ძირითად შინაარსს შეადგენდა დიდაქტიკურ მასალათა კრი-ტიკული ანალიზი, სკოლამდელთა გონებრივი განვითარების ფსიქიკური საფუძვლების კვლევა.

ლაბორატორიასთან თანამშრომლობდნენ ცნობილი ქართველი ფსიქოლოგები: დიმიტრი უზნაძე, რევაზ ნათაძე და სხვ.

1947 წელს ლაბორატორია შეუერთდა იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის სამეც-ნიერო კვლევით ინსტიტუტში არსებულ სკოლამდელი აღზრდის სექტორს. აქ შესრულებული კვლევები დაედო საფუძვლად საბავშვო ბაღებისთვის განკუთვნილ საგანმანათლებლო პროგ-რამებს, მეთოდურ რეკომენდაციებს. ასე რომ მე-20 საუკუნის 60-იანი წლებიდან სკოლამდელ დაწესებულებებში სავალდებულო გახდა ბავშვთა სწავლება, რაც გულისხმობდა მეტყველების განვითარებას, მათემატიკური წარმოდგენების ფორმირებას, ბუნების შესახებ ცოდნის მიწო-დებას და სხვ. განსაკუთრებული ყურადღება მეტყველების განვითარებას და დედაენის საფუძ-ვლიან დაუფლებას ექცეოდა. იაკობ გოგებაშვილს დედაენის საფუძვლიანი ცოდნის გარეშე ვერ წარმოედგინა მომავალი მამულიშვილის, პიროვნების სრულყოფილი განვითარება („ბურჯი ეროვნებისა“).

როგორც ზემოთ აღვნიშნე, კვლევები ტარდებოდა სკოლამდელი აღზრდის სექტორში. სწო-რედ აქ ჩემს მიერაც იქნა დაცული დისერტაცია თემაზე „პასუხისმგებლობის აღზრდა უფროსი სკოლამდელი ასაკის ბავშვებში“. ნაშრომში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა თანამშრომლო-ბით ურთიერთობას აღმზრდელ-პედაგოგსა და ბავშვს შორის. ასეთი ურთიერთობის პირობებში იქმნება ორმხრივი პატივისცემის დამოკიდებლება, სადაც მოზრდილი ადამიანი იწვევს მასზე პატარას გამოიჩინოს ინიციატივა და დამოუკიდებლობა. ეს იდეა ცნობილი ქართველი მეცნიე-რების შალვა ამონაშვილისა და მერი დოლონაძის კვლევების საფუძველზე იქნა ჩემს მიერ გამო-ყენებული სკოლამდელი ასაკის ბავშვებთან. ასეთი ურთიერთობის პირობებში ბავშვები თავს გრძნობდნენ აღმზრდელის პარტნიორად. ეს კი მათ პიროვნებად ჩამოყალიბებას უწყობდა ხელს.

სკოლამდელი აღზრდის სექტორის თანამშრომლებთან ერთად სახელმძღვანელოების შექ-მნაში მონაწილეობდნენ სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის სკოლამდელი აღზრდის ფაკულტეტის, მასნავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტისა და გა-

ნათლების სამინისტროს რესპუბლიკური მეთოდური კაბინეტის თანამშრომლები. ამ კაბინეტის თანამშრომლები სკოლამდელ დაწესებულებებს მეთოდურ დახმარებას უწევდნენ. მასწავლებელთა დახმარებების ინსტიტუტი კი უტარებდა კურსებს და ტრენინგებს. დღეს ამ ფუნქციას მასწავლებლის სახლი ითავსებს. ეს დაწესებულებები კი აღარ ფუნქციონირებს, გაუქმებულია, რაც დიდ შეცდომად მიმართია.

ყველაზე დიდი პრობლემა, რაც საქართველოს სკოლამდელი აღზრდის წინაშეა, ეს არის საბავშვო ბალების გადატვირთვა ბავშვებით. დიდ ქალაქებში (თბილისი, ქუთაისი, რუსთავი და სხვ.) ჯგუფებში ბავშვთა რაოდენობა 40-50-მდეა, რაც ერთი აღმზრდელისთვის დიდ პრობლემას ქმნის. როგორ შეძლებს იგი იყოს თითოეულ ბავშვთან თანამშრომლობით ურთიერთობაში და ბავშვმა იგრძნოს, რომ აღმზრდელი მისი პარტნიორია? ეს იწვევს აღმზრდელის მიერ ავტორიტარული, ან ლიბერალური ურთიერთობის სტილის გამოყენებას. ორივე ეს სტილი უარყოფითად მოქმედებს ბავშვის სწორ განვითარებაზე, ავტორიტარიზმი ზრდის მორჩილ, უინიციატივო მომავალ თაობას, ლიბერალიზმი კი უზნეობას და ანარქიას.

ბავშვთა გადატვირთვის ერთ-ერთი მიზეზი აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების ანექსიის შედეგად ლტოლვილების საბავშვო ბალებში ჩასახლებაა. გარდა ამისა, მაღლივი კორპუსების მშენებლობისათვის საბავშვო ბალების ნგრევა, ასეთი 150 ბალია. უნდა აღდგეს საბავშვო ბალების შენობები, ან მაღლივი კორპუსების პირველი სართული დაეთმოს საბავშვო ბალებს.

დღეს სკოლამდელ დაწესებულებებში პედაგოგიური პერსონალი არ არის სათანადოდ მომზადებული სწორი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო მუშაობისთვის ბავშვებთან. ამის მიზეზი ბევრია, მაგრამ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს იმის შესახებ, რომ დღეს კვალიფიციური პედაგოგიური კადრი სკოლამდელი დაწესებულებებისთვის ვერ მზადდება.

გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან საქართველოს განათლების სამინისტროს თაოსნობით და ძალისხმევით სულხან-საბა თრბელიანის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში დაწყებითი განათლების ფაკულტეტთან შეიქმნა სკოლამდელი აღზრდის სპეციალობა, შემდეგ იგი ცალკე ფაკულტეტად გამოყენო. დღეს კი, ილიას უნივერსიტეტში ეს სპეციალობა მეორადად არის მიჩნეული და სტუდენტები მხოლოდ ცალკეულ საგნებს ირჩევენ, რაც მათ სკოლამდელი დაწესებულების კვალიფიციურ პედაგოგად ვერ მოამზადებს.

იმედი გვაქვს, რომ სკოლამდელი აღზრდა ცალკე ფაკულტეტად ჩამოყალიბდება, რაც საშუალებას მოგვცემს მოვამზადოთ დაწესებულებებისთვის კვალიფიციური კადრი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. იაკობ გოგებაშვილი. „ბურჯი ეროვნებისა“ (გვ. 5-48) წიგნში რჩეული თხზულებანი ტ. II თბ. 1990 წ. – გამომცემლობა „განათლება“.
2. შ. ამონაშვილი – ურთიერთობა და აღზრდა. ჟ. სკოლა და ცხოვრება №9 1983 (გვ. 6-12)
3. მ.დოლონაძე - პედაგოგიური ხელმძღვანელობის სტილი ჟ. სკოლა და ცხოვრება №10 1974 წ. (გვ. 7-17)
4. გ. ჭანიშვილი – პირველი საბავშვო ბალები საბჭოთა საქართველოში. ჟ. სკოლამდელი აღზრდა №4 1982 წ. (გვ. 6-14).
5. ადრეული ასაკის ბავშვის აღზრდა-განვითარების შინაარსი და ორგანიზაცია ბაგა-ბალში – თბ. 2005 წ.
6. ადრეულ ასაკში სწავლისა და განვითარების სტანდარტები. თბ. 2010 წ.

ЛИЛИ МЕКВАБИШВИЛИ

ПРОБЛЕМЫ ДОШКОЛЬНОГО ВОСПИТАНИЯ И ПУТИ ИХ РЕШЕНИЯ В ГРУЗИИ

Резюме

История развития дошкольного воспитания в Грузии весьма интересна. В 60-ые годы XIX века вопрос дошкольного воспитания в нашей стране стал актуальным. Именно в этот период были открыты первые детские сады. А в XX веке сеть дошкольных учреждений была расширена.

Сегодня самая большая проблема, которая стоит перед детскими садами - это перегруженность детьми групп (40-50 детей в группе). Воспитателям это создает большую проблему. Они не могут быть партнёрами каждого ребёнка и вынуждены использовать авторитарный или либеральный стиль общения. Оба этих стиля отрицательно влияют на правильное развитие ребёнка.

Вторая проблема дошкольного воспитания это неквалифицированные педагогические кадры. Не существует педучилище им. Я. Гогебашвили. В университете ИЛИАУНИ нет факультета дошкольного воспитания: студенты по выбору слушают некоторые лекции по дошкольной педагогике, а также, не все методики, что не готовят квалифицированных специалистов для дошкольных учреждений.

Как решить эти проблемы? Первое, что надо сделать, это разгрузить группы, для чего надо построить 150 новых детских садов или же в высотных корпусах выделить первые этажи для детских садов. Кроме этого для подготовки квалифицированных кадров в университете необходимо открыть факультет дошкольного воспитания.

ILI MEKVABISHVILI

Ilia State University

**PROBLEMS OF PRESCHOOL EDUCATION IN GEORGIA AND THE WAYS OF
SOLVING THEM**

Summary

In Georgia the preschool education has an interesting history. But, today there are many problems in preschool education. There are too many children in the kindergarten (40-50 children per group). Besides, there is a problem in preparation of pedagogical staff too. At Ilia State University the Faculty of Upraising does not exist anymore. This area is considered as a minor choice. Students choose only individual subjects, which can not prepare them as a qualified teacher. The ways of solving this problem exist and it is possible and necessary to find them.

პედაგოგიკის ისტორია

მარა ახვლედიანი
ქუთაისის ა. წერეთლის სახ. უნივერსიტეტის
პროფესორი

იმარი ბასილაძე
ქუთაისის ა. წერეთლის სახ. უნივერსიტეტის
პროფესორი

მარიამ კალეჯის გამოიყენების გამოცვლის შპანის პრინციპები

გაბრიელ ეპისკოპოსის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ღირსეული შეფასება მელიტონ კელენჯერიძემ იტვირთა. რომ არა იგი – განათლებული პედაგოგი, მკვლევარი, მწერალი და მეცნიერი, ეპისკოპოსის ნამოღვაწარი წელთა სვლაში გაფერმკრთალდებოდა და, ვინ იცის, როგორი სახით გაიკვლევდა გზას მომავალ თაობათა გულამდე. მელიტონ კელენჯერიძეს უნდა ვუმადლოდეთ ეპისკოპოსის ღვაწლის წარმოჩენას ეროვნული ხასიათის, სიწმინდის, სიბრძნისა და პატიოსნების სიმბოლოდ.

მელიტონ კელენჯერიძისა და ეპისკოპოსის ასაკი 39 წლითაა ერთმანეთისგან დაშორებული. სულიერმა სიახლოვემ ერთგვარად წაშალა მათ შორის წელთა სხვაობა და თანამოაზრებად აქცია. მხოლოდ ორიოდე წელს მოღვაწეობდნენ ხანდაზმული ეპისკოპოსი და ახალგაზრდა პედაგოგი – მელიტონი ერთსადამავე ეპარქიაში, ეპისკოპოსის ძალისხმევით შექმნილი სასულიერო სემინარიის კედლებში მართავდნენ ისინი ახალგაზრდობის ქრისტიანული აღზრდის სადაცებს. ეს მცირე დრო საკმარისი აღმოჩნდა, რომ ახალგაზრდა პედაგოგს, დიდ საქმეთა შემოქმედი ეპისკოპოსის სახე ისტორიულ და ლიტერატურულ პერსონაჟად ჩამოეყალიბებია, ისტორიის კუთვნილებად ექცია სიბრძნით, სიკეთითა და სათნოებით აღსავსე ბერის წამოღვაწარი.

მელიტონ კელენჯერიძემ 1903 წელს მიაწოდა მკითხველს ბროშურა გაბრიელ ეპისკოპოსის უკანასკნელი დღეების შესახებ. ნაშრომის ყველა სტრიქონი ბერის პატივისცემით, სიყვარულითა და სინანულის გრძნობითაა გაუღენთილი. 1913 წელს კი მისივე ავტორობით და ძალისხმევით მიიღო მკითხველმა ნაშრომის „გაბრიელ ეპისკოპოსი იმერეთისა“ პირველი ტომი.

გაბრიელ ეპისკოპოსის უკანასკნელი დღეების შესახებ ნაწარმოებს ავტორი საქართველოს ბუნებისათვის უჩვეულო უამინდობის აღწერით იწყებს. შემაშფოთებელი წყალდიდობებით, გამანადგურებელი ნიაღვრებით, თოვლ-ყინვიანი და ქარიშხლიანი ამინდებით, ავადმყოფობითა და ხელმოკლებით შევინროვებულ ქუთათურებს 1896 წლის 26 იანვარს ზართა სამგლოვიარო ხმამ ამცნო გაბრიელ ეპისკოპოსის გარდაცვალების შესახებ. უამინდობის მიუხედავად მოსახლეობამ არქიელის გორად წოდებულ მაღლობს მიაშურა ... ცოცხალი აღარ იყო ქვრივ-ობლების გამკითხვი, სამშობლო ქვეყნის ლოცვად შემდგარი, ჭეშმარიტების მქადაგებელი ეპისკოპოსი იმერეთისა. მისი სხეული საუკუნოდ შორდებოდა საწუთოს. მძიმე ავადმყოფობით შეპყრობილს ვეღარაფერმა მოგვარა სიცოცხლის გაგრძელების ნიშანწყალი. გლოვობდა ქუთაისი, გლოვობდა იმერეთი და სრულიად საქართველო. ვერც ახალგაზრდა პედაგოგის მელიტონ კელენჯერიძის გულმა დაიტია მწუხარება, დიდი ქველმოქმედისა და ტანჯული ბერის უკანასკნელი დღეების გაცნობიერებას შეუდგა, შემდეგ ნამოღვაწარის სიღრმისეულ ანალიზს მიჰყო ხელი. თხოვდა, ევედრებოდა ყველას, ეთქვათ, დაენერათ ყველაფერი, რაც იცოდნენ ეპისკოპოსის ცხოვრებისა და ყოფის შესახებ, რომ პატივი და კუთვნილი დიდება არ მოჰკვებოდა ღირსეულ მამულიშვილს.

სხვადასხვა გზით, სხვადასხვა საშუალებებით მოიპოვა მან მასალა გაბრიელ ეპისკოპოსის მეუფებამდე იმერეთის ეპარქიაში არსებული მდგომარეობის შესახებ და ეპისკოპოსის უკანასკნელი დღეების აღწერამდე ის ვითარება წარმოადგინა ნაწარმოებში.

“იგი წააგავდა ისეთ მხარეს, სადაც უფროსი და უმცროსი წინამძღვლი და მიმყოლი, მაკურ-თხეველი და საკურთხი, მასწავლებელი და შაგირდი, სინდისი და უსინდისობა, სიბნელე და ნა-თელი, სარწმუნოება და ურწმუნოება ერთი მეორეში ირეოდნენ, ერთიმეორის უფლებას არ ცნობდნენ და ეკლესის მაღალი მიზანი კერძო ინტერესების ფეხქვეშ ითელებოდა ... დიდი ად-გილი ჰქონდა მექრთამეობას. ადგილის ყიდვა ფულით, პროტექციით შეიძლებოდა”¹.

ავტორის აზრით ეპარქიაში გაბრიელ ეპისკოპოსის მისვლის შემდეგ „შევიწროვდა უსინდი-სობა“. მრავლდებოდნენ სასწავლებლები. თანდათან იცვლებოდა ეკლესის უცოდინარი მსახუ-რები მცოდნე, განათლებული კადრებით. მათ შერჩევას სათავეში თვით მღვდელმთავარი ედგა.

გაბრიელის მეუფებამდე ირლვეოდა საეკლესიო ცხოვრების წესრიგი.

„იმვიათად ნახავდით იმერეთში საეკლესიო ნივთების საწყობს, სამთლის ქარხანას, წიგნთა საცავებს და არხივებს, მოწმობებს, ბილეთებს, აღსარებით სიებს, მეტრიკის წიგნებს, კლიროვის უწყებებს“². პეტერბურგში ცოდნით აღჭურვილი მაღალი განათლების მღვდელმთავარი ვერ ეგუებოდა უვიცობას, ნიჭიერი კაცის ხასიათი ვერ ითმენდა მის გვერდით უნიჭოთა და უპასუ-ხისმგებლოთა აღვირახსნილობას.

„თანდათან იმატა განათლებამ მღვდელთა შორის. უვიცი სამღვდელოება სწავლით აღჭურვილ სამღვდელოებაზე შეცვალა და ხალხს შეგნებული პირი გაუძლვანა. გაიმართა ქალების ეპარქიალუ-რი სასწავლებელი, აგერ, ჩვენს კარზე დაგვიარსა სემინარია“¹ წერს კმაყოფილი მწერალი.

გაბრიელ ეპისკოპოსის ქადაგებებით მოხიბლულია წიგნის ავტორი, მიუთითებს, რომ იგი ქა-დაგებდა სანიმუშოდ ყველა საჭირო და მტკიცნეულ საკითხზე, ამით მაგალითს აძლევდა სხვებს, როგორ უნდა აღენიშნათ საზეიმო თუ სამგლოვიარო დღესასწაულები. თვით სანიმუშო მქადა-გებელს არასოდეს გამოეპარებოდა სხვათა ქადაგებების ავი და კარგი.

„არც წირვა, არც ლოცვა, არც ნათელ–ზიარება, არც ქორწინება, არც ეკლესის კურთხევა, არც რამე უბედურება და ბედნიერება, არც ახალი წელი, არც დღესასწაული ენა მეტყველ მღვდელმთავარს არ გამოპარვია ისე, რომ ქადაგება არ ეთქვას“.²

ამიტომაც დაუტოვა შთამომავლობას ეპისკოპოსმა უამრავი ქადაგება. როგორც მისი ნა-მოღვაწარის აქტუალობის უტყუარი დადასტურება.

იგი ქადაგებდა მომნუსხველად, ყველასათვის მისაწვდომი ფორმით. რასაც ქადაგებდა, უდა-ოდ კონკრეტული მიზანდასახულებისა იყო. ეპრძოდა იგი ფარისევლობას, შურიანობას, ჭო-რებს, სიზარმაცეს, ცრუმორწმუნებას, გამფლანგველობას, უთავბოლო გლოვას, ბატონყმობის მავნე კანონებს. მისი ქადაგებები როგორც შინაარსით ასევე ფორმით უშუალოდ ხალხს ემსახუ-რებოდა ამიტომაც ხალხისაგან ითხოვდა ნაქადაგარის გატარებას ყოველდღიურ ცხოვრებაში. თვით კი მაგალითი იყო პატიოსნების, სიბრძნის, სიქველის და ჭეშმარიტების, ამიტომაც დაიჯე-რა ხალხმა მისი.

წიგნის ავტორის აზრით მღვდელმთავარი ეფერებოდა ქართულ ენას, ამაყობდა საქართვე-ლოს წარსულით, ისტორიით, შთააგონებდა ყველას დიდსა და პატარას ისტორიული ნაშთების მოვლა–პატრონობას. მყაცრი იყო სემინარიელების მიმართ, რომელთაც ქართული ენა არ იცოდნენ კარგად, მღვდლობა კი უნდოდათ. ქართულად უნდა ილოცო და სწიროთო, ასწავლიდა და მოუწოდებდა ღრმად შეესწავლათ მშობლიური ენა.

წიგნის ავტორი მწვავედ აღწერს ეპისკოპოსის უკანასკნელ დღეებს, ჯანის სისუსტეს და მეხსიერების დაქვეითებას, საბრალოდ მოთქმა–ტირილს და მოუსვენრობას.

ავადმყოფს ექიმებმა ჰაერის და ცხოვრების პირობების გამოცვლა არჩიეს. რაჭის გზაზე ჯანსუსტი ეპისკოპოსი მეტად დასუსტდა, მაგრამ ცდილობდა, არ ეღალატა მისი ჩვეულებისათ-ვის – გზადაგზა ქადაგებდა ეკლესიათა მრევლთან აკურთხებდა ეკლესია – მონასტრებს, ხვდე-ბოდა და მოძღვრავდა მოსახლეობას, დიდხანს არსად არ ჩერდებოდა, მასპინძლის შეწუხებას ერიდებოდა. ერთერთ ეკლესიაში ავადმყოფობა მოერია, ვერ იქადაგა, ატირდა. მასთან ერთად იცრემლებოდა მსმენელი მრევლი... ზოგჯერ გაითიშებოდა, რაჭის ტყეები ბორჯომისაში აერე-

ოდა, ხშირად სადღაც მიიჩეაროდა და შეკითხვაზე პასუხობდა, სემინარიის საქმეებზე მიმეჩეარებაო. რაჭაში მოგზაურობიდან დაბრუნებული ველარ გამოკეთდა და სამუდამო გამოეთხოვა წუთისოფელს.

გაბრიელ ეპისკოპოსსაც კი არ უცხოვრია მოშურნეთა გარეშე მასაც ჰყავდა დამსმენი და გამქირდავი, მაგრამ სიმართლე და პატიოსნება იცავდა მის მეუფებას ძალუმად. არც ეს მომენტი დარჩენია აღუნიშნავი მისი ცხოვრების მეხოტბე პედაგოგსა და მწერალს მელიტონ კელენჯერიძეს, ბროშურის დასასრულს იგი წერს:

„არ ვიცით ლირსეული დაფასება, წაცვლად ამისა სიცოცხლეში ხელს ვუშლით, მოსვენებას არ ვაძლევთ, კეთილ გზაზე ვეღლობებით, მტრობასა და შურს არ ვაკლებთ...¹

სწორედ ამ მოშურნეთა ასალაგმად და უაღრესად მადლიერი მრევლისა და შემდგომი თაობების საკეთილდღეოდ გადაწყვიტა მელიტონ კელენჯერიძემ სულმნათი გაბრიელის ცხოვრებისა და სანიმუშო მოღვაწეობის ვრცლად აღწერა. ამავე ბროშურის ფურცლებიდან თხოვს ქართველ მამულიშვილებს გაბრიელისეულ ფოტოსურათებს, ნივთებს, დაწვრილებით ცნობებს განსვენებული მღვდელმთავრის ოჯახის წევრების ახლობლებისა და ნათესავების შესახებ, მოსახლეობისაგან მოითხოვს შთაბეჭდილებებს გაბრიელის, როგორც სასულიერო პირის მამულიშვილისა და ეპარქიის თავკაციის მოღვაწეობის შედეგებზე, ეპისკოპოსის პირად ადამიანურ თვისებებზე, მისი ხასიათის თავისებურებებზე.

აღნიშნულ ბროშურას დიდი მოცულობის აღნიშნული კითხვარის გარდა თან ახლავს გაბრიელ ეპისკოპოსის შესახებ შესაქმნელი ვრცელი ნაწარმოების პროგრამა.

როგორც ვხედავთ, მელიტონ კელენჯერიძემ თავიდანვე დაისახა მიზნად, რაც შეიძლება ვრცლად და კონკრეტულ მასალაზე დაყრდნობით წარმოედგინა იმერეთის ეპისკოპოსის მოღვაწეობის მნიშვნელოვანი მომენტები და მამულიშვილთა ყურადღებით და ლოცვა-კურთხევით უზრუნველეყო მისი წმინდა სახელი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მ. კელენჯერიძე – „უკანასკნელი დღენი გაბრიელ ეპისკოპოსისა“, თბ. 1903 წ.
2. ო. ფანასკერტელ-ციციშვილი – კრებული თბ. 2001 წ. გვ. 21
3. მ. კელენჯერიძე, გაბრიელ ეპისკოპოსი იმერეთისა, ქუთ., 1913 წ.
4. ი. ბასილაძე, გაბრიელ ეპისკოპოსის (გერასიმე ქიქოძის) ქრისტიანული პედაგოგიკა, ქუთაისი, 2000 წ.

MAIA AKHVLEDIANI, IMERI BASILADZE

MELITON KELENJERIDZE ABOUT THE LAST DAYS OF BISHOP GABRIEL Summary

The given works describe the final period of life of the deserving patriot Bishop Gabriel overwrought from his private and public works. Based on eyewitness accounts and opinions, the brochure's author Meliton Kelenjeridze tells us a story about the last attempt of physically exhausted, but undamped for useful confessional activities, a person - Bishop Gabriel for survival – by the advice of the doctors to journey by road of Racha. In the same work, M. Kelenjeridze notes that he is intended to continue accounting and describing great patriotic works of Bishop Gabriel, and he asks readers to let him know about any available to them information, recollections or things related to the Bishop. As we can see, Meliton Kelenjeridze from the very outset was aimed, as wider as possible and based on a particular data, to present significant moments from the activities of Bishop of Imereti, and with attention of patriots and blessing to ensure his holy name.

ცოდარ ბასილაძე
საქართველოს საპატრიარქოს წმ. ტბელ აბუსერიძის
სასწ. უნივერსიტეტის პროფესორი

ილია ჭავჭავაძე – მშობლიური ენის ქომაგი

საქართველოს ოდითგანვე გარს ეხვია ურიცხვი მტერი. ვის არ ხიბლავდა და იზიდავდა მისი წარმტაცი ბუნება: ცამდე აწვდილი მთები და აქოჩილი ველ-მინდვრები, წყალუხვი მდინარეები და მქუხარე ჩანჩქერები... ბევრჯერ დამდგარა დღის წესრიგში მისი ყოფნა-არყოფნის საკითხი, მაგრამ მაინც არ ჩაუწყდა ბენვის ხიდი და გადარჩა, არ აღიგავა პირისაგან მიწისა; ზოგჯერ ერთზე ათი მოდიოდა, მაგრამ მაინც არ გავინირეთ, უფლის ნებით მაინც ვდგებოდით ფეხზე, ღვთის წყალობით მაინც ირჩეოდა აკვნები ჩვენს ოჯახებში.

მომხდურთ უფრო მეტად საქართველოს ადგილმდებარეობა აინტერესებდათ და არა მისი თვალწარმტაცი ბუნება, რადგან საქართველო წარმოადგენდა „ჩვენი ქვეყნის ფანჯარას აღმოსავლეთით და დასავლეთით“. იგი იყო და არის ევროპისა და აზის შემაერთებელი ხიდი. ოდესლაც აქ გადიოდა ე. წ. „აბრეშუმისა“ და სავაჭრო-საქარავნო გზა. კიდევ ბევრი სხვა ღირსება გააჩნდა ჩვენს ქვეყანას და ამიტომაც ვიყავით ასე „მდიდარი“ მტრით. ალბათ ამან ათქმევინა ცნობილ ავსტრიელ მწერალს, მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს — ჰუგო ჰუპერტს ეს სიტყვები:

„საქართველო რომ არა, შესაძლოა ვენაში ტაძრის ნაცვლად მეჩეთი მდგარიყო, რადგან თბილის ციტადელს ეხეთქებოდნენ საუკუნეების განმავლობაში ჯალალედინები, ჩინგის ხანები და სხვა აღმოსავლელი სულთნები და შაჰები. საქართველო იდგა როგორც ევროპის ციხესიმაგრე. საიდანაც მთელი საქართველოს მტრები სისხლისგან დაცლილი და დასუსტებულნი ვეღარ აღწევდნენ ევროპამდე“ (1: 4).

საქართველომ, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლების მიუხედავად, თავი ვერ დააღწია მუსლიმანურ გარემოცვას და იძულებული გახდა თავისი ბედი დაეკავშირებინა ერთმორწმუნე რუსეთისათვის. 1783 წელს მეფე ერეკლე მეორემ ხელი მოაწერა გეორგიევსკის ტრაქტატს, რომლიც გულისხმობდა საქართველოს რუსეთის მფარველობაში შესვლას სუვერენული უფლების შენარჩუნებით. ქართველი ხალხი იმედოვნებდა, რომ ამიერიდან ქვეყანა შვებით ამოისუნთქავდა, მაგრამ მოტყუვდა. მართალია, საქართველო გადაურჩა ოსმალეთისა და ირანის მონობას, მაგრამ ახლა რუსეთმა დაადგა მას ქედზე თავისი კოლონიური მონობის უღელი. რასაც ქართველი ხალხი ვერ ურიგდებოდა და სისტემატურად ჯანყდებოდა. მეფის რუსეთმა ჯერ იყო და ხმლით ჩააქრო კახეთისა და მთიულეთის აჯანყება, შემდეგ ციმბირს გაამწესა 1832 წლის შეთქმულების მონაწილენი და ბოლოს უფრო საშიშ და მზაკვრულ ხერხს მიმართა — იერიში მიიტანა მშობლიურ ენაზე და ამ გზით განიზრა-ხა ქართველთა სახსენებლის მთლიანად გაქრობა. ამასთან დაკავშირებით ილია ჭავჭავაძე წერდა: „ხმლიანმა მტერმა ვერ დაგვათმობინა, ვერ წაგვართვა ჩვენი მიწა-წყალი, ჩვენი ქვეყანა. ხმლიანს მტერს გავუძელით, გადავრჩით. ქვეყანა და სახელი შევინახეთ, სახსენებელი არ ამოვიკვეთეთ, შევირჩინეთ, საქოლავი არავის ავაგებინეთ. ხმლით მოსეულმა ვერა დაგვაკლო-რა — შრომით და გარჯით, ცოდნით და ხერხით მოსეული-კი თან გაგვიტანს, ფეხ-ქვეშიდამ მიწას გამოგვაცლის, სახელს გაგვიქრობს, გაგვიწყვეტს, სახსენებელი ქართველისა ამოიკვეთება, და ჩვენს მშვენიერს ქვეყანას, როგორც უპატრონო საყდარს, სხვანი დაეპატრონებიან“ (6: 176).

XIX საუკუნის მეორე წახევარში იანოვსკები, კატკოვები, ლევიცკები, რუდოლფები და „ბნელე-თის სხვა მოციქულნი“, როგორც მათ იაკობ გოგებაშვილი უწოდებდა, ყოველნაირად ცდილობდნენ სკოლიდან განედევნათ ქართული ენა, უკიდურეს შემთხვევაში, ისე შეემცირებინათ ქართული ენისა და ლიტერატურის საათები, რომ ფაქტობრივად იგი მეორეხარისხოვან საგნად ექციათ. მათი მეთაური და სულისჩამდგმელი იყო კირილე პეტრეს ძე იანოვსკი, რომელიც საქართველოს 1878 წელს მოევლინა. ამ წელს იგი კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველად დაინიშნა.

პირველ ხანებში იანოვსკის ქართველი ხალხის მოსიყვარულედ მოპქონდა თავი და ისეთ წერილებს ათავსებდა გაზეთ „კავკაზში“, რომ ილია ჭავჭავაძემ და სერგეი მესხმა მას იმედით აღსავსე წერილები უძლვნეს, მაგრამ იანოვსკის სიტყვა ერთი იყო და საქმე სხვა. შუბი ხალათში დიდხანს არ დაიმალა. კირილე პეტრეს ძემ სულ მალე გვიჩვენა თავისი ნამდვილი სახე. XIX საუკუნის 80-90-იანი წლებიდან იგი დაადგა ქართველი ხალხის სრული გარუსებისა და ქართული ენისა და კულტურის მოსპობის გზას. მალე მან შეიმუშავა 1881 წლის სასწავლო გეგმა და გამოაქვეყნა ცირკულარი, რომელთა მიხედვით ყველა ტიპის სკოლაში დაწყებითი კლასებიდანვე უნდა შემოღებულიყო რუსული ენის სწავლება, მშობლიური ენის სწავლება კი ქართულ სკოლაში გამოცხადებულ იქნა არასავალ-დებულოდ. დაწყებითი კლასების მოსწავლეებს ყველა საგანი მხოლოდ პირველ კლასში უნდა ეს-წავლათ მშობლიურ ენაზე, მეორე კლასში კი — პირველ სემესტრში მშობლიურ და მეორეში რუსულ ენაზე, ხოლო მესამე კლასში ყველა საგნის სწავლება რუსულ ენაზე უნდა წარმართულიყო და ქართული ენა ცალკე დისციპლინადაც კი არ უნდა არსებულიყო.

თავისი გეგმით იანოვსკი ეწინააღმდეგებოდა გაზეთ „Кавказ“-ში (348) ერთი წლის წინ მის მიერვე გამოქვეყნებულ სტატიას, რომელშიც იგი წერდა: „ყოველს კეთილად განწყობილს პირველდაწყებითს სკოლაში სწავლება უნდა მიდიოდეს უფრო უმეტესად დედა-ენაზედაო“ (ხაზგასმა ილიასია – 7: 217), მის გეგმაში კი, როგორც აღვნიშნეთ, ყველა დისციპლინის სწავლება მესამე წლიდან რუსულ ენაზე უნდა წარმართულიყო.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იანოვსკი მარტო არ იყო ამ ანტიეროვნულ საქმეში. მას მხარს უმშვენებდნენ ეგზარქოსი პავლე (ლებედევი), თბილისის სემინარიის რექტორი ჩუდეცკი და ცარიზმის მრავალი სხვა შავრაზმელი მოხელე. ჩვენდა სამწუხაროდ, იანოვსკის მხარდამჭერები ადგილზეც ჰყავდა, ე. წ. მედროვე მშობლების სახით, რომლებიც ფიქრობდნენ, რომ მათ შვილებს ფართო ასპარეზისათვის რუსული ენა უფრო სჭირდებოდათ, ვიდრე ქართული. ასეთებს თავიანთი შვილები ეგრეთ წოდებული „მესამე ძალის“ ზენოლის გარეშე რუსულ სკოლაში შეჰყავდათ და არ ფიქრობდნენ იმაზე, რომ უცხო ენაზე განათლებამიღებული კაცისთვის დედაენად ის ენა ხდება, რომელზეც მან განათლება მიიღო, მისი მშობლიური ენა კი თანდათან მივიწყებას ეძლევა, მითუმეტეს მაშინ, როცა ამ ენაზე ოჯახში მშობლებიც არ ლაპარაკობენ და უცხო ენის ცოდნით იწონებენ თავს. სამწუხაროდ, ასეთი მედროვეები დღესაც საკმაოზე მეტი გვყავს. ახლა საქართველოში ინგლისური ენის ბუმია და ბევრ ვაი-ქართველს შეიღი ინგლისურენოვან სკოლაში შეჰყავს, ან ისეთ სკოლაში, სადაც ინგლისური ენა პირველი კლასიდანვე ისწავლება. დღეს რომ იაკობი და ილია ცოცხალი ყოფილიყვნენ, ამას ისინი არაფრით არ დაუშვებდნენ.

1902 წელს იანოვსკი გარდაიცვალა. პეტერბურგის პედაგოგიურმა საზოგადოებამ ყოფილი წევრის პატივსაცემად კრება გამართა, სადაც აღინიშნა მისი „დიდი დამსახურება“ ერისა და ქვეყნის წინაშე. კრებაზე ვინმე ველივანოვს უთქვამს: „კავკასიაში თოთხმეტ წელიწადს ვცხოვრობდი. ამ თოთხმეტ წელიწადს ისე შევისწავლე კავკასია, როგორც ჩემი ხუთი თითი, ყოველი მხარე დავიარე, არაფერი არ დამრჩენია უნახავი და უნდა გაუწყოთ, რომ კავკასიელები არ ივიწყებენ თავიანთ ენას... მაგრამ ყველაზე სამწუხარო ის არის, რომ ქართველები ცდილობენ (დღემდე მაინც ცდილობდნენ!) მთელის კავკასიის გაქართველებას! წარმოიდგინეთ, ქართველებს უნდათ, რომ ქართული ლაპარაკი იყოს, ქართულად სწირავდნენ სამეგრელოსა და გურიაში“ (2: 6). აი, ამ ვინმე ველივანოვის ნაცოდვილარში აშკარად ჩანს ის „დანაშაული“, რაც ქართველ ხალხს მიუძღვით დამპყრობელთა წინაშე.

იანოვსკისა და მისთანების წინააღმდეგ ხმალშემართული იპრძოდა ილია ჭავჭავაძე. მან პირველმა ყველას გასაგონად განაცხადა: „ენა საღვთო რამ არის, საზოგადო საკუთრებაა, მაგას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს“ (4: 25). ილიას კარგად ესმოდა დიდი რუსი პედაგოგის კ. დ. უშინსკის სიტყვების აზრი, რომ „სანამ ცოცხლობს ხალხის ენა ხალხის ბაგეზე, მანამ ცოცხლობს თვით ხალხიც... წაართვით ხალხს ყველაფერი და მას შეუძლია კვლავ დაიბრუნოს იგი; მაგრამ წაართვით ხალხს ენა და ის ვერასდროს ვეღარ შექმნის მას; ხალხს შეუძლია თვით ახალი სამშობლოს

შექმნა, მაგრამ ენისა კი — არასოდეს: მოკვდა ენა ხალხის პაგეზე და მოკვდა თვით ხალხიც“ (3: 150).

ილიას აზრით, „არსებითი ნიშანი ეროვნობისა, მისი სული და გული ენაა“; იგი არის ერის სული-ერი ცხოვრების მატიანე, ის დედაძარღვი, რითაც ადამიანი თავის ერს უკავშირდება. უდედაენოდ არ არსებობს ეროვნული თვითმყოფადობა, ეროვნული კულტურა, ეროვნული აზროვნება და თვითშეგნება; ენაშია ხალხის ხსოვნა, მისი ისტორია, მისი აწმყოცა და მომავალიც. ერის დაცემა კი მაშინ იწყება, გვასწავლის ილია, „როცა თავდება წარსულის ხსოვნა“. ეს ჭეშმარიტება კარგად იცოდნენ იმათ, ვისაც პატარა ერების მოსპობა სურდა. ამიტომ იწყეს სკოლაში ეროვნული ისტორიისა და კულტურის შესწავლისათვის განკუთვნილი საათების თანდათანობითი შემცირება და ბოლოს თითქმის ნულამდე დაიყვანეს. ამ ფაქტის წინააღმდეგ ერთ-ერთმა პირველმა ილია ჭავჭავაძემ აიმაღლა ხმა. იგი იაკობ გოგებაშვილთან, აკაკი წერეთელთან, ნიკო ნიკოლაძესა და სხვა სამოციანელთან ერთად თავგამოდებით იბრძოდა მშობლიური ენის დასაცავად. დედაენაზე სწავლებას დიდი მგოსანი „ჭირთა ამხსნელ სახსარს“, „კეთილდღეობის მომფენ საშუალებას“ უწოდებდა. „ჩვენ რომ ეგრე დაუინებით და უკან-დაუხევლად ვთხოულობთ დედა-ენისათვის სრულს და დაუბრკოლებელს გზას სასწავლებელში, — წერს იგი, — ეგ, მარტო დედა-ენის სიყვარულით არ მოგვდის. ვთხოულობთ და ვნატრულობთ იმიტომაც, რომ უდედა-ენოდ გონების გახსნა ბავშისა ყოვლად შეუძლებელია. მაშინ სკოლა გონების გახსნის სახსარი-კი არ არის, გონების დაჩაგვრისაა, გონების დახშვისაა, დათრგუნვისაა, გათახსირებისაა, — და განა ეს სასურველია ვისთვისმე?“ (6: 195).

თავისი აზრის გასამტკიცებლად ილია ჭავჭავაძე ხშირად იშველიებს გამოჩენილი პედაგოგების ი. ა. კომენსკის, ჰ. პესტალოცის, ა. დისტერვეგის, კ. დ. უშინსკისა და სხვათა მოსაზრებებს, ზოგჯერ კი პედაგოგის მეცნიერებასაც მიმართავს. იგი წერს: „პედაგოგის ძირეული კანონი... ამბობს, რომ თუ ცნობიერად და გაებით უნდათ ბავშმა რამე ისწავლოსო, ჯერ თავისი (ენა - ნ. ბ.) კარგად უნდა შეისწავლოსო, რომ მერე სხვისას შეუდგესო“ (6: 199). ამ საქმეში შუამავლის როლი მშობლიურმა ენამ უნდა შეასრულოს. ამიტომ ყოველი ეროვნების ბავშვი თავის დედაენაზე უნდა იწყებდეს როგორც მეტყველებას, ისე სწავლას. ამასთან, დედაენა ყველამ კარგად უნდა შეისწავლოს, რადგან მისი ჭეშმარიტი ცოდნა აადვილებს მშობლიურ ენაზე სხვა საგნის შესწავლას.

1876 წელს გორში გაიხსნა საოსტატო (სამასწავლებლო) სემინარია, ანუ ილიას სიტყვებით რომ ვთქვათ, „იმისთანა სასწავლებელი, რომელმაც უნდა მოამზადოს ოსტატები, მასწავლებელი ჩვენის სახალხო სასწავლებელთათვის. რასაკვირველია, თქვენ იფიქრებთ, რომ აქ ქართულს ენას პირველი ადგილი ეჭირება სხვათა შორის, მაგრამ ეგ ეგრე არ არის“ (6: 229).

სემინარიის დირექციას ქართული ენა ამოულია სასწავლო გეგმიდან, მაშინ როცა სემინარიის 50 მოსწავლიდან 31 ქართველი ყოფილა. თავისი მზაკვრული ჩანაფიქრის გამართლების მიზნით სემინარიის ხელმძღვანელობას იმერლები, გურულები, ფშავლები და საქართველოს სხვა კუთხის შვილები ქართველებად არ ჩაუთვლია, რითაც 31 ქართველი მოსწავლიდან მხოლოდ 13 უცვნია ქართველად. ამაზე აღშფოთებული ილია ჭავჭავაძე 1877 წელს თავის ყოველკვირეულ გაზეთ „ივერიაში“ ათავსებს სატირულ წერილს: „ვიცინოთ თუ ვიტიროთ?“, რომელშიც იგი ირონიულად შენიშნავს: „დირექტორს... უფიქრია, „მართლა ქართველი რომ ქართველად დარჩესო, ხომ მკითხავენ, ოც-და-თერთმეტი ქართველი მოწაფე გყავს და რატომ ქართულს არ ასწავლიო; თავი რად ავიტკივოო. ის არა სჯობია, ვსთქვა, რომ ქართველი ქართველი არ არისო“. ძალიან კარგადაც მოუგონია, სახელი და დიდება მომგონებელს... მაგრამ ჩვენ ამაზედ უნდა ვიცინოთ, თუ ვიტიროთ?“ — კითხულობს ილია (6: 230).

ამავე სემინარიასთან არსებულა მოსამზადებელი განყოფილება (პროსემინარია), რომელიც ქართველებისათვის ყოფილა განკუთვნილი, მაგრამ მის მეორე კლასში ქართულს საერთოდ არ ასწავლიდნენ: „შესაძლებელია, — წერს ილია, — რომ გორის სემინარიის გამგეობას ქართულის ენისათვის დრო არა ჰქონდეს, რადგანაც გვარ-ტომობის გამოკვლევას ეგრე წარჩინებულად შესდგომია თავის-და სასახელოდ და იმ გამოკვლევაშია გართული. ჩვენ აქ არა გვეთქმის-რა, მაგრამ ქარ-

თულს სასწავლებელში რომ ქართულს არ ასწავლიდნენ — ეს მაინც-და-მაინც დაუჯერებელია. ჩვენ მარტო ამას კითხულობთ: ამაზედ ვიცინოთ, თუ ვიტიროთ?“ (6: 230).

მართალია, პროსემინარიის პირველ განყოფილებაში (კლასში), სადაც მასწავლებლად მუშაობდა ვინმე ნათიევი, რუსულის პარალელურად ქართულიც ისწავლებოდა, მაგრამ ნათიევი მოსწავლებს ქართულ სიტყვებს რუსულად აწერინებდა თურმე, რისთვისაც მას „ჩევნის ხმების გამოსახატავად“ შემოულია თხუთმეტამდე ისეთი ნიშანი (ასო), რომელიც „რუსულს ანბანს აკლია“. ყველაფერ ამაზე დიდი ილია ირონიულად მიმართავს ბავშვებს: „ვაი, თქვენი ბრალი, საწყალო ბავშვები! არ გეყოფათ განა ამდენი ანბანები, რომ „ნათიაური“ ანბანიც, თქვენდა საუბედუროდ, არ გამოჩენილიყო?! ჩვენ ამაზედ უნდა ვიცინოთ, თუ ვიტიროთ?“ (6: 232), — სვამს კითხვას ავტორი და იქვე ამატებს: „მეცხრამეტე საუკუნეში, ესე აშკარად სამასხაროდ საქმე გამხდარა სადმე?“

იღიას კრიტიკამ სასურველი შედეგი გამოიღო: გორის საოსტატო სემინარიის დირექტორი ს. დივარი 1878 წლის ივლისში გაათავისუფლეს თანამდებობიდან და მის ნაცვლად დანიშნეს პროგრესულად მოაზროვნე პედაგოგი დიმიტრი სემიონოვი, რომელმაც 1879 წლის სექტემბრიდან სემინარიაში შემოიღო ქართული ენის სწავლება და პირველ მასწავლებლად მოიწვია პეტერბურგის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, ქართული ენის სახელმძღვანელოს ავტორი არისტო ქუთათელაძე, 1881 წლიდან კი — მიხეილ ყიფანი, ხოლო 1883 წლიდან 1915 წლამდე (გარდაცვალებამდე) გორის საოსტატო სემინარიაში ქართულ ენას ასწავლიდა ცნობილი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ნიკო ლომოური.

დაწყებით კლასებში ყველა საგნის მშობლიურ ენაზე სწავლების მოთხოვნით იღია რუსული ენის წინააღმდეგ კი არ ილაშქრებდა, არამედ ემყარებოდა მეცნიერულად დასაბუთებულ ჭეშმარიტებას და საჭიროდ მიიჩნევდა მის შესწავლას დაწყებითი სკოლის შემდეგ, როცა ბავშვი მშობლიურ ენაში წელგამართული იქნებოდა. „ბავშვმა თავდაპირველად თავის დედა-ენაზედ უნდა გაიხსნას გონება და უცხო ენის სწავლას მხოლოდ მაშინ მიჰყოს ხელი, — წერდა იგი, — როცა თავის დედა-ენაზედ საკმაოდ განვრთნილი იქნება“ (4: 209). თუ ამას არ გავითვალისწინებთ და ერთდროულად დავაწყებინებთ ორივე ენის შესწავლას, მაშინ ბავშვი ამაოდ დაშვრება და ვერც ერთს შეისწავლის და ვერც მეორეს. ამიტომაც იყო, რომ იღია გადაჭრით ილაშქრებდა იანოვსკის გეგმის წინააღმდეგ, რომლის მიხედვით დაწყებით სკოლაში (სამწლიანი კურსით) რუსული ენა, როგორც სასწავლო საგანი, პირველი კლასიდან უნდა შემოეღოთ, მესამე კლასიდან კი ყველა საგანი რუსულად უნდა ეს-წავლებინათ. „ნუთუ დედა-ენაში ჯერ კარგათ არ განრუთნულს და გავარჯიშებულს ბავშს ისე ეცოდინება სამს წელიწადში თავისი დედა-ენა და რუსულიცა, — წერს ილია, — რომ ან ერთი იქნას ნამდვილ ცოდნად და ან მეორე? ნუთუ ეს ნამდვილი და გამოსაყენებელი ცოდნა იქნება და არა გაზეპირება?“ (6: 199-200).

იღიამ ძალზე კარგად იცოდა იანოვსკის მოთხოვნის მიზეზი და როცა მისი გადარწმუნება ვერ შეძლო, სხვა ხერხს მიმართა — მოითხოვა დაწყებითი სკოლის კურსის სამი წლიდან ექვს წლამდე გაზრდა, სადაც პირველ სამ წელს, სწავლება უნდა წარმართულიყო მშობლიურ (ქართულ) ენაზე და ამით სკოლას თავისი პირდაპირი მოვალეობა უნდა შეესრულებინა, ხოლო მეორე სამ წელს, სხვა საგნებთან ერთად, რუსულიც უნდა შეესწავლათ, მაგრამ იანოვსკის ამის გაგონება არ სურდა. მაშინ იღიამ სცადა დაერწმუნებინა იგი, რომ მშობლიური ენის საფუძვლიანად ცოდნა რუსული ენის შესწავლის საწინდარიაო, მაგრამ არც ეს უდაო ჭეშმარიტება იქნა იანოვსკის მიერ მიღებული, რადგან მისთვის არსებობდა მხოლოდ ერთი მიზანი — ქართული ენის განდევნა როგორც სახელმწიფო დაწესებულებებიდან, ისე სკოლებიდან.

მშობლიურ ენაზე განათლების მიღებას რომ მოითხოვდა, დიდი იღია რუსული ენის შესწავლის წინააღმდეგ როდი გამოდიოდა. პირიქით, იგი მოუწოდებდა ქართველ ახალგაზრდებს, მშობლიურ ენასთან ერთად, საფუძვლიანად შეესწავლათ უცხოური ენები, განსაკუთრებით კი რუსული ენა, რომელსაც თავად ბრწყინვალედ ფლობდა. რუსულ ენას იგი „გონების საზრდოს“ უწოდებდა.

ილია ჭავჭავაძემ კარგად იცოდა, რომ ენა არის ადამიანთა შორის ურთიერთობის საშუალება. უცხო ენაზე სწავლება ადამიანში ახშობს სიტყვისა და აზრის სრულყოფილად გამოთქმის შესაძლებლობას, რადგან კაცი უცხო ენას ისე ვერ დაეუფლება, ისე ვერ გაითავისებს, რომ ამ ენაზე შეძლოს სრულყოფილად აზროვნება. მისი აზრით, უცხო ენას კაცი ისე მოირგებს, როგორც „სხვის ტანზედ შეერილ ტანისამოსა“: „ამიტომაც იყო, რომ ერთ-ერთ თავის წერილში იგი გულისტყვილით წერდა: „ცოცხალი ლაპარაკი, ის დარბაისლური ქართული საუბარი, ის საამური ქართული სიტყვის მიხვრა-მოხვრა, ის სიმდიდრე ქართული სიტყვიერებისა აღარ ისმის, აღარ არის. გადაგვავიწყდა ყოველივე, რაც ენის შვენებას შეადგენს, რადგანაც ჩვენი აზრი ჩვენის ენით აღარ მოძრაობს, ჩვენი გული ჩვენის ენით აღარ თბება“ (7: 176).

როცა ილია ამ სიტყვებს ამბობდა, მას მხედველობაში ჰყავდა ისინი, ვისაც ვერ შეეგნო მშობლიური ენის ლირსება და უცხო ენაზე „ჭიკჭიკებდა“. დიდი მწერლის სიტყვებით, ასე იქცეოდა „ჩვენი ეგრედ-წოდებული მაღალი საზოგადოება, ნამეტნავად ქალაქში“, რომელიც ყველაზე მეტად გაჰკიოდა ქართველი ერის სიყვარულსა და სამშობლოსათვის ნამებულ რაინდებზე. სწორედ ასეთებში ხედავდა მეფის რუსეთი საიმედო დასაყრდენს თავისი კოლონიური პოლიტიკის გატარებისა და ქართული ენის გაუქმების საქმეში.

ილია გაბედულად იცავდა მშობლიურ ენას არა მარტო ცარიზმის რუსი მოხელეების მიერ აბუ-ჩად აგდებისაგან, არამედ არავის ინდობდა, ვინც კი უდიერად ექცეოდა ქართულ ენას. ამიტომაც იყო, რომ მან 1861 წელს უურნალ „ცისკარში“ გამოაქვეყნა წერილი „ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის მიერ კაზლოვის „შეშლილი“-ს თარგმანზედა“. მასში ახალგაზრდა პოეტმა მკაცრად გააკრიტიკა ძველი თაობის ნარმომადგენელი რევაზ ერისთავი იმის გამო, რომ მან უხეოროდ თარგმნა კოზლოვის ისედაც უსუსური პოემა „შეშლილი“. ილია აღშფოთებულია იმით, რომ რ. ერისთავმა თავისი თარგმანით შეურაცხყო ის ენა, რომელზედაც დაიწერა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, ალ. ჭავჭავაძის, გრ. ორბელიანის, ნ. ბარათაშვილისა და სხვათა ლექსები. „გვიკვირს, — წერს იგი, — კაცმა როგორ უნდა გამოიმეტოს თავის დედ-მამის ენა ისე, როგორც თავად ერისთავს გამოუმეტნია!.. რომ არა გვყვანდნენ რუსთაველი, ალ. ჭავჭავაძე, ნიკოლოზ ბარათაშვილი, გრიგოლ ორბელიანი, კიდევ ჰო, რომ გვყვანან, რატომ არა ვსწავლობთ იმათ მშვენიერს ლექსებში მშვენიერს ენას?“ (5: 15).

ამავე წერილში დიდი ილია ჩააგონებს საზოგადოებას: „სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა და სარწმუნოება. თუ ამათაც არ ვუპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავსცემთ შთამომავლობას? სხვისა არ ვიცით და ჩვენ-კი მშობელ მამასაც არ დავუთმობდით ჩვენ მშობლიურ ენის მინასთან გასწორებას“ (5: 25).

ი. ჭავჭავაძის აღნიმნულმა სტატიამ ააფორიაქა და ფეხზე დააყენა მთელი იმდროინდელი საქართველო. ვისაც წერა ემარჯვებოდა, თითქმის ყველამ გამოთქვა თავისი აზრი ამ წერილის შესახებ. ზოგი მას იწონებდა, ზოგი კი მკაცრად აკრიტიკებდა. ილიას საპასუხო წერილები გამოაქვეყნეს „მამათა“ მხრიდან: გიორგი ბარათაშვილმა, პარპარე ჯორჯაძემ, სარდონ ალექსი-მესხიშვილმა, ექვთიმე წერეთელმა, გენ. გიორგი ერისთავმა და სხვებმა, ილია ჭავჭავაძეს კი მხარი დაუჭირეს: აკაკი წერეთელმა, ნიკო ნიკოლაძემ, გიორგი წერეთელმა, სერგეი მესხმა, კირილე ლორთქიფანიძემ და ახალი თაობის სხვა ნარმომადგენელებმა. გაკრიტიკებული რევაზ ერისთავი კი თავს იმით იმართლებდა, რომ კოზლოვის პოემა დიდი ხნის წინ ვთარგმნეო. ბოლოს იგი ილიას მისამართით წერდა: „მამული, სარწმონოება და ენაო“, — მეოთხეს — ჩვენი წინაპრების ნაანდერძევ ზრდილობას კი ივიწყებსო. ზრდილობაზე ერისთავი იმიტომაც ამახვილებს ყურადღებას, რომ იმ დროს ილია მხოლოდ 24 წლის იყო და უფრო მეტი მორიდება გმართებს უფროსებისადმიო, — ჩააგონებდა რევაზ ერისთავი მომავალ დიდ მწერალს.

ილიას ენა მიაჩნდა ეროვნების არსებით ნიშნად, ერის უმთავრეს ძარღვად, ეროვნული ცნობიერების განმტკიცების ძირითად საშუალებად. ამ დებულებას იგი მრავალგზის იმეორებდა. ენა და

ერი მჭიდრო კავშირში არიან ერთმანეთთან. ენის ამაღლება ერის ამაღლებას ნიშნავს, ენის დაცემა კი ერის დამდაბლებაა, ერის კულტურის დაცემაა.

ილია ჭავჭავაძემ, სხვებთან ერთად, კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა ივანე ჯაბადარი, რომელმაც უურნალ „სევერნი ვესტნიკის“ 1889 წლის თებერვლისა და მარტის ნომრებში H. D.-ს ფსევდონი-მით გამოაქვეყნა წერილების სერია საერთო სათაურით «Письма о Грузии». თავის წერილებში იგი ყოველგვარი მეცნიერული დასაბუთების გარეშე ეჭვქვეშ აყენებდა ქართველი ხალხის მომავალს და ამცირებდა ქართულ ენას. ილია ცნობილი ენათმეცნიერების — უსლარის, შრიოდერისა და სხვა-თა მოსაზრებების მოშველიებით აღნიშნავს, რომ „...ჩვენს ენას ბევრი ისეთი განსაკუთრებული თვი-სება აქვს, რომელსაც ბევრი სხვა, უფრო წარმატებულად მიჩნეული ენები შენატრიანო“ (6: 75).

როგორც დავინახეთ, თავისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის მეტად რთული პერიოდის მიუხედავად, ი. ჭავჭავაძემ ვაჟკაცურად გადალახა ყოველგვარი დაბრკოლება და მთელი ნახევარი საუკუნის მანძილზე ღირსეულად ატარა ჭეშმარიტი მამულიშვილის სახელი და ეროვნული დროშა, რომელიც მას ერმა გადასცა, როგორც თავის სულიერ მამასა და წინამდლოლს, რაც დიდ ილიას მუდამ შემართული ჰქონდა და არასდროს დაუხრია დაბლა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 2016 წლის 7 მაისი, 84.
2. გრიგალაშვილი ნ., ისტორიის გზაჯვარედინი, გაზ. „სოფლის ცხოვრება“, 1990, 27 იანვარი.
3. უშინესი კ.დ. რჩ. პედ. თხზ., თბ., 1974.
4. ჭავჭავაძე ი., პედაგოგიური თხზულებანი (შემდგენელი პროფ. გ. თავზიშვილი), თბ., სახელ-გამი, 1938.
5. ჭავჭავაძე ი., რჩეული ნაწერები ხუთ ტომად, ტ. III, თბ., 1986.
6. ჭავჭავაძე ი., რჩეული ნაწერები ხუთ ტომად, ტ. IV, თბ., 1987.
7. ჭავჭავაძე ი., რჩეული ნაწერები ხუთ ტომად, ტ. V, თბ., 1987.

NODAR BASILADZE

ILIA CHAVCHAVADZE – GEORGIAN LANGUAGE FAN Summary

In the second half of the nineteenth century the teaching of the schools of Georgia was almost entirely inaccurate in Russian. Ilia Chavchavadze, along with other Georgian educators, was struggling to teach his own language. In his opinion, the child should first have a primary education in native language, and when he is able to learn his native language, he must start studying a foreign language and the role of mediator must be fulfilled by the mother language.

НОДАР БАСИЛАДЗЕ

ИЛЬЯ ЧАВЧАВАДЗЕ — ПОКРОВИТЕЛЬ ГРУЗИНСКОГО ЯЗЫКА Резюме

Во второй половине XIX века почти во всех грузинских школах обучение велось на русском, непонятном для детей языке. Илья Чавчavadze и другие грузинские просветители упорно боролись за обучение на родном языке. По мнению И. Чавчavadзе, первоначальное образование ребенок должен получать на родном языке, а после его овладения можно приступать к изучению иностранного языка. Роль посредника в этом должен сыграть родной язык.

საგანთა სწავლების მათოდივა

გიორგი გერძულიშვილი

ქუთაისის ა. წერეთლის სახ. უნივერსიტეტის
პროფესორი

ფუნქციების დაკავშირებული საოლიმპიადო ამოცანების ამოხსნის ზოგიერთი სპეციალური ხერხი

სასკოლო მათემატიკის კურსში შეისწავლება ანალიზური ფორმით ჩანსერილი ფუნქციები და ხდება ფუნქციის თვისებების დადგენა. ჩვენი ინტერესის სფეროს განეკუთვნება ისეთი ამოცანების განხილვა, როცა მოცემულია ფუნქციის ზოგიერთი თვისება და ამ თვისებებზე დაყრდნობით უნდა აღვადგინოთ ფუნქცია – ვიპოვოთ მისი ანალიზური ჩანსერი. ფუნქციის ზოგიერთი თვისების საშუალებით ფუნქციათა აღდგენის ამოცანები საოლიმპიადო ამოცანების კატეგორიას განეკუთვნება და არ არსებობს მათი ამოხსნის ზოგადი აღგორითმი. ასეთ ამოცანებში ზოგადად საძიებელია $f(x)$ -ის ანალიზური გამოსახულება. იმ პერიოდში, როცა სკოლაში შეისწავლებოდა ფუნქციის ნარმოებული და ინტეგრალი, მაშინ მოსწავლეები ამ სახის ზოგადი ამოცანის-ფუნქციის ზოგიერთი მოცემული თვისებებით ფუნქციის აღდგენის არსში ცოტად თუ ბევრად გარკვეული იყვნენ, ახლა როცა დიფერენციალური აღრიცხვის ელემენტები სკოლაში აღარ შეისწავლება, მასწავლებელს უფრო მეტი მუშაობა უხდება მოსწავლეები გაარკვიოს დასმული შებრუნებული ამოცანის არსში, მაგრამ მისასალმებელია ის ფაქტი, რომ შემდგომში მოსწავლეები აღნიშნული სახის ამოცანების ამოხსნის მიმართ განსაკუთრებულ დაინტერესებას იჩენენ.

აღნიშნული ტიპის ამოცანების ამოხსნის მეთოდური მიდგომები ნაკლებად დამუშავებულია და ასეთი სახის კონკრეტული ამოცანების რაოდენობაც არც თუ ისე დიდია, ამიტომ ინტერეს-მოკლებული არ იქნება ასეთი სახის სხვადასხვა ტიპის ამოცანების განხილვა მეთოდური რეკომენდაციებით და მითითებებით. განხილული გვაქვს ზოგიერთი მიმდევრობა და მათემატიკური ოპერაციის სახე, როცა რიცხვებს შორის რაღაც წესით ხდება შესაბამისობის დადგენა. ასეთი ამოცანებიც ფუნქციებთან არის დაკავშირებული.

ამოცანა 1. იპოვეთ ყველა $f(x)$ ფუნქცია, რომელიც განსაზღვრულია ყველა x რიცხვზე და აკმაყოფილებს განტოლებას

$$2f(x) + f(1-x) = x^2.$$

მოცემულ განტოლებაში x -ის ნაცვლად ჩავსვათ $1-x$. მივიღებთ სისტემას:

$$\begin{cases} 2f(x) + f(1-x) = x^2, \\ f(x) + 2f(1-x) - (1-x)^2, \end{cases} \Rightarrow \begin{cases} 4f(x) + 2f(1-x) = 2x^2, \\ f(x) + 2f(1-x) - (1-x)^2, \end{cases}$$

საიდანაც;

$$3f(x) = 2x^2 - (1-x)^2 \Rightarrow f(x) = \frac{1}{3}(x^2 + 2x - 1).$$

შემოწმებით დავადგენთ, რომ მიღებული ფუნქცია აკმაყოფილებს ამოცანის პირობებს.

ამოცანა 2. f რიცხვითი ფუნქცია ისეთია, რომ ნებისმიერი x და y რიცხვებისათვის სრულდება ტოლობა

$$f(x+y) = f(x) + f(y) + 80xy.$$

იპოვეთ $f(1)$, თუ $f(0,25) = 2$.

რადგან მოცემული გვაქვს $f(0,25)$ და უნდა ვიპოვოთ $f(1)$, ამიტომ ეს გვიბიძგებს იმისკენ, რომ უშუალო გადასვლა $f(0,25)$ -დან $f(1)$ -ზე არ განხორციელდება. რადგან

$$1 = 0,5 + 0,5,$$

ხოლო თავის მხრივ

$$0,5 = 0,25 + 0,25,$$

ამიტომ ორჯერ დაგვჭირდება მოცემული ფორმულის გამოყენება. ჯერ გამოვთვალოთ $f(0,5)$.

გვაქვს:

$$f(0,5) = f(0,25 + 0,25) = f(0,25) + f(0,25) + 80 \cdot 0,25 \cdot 0,25 = 9.$$

გამოვიყენოთ მიღებული შედეგი და ანალოგიურად ვიპოვოთ $f(1)$, გვაქვს:

$$f(1) = f(0,5 + 0,5) = f(0,5) + f(0,5) + 80 \cdot 0,5 \cdot 0,5 = 9 + 9 + 20 = 38.$$

ამოცანა 3. $f(x)$ ფუნქცია ნებისმიერი $x \in R$ მნიშვნელობისათვის აკმაყოფილებს ტოლობას

$$f(x) + \left(x + \frac{1}{2} \right) \cdot f\left(1-x\right) = 1.$$

იპოვეთ ყველა ასეთი $f(x)$ ფუნქცია.

ჩავწეროთ მოცემული განტოლება, როცა $x = \frac{1}{2} + t$ და $x = \frac{1}{2} - t$. გვაქვს:

$$\begin{cases} f\left(\frac{1}{2}-t\right) + (1-t) \cdot f\left(\frac{1}{2}+t\right) = 1, \\ f\left(\frac{1}{2}+t\right) + (1+t) \cdot f\left(\frac{1}{2}-t\right) = 1. \end{cases}$$

როცა, $t \neq 0$ მაშინ ამ სისტემას აქვს ერთადერთი ამონახსნი

$$f\left(\frac{1}{2}+t\right) = -\frac{1}{t}, \quad f\left(\frac{1}{2}-t\right) = \frac{1}{t}.$$

ცხადია, ყველა ასეთი $f(x)$ ფუნქციისათვის, როცა $x \neq \frac{1}{2}$, შესრულებულია ტოლობა:

$$f(x) = \frac{2}{1-2x}.$$

დავწეროთ მოცემული ტოლობა, როცა $x = \frac{1}{2}$. გვაქვს:

$$f\left(\frac{1}{2}\right) + \left(\frac{1}{2} + \frac{1}{2}\right) \cdot f\left(\frac{1}{2}\right) = 1,$$

ანუ,

$$f\left(\frac{1}{2}\right) = \frac{1}{2}.$$

უშუალო ჩასმის გამოყენებით შეგვიძლია შევამოწმოთ, რომ ნაპოვნი ფუნქცია საძიებელია.

ე.ი. არსებობს მხოლოდ ერთი $f(x)$ ფუნქცია, ისეთი რომ, $f(x) = \frac{2}{1-2x}$, როცა $x \neq \frac{1}{2}$ და

$$f\left(\frac{1}{2}\right) = \frac{1}{2}.$$

ამოცანა 4. იპოვეთ ყველა ისეთი $f(x)$ ფუნქცია, ისეთი რომ

$$f(2x+1) = 4x^2 + 14x + 7.$$

ვთქვათ, $t = 2x+1$, მაშინ $x = \frac{1}{2}(t-1)$. ცხადია,

$$f(t) = (t-1)^2 + 7(t-1) + 7 = t^2 + 5t + 1.$$

ე.ი. საძიებელ ფუნქციას აქვს სახე:

$$f(x) = x^2 + 5x + 1.$$

ამოცანა 5. ყოველ x და y რიცხვთა წყვილს რაღაც წესით შეესაბამება რაიმე $x \otimes y$ რიცხვი. იპოვეთ $2018 \otimes 1970$, თუ ცნობილია, რომ ნებისმიერი სამი x, y, z რიცხვებისათვის სამართლიანია იგივეობები:

$$1. x \otimes x = 0;$$

$$2. x(y \otimes z) = (x \otimes y) + z.$$

თუ გამოვიყენებთ მეორე იგივეობას, პირველი იგივეობა შეგვიძლია გადავწეროთ ასე:

$$x = x \otimes x + x = x \otimes (x \otimes x) = x \otimes 0 = x \otimes (y \otimes y) = x \otimes y + y. \text{ანუ,}$$

$$x \otimes y = x - y.$$

ამიტომ,

$$2018 \otimes 1970 = 2018 - 1970 = 48.$$

ამოცანა 6. იპოვეთ $f(x)$ ფუნქცია, თუ შესრულებულია პირობა

$$f(3x-2) + 3f(2-3x) = 6x$$

მოვახდინოთ აღნიშვნა: $3x-2 = t$, საიდანაც $x = \frac{t+2}{3}$. გვაქვს:

$$f(t) + 3f(-t) = 2t + 4.$$

ამ ტოლობაში t შევცვალოთ $-t$ -თი, მივიღებთ სისტემას:

$$\begin{cases} f(t) + 3f(-t) = 2t + 4 \\ 3f(t) + f(-t) = -2t + 4 \end{cases}$$

საიდანაც,

$$f(t) = -t + 1.$$

ე.ი. საძიებელი ფუნქციაა $f(x) = -x + 1$.

მოვახდინოთ შემოწმება. გვაქვს:

$$f(3x-2) = -(3x-2) + 1 = -3x + 2 + 1 = -3x + 3,$$

$$f(2-3x) = -(2-3x) + 1 = 3x - 1,$$

მიღებული გამოსახულებების ჩასმით მოცემულ განტოლებაში მივიღებთ:

$$f(3x-2) + 3f(2-3x) = -3x + 3 + 3(3x-1) = -3x + 3 + 9x - 3 = 6x.$$

მასასადამე, დაკმაყოფილებულია ამოცანის პირობა და მიღებული ფუნქცია საძიებელია.

ამოცანა 7. იპოვეთ $f(x)$ ფუნქცია, თუ ცნობილია, რომ ნებისმიერი $x \neq 0$ -თვის შესრულებულია პირობა

$$(x+1)f(x) + f\left(\frac{2}{x}\right) = 2, \quad f(0) = 2.$$

მოვახდინოთ შეცვლა. $\frac{x}{2}$ შეცვალოთ x -ით. გვექნება:

$$\begin{aligned} \begin{cases} (x+1)f(x) + f\left(\frac{2}{x}\right) = 2, \\ \left(\frac{2}{x}+1\right)f\left(\frac{2}{x}\right) + f(x) = 2. \end{cases} &\Leftrightarrow \begin{cases} (x+1)f(x) + f\left(\frac{2}{x}\right) = 2, \\ f(x) + \frac{x+2}{x}f\left(\frac{2}{x}\right) = 2. \end{cases} \Leftrightarrow \begin{cases} -\frac{(x+2)(x+1)}{x}f(x) - \frac{x+2}{x}f\left(\frac{2}{x}\right) = -\frac{2(x+2)}{x}, \\ f(x) + \frac{x+2}{x}f\left(\frac{2}{x}\right) = 2. \end{cases} \Leftrightarrow \\ &\Leftrightarrow \left[1 - \frac{(x+2)(x+1)}{x}\right]f(x) = 2 - \frac{2(x+2)}{x} \Leftrightarrow f(x) = \frac{4}{x^2 + 2x + 2}. \end{aligned}$$

მარტივად დავრწმუნდებით, რომ ნაპოვნი ფუნქცია საძიებელია.

ამოცანა 8. იპოვეთ $f(x)$ ფუნქცია, თუ ის განსაზღვრულია x არგუმენტის ნატურალური მნიშვნელობებისთვის და აკმაყოფილებს პირობას:

$$f(x) = f(x-1) + a, \quad f(1) = 1.$$

რადგან $f(1) = 1$ და ფუნქცია განსაზღვრულია x არგუმენტის ნატურალური მნიშვნელობებისთვის, გვაქვს:

$$f(1) = 1;$$

$$f(2) = f(1) + a = 1 + a;$$

$$f(3) = f(2) + a = 1 + 2a;$$

$$f(4) = f(3) + a = 1 + 3a;$$

.....

$$f(n) = f(n-1) + a = 1 + (n-1)a,$$

საბოლოოდ დავასკვნით, რომ საძიებელი ფუნქციაა

$$f(x) = 1 + (x-1)a, \text{ ანუ } f(x) = ax + (1-a).$$

მიღებული მიმდევრობა გამოსახავს ნატურალურ რიცხვთა სიმრავლეზე განსაზღვრულ არით-მეტიცულ პროგრესიას, რომლის პირველი წევრია 1 და სხვაობა a -ს ტოლია.

ამოცანა 9. იპოვეთ $f(x)$ ფუნქცია, თუ ის განსაზღვრულია x არგუმენტის ნატურალური მნიშვნელობებისთვის და აკმაყოფილებს პირობას:

$$f(x) = a \cdot f(x-1), \quad f(1) = 1, \quad a \neq 0, \quad a \neq 1.$$

რადგან $f(1) = 1$ და ფუნქცია განსაზღვრულია x არგუმენტის ნატურალური მნიშვნელობებისთვის, გვაქვს:

$$f(1) = 1;$$

$$f(2) = a \cdot f(1) = a;$$

$$f(3) = a \cdot f(2) = a^2;$$

$$f(4) = a \cdot f(3) = a^3;$$

.....

$$f(n) = a \cdot f(n-1) = a^{n-1},$$

.....

საბოლოოდ დავასკვნით, რომ საძიებელი ფუნქციაა $f(x) = a^{x-1}$.

მიღებული მიმდევრობა გამოსახავს ნატურალურ რიცხვთა სიმრავლეზე განსაზღვრულ გეო-მეტრიულ პროგრესიას, რომლის პირველი წევრია 1 და მნიშვნელი a -ს ტოლია.

დამოუკიდებელი მუშაობისათვის შეიძლება მოსწავლეებს შევთავაზოთ შემდეგი ამოცანები.

1. f რიცხვითი ფუნქცია ისეთია, რომ ნებისმიერი დადებითი x და y -თვის სრულდება ტოლობა

$$f(xy) = f(x) + f(y). \text{ იპოვეთ } f(2018), \text{ თუ } f\left(\frac{1}{2018}\right) = -1.$$

2. $y = f(x)$ ფუნქცია განსაზღვრულია ნამდვილ რიცხვთა სიმრავლეზე და რამე $k \neq 0$ რიცხვისათვის აკმაყოფილებს დამოკიდებულებას $f(x+k)(1-f(x)) = 1 + f(x)$. დაამტკიცეთ, რომ $f(x)$ -პერიოდული ფუნქციაა.

3. ნამდვილ რიცხვთა სიმრავლეზე განსაზღვრული f ფუნქცია x -ის ყოველი არანულოვანი მნიშვნელობისათვის აკმაყოფილებს პირობას $f\left(x+\frac{1}{x}\right)-2x^2-\frac{2}{x^2}+3=0$. იპოვეთ $f(2018)$.

4. იპოვეთ ნამდვილ რიცხვთა სიმრავლეზე განსაზღვრული f ფუნქცია, რომელიც აკმაყოფილებს

$$a \cdot f(x^{2n+1}) + b \cdot f(-x^{2n+1}) = cx \quad (1)$$

განტოლებას, სადაც $a, b, c \in R$, $|a| \neq |b|$, $n \in N$. ცალკე განიხილეთ შემთხვევა, როცა $|a|=|b|$.

5. მწკრივში ჩანარილია 2017 რიცხვი. პირველი რიცხვი 1-ის ტოლია. ცნობილია, რომ პირველი და ბოლო რიცხვის გარდა, მიმდევრობის ყველა რიცხვი მისი მეზობელი რიცხვების ჯამის ტოლია. იპოვეთ ბოლო რიცხვი.

6. $f(x)$ ფუნქცია განსაზღვრულია ყველგან, გარდა $x=1$ -სა და აკმაყოფილებს ტოლობას:

$$(x-1)f\left(\frac{x+1}{x-1}\right) = x + f(x).$$

იპოვეთ $f(-1)$.

7. არსებობს თუ არა ისეთი $f(x)$ ფუნქცია, რომელიც განსაზღვრულია ნამდვილ რიცხვთა R სიმრავლეზე და სრულდება ტოლობა $f(\sin x) + f(\cos x) = \sin x$.

8. იპოვეთ ნამდვილ რიცხვთა სიმრავლეზე განსაზღვრული ყველა ფუნქცია, რომელიც ნებისმიერი $x, y, z \in R$ აკმაყოფილებს პირობას $f(x+y) + f(y+z) + f(x+z) \geq 3f(x+2y+3z)$.

9. იპოვეთ ყველა ისეთი $f(x)$ ფუნქცია, რომელიც განსაზღვრულია დადებით რიცხვთა სიმრავლეზე და ნებისმიერი $x > 0$ და $y > 0$ რიცხვებისათვის აკმაყოფილებს ტოლობას: $f(x^y) = f(x)^{f(y)}$.

10. მოცემულია კვადრატული სამწევრი $f(x) = x^2 + ax + b$. ცნობილია, რომ ნებისმიერი ნამდვილი x რიცხვისათვის არსებობს ისეთი ნამდვილი y რიცხვი, რომ $f(y) = f(x) + y$. იპოვეთ a რიცხვის შესაძლო მნიშვნელობებს შორის მაქსიმუმი.

11. $p(x) = x^3 + ax^2 + bx + c$ მრავალწევრის კოეფიციენტები ერთმანეთისაგან განსხვავებული არანულოვანი მთელი რიცხვებია. ცნობილია, რომ $p(a) = a^3$, $p(b) = b^3$. იპოვეთ a , b და c კოეფიციენტები.

12. $f(x)$ ფუნქცია განსაზღვრულია დადებით ნახევარლერძეზე და ღებულობს მხოლოდ დადებით მნიშვნელობებს. ცნობილია, რომ $f(1) + f(2) = 10$, ნებისმიერი a და b -თვის $f(a+b) = f(a) + f(b) + 2\sqrt{f(a)f(b)}$.

იპოვეთ $f(2^{2018})$.

13. ცნობილია, რომ $3f(x) + 2f(-x) = 4x^4 - 3x^3 + x^2 - x$ ნებისმიერი ნამდვილი x -თვის. იპოვეთ $f(x)$.

ასეთი ამოცანები წარმოდგენას უქმნის მოსწავლეებს ფუნქციის ზოგიერთი თვისების საშუალებით მოახდინონ ფუნქციის ანალიზური ჩანაწერის აღდგენა, რაც გარკვეულად შეავსებს მათემატიკის ამოცანათა კრებულებში ამ მიმართულებით არსებულ ხარვეზებს. ასევე, განხილული საკითხების ჩართვა შესაძლებელია მოსწავლეთა მათემატიკის საგნობრივი წრეების მუშაობაში, დაეხმარება მათემატიკის მასწავლებლებს მსგავსი ამოცანების შედგენაში, რომლებიც წარმატებით შეუძლიათ გამოიყენონ მოსწავლეთა მათემატიკურ ოლიმპიადებზე.

A SPECIAL METHOD OF SOLVING OLYMPIC TASKS RELATED TO FUNCTIONS

Summary

The course of school mathematics, examines the functions recorded in the analytical form and determines the function characteristics. In the article we will discuss the tasks when some of the features of the function are recorded and based on them requiring reinstatement of the function as an analytical form. Some forms of mathematical operation related to functions and numerical sequences are also discussed. These types of tasks belong to the category of olympic tasks and there is no algorithm for solving them. The issues discussed in the article can be used in the work of mathematics, it will also help mathematics teachers to create similar tasks that can successfully apply to the mathematical Olympic competitions of pupils.

**აკაკი ზოიძე
საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელი
აბუსერიძის სასწ. უნივერსიტეტის პროფესორი**

ქართული ენის სიმღიღისათვის „ქართულად ხსნილად უპოვადი“

ენა მეტად რთული ფენომენია. იგი ეროვნების არსებით ნიშანს, ერის მეობის ქვაკუთხედს, მთავარ ბურჯს, მის გულს და სულს წარმოადგენს. ენაში სახიერდება მთელი ხალხი, მისი ისტორია, მშობლიური ბუნება, მთელი სამშობლო. ენაშივე არის დაუნჯებული ერის მაღალი ზნეობა და სულისკვეთება. ენა ხალხის სიცოცხლის გამომხატველია, უფრო მეტიც თვით არის ეს სიცოცხლე.

ალბათ, ამიტომ იყო, რომ ქართველმა კაცმა ქართულ ენას დედაენა დაარქვა. მასზე უძვირფასესი განძი, ლვთაებრივი საუნჯე, სალოცავი და საფიცარი ხატი მას არ მოეპოვება რა.

ენა უდიდესი მასწავლებელიცაა. იგი მაშინაც ასწავლიდა ხალხს, როცა არც წიგნი და არც სკოლა არ არსებობდა. ყოველი ახალი თაობა დედაენასთან ერთად ითვისებდა უფროს თაობათა აზრისა და გრძნობის ნაყოფს, სულიერ ცხოვრებასა და ძალას. ენა აერთიანებდა და აერთიანებს აწმყოსა და წარსულს, წინაპარსა და მომავალ თაობებს (2.29).

ისტორია გვასწავლის, ერთიანობის პირველი შემწე ენის ერთობააო. დიდი აკაკი ბრძანებდა : „საქართველოს ერთიანობის დროს ენაც ერთი გვერბდაო“ (4.3).

ქართული ენა ყოველთვის ადუღაბებდა საქართველოს ყველა კუთხის წარმომადგენლებს, ის იყო საქართველოს ძირითადი დასყრდენი, მისი ფარიცა და მახვილიც, რამეთუ „ქართლად ფრიადი ქვეყანაი აღირიცხების, რომელსა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეინირვის და ლოცვაი აღესრულების“ (2.37). ამიტომაცაა, რომ ქართველი კაცი ოდითგანვე თვალისწინებით თავს ევლება, ელოლიავება და ეჭირისუფლება მრავლისმეტყველ, სიბრძნისმეტყველ, მთვარიან და მზიან, შემკულ და კურთხეულ მშობლიურ ენას. მოღვაწეობის ყველა სარბიელზე კარგად ჩანს ჩვენი წინაპრების ზრუნვის კვალი ხატოვანი, ორატორული ხელოვნებისადმი. მარტო ის ფაქტი რად ღირს, რომ III-IV საუკუნეებში არსებობდა კოლხეთის აკადემია, რომელსაც თემისტიოსი მუზების ტაძარს უწოდებდა. აქ ქართველებთან ერთად უმაღლეს სპეციალურ საორატორო განათლებას იღებდნენ მაღალი კულტურის მქონე ბერძნებიც. ასეთივე კერები ყოფილა ათონის ივერიის მონასტერში, ბოლნისში, ნეკრესში, დავით გარეჯში, გელათში, იყალთოში, თბილისისა და თელავის სემინარებში.

ენის საგანგებო ზრუნვაზე მიგვითითებს ენის მნიშვნელობასა და მისი ზემოქმედების ძალაზე შემუშავებული მრავლისმეტყველი შეხედულებანი: „ენით მრავალმა აჯობა ხელით მრავალ-

საო“, „გველსა ხვრელით ამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარი“, „ტკბილი სიტყვით მთას ირემი მოიწველაო“, „ხმალზე უფრო ძლიერად ჭრის პატარა და რბილი ენა“, „რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს...“ ენისადმი ასეთი დამოკიდებულება ხალხის მაღალი კულტურის გამოვლენაა. შემთხვევითი არაა, რომ ხალხი ერის ბედს ენის ბედს უკავშირებს. ათასეულ წელთა სარბიელზე კი როგორც ქართველ ერს, ისე ქართულ ენას არა ერთი საფრთხე დაემუქრა. ზოგჯერ სულსაც და სჯულსაც გვათმობინებდნენ, მაგრამ დედაენა ვერ წაგვართვეს. ასე გადაურჩა იგი არაბობას, თურქობას, სპარსობას, რუსობას. გასული საუკუნის 70-იან წლებში ეროვნების ბურჯს, საქართველოს ერთიანობისა და მთლიანობის დედაბოძს — დედაენას კვლავ საფრთხე დაემუქრა. საბჭოურმა იმპერიამ სახელმწიფო ენად რუსულის გამოცხადება მოინდომა. ძნელბედობის უამს კვლავ აღზევდა ერის სულში ეროვნული გენი და ენერგია, ფეხზე დადგა ახალგაზრდობა, რომელმაც სიცოცხლის რისკის ფასად დაიცვა ჩვენი დიდებული ქართული ენა.

მშობლიური ენის დაცვა-შენარჩუნების ნამდვილი გმირული მაგალითი მოგვცა აჭარამ, სა-დაც სამასი წლის განმავლობაშიც კი ვერ შეძლო დამპყრობელმა აქაური მკვიდრისათვის დაევინებინა მშობლიური ენა. აჭარელმა დედამ სამი საუკუნე უბით შემოინახა „იავნანა“ და ენა ქართული. პედაგოგის კლასიკოსი იაკობ გოგებაშვილი ნაშრომში „ბურჯი ეროვნებისა“ ამბობს: „აჭარლებმა ენას და ეროვნებას არ უღალატეს და თავით ფეხებამდის დარჩნენ ქართველებად და დახეთ რა ვაუკაცობით და მხნეობით არიან შემკულნი“ (6.4.).

ქართული ენის სალიტერატურო ფუნქციები ისე მდიდარი არასოდეს ყოფილა როგორც დღეს არის და მას გამოყენების ისეთი ვრცელი სარბიელი არასოდეს ჰქონია ვინემ დღეს აქვს. ამიტომაც მთელი გულისყურით და სიფაქიზით უნდა მოვეკიდოთ ჩვენს უძვირფასეს განძს, ღრმად ჩავწვდეთ ტკბილ ქართულის მთელ საიდუმლოებას, ხიბლს, სინატიფეს, ლაზათს, უღერადობას, მის გრძნეულ ძალას, ამომწურავად ვისარგებლოთ მისი ულევი სიმდიდრით და შესაძლებლობებით. სრულად გამოვიყენოთ ყველა ღირსება, რომელიც მას აქვს. არ არსებობს აზრი, რომლის გადმოცემაც ქართული ენით არ შეიძლებოდეს. წერდა ცნობილი მეცნიერი ნიკო მარი. მართლაც სალიტერატურო ქართული ის მაღალგანვითარებული ენაა, რომელსაც ძალუძს ფერუთვალავი სამყაროც სრულიად გამოხატოს და წარმოაჩინოს, კაცობრიული აზრის, გრძნობა-განცდის ნიუანსებსაც, კაცის უღრმესი აზრების, მისი სულის უდახვეწილეს ვიბრაციებსაც ზედმიწევნით ჩაწვდეს და ასევე სრულყოფილად დააფორმულოს თვით უმაღლესი ჭეშმარიტებანი.

ქართველ კაცს ეამაყება საკუთარი დამწერლობისა, ეამაყება გამორჩეულად, რადგან 14 დამწერლობა არსებობს დედამინის ზურგზე, ქართული ანბანი კი ერთ-ერთია ამ თოთხმეტა-გან, თვითმყოფელი, ორიგინალური, როგორც უსლარი ამბობდა „ქართული ანბანი ერთ-ერთი ყველაზე სრულყოფილია მსოფლიოს ხალხების ყველა ანბანს შორის“ (2.81).

ძველი კულტურის ძეონე მსოფლიო ენებთან შედარებით, ქართული ენის ერთ-ერთი ღირსება ისიცაა, რომ ქართული სალიტერატურო ენა ერთიანია და განუყოფელი. თხუთმეტი საუკუნის წინანდელი ნაწარმოები თითქმის თანადროულად გასაგებია განათლებული მკითხველისათვის. შესადარებლად შეიძლება დავასახელოთ ძველბენულად ან ლათინურად დაწერილი თხუთმებები, რომლებიც დღეს თარგმნას საჭიროებს. თანამედროვე მკითხველს შეუძლია თვალი გაადევნოს ქართული მწერლობის გზას უძველესი დროიდან დღევანდლამდე. სხვათა დაუხმარებლად ეზიაროს ამ მშვენიერებას, რომელსაც ქმნიდნენ ჰიმნოგრაფები იოანე საბანისძე, გრიგოლ ხანძთელი, გიორგი მეექვსე, მთანმინდელები, დავით აღმაშენებლი, რუსთაველი, სულხან-საბა ორბელიანი, დავით გურამიშვილი და სხვანი.

ეს ისეთი მემკვიდრეობაა, ისეთი ფასდაუდებელი განძია, ნებისმიერი დაწინაურებული ერის კულტურას რომ დაამშვენებდა. და როცა ჩვენ უურნალ-გაზეთებს ვეცნობით, რადიო-ტელევიზიას თუ ზოგიერთ ორატორს ვუსმენთ, ხშირად გული გვნყდება, ნუთუ ასე ღარიბია ჩვენი ენა, რომელზედაც რუსთაველი წერდა, აკაცი და ვაუა გალობდნენ.

ამას წინათ ერთმა ორატორმა აუდიტორიას ასეთი ენობრივი „მარგალიტი“ მიაწოდა, — წერდა პუბლიცისტ შოთა ქურიძე, — „ბიუჯეტის შეუსრულებლობის ერთ-ერთი მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ არ ანარმობდენ შესრულებულ სამუშაოთა ღირებულების გადახდას“. ეს აზრობრივად გაუმართავი, შეკონიწებული წინადაღება მარტივად და ნათლად შეიძლება გადმო-

იცეს თუნდაც ასე: „ბიუჯეტის შეუსრულებლობის ერთ-ერთი მიზეზი ის არის, რომ არ იხდიან შესრულებულ სამუშაოთა ღირებულებას“ (10.2).

რამდენი ასეთი, სტილისტურად არასწორი, გაუმართავი ფრაზა და წინადადება ისმის როგორც ტელევიზორის ეკრანიდან, ისე საუბრისას.

„განცხადების გასაკეთებლად სიტყვაში გამოვიდა“, კლუბი ცუდად არის კეთილმოწყობილი, „გიო ოთახში შიგნით ვერ გაჩერებულიყო“, „ლევანი უსიტყვო მიგებებით წავიდა მშობლებისა-კენ“, „წყალი მზის ხარჯზე თბება“, „მძლოლი აღმოჩნდა ფხიზელ მდგომარეობაში“, „პოლიციამ ორი ქალაქის მოქალაქე დააკავა“, „პრეზიდენტმა არჩევნები სექტემბერში გადაიფიქრა“, „მერ-ცხალი ჰარში ფრინავს“, „ქართული საზოგადოება“, „ქართული სტუდენტობა“, „ქართული ინტელიგენცია“, „ქართული ჯარი“.

პირველი ოთხსიტყვიან წინადადებაში ორი შეცდომაა: ზედმეტია სიტყვა „გასაკეთებლად“, ხოლო „სიტყვაში გამოვიდა“ არასწორი, მიუღებელია. უნდა ითქვას „სიტყვით გამოვიდა“, წინადადება კი ასეთ ფორმას მიიღებს: „განცხადებისათვის სიტყვით გამოვიდა“.

მომდევნო წინადადებებიც სტილისტურად სწორი ფორმით ასე შეიძლება გადმოიცეს: „კლუბი კეთილმოუწყობელია“, „გიო ოთახში ვერ გაჩერებულიყო“, „ლევანი უსიტყვოდ მიეგება მშობელს“, „წყალი მზით თბება“, „მძლოლი ფხიზელი იყო“, „პოლიციამ ქალაქის ორი მოქალაქე დააკავა“, „მერცხალი ფრინავს“, „ქართველი საზოგადოება“, „ქართველი სტუდენტობა“, „ქართველი ინტელიგენცია“, „ქართველი ჯარი“... (5.3.).

უკანასკნელ წლებში აშკარად ირღვევა მშობლიური ენის სტრუქტურა, ღარიბდება მდიდარი ლექსიკური ფონდი. ენაში შემოდის როგორც უცხოური, ისე კუთხური გამოთქმები, მეტყველებაში მკვიდრდება ბილნიტყვაობა, ნაკლები უურადღება ექცევა სალიტერატურო ენის ნორმების დაცვას, მართლწერას, სტილს და სხვა. ეს კი განსაკუთრებით ყმანვილებისა და ახალგაზრდების მეტყველებაში იგრძნიბა. ამას ემატება უცხო სიტყვათა გამოყენების ხშირი შემთხვევა. დღეს ხშირად გვესმის სხვადასხვა გავლენიანი საკრებულოს დარბაზებიდან პრეზენტაცია, რაც წარდგინებას ნიშნავს, ლეგიტიმიური ანუ კანონიერი, პრეფერენცია — შეღავათი, ჩარტერი — ხელშეკრეულება, ოფისი-უწყება, სამმართველო, ნონსენსი-უაზრობა, ბიზნესი-საქმიანობა, ბრიფინგი-თათბირი, ბროკერი (მაკლერი)-შუამავალი, ფერშენებელური-კეთილმოწყობილი.

აქ მოტანილი უცხო სიტყვებს განა უღერადობით, სისხარტით, სიცხადით, აზრის გამოხატვით შესატყვისი ქართული სიტყვები ჩამოუვარდება?! სრულიადაც არა.

გაუმართლებელია როცა ვამბობთ და ვწერთ: „შესასრულებელი მაქვს დავალება, ნაყიდი მაქვს მაღაზიაში“. კიდევ უფრო მიუღებელია, რომ ამ ბოლო დროს ფართოდ გავრცელებულ „მიერს“ ვრთავთ წინადადებაში: „სასწავლო პროგრამა ჩემს მიერ შესრულებელი იქნა“. „დანაშაული მის მიერ ჩადენილი იქნა მთვრალ მდგომარეობაში“. ცხადზე უცხადესია, რომ უნდა ვთქვათ და დავწეროთ: სასწავლო პროგრამა შევასრულე, „დანაშაული მთვრალმა ჩაიდინა“ და სხვა. გასაგებიც არის, დინამიურიც და ეკონომიურიც.

უნდა აღიკვეთოს უწიგნურად ნაწარმოები გადმომირეკავე, გადმოგირეკავ, გადაურეკე ფორმის ხმარება. მათ მაგივრად უნდა ვთქვათ: ხელახლა დამირეკავე, ხელახლა დაგირეკავ, ხელმეორედ დაურეკე...

ასევე გაუმართლებელია: „ჩაატარა რემონტი“, „ჩაატარა თოხნა“, „ჩაატარა წამლობა“ ანარმოებს მარგვლას, ანარმოებს გასხვალს და სხვა. „ჩატარებებსა“ და „ანარმოებებს“ ვხვდებით წიგნებში, პრესაში, საქმის ქაღალდებში, გვესმის სხვადასხვა ტრიბუნიდან: როცა ქართული ენის საგანძურში გვაქვს ისეთი შესანიშნავი ზმნები, როგორიცაა შეაკეთა (გაარემონტა), გათოხნა, გამარგლა, შენამლა, გასხვლა და სხვა (10.2.).

თანამედროვე ქართულ ენაში – ვრცელდება აღნერილობითი კონსტრუქციები, – ნერს პროფესორი მერი ცინცაძე, - გადმოსაცემი შინაარსის ზმნის საწყისთან გამოყენებულია სხვადასხვა ზმნის (როგორც გარდაუვალი, ისე გარდამავალის ფორმები (კონსტრუქციის მიხედვით საჭირო პირში და მწკრივში) – ეს ზმნებია: ხდება, ახდენს, ანარმოებს, წარდება, ახორციელებს და სხვა. ასეთი კონსტრუქციები ქართული ენისათვის არაბუნებრივია, შესაბამისი შინაარსი სავსებით თავისუფლად შეიძლება გადმოვცეთ ერთი სიტყვით ზმნის პირიანი ფორ-

მით“ (3.5.). ნიმუშისათვის მოგვაქვს ამონაწერი რამდენიმე გაზეთიდან. სწორი ფორმების ჩვენებით.

ხდება

- ხდება ხეების ჭრა, კალმახის ქვირითის ყრა – ჭრიან ხეებს, კალმახი ყრის ქვირითს.
- არ ხდება ორგანიზაციის სტრატეგიული განვითარების გეგმის მომზადება – არ მზადდება გეგემა.

- არ ხდება ჭრილობის გართულება – არ რთულდება ჭრილობა.

ხდებოდა

- ხდებოდა დაპატიმრებები – აპატიმრებდნენ

— მათი გაყიდვა საქართველოს თუ რუსეთის ბაზარზე ჩალის ფასად ხდებოდა – ჩალის ფასად ყიდნენ.

— საარჩევნო კამპანიის გაშუქება ნორმალურად ხდებოდა – ნორმალურად აშუქებდნენ საარჩევნო კომპანიას.

მოხდება

— დავაცადოთ ვიდრე საბოლოო შედეგების წარმოდგენა მოხდება – წარმოდგენენ შედეგებს.

- შემდეგ მოხდება კანონპროექტის განხილვა – განხილავენ კანონპროექტს.

- რა პრინციპით მოხდება შერჩევა? – შეარჩევენ

- მოხდება თავდასხმა და დაყაჩალება – თავს დაესხნენ და დაყაჩალეს

სიტყვა შეფერებულია მოცემული კონტექსტისათვის:

— ჩვენ ვცდილობთ პრესის დახმარებით ავაგოთ ურთიერთობა საზოგადოებასთან

უნდა იყოს: დავამყაროთ ურთიერთობა

— ის შეუდარებელია თავის ორიგინალობით

სწორია: ორიგინალურობით

- მათი უდიდესი უმრავლესობის მიზანი ფულის შოვნაა.

„უმრავლესობა“ მსაზღვრელს არ საჭიროებს: არ არსებობს უმცირესი უმრავლესობა.

- მოიწვია სასწრაფო თათბირი

სწორია: სასწრაფოდ მოიწვია თათბირი

დარღვეულია სიტყვათა რიგი, ამიტომ ზოგჯერ წინადადების შინაარსი იცვლება.

- მაშინ რამდენიმე თვეში 7 ათასი საქართველოს მოქალაქე გაასახლეს

უნდა იყოს: საქართველოს შვიდი ათასი მოქალაქე...

— დაგვავიწყდა, რომ ორივე ჩეჩენეთის ომი რუსეთის საპრეზიდენტო არჩევნებს უსწრებდა წინ

უნდა იყოს: ... ჩეჩენეთის ორივე ომი...

- ჯოზეფ ჰაიდერი ამერიკაში ერთ-ერთი პრეზიდენტის კანდიდატი იყო.

სწორია: პრეზიდენტობის ერთ-ერთი კანდიდატი იყო

— გალაქტიონ სანიკიძემ წინა სკოლის დირექტორთან ყალბი მიღება-ჩაბარების აქტი გაფორმა.

უნდა იყოს: ... მიღება-ჩაბარების ყალბი აქტი (3.5.).

ცნობილია, რომ ენის ერთ-ერთ მთავარ ღირსებას ზმნების სიმდიდრე წარმოადგნს. ამ მხრივ ქართულ ენას გამორჩეული ადგილი უჭირავს. იგი სწორედ ზმნების სიუხვით, მისი მრავალფეროვნებით არის დინამიკური, შთამბეჭდავი და მეტყველი. „რაზომსაცა ვამშვიდებდი, ვეფხი ვერა დავამშვიდე, გავგულისდი, მოვიქნიე, ვკარ მიწასა დავაწყვდიე, „მივეგებვი, მომეგებოს, ამიტირდეს, ამატიროს! ჰერთხმავა ასთა, ჰერთხმავა რა გვინდა ვინ გივაზიროს!“ — უყვება ტარიელი ავთანდილს როგორ დახოცა ლომ-ვეფხი და უზიარებს თავის გულის ვარამს. ასევე ზმნების სიუხვით გამოირჩევა გალაკტიონ ტაბიძის ლექსი „მშობლიურო ჩემო მიწავ“. პოეტი პატრიოტული განწყობილების გადმოსაცემად მიმართავს ზმნების გამეორებას: „გიცავდი და გიცავ მარად, გიცავდი და კვლავ დაგიცავ!“.

მოტანილი ნიმუშებიდან ნათლად ჩანს რა შეუძლია ქართულ ზმნას, როგორ ექსპრესიულს, დინამიკურს, მოქნილს, ტევადს ხდის თხრობას, როგორ შთამბეჭდავს! ამიტომაც ასე უხვად გა-

მოიყენეს მხატვრული სიტყვის დიდოსტატებმა ზმნები. ჩვენ კი გვერდს ვუვლით მათ და ვამჯობინებთ მიმღეობას და სხვა პასიურ ფორმებს. ყურს ჭრის ეს კაზიონურ-კანცელარიული „შესრულებული აქვთ“, „გადაწყვეტილი აქვთ“, და მისთანანი ყოველ ნაბიჯზე რომ გვესმის და ვკითხულობთ. განა უფრო დინამიკური და სახოვანი არ იქნება ჩვენი ენა, რომ ვთქვათ და ვწეროთ: „შეასრულეს“, „გადაწყვიტეს“, „გაითვალისწინეს“.

ზედმეტსიტყვაობას იწვევს აკვიატებული სიტყვები: „შესახებ“, „მდგომარეობა“, „საქმე“, „საქმეში“, „ადგილი აქვს“ და ა.შ. მაგალითად, წერენ და ამბობენ: „განიხილა საკითხი პირველი სემესტრის შედეგების შესახებ“. უნდა ითქვას და დაინეროს: „განიხილა პირველი სემესტრის შედეგების საკითხი“. სტილისტურად გაუმართავია წინადადებები: „აღზრდის საქმეში ადგილი აქვს ნაკლოვანებებს“, „სურსათით მომარაგების საქმეში არის შეფერხებები“, ნათლად ჩანს რომ სიტყვა „საქმეში“ ორივე წინადადებაში ზედმეტია (10.2).

სიტყვათა ამავე რიგს განეკუთნება „მდგომარეობაც“. არის თუ არა საჭირო, მას უთუოდ ჩართავენ წინადადებაში ვითომდა აზრის დასაზუსტებლად. ერთ-ერთი სკოლის პედაგოგიურ საბჭოს ოქმში ვკითხულობთ: „სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მდგომარეობის შემოწმების შედეგები და მისი მდგომარეობის გაუმჯობესების ამოცანები“. ამ წინადადებებში ერთი კი არა ორი „მდგომარეობაა“, და ორივე ზედმეტი. აზრი ისედაც ნათელი, გასაგები და ზუსტია.

სასაუბრო ენაში ხშირად შეცდომით იყენებენ პირის ნაცვალსახელებს ნათესაობით ბრუნვაში „ჩემ“-ს მიერ, „ჩვენ“-ს მიერ, „შენ“-ს მიერ, „თქვენ“-ს მიერ. უნდა ვთქვათ ჩემ მიერ, ჩვენ მიერ, შენ მიერ, თქვენ მიერ. მაგალითად ჩვენ მიერ შემოწმდა სკოლაში ჩატარებული ღონისძიებანი, ჩვენ მიერ შედგენილმა გეგმამ კამათი გამოიწვია.

როგორც ცა და დედამიწისაგან ისე შორსათავან კართულისაგან ქვემოთ მოტანილი წინადადებები, რომლებიც უხვად გვხდება სხვადასხვა სახის დოკუმენტურ მასალაში. კრებამ დამსწრეთა ყურადღება მიაპყრო აღნიშნული საქმისადმი ყურადღების გამახვილების აუცილებლობას. „აღნიშნულ წერილში აღნიშნული ფაქტი დადასტურდა და აღნიშნულ საკითხზე მსჯელობა გვქონდა კოლექტივის კრებაზე“. ცხადია, რომ არც ერთი ქართველი, ვინც კი პატივს სცეს დედაენას, წინადადებებს ასე არ შეაკონინებს, ასე უღვთოდ არ დაამახინჯებს მათ.

ენისადმი საგანგებო ზრუნვის, მისი დაცვისა და შემდგომი სრულყოფა-განვითარებისათვის (ორთოგრაფიის გამარტივება, გადახალისება, მორფოლოგის, სინტაქსის წყობის, ლექსიკის, მხატვრული საშუალებების სრულყოფის) უკომპრომისო ბრძოლის ნათელი მაგალითი მოგვცა ერის სულიერმა მოძღვარმა ილა ჭავჭავაძემ. ამ ზრუნვის ერთ-ერთი გამოხატულებაა ენის სადაო საკითხების მოსაგვარებლად საგანგებო კომისიის შეკრება. ერთ-ერთი ასეთი სხდომა ილია თაოსნობით 1886 წლის 8 მარტს ჩატარებულ „ივერიის“ რედაქციაში. სხდომის მიზანი იყო საცილობლად გამხდარი საკითხების გადაწყვეტა და ყველასათვის სავალდებულო წესების შემოღება. დიდი მეცნიერის აკავი შანიძის მიერ აღმოჩენილია მეტად საყურადღებო დოკუმენტი აღნიშნული სხდომის შესახებ. მასში აღნუსხულია ის საკითხები, რომლებიც უნდა განეხილათ სხდომაზე საგანგებოდ მოწვეულ პირთ, – სხდომას უშედეგედ არ ჩაუვლია. როგორც ა.შანიძე აღნიშნავდა „თუ საყოველთაოდ ხმარებისათვის არა, „ივერიის“ რედაქციის თანამშრომელთათვის მაინც ჩამოყალიბდა ერთგვარი მკვიდრი წესები, რომელთაც მტკიცედ იცავდა ილა თავის გაზეთში. მაგალითად დნენ დაბოლოება ზმნებში, ვითარებითი ბრუნვის ნიშნად დონის გამოყენება, სახელთა ბრუნების სრულყოფა, მოთხრობითი ბრუნვის ნიშნის მრავლობით ბრუნვაში ძირითადად ებ ბ სუფიქსის წარმოება, „რა“ წანილაკის ხმარება, მსაზღვრელ-საზღვრულის შეთანხმება. ჰ და ს პრეფიქსების საკითხი ზმნებში და ა.შ. ადრე ილია ჭარბად იყენებდა აღნიშნულ პრეფიქსებს ზმნის ფორმებში. ზოგჯერ კი მათ ერთადაც წერდა: ჰსთვლემდა, ჩაჸსნევეტია, დაჸსნოლია, ჸსდგას, ჸსცხოვრობს. შემდგომში გაორკეცებული პირის ნიშნებს ილია ასე ასწორებს: სთვლემდა, ჩასწყვეტია, დასწოლია.

გვერდს ვერ აუგლით აგრეთვე სიტყვათა აღრევას, ხმარებიდან თითქოს გაქრა სიტყვები: „წინათ“, „ბევრი“, „მაღე“, „დაამთავრა“. მათი ადგილი დაიკავა სიტყვებმა: „აღრე“, „ჩეარა“, „მრავლი“, „დაასრულა“. ხშირად გაიგონებთ: „ვიდრე ასე არ იყო“. უნდა ვთქვათ: „წინათ ასე არ იყო“, „მაღე მოვალ“ და არა „ჩეარა მოვალ“. „კონცერტზე ბევრი მაყურებელი იყო“ და არა „მრავალი“ ასევე განსხვავებული მნიშვნელობა აქვს „დაამთავრა“ და „დაასრულასაც“.

ენას აქვს ხმა-უდერადობა, ენას აქვს საგანძური – თავისი ლექსიკური ფონდი, ენას აქვს სახილავი ხატი – ანბანი, რომლის ყოველი ასო საიდუმლოებითაა მოცული. მათში ხედავთ მთვარეს, მზეს, ვარსკვლვს, ვაზს და გეუფლება დაუოკებელი სწრაფვა ამოიკითხო მათი ხატებით გაცხადებული იდუმალება მისი.

ერთი სიტყვით ქართული წერა და ლაპარაკი არც ისე ადვილია. ღმერთმა ქნას და ქართული ენა ისე მაცოდინა, როგორც საჭიროა, უთქვამს დიდ ენათმეცნიერს აკაკი შანიძეს. ამიტომაა აუცილებელი უპირველესი ყურადღება მიექცეს სკოლებში, ისე უმაღლეს სასწავლებლებში მეტყველების სრულქმნას. მშობლიური ენის ხილს, სინატიფეს, ლაზათს და ულერადობას მოსწავლე პატარაობიდანვე უნდა ითვისებდეს და ისისხლხორცებდეს, რათა დაეუფლოს მჭევრმეტყველებას, ჭეშმარიტ მამულიშვილად ჩამოყალიბდეს, და გუშაგად ედგას მშობლიურ ენას. „დედაენა“ კვლავ რომ ინთებს მკერდზე ციცინათელებს, ამ განძს თუ არ მოუარე ისე ვერ იქართველებ“.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ეროვნული სასწავლო გეგმა, საგნობრივი პროგრამა ქართულ ენასა და ლიტერატურაში, თბილისი, 2010 წ.
2. მაღლაკელიძე ნათელა, ქართული ენის სწავლების მეთოდიკა, თბილისი, 2005 წ.
3. ცინცაძე მერი, რას ვამბობთ და რას ვწერთ? გაზ. „აჭარა“ 8.05. 2008 წ.
4. ჯორბენაძე ბესარიონ, ერი დედაა ენისა, გაზ. ნერგი, 16-30.04.1998 წ.
5. ღუდუშაური მედეა, ენის სიწმინდის დაცვა ყველას ვალია, გაზ. „ნერგი“ 16.30.04. 1998 წ.
6. მიქელაძე ნაზი, გაუფრთხილდეთ მშობლიურ ენას, გაზ. „აჭარა“ 15. 03. 2006 წ.
7. გოგსაძე მედეა, მეტყველების კულტურა და საუბრის ხელოვნება, გაზ. „ნერგი“, 1-15.04. 1998 წ.
8. ხუციშვილი ნოდარ, მეტყველების კულტურის საკითხები, გაზ. „ახალი განათლება“ 5.12.04. 2000 წ.
9. ქურიძე შოთა, ილაპარაკე ოღონდ ქართულად, გაზ. „აჭარა“ 15.02. 1982 წ.
10. ბასილაძე ნოდარ, რა ენა წახდეს, გაზ. „აჭარა“ 30.03. 1990 წ.

AKAKI ZOIDZE

FOR THE PURITY OF GEORGIAN LANGUAGE “SPEAK GEORGIAN CLEARLY”

Summary

The language is a difficult phenomenon. It is the main character of the nationality, the main pillar, its heart and soul. A Georgian man from the very beginning has always been protecting his native language like his eye. So it was saved from a lot of conquerors. Today, Georgian language has rich literary functions and an extensive range, but there is still danger to our mother tongue. Apparently its structure is broken, the poorest of poetry comes into the language and foreign and angular expressions are appearing. Less attention is paid to protecting literary norms, spelling style and more. That is why we need to be wholehearted and stand for our hardest treasure - native language.

მალვინა შანიძე
ქუთაისის ა.წერეთლის სახელობის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

**აკაკი წერეთლის ნაწარმოებები დაწყებითი კლასების
ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოებში**

აკაკი წერეთლის შემოქმედებითი მემკვიდრეობის ფართო საზოგადოებისათვის გაცნობა იაკობ გოგებაშვილის სახელთანაცაა დაკავშირებული. მან პოეტის ნაწარმოებები დაწყებითი კლასების სახელმძღვანელოებში შეიტანა და მისაწვდომი გახადა იგი საქართველოს ყველა კუთხის ბავშვისათვის. ამას ხელს უწყობდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, რომელიც ბევრ სასიკეთო საქმეს აკეთებდა მომავალი თაობების საკეთილდღეოდ. კერძოდ, საზოგადოების მიერ ”დედა ენისა” და ქართული ენის სახელმძღვანელოების პარალელურად დიდი ტირაჟით გამოიცემოდა იაკობის, ვაჟას, ილიას, აკაკის და სხვა მწერლების ნაწარმოებები.

საზოგადოების თანადგომით მე-19 საუკუნის 80-იან წლებში დაიბეჭდა აკაკის ნათარგმნი ივ. კრილოვის იგავ-არაკები. წიგნი 1897 წელს დაასურათეს, 1901 წლისათვის გარკვეული ცვლილებები შეიტანეს მასში, 1906-ში კი ილუსტრაციებით გადაახალისეს. გამომცემლობამ 1908 წელს აკაკის ისტორიული პოემა ”თორნიკე ერისთავიც” დაბეჭდა. სამწუხაროდ, მომდევნო 17 წლის განმავლობაში მათ აკაკის არც ერთი პროზის ან პოეზიის ნიმუში არ გამოუციათ.

1865 - 1870 წლებში საქართველოში ზედიზედ ჩატარდა სპეციალისტ-მასწავლებელთა ხუთი ყრილობა სხვადასხვა საგნებში პროგრამების შედგენის მიზნით, მათ შორის ქართულ ენაშიც. ენის სწავლების ძირითად მოთხოვნად მოიაზრებოდა: წაკითხულის წერილობით გადმოცემა, რამდენიმე იგავ-არაკის ზეპირად ცოდნა და მათი რუსულად თარგმნა. აგრეთვე გრამატიკული მასალა. სახელმძღვანელოებად მითითებული იყო ჩუბინიშვილის (ჩუბინოვის) ”მოკლე ქართული გრამატიკა” და ი. გოგებაშვილის ”ბუნების კარი.”

როგორც ვხედავთ, პროგრამა შეიცავდა როგორც გრამატიკის, ასევე ლიტერატურის საკითხებს, მაგრამ განსაზღვრული არ იყო, კერძოდ რომელი მწერლები და ლიტერატურული ნაწარმოებები იგულისხმებოდა ამ ზოგადი გამოთქმის ქვეშ. ი. გოგებაშვილმა ჯერ ”ბუნების კარში,” ხოლო შემდეგ 1885 წლისთვის გამოცემულ ”დედაენის” მეორე ნაწილში, შეიტანა ქართველ მწერალთა ბევრი საინტერესო ტექსტი, მათ შორის აკაკი წერეთლის პოეზიის ოთხი ნიმუში: ”ყმანვილი და პეპელა,” ”ჩემი თხა,” ”ჩიტი გალიაში” და ”გაზაფხულის მაყრები.”

რ. ჯაჯანაშვილი მეორე ავტორი იყო, რომელმაც აკაკის ნაწარმოებები შეიტანა 1889 წელს გამოშვებულ სახელმძღვანელოში ”მეგობარი.” იგი, ძირითადად, ი. გოგებაშვილის გამოცემებს ეყრდნობოდა.

იაკობ გოგებაშვილი სახელმძღვანელოებისთვის ტექსტებს ესთეტიკური და ზნეობრივი თვალსაზრისით საგანგებოდ ცვლიდა და ამუშავებდა. იგი წერდა: „დიდი წილი ჩვენს მიერ შეკრებილი ლექსებისა და ზღაპრებისა დავბეჭდეთ სწორედ ისე, როგორც გავიგონეთ ხალხისაგან, ზოგში კი ცვლილება შევიტანეთ. ეს ცვლილება გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ ზოგს ლექსს, ფორმით მშვენიერს, შეუსაბამო და მავნე შემეცნება აფუჭებს და უვარგისად ჰედის ბავშვებისათვის. ჩვენ ეს შემეცნებანი პედაგოგიური თვალსაზრისით გამოვტოვეთ და მათ მაგიერ ჩავურთეთ შესაბამისი და სასარგებლო შემეცნებანი, ხოლო აგებულება ლექსისა, მისი კალაპოტი, ცენტურა და რითმა ხელუხლებელი დავტოვეთ“ (1). მაგალითად, ეხებოდა რა „დედა ენის“ მეორე ნაწილში დაბეჭდილ აკაკი წერეთლის ლექსებს, მიუთითებდა, რომ მან პოეტის ნებართვით ზოგიერთი რამ შეცვალა პედაგოგიურ მოსაზრებათა გამო: „ჩვენ იმდენად კარგად გვაქვს შესწავლილი ჩვენის სახელოვანი პოეტის თხზულებანი, რომ როცა ვცვლით ლექსსა, ისევ აკაკისებურს ლექსსა ვხმარობთ და ჰარმონიას არ ვარღვევთ.“ სწორედ ასეთ შეცვლილ ვარიანტს წარმოად-

გენს ანბანისშემდგომ საკითხავ წიგნში დაბეჭდილი ლექსი „ყმაწვილი და პეპელა“. იგი ძალიან მოწოდა იაკობს, როგორც „ყოველი დირსებით შემკული“ ლექსი, რომელიც „ადვილად შესათვისებელია ბავშვისათვის როგორც შინაარსით, ისე ფორმით,“ რადგანაც „... ხატავს სურათს, რომელიც ერთსა და იმავე დროს საზრდოს აძლევს გონიერასაც და გულსაც“ (2).

1912 წელს საბოლოოდ გადამუშავებული „დედაენის“ მე-2 ნაწილი 1924 წლამდე გამოიცემოდა და, შესაბამისად, აკაკის ოთხივე ლექსიც ისწავლებოდა სკოლებში. 1924 წლიდან 1943 წლამდე 1-ლი კლასისთვის იბეჭდებოდა სხვადასხვა ავტორთა ოთხი სახელმძღვანელოც (1926 წელს ვ. ძიძიგურისა და ვ. გვახარისა „პირველი წიგნი“, 1927 წელს ნ. ბოცვაძისა და ეკ. ბურჯანაძის „ახალი წიგნი“, 1928 წლიდან ტ. ზაალიშვილის „ვისწავლოთ“ და 1933 წლიდან პ. ჭანიშვილის „შრომა და ცოდნა.“). ისინი „მთლიან სიტყვათა,“ ანუ „ამერიკული მეთოდით“ იყო შედგენილი. მათში აკაკის შემოქმედების ნიმუშები, ისევე, როგორც იაკობის „დედა ენის“ პირველ, საანბანო ნაწილში, არ იყო შეტანილი.

1920 წლისათვის „სასწავლო კომიტეტის“ თავმჯდომარეობა პროფესორ ივანე ჯავახიშვილს დაეკისრა. მისი პირადი ინიციატივით საფუძველი ჩაეყარა ახალი სკოლისთვის მეცნიერული, ორიგინალური სახელმძღვანელოების შექმნისა და სწორი ქართული ტერმინოლოგიის შემუშავების საქმეს. ამის გათვალისწინებით მე-20 საუკუნის 40-იან წლებამდე გამოიცემოდა სხვადასხვა ავტორთა II-IV კლასების სახელმძღვანელოები: ი. გოგებაშვილის შემცირებული მოცულობის „ბუნების კარი,“ ი. ოცხელის, მ. მთავრიშვილისა და ს. ყიფშიძის „გუთანი,“ ზ. ხუნდაძის „ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელო,“ „განთიადი,“ „ცისკარი,“ „კომპლექსური“ პროგრამების საფუძველზე მასწავლებელთა ჯგუფის მიერ შედგენილი „ჩვენი მხარე,“ შ. თაბუკაშვილისა და მისი ჯგუფის „ახალი სოფელი,“ „ახალი ქალაქი“ და „ახალი შრომა.“

განსაკუთრებით გამოვყოფდი ტრ. და ს. თაბუკაშვილების სახელმძღვანელოს „აისი,“ რომლის სწავლების მეთოდიკა გარკვეულ სიახლეს წარმოადგენდა და მოსწავლეთა აქტივობაზე იყო ორიენტირებული. მეორე თ. ასლანიშვილისა და პ. ხუბუჭის „ქართული ლიტერატურის ქრესტომათია“ იყო, რომელსაც 1938 წლიდან „ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელო“ ეწოდა და 1943 წლამდე ისწავლებოდა სკოლებში. მასში დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი იდეურად გამართულ და მხატვრულ-ენობრივი თვალსაზრისით სკოლის ასაკის ბავშვისათვის შესაფერის ლექსებს, მოთხოვნებებს, ნაწყვეტებს კლასიკური ლიტერატურიდან და ზეპირსიტყვიერების საუკეთესო ნიმუშებს. სახელმძღვანელოებში მკვიდრი ადგილი ეჭირა აკაკი წერეთლის შემოქმედებასაც.

როგორც ვხედავთ, მე-19 საუკუნის 70-80 - იანი წლებიდან მე-20 საუკუნის 40-იან წლებამდე გამოცემულ დაწყებითი საფეხურის ქართული ენის სახელმძღვანელოების ზოგიერთ გამოცემაში ვხვდებით აკაკი წერეთლის ნაწარმოებებს. სახელმძღვანელოებში აკაკის ნაწარმოებთა დამკვიდრებას კი დიდმა პედაგოგმა, „დედა ენისა“ და „ბუნების კარის“ ავტორმა, იაკომ გოგებაშვილმა შეუწყო ხელი.

1943 წლის თებერვალში, როდესაც დიდი სამამულო ომი მძვინვარებდა, საქართველოს რესპუბლიკის ხელმძღვანელი ორგანოების დადგენილებით შეიქმნა დაწყებითი კლასების ქართული ენის სახელმძღვანელოთა გამაუმჯობესებელი კომისია, რომელსაც თავმჯდომარეობდა განათლების სახალხო კომისარი, ჯერ გ. კიკნაძე, ხოლო შემდეგ ვ. კუპრაძე. კომისიის შემადგენლობა კომპეტენტური იყო. მასში შედიოდნენ: აკაკი შანიძე, არნოლდ ჩიქობავა, ვარლამ თოფურია, გიორგი თავზიშვილი, გერონტი ქიქოძე, ირაკლი აბაშიძე, ვასილ ეგნატაშვილი, ხოლო მდივნობდა - ვალერიან რამიშვილი. კომისიამ პირველ რიგში შეიმუშავა I-IV კლასების ქართული ენის სახელმძღვანელოთა შედგენის პრინციპები და გამოაცხადა ლია კონკურსი.

1943 წლისათვის კონკურსში გაიმარჯვეს 1-ლი კლასის „დედაენის“ ავტორებმა ნ. ბოცვაძემ და ეკ. ბურჯანაძემ. II-IV კლასის სახელმძღვანელოები კი 1944 წელს შექმნეს შ. თაბუკაშვილმა, ვ. რამიშვილმა და თ. ჩერქეზიშვილმა.

1954 წლის ”დედაენაში”, რომელიც 1944 წლიდან გამოიცემოდა, ნ.ბოცვაძესა და ეკ.ბურჯანაძეს აკაკის ერთი ლექსი ”ყმანვილი და პეპელა” აქვს შეტანილი. როგორც ვხედავთ, აკაკის ლექსი უკვე პირველ კლასის სახემძღვანელოშიც დაიბეჭდა. ავტორების მიერ გადამუშავებული ”დედა ენა” უცვლელად გამოდიოდა 1969 წლამდე. ამდენად, ბუნებრივია, აკაკის ლექსიც ბოლომდე შერჩა სახელმძღვანელოს.

1969 წლის შემდეგ ეს სახელმძღვანელო ნაწილობრივ ჩაანაცვლა ვ. რამიშვილის ”დედაენამ,” რომელიც განკუთვნილი იყო არა 7, არამედ 6 წლის ბავშვებისათვის. როგორც ვიცით, საქართველოს სკოლების ერთ ნაწილში ექვსწლიანთა სწავლების ექსპერიმენტი განხორციელდა, რომელიც 1980 წლამდე გაგრძელდა.

1972-1980 წლებში გამოშვებულ ვ. რამიშვილის მიერ შედგენილ მოსამზადებელი კლასის სახელმძღვანელოებში ”დედაენა აი ია,” - დაბეჭდილია აკაკის ლექსი ”ქორი:”

”ჰაუ, ჰაუ, ქორო ნუ ფრენ

ვერ მომპარავ, არ გაგატან

ამ ეზოში დილ-დილასო,

ჩემს პატარა წინილასო!”

1978 წლის ”დედაენის” 35-ე, გადამუშავებულ და ფერადი ილუსტრაციებით გაჯერებულ გამოცემაში აკაკი წერეთლის ლექსი ”ვაშლი და შაქარა” შეიტანა ავტორმა. ვ.რამიშვილმა 1982 წელს მოსამზადებელ კლასგავლილთათვის ახალი სახელმძღვანელოც გადაამუშავა. ეს უკვე სწავლების მეორე წელი იყო. ნიგნში აკაკის ერთი ლექსი, ”გაზაფხული” და პლეშნიკოვის ნაწარმოების - ”ჩიტი და ბავშვები” - თარგმანი შეიტანა. 1984 წელს გამოცემულ 11 წლიანი სწავლების პირველი კლასის სახელმძღვანელოში ვ. რამიშვილმა ლექსი ”ქორი” შეინარჩუნა და ნაწყვეტი დაამატა პოეტის ლექსიდან ”იავნანა.” 1991 წელს გამოშვებული ”დედაენის” მე-2 ნაწილში პოეტის მხოლოდ ერთი ნაწარმოები, ”იავნანა” შერჩენილი.

1943 წლიდანვე მეორე კლასის სახელმძღვანელოში ვ.რამიშვილმა დაბეჭდა იგივე ლექსი, რაც გოგებაშვილს ჰქონდა ათეული წლების განმავლობაში ”დედაენის” მეორე ნაწილში. ესაა - ”ყმანვილი და პეპელა.” წლების განმავლობაში ინარჩუნებდა ეს ლექსი თავის ადგილს.

ყველაზე დიდი რაოდენობით აკაკის ნაწარმოებები მესამე და მეოთხე კლასების სახელმძღვანელოებში გვხვდება.

ქ.თაბუკაშვილის, ვ.რამიშვილისა და თ ჩერქეზიშვილის ავტორობით 1971 წელს დაბეჭდილი ქართული ენის მესამე კლასის სახელმძღვანელოში (რომელიც 1944 წლიდან გამოიცემოდა), რუბრიკით ”აკაკი წერეთლის ცხოვრებიდან,” აკაკის ორი მოგონება (”შაქრის სიყვარული,” ”აკაკის ქუდი”), ლექსი ”გაზაფხულის მაყრები” და პოეტის ნათარგმნი ივ. კრილოვის ხუთი იგავარაკია შეტანილი.

ოთხსტროფიანი იგავარაკი ”მაიმუნი და სარკე“ აცნობს ბავშვებს, თუ როგორ ადამიანს მოაგონებს მაიმუნი და რომელი ფრაზით გამოითქვა იგავის მთავარი აზრი.

”ხურო მელა“ ბავშვებს დაარწმუნებს მელაკუდას მოხერხებულობაში.

”მგელი და კრავი“ ივ. კრილოვის ცნობილი იგავარაკია აკაკისეული მშვენიერი თანგმანით. იგი დღემდე ისწავლება ქართული ენის მეორე/მესამე კლასის სახელმძღვანელოებში.

არაკში ”სპილო და ფინია“ სუსტი, ნაკლებუნარიანი, მაგრამ ხმაურიანი ადამიანის მოჩვენებით თვისებებზე გვესაუბრება პოეტი/მთარგმნელი.

ბოლო იგავარაკია ”თაგვი და ვირთხა.“ ავტორები რამდენიმე საკონტროლო კითხვისა და ტექსტის გაანალიზების საფუძველზე ბავშვებს გაარკვევენ იგავის დედააზრში, რომელიც შემდეგში მდგომარეობს:

”მშიშარას ვისიც შიში აქვს,

ის უძლეველი ჰერნია.“

ვ. რამიშვილის, თაბუკაშვილისა და ჩერქეზიშვილის ავტორობით 1991 წელს გამოცემული მეოთხე კლასის ”ქართული ენის“ სახელმძღვანელოც, რომელიც გამოცემის სამ ათეულზე მეტ წელს ითვლიდა, აკაკი წერეთლის არა მარტო ნაწარმოებები, არამედ მისადმი მიძღვნილი საიუ-

ბილეო მასალებიცაა შეტანილი. წიგნი მეოთხეკლასელი მოსწავლის აღქმის უნარისა და ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებითაა გამდიდრებული.

აკაკი წერეთლის ცხოვრების ეპიზოდებს წამძღვარებული აქვს ილია ჭავჭავაძის ფრაზა: ”ჩემს გულს შენ ყველთვის სასიქადულოდ ეყოლები, როგორც უკეთესი მეომარი, ჩვენი ქვეყნის ბედნიერებისთვის თავგანწირული.” აქვე მოსწავლეებს აცნობენ ნაწყვეტს იაკობ გოგებაშვილის გამოსვლიდან ”იალბუზი ქართული პოეზიისა,” რომელიც აკაკის 70 წლის იუბილეზე წარმოქვა:

”აკაკი განხორციელებული მამულიშვილობაა . . . რასაც უნდა წერდეს აკაკი ლექსით თუ პროზით, ყველაში გამოსტვივის აპრიალებული სიყვარული სატრფო სამშობლოსი, აკაკის მაღალი ბუნება იტევს თავის წიაღში არა ერთს კუთხეს ჩვენის სამშობლოსას, არამედ მთელ საქართველოს. აკაკი პატარა საქართველოა.”

მომდევნო ტექსტი ვაუა ფშაველას მიერ აკაკისადმი მიძღვნილი ლექსია სახელწოდებით ”აკაკის საიუბილეოდ”. ვფიქრობ, ვაუას სიტყვებიც ბევრის მთემელი იქნებოდა მოსწავლეებისათვის, რათა აკაკის პატრიოტიზმთან შეესისხლხორცებინათ:

”მეც ამატირა ბევრჯელა

მადლობელი ვარ გულითა,

შენს თვალზე ცრემლის დენამა.

შოთაის სულის ლხენამა!

ნეტავი ბევრი გაზარდოს

სამშობლოს სამსახურისთვის

შენისთანები დედამა! . . .

ჩანგი გიკურთხოს ზენამა!”

ავტორებს საინტერესოდ მიუჩნევიათ სახელმძღვანელოში აკაკის რამდენიმე მოგონების შეტანა. ესენია: ”პანია ბაჯბაჯა,” ”ქოლგიანი გოგონა,” ”კურდლის დაჭერა” და ”აკაკის ქუდი.” ამ პატარა ტექსტებში საოცარი სითბოთი და სიყვარულითაა მოთხოვნილი, თუ რაოდენ პატივს სცემდა მთელი საქართველო მგოსანს. მას ბავშვებიც კი ცნობდნენ და ეთაყვანებოდნენ, რაც ყველაზე მეტად ახარებდა პოეტს.

მომდევნო ლექსიც, ”ძველ სამეფოს,” იმედით, გამარჯვების ჟინითა და პატრიოტული პათოსითაა გაჯერებული. ამ სახელმძღვანელოშიც დაიბეჭდა ნაწყვეტები აკაკის მოგონებებიდან ”ჩემი თავგადასავალი” – ”დედაჩემი” და ”მამაჩემი,” რომლის გაცნობის შემდეგ მოსწავლეები გაერკვევიან აკაკის მშობლების სახასიათო თვისებებში.

ლექსი ”სიზმარი” განაგრძობს აკაკის ნაწარმოებების რეტროსპექტივას. მგოსანი სიზმარშიც კი მისი ქვეყნის მოჭირნახულე პიროვნებად გვევლინება.

”ჭიდაობა” ნაწყვეტია მოთხოვნიდან ”ბაში-აჩუკი.” მიგნებულადაა ბავშვებისთვის შერჩეული ეს ეპიზოდი. ტექსტს ახლავს შავ-თეთრი გრაფიკული ილუსტრაციაც, რომელიც, თავისი ექსპრესიული გამოსახვით, ხელს შეუწყობს ნაწარმოებისადმი მოსწავლეთა ინტერესის გაღვივებას.

ავტორებს არც პოემა ”თორნიკე ერისთავი” დავიწყებიათ და მომდევნო ტექსტად მოკლე ნაწყვეტია დაბეჭდილი სახელწოდებით - ”ბრძოლის შემდეგ.” პატარები გაიგებენ, თუ ვინ იყო თორნიკე ერისთავი, რომელ ომზე იყო საუბარი, როდის მოხდა ის და რა ბრძანა ომის შემდეგ თორნიკემ. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, გაერკვევიან ისტორიული ფაქტების მხატვრულ ფორმებში გადმოცემის ძალასა და სილამაზები.

ამ ისტორიული ბრძოლის ამსახველ პოემას მითოლოგიური სიუჟეტი მოსდევს - ლექსი ”ამირანი.” პოეტი ამირანში მთელ საქართველოს ხედავს და დიდ მოლოდინთან ერთად რწმენითაცაა

აღვსილი:

”კავკასიის მაღალ ქედზე

იმ ჯაჭვს გაწყვეტს გმირთა-გმირი!

მიჯაჭული ამირანი

სიხარულად შეეცვლება

არის მთელი საქართველო

ამდენი ხნის გასაჭირი!

და მტრები კი ყვავ-ყორანი.

მოვა დრო და თავს აიშვებს,

აკაკი წერეთლის შემოქმედების შესწავლა სრულდება ზღაპრით ”ნაცარქექია.” სახელმძღვანელოში მისი ორი თარგმანიცაა შეტანილი - კრილოვის იგავ-არაკების სახით.

ამავე დროს გავეცანი 1938 და 1957 წელს დაბეჭდილ ფილ. რურუასა და ივლ. ქარცივაძის ”ქართული ენის” III კლასის სახელმძღვანელოებს, 1971 წელს გამოშვებულ ა. დავითიანისა და ვ. მუშკუდიანის III კლასის ”ქართულ ენას,” 1970-71 და 1980-იან წლებში გამოცემულ IV და V კლასების ”ქართული ენას” - ვ. მუშკუდიანისა და შ. თაბუკაშვილის ავტორობით. წიგნები განკუთვნილი იყო რუსული სკოლებისათვის, რომელიც ენის სწავლების I, II და III წელს მოიცავდა. სამწუხაროდ, არც ერთ მათგანში აკაკი წერეთლის ნაწარმოები არ ჰქონდათ შეტანილი ავტორებს.

თვალნათელია, რომ 1943 წლიდან მე-20 საუკუნის ბოლომდე გამოცემულ ნაწილობრივ პირველ, და ძირითადად II-III-IV კლასის სახელმძღვანელოებში ისეთი დოზით იყო შეტანილი აკაკი წერეთლის ნაწარმოებები და თარგმანები, რომ მასწავლებლებს საშუალება ექნებოდათ მომავალი თაობებისათვის გაეცნოთ დიდი ქართველი პოეტის საუკეთესო საბავშვო თხზულებები, ნაწყვეტები პოემებიდან, დიდი მოცულობის მოთხრობებიდან და შეეგრძნობინებინათ აკაკის პატრიოტული სული. გამონაკლისს წარმოადგენდა რუსული სკოლებისათვის შექმნილი ”ქართული ენის” სახელმძღვანელოები.

21-ე საუკუნის დასაწყისი უამრავი ალტერნატიული სახელმძღვანელოს გამოცემით გახდა ცნობილი. თითოეულ კლასში ერთდროულად რამდენიმე წიგნი ჩაეშვა, რომლის არჩევანი სკოლის დირექციასა და პედაგოგებზე იყო დამოკიდებული. 2009 - 2010 სასწავლო წლისათვის გვქონდა უნიკალური შემთხვევა, როცა პირველ კლასში ათი ალტერნატიული „დედაენით“ სწავლების უფლება მიიღო სკოლამ განათლების სამინისტროდან. 2011 წლიდან დარეგულირდა ეს პროცესი და დღემდე სწავლებაში მხოლოდ სამი ავტორთა ჯგუფის სახელმძღვანელო დამკვიდრდა. საუკუნის დასაწყისი იმითაც გამოირჩა, რომ დაწყებითი კლასები არა ოთხნლიანი, არამედ ექვსწლიანი გახდა. ამდენად, გავეცანი მე-5-6 კლასების გამოცემებსაც.

2006 წლამდე იპეჭდებოდა ვ. რამიშვილის 1-ლი კლასის ”დედაენის” შევსებული და გადამუშავებული წიგნი (ნათელა მაღლაკელიდის ავტორობით), რომელშიც აკაკი წერეთლის საინფორმაციო ტექსტი ”წმინდა ნინო” იყო დაბეჭდილი.

2007 წლიდან დღემდე 1-ლი კლასის სახელმძღვანელოების სამივე გამოცემიდან ვერც ერთში ვეღარ ვხვდებით აკაკის ნაწარმოებებს.

2007 წლიდან ახალი ავტორი შეემატა დაწყებითი კლასის სახელმძღვანელოთა რიგს 6. მაღლაკელიდისა და მისი ჯგუფის, - ც. ყურაშვილისა და ე. მაღლაკელიდის, - სახით. მათ მიერ გამოცემულ მეორე კლასის სახელმძღვანელოშიც - ”ქართული - 2” - მხოლოდ აკაკის ”ყმაწვილი და პეპელა” ფიგურირებს.

6. მაღლაკელიდისა და ც. ყურაშვილის 2005 წელს გამოცემულ მე-3 კლასის ”კლასგარეშე საკითხავ ლიტერატურაში” მხოლოდ ერთი ტექსტია აკაკისი - ”მწყერი და მწყემსი.”

2011 წლიდან პროფესორს (6. მაღლაკელიდი) ”ქართული ენისა და ლიტერატურის მეოთხე კლასის სახელმძღვანელოში ნაწყვეტი შეუტანია აკაკის მოგონებებიდან ”ჩემი თავგადასავალი” ქვესათაურით ”გიმნაზიაში.” აგრეთვე ლექსი - ”გაზაფხული.”

ვ. როდონაიასა და მისი ჯგუფის მიერ 2005 წელს გამოცემულ მეორე კლასის ”მშობლიური ენის” სახელმძღვანელოში პოეტის ერთი თარგმანი (ივ. კრილოვის ”ჭრიჭინა და ჭიანჭველა”) და ორი ნაწარმოებია დაბეჭდილი. ლექსები: ”ყმაწვილი და პეპელა” და ”ვაშლი და შაქარა”. იგივე ნაწარმოებია შერჩენილი 2015 წელს გამოცემულ მე-2 კლასის სახელმძღვანელოშიც.

ვ. როდონაიასა და მისი ჯგუფის მიერ 2005 წელს გამოცემულ ”მშობლიური ენის” მესამე კლასის სახელმძღვანელოში აკაკის სამი ერთეული მასალაა შეტანილი: ლექსი ”გაზაფხული,” ”უცნაური გაკვეთილი” (ნაწყვეტი პოეტის მოგონებიდან ”ჩემი თავგადასავალი”) და ივ. კრილოვის იგავ-არაკი ”მგელი და კრავი” - აკაკის თარგმანით. 2015 წლისათვის ნაწარმოებთა რაოდენობა გაიზარდა შემდეგი მოგონებებით: „პატარა მოგონებები დიდი მწერლის შესახებ,” „სიკე-

თის ძალა, „ნარწერა წიგნზე,“ „ჭირვეული ბიჭი და აკაკი წერეთელი,“ „აკაკის სახლი“ და „გიმ-ნაზიაში.“

ვ. როდონაიამ და მისმა ჯგუფმა 2004 წელს გამოცემულ მეოთხე კლასის „მშობლიური ენის“ სახელმძღვანელოში აკაკი წერეთლის სამი პოეზიისა და პროზის ნიმუში დაბეჭდეს: ”ვინ დათვალოს,“ ”ნანა“ და ”მხილება“ (ნაწყვეტი ”ჩემი თავგადასავლიდან“).

”ვინ დათვალოს ზღვაში ქვიშა
და ან ცაზე ვარსკვლავები?
ვინ შეამკოს ლირსეულად
ქართველ გმირთა მხარ მკლავები?...
”ნაშთი ძველი დიდებისა
არ გამქრალა ჯერაც ყველა...
დღესაც მისი შარავანდით
ნიშანს გვაძლევს ცისარტყელა!“...

ხალხის ნარმოდგენით, ცისარტყელა გამოდარების ნიშანია. იგი მომავლის იმედსა და რწმენას დაუკავშირდა. ბიბლია მოგვითხრობს, რომ ნარღვნის შემდეგ ნოემ ცისარტყელა იხილა, რომელიც უფალს გამოესახა ცაზე, როგორც ნიშანი გადარჩენისა, მშვიდობისა და იმედისა.

არ შემიძლია უყურადღებოდ დავტოვო იონა მიუნერგიას ”ინტერვიუ აკაკი წერეთელთან“. მოსწავლეები გაეცნობიან აკაკის მოსაზრებებს სხვადასხვა საინტერესო თემაზე: პოეტს კაცის საუკეთესო თვისებად მამაკაცური სულგრძელობა მიაჩნდა, ყველაზე დიდ ბედნიერებად - გარემოს ატანის უნარი, უტედურებად - გულუმაძღრობა, ყვავილებიდან ვარდს ანიჭებდა უპირატესობას, სასმელებიდან - წყალს, მისი ცხოვრების დევიზი კი შრომა და მოთმინება ყოფილა .

2015 წლის მეოთხე კლასის „მშობლიური ენის“ სახელმძღვანელო ერთი მოგონებით შეივსო აკაკის ”ჩემი თავგადასავლიდან“ – ”გამოცდების შემდეგ.“ მე-5 კლასის სახელმძღვანელოში რამდენიმე მოგონებაა შეტანილი აკაკის „ჩემი თავგადასავლიდან.“ მე-6 კლასის სახელმძღვანელოში კი აკაკის შემოქმედების ნიმუშებს ვეღარ ვხვდებით.

პოეტის ყველაზე მეტი რაოდენობის ნაწარმოები ნ.გორდელაძემ და თ. კუხიანიძემ შეიტანეს ”ქართული ენის“ მესამე კლასის 2008 წელს გამოცემულ სახელმძღვანელოში.

პირველი მათგანია ”ქართული ანბანი“, რომელიც დაწყებითი კლასების არც ერთ სხვა გამოცემაში არ არის აღმოჩენილი:

”ყმაწვილო, თუ გსურს, გიყვარდეს
შენი სამშობლო ძალიან,
ჯერ კითხვა უნდა ისწავლო:
პირველი ასო არის ა...
ასევე პირველად ვხვდებით სახელმძღვანელოში აკაკის გამოცანასაც:
”ყმაწვილისთვის სასარგებლო
ვარ მისგანვე განწირული;
თავს მჭრის, რათა გამომიჩნდეს
დაფარული შავი გული.“ (ფანქარი)

”გიორგობისთვის დღე“ შემოდგომის თემაზე შექმნილი ლექსია მშვენიერი შედარებებით. მომდევნო პოეზიის ნიმუშია ”ხატის წინ;“ ორსტროფიანი ლექსი, რომლის ორი სტრიქონი საქართველოს პიმნია გაულერებული: ”ჩემი ხატია სამშობლო, სახატე - ჩემი ქვეყანა. . .“

სახელმძღვანელოში გვხვდება აგრეთვე: ლექსები ”ყმაწვილი და პეპელა“ და ”ჩონგური,“ აკაკის თარგმანები - ივ. კრილოვის ”დათვის წვეულებისა“ და ”ჭრიჭინა და ჭიანჭველას“ სახით.

6. გორდელაძისა და თ. კუხიანიძის მე-4 კლასის ”ქართული ენის“ 2009 წლიდან გამოცემულ სახელმძღვანელოში აკაკი წერეთლის ერთი ნაწარმოებია შეტანილი, ნაწყვეტი მოთხრობიდან ”ჩემი თავგადასავალი“ - სახელწოდებით ”ქორობა“. გარდა ამისა, მის მიერ თარგმნილი კრილოვის ორი იგავ-არაკი: ”მელა და ყურძენი“ და ”მგელი და კრავი.“

მეხუთე კლასის ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოში რამდენიმე თავია შეტანილი აკაკის მოგონებებიდან, მე-6 კლასის სახლმძღვანელოში უკვე ვეღარ ვხვდებით აკაკის შემოქმედების ნიმუშებს.

შეიძლება ითქვას, რომ დღეს მოქმედ I-V კლასის ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოებში თავისი მკვიდრი ადგილი უჭირავს აკაკის შემოქმედებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ი. გოგებაშვილი, თხზ. ტ. 4, 1955, გვ.187
2. (ი. გოგებაშვილის რჩეული ნაწერები, 1940, ტ. 11, გვ. 185).
3. სხვადასხვა ავტორთა მიერ გამოცემული დაწყებითი კლასების ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოები მე-19 საუკუნიდან დღემდე.

MALVINA SHANIDZE

AKAKI TSERETELI STORIES IN PRIMARY SCHOOLS IN GEORGIAN LANGUAGE AND LITERATURE

Summary

From 70-80-ies of the 19 century till 40-ies of the 20 one there were established elementary level books in Georgian language where we can find some stories of Akaki Tsereteli. These stories are inculcated by Iakob Gogebashvili who is the author of „Deda ena” and „Bunebis kari”. From 1943 till the end of the previous century some text-books were made totally by the stories and translations of Akaki Tsereteli, so that the pupils (I-II-IV graders) could look through the selected works of the great enthusiast poet. There are some exceptions for Georgian language books in Russian schools, where there are no Akaki's works. In the beginning of the 21 century there were created some alternative books for the same grades and teachers could choose the one. This process has been regulated from 2011 till today, there are inculcated the books by three authors. The beginning of the century was important also because there were 6 teaching years in primary schools instead of 4 years. We had learnt also 5-6 grade editions. Today I-V grades in Georgian language and literature books have the stories of a great Georgian poet Akaki Tsereteli.

შეაღლესი სპოლის პედაგოგიკა

მეგრებული გადონა
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
პროფესორი

იდელისური ფილოლოგის დაპარტამენტის პალიტიკა პროფილი და თანამადროვა გამოცვევები

ინგლისური ფილოლოგის დეპარტამენტი წარმოადგენს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთ უძველეს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით სტრუქტურულ ერთეულს, რომელსაც დიდი წვლილი შეაკვეთ შეპირისპირებითი კვლევებისა და სწავლების ახალი მეთოდების დანერგვაში. ფილოლოგის, კერძოდ კი, ინგლისური ფილოლოგის, როგორც კომპლექსური პუმანიტარული დარგის, მეცნიერული კვლევა დეპარტამენტში სინთეზურ-ანალიტიკური ვექტორის გათვალისწინებით, სინერგიულობის პრინციპებისა და ინტერდისციპლინური მეთოდოლოგიის ჭრილში მიმდინარეობს. შესაბამისად, დეპარტამენტში მეცნიერული კვლევითი აქტივობების არსებული ორი აკადემიური მიმართულებაა: ლინგვისტიკა და ინგლისური და ამერიკული ლიტერატურა.

სწავლება სამ საფეხურიანია: პაკალავრიატი, მაგისტრატურა და დოქტორანტურა, რაც მეტ შესაძლებლობას იძლევა, კვლევის შედეგები ინტეგრირებულ იქნას სასწავლო პროცესთან.

დეპარტამენტის სასწავლო და მეცნიერულ დონეს არსებითად განსაზღვრავს მაღალკვალი-ფიციური პერსონალი. კერძოდ, საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებს ემსახურება 2 პროფესორი, 13 ასოცირებული პროფესორი და 10 ასისტენტ-პროფესორი. ისინი, სასწავლო პროცესის ხარისხიანად, აკადემიურ დონეზე წარმართვასთან ერთად, აქტიურ სამეცნიერო მუშაობასაც ეწევიან. კვლევების შედეგები სტატიების, მონოგრაფიებისა და კრებულების სახით ქვეყნდება როგორც ქვეყნის შიგნით, ისე - მის გარეთ. კერძოდ, აშშ-სა და გერმანიაში. დეპარტამენტის აკადემიური პერსონალი აქტიურად მონაწილეობენ საერთაშორისო მასშტაბის სამეცნიერო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში საქართველოსა და საზღვარგარეთ.

სწორად დაგეგმილი საგანმანათლებლო მენეჯმენტის შედეგია ის, რომ დეპარტამენტის კურსდამთავრებულები წარმატებით მუშაობენ მსოფლიოს სხვადასხვა უნივერსიტეტში პროფესორისა და ასოცირებული პროფესორის თანამდებობებზე. მათ შორის 900-მდე ადამიანი და-საქმებულია ევროპისა და აზიის უნივერსიტეტებსა და მსოფლიოს ბიზნეს ცენტრებში. დეპარტამენტის ახალგაზრდა პროფესურა და კურსდამთავრებულები აქტიურად მონაწილეობენ სასწავლო-საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში, როგორიცაა IREX, ACCEL, MUSKIF, CEU, ERAZMUS+ და სხვა.

სწავლებისა და კვლევების წარმართვის უახლესი მეთოდების დანერგვისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით, დეპარტამენტი არა მარტო ინვესტიციების ბრიტანელ და ამერიკელ ექსპერტებს (მიღებულ იქნა 221 სპეციალისტი, მათ შორის - 35 პროფესორი), არამედ დეპარტამენტის აკადემიურ პერსონალს სამეცნიერო კუთხით კვალიფიკირების ასამაღლებლად აგზავნის დიდ ბრიტანეთსა და აშშ-ში.

დეპარტამენტის სასწავლო-სამეცნიერო მუშაობის მაღალი დონის მაჩვენებლად უნდა მივიჩნიოთ ისიც, რომ მან რეცენზირება გაუკეთა ოქსფორდის უნივერსიტეტის (Oxford University Press) მიერ გამოშვებულ, ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ ინგლისური ენის სახელმძღვანელოს Headway. რეცენზია გაეგზავნა გამომცემლობას და იქვე გამოქვეყნდა.

ინგლისური ფილოლოგიის დეპარტამენტი ლინგვისტიკაში კვლევებს აწარმოებს ანთროპო-ცენტრისტულ-კომუნიკაციური და ლინგვო-სემიოტიკური მიმართულებით, რომელიც ეყრდნო-

ბა, როგორც ენობრივ მოვლენათა დიფერენცირების კრიტერიუმის ძიების პროცედურებსა და შედეგებს, ისე - ლინგვოსემიოტიკურსა და კულტურათაშორის ასპექტებს.

ლინგვისტიკაში მომუშავე აკადემიური პერსონალის კვლევების კონცეფციაში გამოკვეთი-ლია თანამედროვე ენათმეცნიერების შედარებით ახალი მიმართულების - შეპირისპირებითი ლინგვისტიკის კვლევა, რომლის მიზანია შესაპირისპირებელ, მონათესავე თუ არამონათესავე ორ ენას შორის მსგავსება-განსხვავების დადგენა სინქრონულ ასპექტში, რათა გამოვლინდეს აღნიშნულ ენათა სპეციფიკა და მოიძებნოს ის საერთო, რაც გახდება ენათა შეპირისპირების საფუძველი - ეს საერთო კი შეიძლება იყოს ესა თუ ის კონტექსტი ან ფრეიმი.

ინგლისური ფილოლოგის დეპარტამენტში კვლევის მეთოდოლოგია ორი შინაგანი პრინციპის ერთიანობაა - იგი ერთდროულად ინტერდისციპლინური და ლინგვისტურად ცენტრირებულია. შეპირისპირებით ლინგვისტიკაში მეთოდოლოგიურ პარადიგმად მიჩნეულია კულტუროლოგიური პარადიგმა ისეთი შინაგანი სტრუქტურით, როგორიცაა სემიოტიკური და კომუნიკაციური პარადიგმები.

კვლევის ლინგვისტურად ცენტრირებულობა, ანუ საკვლევი ობიექტის ენობრივ ასპექტთა წინა პლანზე წამოწევა გულისხმობს ინტერდისციპლინურობას, რომელიც აზროვნებისა და კვლევის ჭეშმარიტად თანამედროვე სტილია. კვლევის ლინგვისტურად ცენტრირებულობა, კი იმ თეორიულ და მეთოდოლოგიურ პრინციპებს ეყრდნობა, რომელთა არსებობა განპირობებულია ლინგვისტური აზროვნების ანთროპოცენტრისტულ-კომუნიკაციური პარადიგმით.

კვლევის წამყვანი პრინციპია სისტემურობა. ამ პრინციპის გარეშე, შეუძლებელია არამონათესავე ენების სისტემათა და ქვესისტემათა მეცნიერული შეპირისპირება, რადგან სისტემურობა არა ცალკეული ფაქტების შედარება-შეპირისპირებაა, არამედ მთლიანად ენათა სისტემებისა და ქვესისტემების კვლევასაც ითვალისწინებს.

მეორე პრინციპი - ფუნქციურ-სისტემობრივი შეპირისპირება- ქმნის საფუძველს, რომ დადგინდეს ენობრივი მოვლენის სხვადასხვაგვარი ქცევა სტრუქტურულად განსხვავებულ ორ ენაში და იძლევა ორნაირ შედეგს: ერთი მხრივ, თვალსაჩინოს ხდის იმ განსხვავებას, რომელიც შეპირისპირებულ ენებს შორის დასტურდება, ანუ ავლენს მათ სპეციფიკას, მეორე მხრივ, წარმოაჩენს ცალკეულ ენებს შიგნით შესასწავლი მოვლენის ბევრ ახალ, მანამდე გაუთვალისწინებელ მხარეს, აზუსტებს მათ გამოვლენას ენასა და მეტყველებაში, გვიჩვენებს ენობრივი საშუალებების დისტრიბუციასა და მათი რეალიზაციის თავისებურებებს.

ზემოაღნიშნულის საფუძველზე, ლინგვისტიკაში სამეცნიერო კვლევის ძირითადი მიმართულებებია:

- სისტემური კვლევის „შევსება“ კომუნიკაციურად ორიენტირებული კვლევით;

ამიტომ, ერთდროულად ხდება შესწავლა, როგორც კატეგორიების, ისე მათი აქტუალიზაციისა ტექსტში;

- როგორც ზმნური, ისე სუბსტანტიური კატეგორიების, როგორც სემანტიკური უნივერსალიების, განხილვა; შეპირისპირებით-ტიპოლოგიური კვლევის თავიდანვე უნივერსალიათა თეორიაზე დაფუძნება;

- უნივერსალიათა დონიდან კონკრეტული ენის სისტემურ დონეზე გადასვლა ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორიის ცნების საშუალებით და ყოველი ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორიის განხილვა, როგორც ამა თუ იმ სემანტიკური უნივერსალიის კონკრეტულ-სისტემური აქტუალიზაცია;

- ყოველი ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორიის კონკრეტულ-სისტემური არსებობისა და ფუნქციონის აღნერა ველის პრინციპზე დაყრდნობით: ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორია რეალურად ფუნქციურ-სემანტიკური ველის სახითაა წარმოდგენილი;

- ენის სისტემიდან დისკურსზე (ტექსტზე) გადასვლა ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორიის შესაბამისი ველის აქტუალიზაციით;

- ტექსტის დონეზე ყოველი ფუნქციურ-სემანტიკური ველის (და, შესაბამისად, ამ ველი-სათვის ფუძემდებელი კატეგორიის) შესაბამისი ტექსტიპირობი ბადის სახით წარმოდგენა;
- კონტრასტული კვლევა კატეგორიათა კვლევაა, როგორც სისტემის, ისე ტექსტის დონეზე მათი მოცულობის შესაბამისი ველებისა და ბადების წარმოდგენით.

ამ კონცეფციის ფარგლებში განხორციელებული კვლევის შედეგია სახელმძღვანელო „ინგლისური და ქართული ენების შეპირისპირებითი ლინგვისტიკა“ (მადონა მეგრელიშვილი, რუსუდან გვილავა, მაია ალავიძე, ნინო ნიუარაძე, ნათია ზვიადაძე), რომელშიც წარმოდგენილია ზმნურ კატეგორიათა შეპირისპირებით-ტიპოლოგიური ანალიზი ამ ორ ენას შორის მსგავსება-განსხვავების დასადგენად. ეს არის ჯერჯერობით ქვეყნის მასშტაბით ერთადერთი სახელმძღვანელო შეპირისპირებით ლინგვისტიკაში, რომელიც პასუხობს დღევანდელ მოთხოვნას ჩვენს უნივერსიტეტში შეპირისპირებითი ლინგვისტიკის მძლავრი კვლევითი ცენტრის შექმნასთან დაკავშირებით, რაც მთლიანად მიესადაგება სადოქტორო პროგრამას „შეპირისპირებითი ლინგვისტიკა“. ასევე აღსანიშნავია მეორე სახელმძღვანელო „თეორიული გრამატიკა“ (მადონა მეგრელიშვილი), რომელსაც აქტიურად იყენებენ საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტში. კერძოდ, აღნიშნული კურსი ამ სახელმძღვანელოთი ისწავლება თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

მომავალში ამ მიმართულების კიდევ უფრო სიღრმისეული კვლევისათვის უკვე დაიწყო მუშაობა სამი მიმართულებით:

- **პირველი პროექტი** ითვალისწინებს სადოქტორო დისერტაციების მომზადებას სხვადასხვა სისტემის (ინგლისური/ქართული, გერმანული/ქართული, ფრანგული/ქართული, რუსული/ქართული) ენებში ამბივალენტობის, ნიშნის მნიშვნელობის, რეფერენციალურ, პრაგმატიკულ შიდალინგვისტურ მოვლენათა გამოსავლენად. ამ მიმართულებით დეპარტამენტი უკვე ახორციელებს უაღრესად წარმატებულ სადოქტორო პროგრამას „შეპირისპირებითი ლინგვისტიკა“. 2010 წლიდან 28 დისერტაციაა დაცული. დოქტორანტების სტატიები რეცენზირებისათვის ეგზავნებათ უცხოელ ექსპერტებს, რომლებიც ძალიან მაღალ შეფასებას აძლევენ მათ წამუშევარს და მთლიანად პროგრამას.

- **მეორე პროექტი** -სხვადასხვა სისტემების ენათა შეპირისპირებითი ლინგვისტიკის ფუნდამენტური სახელმძღვანელოს გამოცემა, რომელშიც წარმოდგენილი იქნება, როგორც მორფოლოგიურ, სინტაქსურ, ფონოლოგიურ, ლექსიკურ სისტემათა, ისე გამონათქვამისა და ტექსტის შეპირისპირებით-ტიპოლოგიური ანალიზი, მათ შორის იზომორფიზმისა და ალომორფიზმის დასადგენად. სახელმძღვანელოში წარმოდგენილი ალგორითმი დიდ გამოყენებას ჰპოვებს სხვა კატეგორიათა შესასწავლად გენეტიკურად არამონათესავე ენებს შორის.

- **მესამე პროექტი** - უცხოური ენების სწავლების მეთოდიების სახელმძღვანელოს შექმნაა, რომელშიც ჩაერთვებიან როგორც ადგილობრივი სპეციალისტები, ისე უცხოელებიც. როგორც ლინგვისტური კვლევის ახალ დარგს, კონტრასტულ ლინგვისტიკას მხოლოდ თეორიული მნიშვნელობა კი არ აქვს, არამედ -პრაქტიკულიც. იგი მიზნად ისახავს შესაპირისპირებელ ენებს შორის ინტერფერენციის დადგენასა და შესასწავლი ენის არსებულ სიძნელეთა იერარქიის წინასწარ განჭვრეტას. ასეთი მონაცემები საშუალებას იძლევა, შევქმნათ უცხოური ენის სწავლების რაციონალური მეთოდიება (ქართულენოვანი აუდიტორიისათვის), რომელიც საგრძნობლად აამაღლებს უცხოური ენის დაუფლების დონეს ჩვენს ქვეყანაში. ამ პროექტის სარეალიზაციოდ, უახლესი ტექნიკური საშუალებების გამოყენებით, ჩატარდება სხვადასხვა სახის ტრენინგ-სემინარები.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია პროფესორ გურამ ლებანიძის ჩართულობა პროექტში. მისი ხელმძღვანელობით, საფუძველი ჩაეყარა ლინგვოკულტუროლოგიური კვლევების სკოლას არა მარტო ჩვენს უნივერსიტეტში, არამედ - მთელი ქვეყნის მასშტაბით. მასთან ერთად პროექტში აქტიურად მონაწილეობენ ქვეყნის წამყვანი ანგლისტები: პროფესორი ნინო კირვალიძე და

პროფესორი მაია ჩხეიძე. დეპარტამენტთან აქტიურად თანამშრომლობენ შეპირისპირებითი ლინგვისტიკის ჭრილში მიმდინარე კვლევებით დაინტერესებული უნივერსიტეტები მთელი ქვეყნის მასშტაბით.

პროექტში აქტიურად მონაწილეობენ ჩვენი საზღვარგარეთელი კოლეგები: ევროპის პირველი ანგლისტი, პროფესორი მანფრედ გორლახი (გერმანია), სამხრეთ უელსის უნივერსიტეტის პროფესორი ჯენიფერ კენი (ნიუპორტი, დიდი ბრიტანეთი), ლინგვისტიკის მიმართულების ხელმძღვანელი, მისურის უნივერსიტეტის პროფესორი, დოქტორი ვიკი კარსტენსი (აშშ), ქეიფ თაუნის უნივერსიტეტის პროფესორი ანა დეუმარტი და ინის ფრედრიპ შილერის უნივერსიტეტის პროფესორი, დოქტორი ვოლკერ გასტი (გერმანია).

რაც შეეხება ინგლისური ფილოლოგიის დეპარტამენტის **ინგლისური და ამერიკული ლიტერატურის მიმართულებას**, დეპარტამენტის აკადემიური პერსონალის, დოქტორანტთა და მაგისტრანტთა მეცნიერული კვლევის ძირითადი მიმართულებებია ინგლისური და ამერიკული ლიტერატურის განვითარების ეტაპები და მიმდინარეობები.

ლიტერატურის მიმართულების ინტერესს წარმოადგენს ინგლისური და ამერიკული ლიტერატურის ყველა უანრის, რომანის, დრამისა თუ პოეზიის შესწავლა და კვლევა, მათი პოეტოლოგიური კატეგორიების, უანრობრივი ფორმის, შინაარსისა და თემატიკის, ტრადიციისა და ნოვატორობის საკითხების შესწავლა-გაანალიზება. თანამედროვე მოთხოვნებისა და მიდგომებისა-გან გამომდინარე, კვლევები ინტერდისციპლინურია, ლიტერატურის შესწავლა და კვლევა ხორციელდება არა მხოლოდ თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობის, არამედ ენათმეცნიერების, კულტუროლოგიის, ისტორიული, პოლიტიკური თუ სოციალური მეცნიერებების თეორიების გათვალისწინებით.

კვლევის ერთ-ერთი ნაწილია ინგლისური და ამერიკული ლიტერატურის გავლენის საკითხის შესწავლა როგორც ევროპულ, ისე ზოგადად მსოფლიო ლიტერატურის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე. აქედან გამომდინარე, კვლევის მნიშვნელოვანი კომპონენტია ქართულ-ბრიტანული და ქართულ-ამერიკული ლიტერატურული ურთიერთობანი.

ლიტერატურის მიმართულებას მჭიდრო მეცნიერული კავშირები აქვს უცხოელ კოლეგებთან. ყოველწლიურად, დეპარტამენტის მოწვევით, ნიუ მექსიკის უნივერსიტეტის პროფესორები ჯეიმს და კონი თორსონები ინგლისური ფილოლოგიის დეპარტამენტის აკადემიურ პერსონალს, დოქტორანტებსა და მაგისტრებს უტარებენ ლექცია-სემინარებს თანამედროვე ინგლისური და ამერიკული ლიტერატურის პროცესებზე და ლიტერატურის სწავლების მეთოდებზე. პროფესორი ჯეიმს თორსონი კონსულტაციებს უწევს დეპარტამენტის აკადემიურ პერსონალს და დოქტორანტებს. იგი დეპარტამენტის დოქტორანტთან მუშაობს თანამედროვე ამერიკული და ინგლისური ლიტერატურის მწერალთა შემოქმედებაზე, მათ ნაწარმოებებში ასახულ ახალ მიმდინარეობებზე და თანამედროვე ლიტმცოდნეობის თეორიის პრობლემურ საკითხებზე, კერძოდ, დისტროფულ რომანზე.

ლიტერატურის მიმართულების სამეცნიერო მუშაობის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას წარმოადგენს სტუდენტებისათვის თანამედროვე სახელმძღვანელოების შექმნა და გამოცემა. დეპარტამენტის აკადემიური პერსონალი აქტიურად და წარმატებით მონაწილეობს ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში.

ამჟამად დეპარტამენტში სწავლება მიმდინარეობს უახლესი ტექნიკური საშუალებების აქტიური გამოყენებით. საგანმანათლებლო ტექნოლოგიების გამოყენებამ ენის სწავლების დინამიკა ძირეულად შეცვალა. ლექტორ - მასწავლებლები სულ უფრო მეტად იყენებენ ტექნოლოგიებს ენის სწავლებისას. ტექნოლოგიების გამოყენება სტუდენტთა ინტერესის გაღვივებასა და სასწავლო პროცესის მრავალფეროვანი აქტივობებით გამდიდრებას უწყობს ხელს.

კერძოდ, დეპარტამენტი აღჭურვილია პროექტორებით, კომპიუტერებით, აუდიო და ვიდეო კასეტების ფონდით, მაგნიტოფონებით, ვიდეო-ტელევიზორით, სლაიდების პროექტორებით, პრინტერებით, ასლგადამლებებით და ა.შ. 2013 წლის ოქტომბერში გაიხსნა თანამედროვე

ტექნიკით აღჭურვილი ინგლისური და ამერიკული ლიტერატურის სწავლების ლაბორატორია. იგი გარემონტებულია და აღჭურვილია ყველა თანამედროვე საშუალებით, რაც საჯარო ლექციების მაღალ დონეზე ჩატარების საშუალებას იძლევა. ეს არის ლიტერატურის სწავლების პირველი ლაბორატორია ქვეყნის მასშტაბით.

ინგლისური გილოლოგის დეპარტამენტი ცნობილია როგორც ყოველგვარი სიახლის ინიციატორი და განმახორციელებელი. მის პოპულარობასა და პროფესიონალიზმს აღიარებს ქართველ და უცხოელ მეცნიერთა ავტორიტეტული წრეები.

ამჟამად დეპარტამენტში მუშავდება მასალები მომავალი სასწავლო რეფორმების განსახორციელებლად, რაც კიდევ უფრო მოქნილს გახდის ინგლისური ენის სწავლებას ქართულ უმაღლეს სასწავლებელში.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური გილოლოგის დეპარტამენტი თაობებს მისცემს საშუალებასა და ცოდნას - დაიმკვიდროს საჭირო ადგილი თანამედროვე საზოგადოებაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მეგრელიშვილი მადონა et al 2012. ინგლისური და ქართული ენების შეპირისპირებითი ლინგვისტიკა, გამ-ბა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი
2. Megrelashvili Madonna 2009. A course in Theoretical English Grammar, Kutaisi University Press, Kutaisi
3. ინგლისური ფილოლოგის დეპარტამენტი 2015. გამ-ბა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი

**MEGRELASHVILI MADONNA
Akaki Tsereteli State University**

RESEARCH PROFILE OF THE ENGLISH PHILOLOGY DEPARTMENT AND MODERN CHALLENGES

English Philology Department, one of the oldest educational and scientific structural units of Akaki Tsereteli State University, contributes greatly to the implementation of contrastive studies and new teaching methods. The department is involved in studying English Philology, as a complex field of humanities, in the context/through application of synergy principle and interdisciplinary methodology taking into account synthetic and analytic vectors. Consequently, there are two academic directions of scientific-research activities in the department: linguistics, and English and American Literature. The department implements academic programmes at all three stages of higher education, BA, MA and PhD, which helps to integrate research results with the teaching process. English Philology Department carries out linguistic research in anthropocentric-communicative and linguosemiotic directions, which is concerned with procedures and outcomes of the search for criteria of differentiating linguistic phenomena, as well as linguosemiotic and intercultural aspects. Literature direction mainly focuses on the study and research into all the genres of the English and American literature, novel, drama and poetry, the study and analysis of their poetological categories, genre forms, plot and theme, tradition and novelty.

Key Words: Interdisciplinary, synergy, anthropocentric, intercultural, vector.

АВТАНДИЛ АСАТИАНИ
профессор Грузинского технического университета

НЕКОТОРЫЕ ПРОБЛЕМЫ ТРУДОУСТРОЙСТВА ВЫПУСКНИКОВ ВЫСШИХ УЧЕБНЫХ ЗАВЕДЕНИЙ ГРУЗИИ И ВОЗМОЖНЫЕ ПУТИ ИХ РЕШЕНИЯ

Для экономики Грузии, как и для других постсоветских стран, болезненным оказался переход от принципов управления планового народного хозяйства на модель конкурентного рынка. Этот процесс оказался не в меньшей мере сложным в сфере трудоустройства выпускников высших учебных заведений. После того, как был принят закон «О высшем образовании» (2004) и Грузия присоединилась к Болонскому процессу, начались системные и качественные изменения в системе высшего образования Грузии. Тем не менее, происходящие в высших учебных заведениях реформы все-таки не дали соответствующих результатов. Это подтверждает плачевное положение грузинских университетов в мировых и европейских рейтингах. К сожалению, на протяжении целого ряда лет реформаторы опирались на любую критику, оправдывались и приводили в пример аналоги западных стран, что было не очень убедительно. Страна, которая уже в XII веке имела равнозначную Болонскому университету Гелатскую академию, не должна удовлетворяться только подражанием. Приветствуется принятие опыта цивилизованного мира, но, вместе с тем, любая реформа должна учитывать национальную образовательную традицию. Ведь сам Болонский процесс служит этой идеи: «Конечной целью реформ, протекающих в европейском образовательном пространстве является защита европейской культуры и языкового разнообразия, которые основаны на наследии ее разнообразных традиций, а также на поддержке инновационного и социально-экономического развития потенциала Европы с помощью увеличивающегося сотрудничества между европейскими образовательными учреждениями (1, 72-73).

К сожалению, в уже известных результатах реформы образования мало обнадеживающего: массовое высшее образование готовит информированных функционеров, а не знающих специалистов. Задачей университета является уже не воспитание образованного гражданина-профессионала, его социализация, а лишь подготовка функционера менеджера, ограниченного рамками конформизма. Необходимо изменить существующий подход к образовательным программам, к формам и методам организации обучения. Коренных изменений требует методика обучения предметов, что, к сожалению, игнорируется в наших высших школах.

Именно по этой причине высшее образование и, соответственно, наука не смогли оказать значительное влияние на экономику страны. Традиционно существующий интеллектуальный потенциал в нашей стране остался в стороне от происходящих экономических процессов. Между высшими учебными заведениями и бизнесом еще не наложены связи, основанные на взаимовыгоде. Иностранные инвестиции по-прежнему недоступны для высшего образования, а активность грузинского бизнеса в образовании почти незначительна.

Без разработки и приведения в действие эффективных механизмов взаимоотношений образовательных и экономических процессов невозможно использование «человеческого капитала», что в условиях современной глобализации признано ведущим фактором развития экономики. Известно, что инвестиции именно в этом секторе повышают квалификацию и увеличивают личные возможности человека. Значительно также то, что затраты, необходимые для формирования человеческого капитала должен оплатить некий человек (или группа), а пользу получит как конкретная личность, так и все общество. В системе образовательного обслуживания и высшего образования это обстоятельство делает актуальным изучение и применение рыночных, не рыночных или других механизмов. Исходя из этого, очевидна и цель: эффективное взаимоотношение этих двух секторов (образования и экономики).

Большой опыт взаимоотношений образовательной и экономической деятельности существует в странах с развитой экономикой. В США и в Европе большие компании вплотную сотрудничают с университетами, заботятся об укреплении их учебно-материальной базы; выделяют средства для

создания исследовательских лабораторий, учреждают стипендии для успешных ученых и студентов; возлагают на себя ответственность за трудоустройство выпускников.

Аналогичные взаимоотношения с работодателями установили высшие учебные заведения Российской Федерации (2. 154-158) и Балтийских стран. Бизнес-сектор этих стран активно включен в мероприятия по учебной практике и трудоустройству студентов (3, 789-791), чего нельзя сказать об агентстве по трудоустройству, созданном при министерстве труда и социальной защиты в Грузии.

Современное общество давно сошлось во мнении, что образование тоже бизнес, но особый по своей специфике. К тому же оно испытывает влияние тех же обстоятельств, что и бизнес. Исходя из этого, все субъекты, участвующие в образовательном бизнесе, должны вести свою деятельность по законам бизнеса. Мы имеем в виду начало образовательной деятельности, чьему, в первую очередь, должно предшествовать изучение рынка труда и установление спроса кадров. К сожалению, эту прописную истину в Грузии никто не помнил, когда в 90-е годы разразился настоящий бум по созданию университетов. Именно поэтому у нас было самое большое количество университетов в мире. Их количество частично сократила первая институционная аккредитация (2004-2005 гг.) в связи с тем, что аккредитация была добровольной, только 225 высших учебных заведений внесли заявления на ее прохождение (их число было намного больше), из них аккредитацию получили лишь 110 вузов. На втором этапе аккредитации, из уже получивших аккредитацию высших учебных заведений, сохранили ее только 55 вузов.

С учетом численности населения Грузии, все признают, что такое большое количество вузов это уже слишком. Если заинтересуемся причинами, то легко заметим, что для основания вуза в то время существовала простая законодательная база. Исходя из тяжелого социального положения в стране, государство проводило в этой сфере либеральную политику, коррупция также играла определенную роль в приобретении лицензии и в результате мы получили безграничный рост высших учебных заведений, который совсем не учитывал требований рынка труда. В списке специальностей лидировали такие модные факультеты, как международное право, международные экономические отношения, дипломатия и т. д.

Еще недавно мы находились в плену такого плачевного положения, но встает вопрос: освободились ли мы от этого порока? К сожалению, частично. Опять налицо основные проблемы, препятствующие как развитию высшего образования, так и его положительному влиянию на экономику. Спрос на кадры не смог стать основой функционирования вузов Грузии. Именно об этом свидетельствует неоптимальная сеть вузов. В настоящее время в Грузии из 75 вузов - 20 государственных и 55 частных. В условиях конкуренции, численность студентов в 2,5 раза превышает требования рынка и явно не соответствует в численном отношении населению страны.

Фактически грузинские вузы не исследуют рынок труда, который должен быть основой формирования образовательных программ. Когда университет составляет программу того или иного направления или специальности, затем подает заявку на ее аккредитацию, им не изучено существующее положение на рынке труда, разумеется, такой вуз не должен иметь претензию на маркетинг образовательного продукта. К сожалению, к исследованиям рынка труда обращается только 3-5 % вузов Грузии. 80 % опрошенных считают необходимым проведение подобных исследований. Поэтому, на основании вышеизложенного, наш вывод прост: вузы оторваны от процессов, происходящих на рынке труда, они не учитывают реальный спрос кадров с вышим образованием, что отрицательно сказывается на безработице в стране и конкурентоспособности вузов.

Когда мы говорим о конкурентоспособности, то имеем в виду существующие в мире современные модели оценки (ISO 9001, ISO 9004, МАВ, SWOT анализ и другие). В Грузии мало кто использует эти модели. У нас по-прежнему, количество студентов (50 %) является главным индикатором в определении конкурентоспособности вузов. 30 % отдает преимущество трудоустройству, 10 % учебно-материальной базе, а по мнению 10 %, конкурентоспособность вуза определяет академический персонал.

Сегодня лидеры высших учебных заведений Грузии в один голос заявляют о существовании высокой конкуренции на рынке образования. То же подтверждают итоги опроса представителей высших учебных заведений. Согласно исследованию, 70 % опрошенных считают, что из всех университетов, находящихся на рынке образовательных услуг, лишь 40-50 % конкурентоспособны. 30 % считает, что конкурентоспособными являются лишь 20-30 %. Мы же считаем, что точную оценку данной ситуации дает молодой ученый Л. Табатадзе в своей докторской диссертации: «Выходит, что в стране рынок услуг высшего образования в большей части представляют неконкурентоспособные вузы, налицо конкуренция именно между ними» (4, 115).

На рынке образовательных услуг многие факторы препятствуют конкуренции. На наш взгляд, в их число входит низкий уровень образования, малые финансы и устаревшие регуляции грантов, а также система Единых государственных экзаменов, несовершенные стандарты авторизации и аккредитации и низкий уровень коммуникации с бизнес-сектором. Здесь следует также отметить, что наши вузы должным образом не используют тот потенциал (высокий и опережающий характер преподавания/обучения, доступность и креативность), который характерен для системы открытого образования. Каждый из них требует специального изучения, и это должно произойти как можно быстрее. На этот раз мы остановимся на взаимоотношении вуза и бизнес-сектора.

Общеизвестно, что главной характерной чертой современной развитой экономики является ее инновативность, а импульсом развития инновационной экономики в стране считается система высшего образования, что становится возможным при разработке единой стратегии образования и бизнес деятельности. Чтобы не заходить далеко скажем, что в условиях внедрения эффективного менеджмента интеллектуального потенциала Грузии, вполне возможно обеспечить высококвалифицированным человеческим капиталом не только местный рынок труда, но и оказать достойную конкуренцию на международном рынке.

Для развития экономики Грузия не имеет важнейшего сырья и энергоресурсов, но это не значит, что наша экономика не развивается. Есть другие пути, и один из них – высшее образование и наука, где имеется большой потенциал. Мы должны использовать именно их. Но это требует большого труда и далеко идущих мер.

Насколько деятельность высококвалифицированных специалистов положительно скажется на развитии экономики, настолько и воздействие успешного бизнеса окажет положительное влияние на учебно-научный процес, что со своей стороны должно стать благоприятным фактором для развития образовательного бизнеса. С этой целью необходимо провести экономические, социальные, научно-педагогические и организационно-правовые мероприятия.

Проведенный нами опрос представителей бизнес-сектора подтвердил, что их участие в формировании образовательных программ минимальное (10 %). Опрошенные работодатели жалуются на низкий уровень подготовки выпускников. По их мнению учебные программы более теоретизированы и не способствуют развитию квалификационных навыков.

В настоящее время в Грузии при составлении образовательных программ действуют унифицированные стандарты, что нередко негативно отражается на их качестве. В частности, существующие требования аккредитации по отношению к образовательным программам значительно препятствуют включенности работодателей в процесс их создания. Унифицированные образовательные программы и силлабусы заключают в жесткие рамки также и профессоров. В силлабусе сложно обнаружить оригинальность автора. Часто остается такое впечатление, будто все силлабусы составлены одним человеком.

Мы далеки от той мысли, что государственный уполномоченный орган – министерство образования и науки, пустит на самотек этот процесс и не установит общие (трансферные) и основные стандарты, но при этом нельзя ограничивать академическую свободу университетов и самих профессоров.

Общие (трансферные) и отраслевые компетенции образовательных программ часто сформированы таким образом, что с ними невозможно применить действительно необходимый учебный курс при подготовке специалистов. Например, можно засвидетельствовать группу

профессоров, работающих над образовательной программой по подготовке учителей, которая, несмотря на то, что считается необходимым, все же не может внести в программу учебный курс «Истории образования и педагогики» только из-за того, что стандартные требования по общим (трансферным) и отраслевым компетенциям не дают на это право. Часто дело доходит до такого курьеза, что ту же судьбу испытывает первостепенный предмет для будущих учителей – педагогика. Как видно, стандарты по подготовке учителей составляют такие люди, которые никогда не проводили уроки, а правила бизнес-администрирования определяют те, кто считает, что управление бизнесом свидится к пребыванию в комфортном кресле. И в это время у работодателя ничего не спрашивают.

Помимо вышеупомянутых моделей, в университете, с целью определения качества обучения, проводятся многочисленные опросы. Один из апробированных видов оценки качества в мире - это опрос студентов, который в последнее время распространился и у нас. Подобные опросы полезны и должны продолжаться. Но их результаты по оценке образовательной программы и квалификации профессоров не всегда соответствуют реальности.

Среди наших студентов еще много немотивированных студентов по множеству причин. Это также должно стать предметом исследования. Хотя на этот раз мы отметим только то, что оценку немотивированных учебой студентов нельзя считать однозначно релевантной. Более того, количество студентов этой категории в вузах Грузии не так уж мало.

В связи с качеством обучения в наших вузах прижился еще один порок. Согласно существующему правилу финансирования, плата за обучение, которую производит студент, главный источник финансирования университета. Исходя из этого, и университет, и профессор в финансовом плане связаны со студентом. Студент, немотивированный по отношению к учебе неосознанно «пользуется» таким положением и ленится, он уверен, что студенту, внесшему деньги не приостановят статус и как-нибудь напишут положительную оценку.

То, что существующая грантовая система несовершенна, видно также из того, что плата за обучение в вузах составляет 2250 лари, а плата в частных учебных заведениях колеблется от 3000-х до 4000-х тысяч лари. Учитывая тяжелое социальное положение, в последние годы частные учебные заведения понизили плату за обучение. Некоторые частные университеты из-за конкуренции оплату за обучение приравняли к оплате, установленной в государственных вузах.

Стоимость одного кредита в государственном вузе составляет 30-35 лари, а в некоторых частных вузах достигает 70 лари. К сожалению, не обоснована такая градация между минимальным и максимальным тарифами, а объяснить это рыночными условиями вообще невозможно.

Одной из причин низкого уровня обучения является несоответствие академического персонала с занимаемым местом. Как отмечалось выше, в Грузии в данное время функционирует 75 вузов. Обеспечение их высококвалифицированными кадрами дело нелегкое. Опять острой остается проблема педагогической подготовки академического персонала. Несмотря на то, что в некоторых вузах в докторских программах изучается краткий курс по педагогике и психологии (к сожалению, еще одна порочная практика утвердилась у нас, вместо педагогики в высшей школе приняли учебный курс «Новые методы обучения», что совершенно неоправданно), это не меняет существующего положения. Считаем необходимым, чтобы действующий академический персонал периодически повышал квалификацию, проходил учебные курсы по педагогике и методике. Вместе с тем, если учтем еще и то, что существующая у нас грантовая система неэффективная и не происходит поощрение исследований, то не должна вызывать удивление критика, высказанная по этому поводу. Также следует принять во внимание плачевное положение финансирования высшего образования и науки (в Грузии государственное финансирование высшего образования составляет 0,9 % от ВВП (валового внутреннего продукта), в Европе же в пределах 2.5-3 %). Если соотнести указанные процентные показатели с соответственными суммами, то положение, правда, катастрофическое.

По воле или невольно, у нас частично ограничиваются основополагающие принципы Великой Хартии университетов – академическая свобода и свобода выбора, что отрицательно сказывается на качестве обучения. Высшие учебные заведения не имеют ни свободы выбора в процессе отбора абитуриентов, ни академической свободы в определении формы и содержания приемных экзаменов.

Эти функции выполняют Единые национальные экзамены, которые уже исчерпали свои возможности. На определенном этапе вышеупомянутое было необходимо и сыграло даже положительную роль в некоторых направлениях, но сегодня необходим переход на более гибкую систему. Будет оправдано, если Единые национальные экзамены заменят Аттестационные экзамены, и университеты сами будут отбирать абитуриентов.

Цивилизованный мир уже давно подчинил образовательные услуги логике рыночной закономерности. Образовательный бизнес также утвердился в экономике, как пищевая промышленность, шоубизнес и т. д. Но в отличие от других секторов, регуляция образования только рыночными законами не будет оправдана. Очень хорошо, что наше государство начало проведение протекционистской политики в отношении таких образовательных программ, как картвелология (картвелистика), общеобразовательные, естественнонаучные и некоторые специальности технического профиля. Их финансирование тесно связано как с сохранением национальной и культурной самобытности, так и с развитием науки и технологий. Но указанные программы финансируются только в государственных вузах, поэтому в частных вузах это считают определенной дискриминацией, что явно не беспочвенно.

Рыночной конкурентоспособности услуг высшего образования Грузии существенно препятствуют слабые и часто формальные союзы с работодателями, что выражается только в праздничном оформлении меморандумов, дальше этого дело не идет. Заинтересованность экономическими проблемами вузов со стороны бизнеса незначительна. К сожалению, у нас пока еще не состоялось социальное партнерство между вузами и бизнесом, что указывает на дефицит инновационных подходов в этой сфере. А Запад, как и Россия набрались интересного опыта в этой сфере (5, 581-601).

Как лидеры вузов, так и бизнесмены должны помнить, что сотрудничество, основанное на взаимопользе, будет способствовать развитию человеческого капитала и принесет успех обеим сторонам – и вузу, и бизнесу. Вместе с тем, такое сотрудничество будет иметь социальный эффект, так как оно будет способствовать поэтапному преодолению бедности. Известно, что чем выше качество обучения, тем более стабильно экономическое благосостояние семьи, поэтому образовательные реформы должны стать частью стратегии развития экономики и бизнеса.

Использованная литература:

1. К европейскому пространству высшего образования: Основные документы Болонского процесса. Сборник. Тб., 2005 (на грузинском языке).
2. Седунова С. Ю., Королева В. В. Модели сотрудничества вуза и работодателей // Вестник Псковского государственного университета. Серия: Социально-гуманитарные и психолого-педагогические науки. Псков, 2009. Вып. 9.
3. Brems I. Bivza B. (2012), „Quality Evaluation OF Nigher Eddication Programmes: Process and challenges in Latvia”, Manegement Knowledge and Learning - International Conference: http://issbs.si/press/ISBN/978-961-6813-10-5/papers/ML12_147.pdf. (11.07. 2016).
4. Табатадзе Л. Проблемы повышения конкурентоспособности частного сектора на рынке образовательных служб в Грузии и пути их разрешения. Докторская диссертация. Университет имени Григола Робакидзе. Тб, 2016, с. 115 (на грузинском языке).
5. Чванова М. С., Храмова М. В., Молчанов А. А. Социальное партнерство - один из механизмов совершенствования социально-инновационной деятельности вуза // Образовательные технологии и общество. 2012, Том 15, № 2.
6. Бакрадзе Л. Стратегическое развитие высшего образования и науки в Грузии. Международный институт планирования и управления политики образования. Тб., 2013 (на грузинском языке).
7. Качкачишили И., Мачарашили Н., Гогсадзе Г. Поддержка университетского образования, ориентированного на студента. Институт социальных исследований и анализа (Грузия). Фонд открытое общество Грузия, 2015 (на грузинском языке).

8. Мачабели Г., Андгуладзе Н., Брегвадзе Т., Абхазава Р. Влияние высшего образования на формирование рабочей силы. Международный институт планирования и управления политики образования. Тб., 2013 (на грузинском языке).
9. Джавахишвили Н., Джибладзе Г., Худжадзе Н., Дзагания Л. Поддержка трудоустроенности студентов вузами Грузии. Отчет исследования рынка услуг высшего образования проведенный при поддержке программы развития Евросоюза - TEMPUS. Тб., 2011 (на грузинском языке).

AVTANDIL ASATIANI
Professor of Georgian Technical University

SOME PROBLEMS OF EMPLOYMENT OF THE GRADUATES OF HIGHER SCHOOLS OF GEORGIA AND THE POSSIBLE WAYS OF ITS SOLUTION

Summary

Higher education of Georgia and accordingly, the science were not able to effect significantly the economics of the country. The reform carried out in the system of higher education could not solve the problem. Intellectual potential, traditionally existing in the country, appeared to be outside the economic processes. Between the higher education institutions and business there is still no contact, which would be based on mutual profit. International investments invested in the sphere of higher education are not yet available. And the activity of Georgian business in education is not sufficient. While creating educational programs Georgian higher education institutions do not study the labor market. This is the cause of disproportion between the staff training and their demand. The number of higher educational institutions prevails market demand 2,5 times. This obviously does not correspond to the population of the country and has a negative impact on the unemployment. There is no healthy competition on the market of educational services. This is caused by the factors like: low level of tuition, small finances, outdated grant regulations, the system of united national exams, imperfect standards of accreditation and weak communication with the business sector. The solution of these problems will pave the way for the graduates of higher educational institutions to labor market.

**ავთანდილ ასათიანი,
 საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი**

**საქართველოს უსდ კურსდამთავრებულთა დასაქმების ზოგიერთი
 პროგრამა და მათი შესაძლო გადაჭრის გზები
 რეზიუმე**

საქართველოს უმაღლემა განათლებამ და, შესაბამისად, მეცნიერებამ ქვეყნის ეკონომიკაზე მნიშვნელოვანი გავლენა ვერ მოახდინა. უმაღლესი განათლების სისტემაში განხორციელებულმა რეფორმამ პრობლემები ვერ მოაგვარა. ქვეყანაში ტრადიციულად არსებული ინტელექტუალური პოტენციალი ეკონომიკური პროცესების მიღმა აღმოჩნდა. უმაღლეს სასწავლებლებსა და ბიზნესს შორის ჯერ კიდევ არ არსებობს ორმხრივ სარგებლიანობაზე დამყარებული კავშირები. უმაღლესი განათლებისათვის უცხოური ინვესტიციები კვლავ მიუწვდომელია, ხოლო ქართული ბიზნესის მხრივ აქტივობა განათლებაში უმნიშვნელოა.

საგანმანათლებლო პროგრამების ფორმირებისას ქართული უმაღლესი სასწავლებები არ იკვლევენ შრომის ბაზარს, რაც კადრების მომზადებასა და მათზე მოთხოვნას შორის დისპროპორციას ქმნის. უმაღლესი სასწავლებლების ოდენობა 2,5-ჯერ აღემატება ბაზრის მოთხოვნებს, რაც აშკარად შეუსაბამოა ქვეყნის მოსახლეობასთან და ნეგატიურად აისახება უმუშევრობაზე.

საგანმანათლებლო მომსახურების პაზარზე არ არსებობს ჯანსაღი კონკურენცია, რაც გამოწვეულია ისეთი ფაქტორებით, როგორიცაა: სწავლების არასახარბიელო დონე, მნირი ფინასები, მოძველებული საგრანტო რეგულაციები, ერთიანი ეროვნული გამოცდების სისტემა, აკრედიტაციის არასრულყოფილი სტანდარტები და ბიზნესის სექტორთან სუსტი კომუნიკაცია. სწორედ ამ პრობლემების მოგვარება გაუხსნის გზას უსდ-ის კურსდამთავრებულებს შრომის პაზარზე.

იგორ დოლიძე
თბილისის სპორტის სასწავლო
უნივერსიტეტის პროფესორი

**სანოლოგიური განათლების პროცესში ეპიდსანინააღმდეგო
რევოლუციების როლი**

თანამედროვე ცივილიზაციის პირობებში, როგორც სოციალური განვითარების შედეგი, იცვლება მოსახლეობის პათოლოგიის მიმდინარეობის ხასიათი. დღეს არსებული დაავადებები წარმოდგენილია არა მხოლოდ ქრონიკული არაინფექციური დაავადებების ეპიდემიად და ახალი ნოზოლოგიური ფორმების (30-ზე მეტი უკანასკნელი 20 წლის მანძილზე) გამოვლენად, არამედ „ძველი“ დაავადებების (ტუბერკულოზი, მალარია და სხვა) დაბრუნების მცდელობითაც კი. მთავარია - მივიღეთ ფართოდ გავრცელებული პოლისინდრომული მდგომარეობები, რომლებიც წარმოადგენენ კლინიკური მედიცინის განსაკუთრებულ პრობლემას. იქმნება სიტუაცია, როცა ყოველი „ვიწრო“ სპეციალისტი ერთსა და იმავე ადამიანს სრულიად დაუსაბუთებლად უსვამს „თავის“ დიაგნოზს. ამის შედეგად გროვდება სინდრომების მთელი კომპლექსი, რომელთაგან თითოეულის კუპირება არ იძლევა არსებით ეფექტს. ჩვენი შეხედულებით, ამ კლასის მდგომარეობების ტიპიურ წარმომადგენლად მიგვაჩნია ქრონიკული დაღლილობის სინდრომი - „ათასი დასახელების დაავადება“. ჯანდაცვის არც პირველ, არც მეორე სტრატეგიას არ შეუძლია წარმატების მიღწევა, ისევე როგორც კლინიკური მედიცინის არაეფექტურ ძალისხმევას.

მედიცინა, როგორც თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული მეთოდების კომპლექსი მიმართულია ადამიანის ჯანმრთელობის შენარჩუნებისადა განმტკიცებისათვის, დაავადებათა პროფილატიკისა და დაავადებულთა მკურნალობისათვის, რაც წარმოადგენს იმ სოციალური ინსტიტუტის საფუძველს, რომელსაც ჩვენვუწოდებთ ჯანდაცვას. ის, რომ ჯანდაცვა იარაღდება მედიცინის მდიდარიტექნიკური არსენალით, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავსარსებული მოკლევადიანი ხასიათის ამოცანის გადაწყვეტას, რაც ჯანდაცვის წინაშე დგას, არამედ უნდა ითვალისწინებდესამ სოციალური ინსტიტუტის ხელმძღვანელის ინტელექტსა დაგანათლების დონეს, მხედველობის სივრცეს, ანალიზსა და სინთეზის უნარსოპტიმალური გადაწყვეტილების მიღებისას. ჯანდაცვაში ყველაზე თვალსაჩინო და ორთოდოქსალური გზა მედიცინის მიღწევების გამოყენებისა მიჩნეულია სამკურნალო-დიაგნოსტიკური ლონისძიებების სრულყოფა. ეს გზაგაიარა ჯანდაცვის განვითარების მთელმაისტორიამ, რომლის უფლებამოსილება ეჭვს არ იწვევდა. ძირითადისაშუალებები, რომელიც გამოიყოფოდა ჯანდაცვის ბიუჯეტიდან მიმართული იყო სწორედ ავადმყოფთა სამკურნალოდ. მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, ზოგადი ფაქტორების კომპლექსში ითამაშა უმნიშვნელო როლი, რადგან რადიკალურად ვერ გააუმჯობესა მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობა. სოციალურ-ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში იმდენად მნიშვნელოვანია მოსახლეობის ჯანმრთელობა, მაგალითისთვის ამერიკის შეერთებულ შტატებში, ეფექტურად მოქმედებს „ხალხის ჯანმრთელობის“ სახელმწიფოებრივი პროგრამა სამი ორგანიზაციული პრინციპით, კერძოდ:

- 1) ჯანმრთელობის უზრუნველყოფა „ნინსვლა“ (Health promotion);

- 2) ჯანმრთელობის დაცვა (Health protection);
- 3) პროფილაქტიკური მედიცინის მომსახურეობა (Preventive services).

ზემოთაღნიშნული სამი პრინციპი ერთმანეთს ავსებს და გარკვეულწილად აუმჯობესებს საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის ავტორიტეტს, თუმც ჯერ კიდევ გადასაწყვეტია რიგი პრობლემური საკითხები. ამ მხრივ, მეტად საინტერესოდ მიმაჩნია ამერიკის აირვედული მედიცინის ასოციაციის პრეზიდენტის დიპაკ ჩიპრის პასუხი უურნალისტის შეკითხვაზე : „რამ განაპირობა თქვენი გადასვლა აიუვერდის თეორიისა და პრაქტიკის შესასწავლად ? პასუხი: „მე მივიღე განათლება და საქმარისი დროის მანძილზე დაკავებული ვიყავი კლასიკური მედიცინით. მაგრამ მრავალი წლის საექიმო გამოცდილებამ დამანახა, რომ მიუხედავად უსათუოდ ყველა დიდი მიღწევებისა, მას არ გააჩნია ის ძალები, რომელიც პასუხს გასცემდა მთელ რიგ ფუნდამენტურ შეკითხვებზე.“

ადამიანთა საზოგადოებას თავისი განვითარების კრიტიკულ პერიოდებში, როცაშეუძლებელი იყო სამკურნალო-დიაგნოსტიკური პროცესის ნებისმიერი სრულყოფა, შეეცვალა არასახარბიელო სიტუაცია ჯანდაცვის სისტემაში, რიც შემთხვევაში, ნარმოშობდა ჯანსაღაზროვნებას, რაც მკვეთრად ცვლიდა ჯანდაცვის სისტემის ეპოქალურ სტრატეგიას. ასეთი გადაწყვეტილება მიიღო ნ. სემაშვილი, რომელიც გასული საუკუნის ოციან წლებში ქმნიდა ახალგაზრდა სახელმწიფოს ჯანდაცვის სისტემის სტრუქტურას, რომლის საფუძველშიჩადო იმ ღონისძიებათა კომპლექსი, რომელიც მიმართული იყო ინფექციური დაავადებების ეპიდემიების საბრძოლველად. ამ სტრატეგიამ ტერრისის გამოთქმით მიიღო პირველი „ეპიდსაწინააღმდეგო რევოლუციის“ სახელწოდება, რაც დასავლეთის ჯანდაცვის თეორეტიკოსების მხრიდან აღინიშნა მაღალი შეფასებით.

XX საუკუნის მომდევნო რამდენიმე ათწლეულის მანძილზე ჯანდაცვის სისტემამ შეიცვალა თავისი სტრატეგიული მიღვომა, რადგან ინფექციური ბუნების დაავადებებმა ადგილი დაუთმო პათოლოგიებს, რომელშიც ჭარბობდა არაინფექციური ქრონიკული დაავადებები. ამ პროცესში მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში შეიძინა ეპიდემიური გავრცელების ხასიათი, რაც ევოლუციური მიღვომით შეძლება ჩაითვალოს კანონზომიერ მოვლენად. პათოლოგიების მიმდინარეობის ხასიათის ანალიზი, რომელიც დაფუძნებლია მედიცინის განვითარების ისტორიულ მონაცემებზე, გვიჩვენებს, რომ სოციალური პირობების ცვლილებებთან ერთადიც ვლებოდა ადამიანის დაავადებებიც. ამაზე კარგად მიანიშნებს ი. დავიდოვსკის სიტყვები: „ ადამიანის ცხოვრების პირობები და წესი არის დაავადებების ნარმოშობის ფუნდამენტური წინაპირობა“. ქრონიკული არაინფექციური დაავადებების პირობებში ჯანდაცვის არსებული სტრატეგია აღმოჩნდა არაეფექტური და წარმოშვა აუცილებლობა ახალი სტრატეგიის შესაქმნელად. შესაბამისად, დღემდე არსებული მეთოდური მიღვომები მიმართულია ქრონიკული პათოლოგიის წარმოშობის თავიდან ასაცილებლად და ცნობილია მეორე ეპიდსაწინააღმდეგო რევოლუციის“ სახელწოდებით.

მეორე ეპიდსაწინააღმდეგო რევოლუციის ძირითად მეთოდურ ხერხად გამოიყენება პრაქტიკულად ჯანმრთელი მოსახლეობის რისკის ჯგუფის გამოვლენა. ე.ი. ტარდება „სკრინინგი“ (სიტყვასიტყვით - გაცხრილვა), რაც შესაბამისი ღონისძიებების ჩატარებით მიმართულია დაავადებების განვითარების რისკ-ფაქტორების ასაცილებლად. ამ სტრატეგიის რეალიზაცია წარმატებულად შეიძლება ჩაითვალოს, რადგან მრავალ სოციალურ-ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში საგრძნობლად შემცირდა ავადობისა და სიკვდილიანობის მაჩვენებლები. მაგალითად, გულ-სისხლძარღვთა დაავადებები შემცირდა - 30-50 პროცენტით. ამ პროცესში გამოვლენილი იქნა ცალკეული ფაქტორების როლიც: მკურნალობის ქირურგიული მეთოდები (გულის გადანერგვა, აორტოკორონალური შუნგირება და ა.შ.) შემცირდა 3 %-ით, თერაპიული მეთოდებით - 11 %-ით, ხოლო დანარჩენი - 86 %, იმ ჩვევებზეა დამოკიდებული, რომელსაც იცავს ადამიანი თავისი ცხოვრების გზაზე, ეს იქნება ხარისხიანი საკვების მიღება, უარის თქმა მავნე ჩვევებზე, მოძრაობის აქტიურობა და ა.შ.). ამასთანავე, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მთლიანი მოსახლეობის ჯანმრთელობის უზრუნველყოფის იმედი, რაშიც იგულისხმება რისკ-ფაქტორების აღ-

მოფხვრა, აღმოჩნდა ილუზორული წარმოდგენის, თუმცა, რიგ შემთხვევებში ნამდვილად აღი-ნიშნა მისი გარკვეული შესაძლებლობა - არ ვითარდებოდა დაავადება. პროფილაქტიკური პროგრამების რეალიზაციისას უმნიშვნელოდ კლებულობდა ზოგადი ავადობის მაჩვენებლები, ზოგჯერ კი, კიდევაც აღინიშნებოდა მატებაც. დადგენილი იქნა, რომ ერთი - „მოსალოდნელი“-დაავადების წარმოშობის პრევენციული პროგრამა ზრდიდა სიკვდილიანობის სტატისტიკურ მაჩვენებელს, რამაც მიიღო „სიკვდილიანობის გადატუმბვის“ სახელწოდება. ეს კი ადასტურებს იმას, რომ მასიური დაავადებების მიზეზები არის მეტად ზოგადი მოვლენა, ხოლო ენდოგენური რისკ-ფაქტორები, ისევე, როგორც თვით დაავადებები, წარმოადგენს ორგანიზმში არსებული რაღაც ღრმა ცვლილებების გამოვლენას, რაც არ ექვემდებარება მეორე ეპიდსაწინააღმდეგო პროფილაქტიკურ ღონისძიებებს.

ვითვალისწინებთ რა ი. დავიდოვსკის ლოგიკას, შეიძლება ვირწმუნოთ, რომ კაცობრიობის ცხოვრებაში ახალი რეალობის გამოჩენა და მისი არსებობა დაკავშირებულია სოციალური, ეკო-ნომიკური, ტექნოლოგიური, ეკოლოგიური, კლიმატური ტემპების დაჩქარებასთან და სამყაროში მიმდინარეცვლილებებთან, იმ კანონზომიერებებთან, რომელსაც შეუძლია მიგვიყვანოს (ან შესაძლებელია უკვე მიყვანილიცა) ახალი პრობლემების ფორმირებასთან, რაც დაკავშირებულია მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან. თუ მოკლედ ჩამოვთვლით ბიოლოგიური ბუნების Homo Sapiens-ისსახეობის იმ ცვლილებებს, რომელიც განხორციელდა უკანასკნელ ათწლეულებში, მაშინ შესაძლებელია გაბედულადვალიაროთ, რომ ჩვენი თანამედროვე ადამიანი არსებითად განსხვავდება ჩვენი წინაპრებისაგან. თანამედროვე ადამიანის ორგანიზმშიმთლიანობაში დაქვეითებულია ორგანოებისა დ სისტემების ბიოენერგეტიკული რეზირვები, ორგანიზმის რეაქტიულობა და რეზისტენტობა, თვითრეგულაციისა და რეპროდუქციის (შემცირებულია სასქესო უჯრედების რაოდენობა და მისი ხარისხიანობა) ფუნქციური შესაძლებლობები და ა.შ. ორგანიზმში მიმდინარე მრავალი სხვა ფუნქციური გადახრები არის ის დამახასიათებელი თვისებები, რითაც განსხვავდება ჩვენი თანამედროვეები საკუთარი წინაპრებისაგან. თუ ზოგადბიოლოგიური პოზიციიდან განვიხილავთ ზემოთაღნიშნულ ცვლილებებს, მაშინ შესაძლებელია მივიდეთ იმ დასკვნამდე, რომ თანამედროვე ადამიანს დაქვეითებული აქვს ცოცხალი სისტემის თვითორგანიზაციის მექანიზმების ამოქმედების უნარიანობა.

როგორც ზემოაღნიშნულიდან ჩანს, ჯანდაცვის სისტემაში აუცილებელი ხდება ახალი სტრატეგიის ფორმირება, რომელსაც უნდა გააჩნდეს უნარი ცოცხალი სისტემისა და პიროვნების თვითორგანიზაციის მექანიზმების ამოქმედების პროცესში აღადგინოს დაკარგული ჰარმონია. ამ სტრატეგიის ძირითად ნაწილს კი წარმოადგენს ვალეოლოგია - ინდივიდის ჯანმრთელობის ფორმირების, შენარჩუნებისა და განმტკიცების თეორია და პრაქტიკა. ვსაუბრობთ რა ვალეოლოგის თეორიულ და ფილოსოფიურ საფუძვლებზე, შეხსენების მიზნით საჭიროა მისი განხილვა, როგორც ინდივიდუალური ჯანმრთელობა და დამოუკიდებული მედიკო-სოციალური კატეგორია, რომლის არსი შეიძლება იყოს განხილული ,როგორც რაოდენობრივი, ასევე ხარისხობრივი პირდაპირი მაჩვენებლებით. ამასთანავე, ჯანმრთელობა დაავადებასთან შედარებით განიხილული უნდა იქნეს, როგორც მეტად ფართო კატეგორია. დაავადებისწინა მდგომარეობა და დაავადება - ჯანმრთელობის კერძო შემთხვევებია, როცა ადამიანის ორგანიზმის დაცვით-კომპენსატორული ბიოენერგეტიკული რეზირვები დაქვეითებლია ან აღინიშნება მნიშვნელოვანი ორგანული დეფექტები. ჯანმრთელობასა და დაავადებას შორის არსებობს გარდამავალი მდგომარეობა, რომლის სტრუქტურული ორგანიზაციის დონე გამოკვლეულია ვალეოლოგიაში, უპირატესად ის ატარებს ორგანიზმულ ხასიათს, ხოლო მიღვომით - პოლისტიკურს (ერთიანს). ვსაუბრობთ რა ინდივიდუალური ჯანმრთელობის მართვის შესაძლებლობაზე, აუცილებელია მხედველობაში მივიღოთ, რომ ამ პროცესის ეფექტურობა ბევრად განისაზღვრება ობიექტის მართვის სრულყოფილი ანალიზის შედეგით.

ადამიანის ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად არსებობს ორი სტრატეგიული მიდგომა: პირველი მკურნალობა (რაც დღეს პრიორიტეტულია) და მეორე - საღი ჯანმრთელობის დაცვა (რა-

საც ნაკლები ყურადღება ეთმობა). თუ სახელმწიფოებრივი სტრუქტურები (იგულისხმება განათლების, ჯანდაცვისა და სპორტის სისტემების ინტეგრაცია) თავიანთი ორგანიზაციული ფუნქციების შესასრულებლად იხელმძღვანელებს მხოლოდ პირველი სტრატეგიით, მაშინ მოსახლეობის ჯანმრთელობის განმტკიცება და ხანგრძლივი შრომისუნარიანი სიცოცხლე მიუღნეველ ოცნებად დარჩება. აქედან გამომდინარე, ქვეყანაში უნდა დამკვიდრდეს ჯანსაღი ცხოვრების წესი, შეიქმნას მიზანმიმართული სამკურნალო- სარეაბილიტაციო და გამაჯანსაღებელი ცენტრების ფართო ქსელი, ამაღლდეს ვალეოლოგიური ცოდნის იურიდიული უფლებამოსილება ჯანდაცვის, განათლებისა და სპორტის სახელმწიფოებრივ სტრუქტურებში . მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისას უნდა გვახსოვდეს, რომ ორგანიზმში ჯანმრთელობის რეზირვები ამოუწურავი როდია, ის ადამიანთა უმეტესობას ბავშვობაში არასაკმარისად აქვს მობილიზებული, „თვლემს“ მომწიფებულ ასაკში, ხოლო, ყოველივე ამის გამო ადვილად ქრება სიბერებში.

ჯანმრთელობის შეფასება ჯანდაცვაში მიღებული ხერხებით - პათოლოგიური პროცესის გამორიცხვის მეთოდით ან ნორმოლოგიის საფუძველზე - არ იძლევა საშუალებას სრულფასოვანი მართვის პროცესის ფორმირებისათვის. ბიოსისტემის ენერგოპოტენციალის დიაგნოსტიკური მოდელის გამოყენებამ საშუალება მისცა მეცნიერებს აღენერა დიაგნოსტიკის მთელი რიგი ახალი ფენომენები. მნიშვნელოვანმაფენომენმა - ჯანმრთელობის „უსაფრთხო დონემ“ - პირველად მოგვცა შესაძლებლობა მკაცრ სამეცნიერო საფუძველზე დაგვესვა ქრონიკული არაინფექციური დაავადებების პირველადი პროფილაქტიკის პრობლემის გადაწყვეტის საკითხები, რადგან ნებისმიერი გაჯანსაღების ღონისძიებების მიზანი - ისეთი ღონის ჯანმრთელობის მიღწევაა, რომლის დროსაც არ წარმოიშობა რისკის ენდოგენური ფაქტორები და არც პათოლოგია ვითარდება.

დღეს, კაცობრიობა დგას „მესამე ეპიდსანიანაღმდეგო რევოლუციის“ ზღვარზე, რომლის არსი - ინდივიდის ჯანმრთელობის მართვა, ცოცხალი სისტემის თვითორგანიზაციის მექანიზმების განმტკიცება და ჰარმონიზაცია. ახალი სტრატეგიის საფუძველი კი ვალეოლოგიაა, მისი თეორიული და პრაქტიკული მიღწევები. ამასთანავე, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ვალეოლოგია, როგორც წესი, სახელმწიფოებრივი სისტემის მონაწილეობის გარეშე სხვადასხვა მიმართულებით ვითარდება და ეს უსისტემობა განპირობებულია მთელი რიგი ფაქტორებით : ქვეყანაში, ჯერ კიდევ არ არის დამუშავებული ვალეოლოგიის განვითარების ინტეგრირებული სამეცნიერო-პრაქტიკული იდეოლოგია, რაც დაკავშირებულია მედიცინასთან, ფსიქოლოგიასთან, პედაგოგიკასთან და სხვა სამეცნიერო დარგების შიდაუწყებრივ პროფესიულ კონსერვატიზმთან. იმის გამო, რომ ჯანდაცვა უუნარობა დახმარება გაუნიოს ყველა გაჭირვეულ ადამიანსა-მედიცინო მეცნიერების თანამედროვე მიღწევების დონეზე (ფინანსირების მუდმივი დეფიციტის პირობებში), დასავლეთში შეიქმნა ახალი სამეცნიერო დისციპლინა - კლინიკური ეკონომიკა. ის წყვეტს პრობლემას - მედიცინის რომელ მიმართულებას ესაჭიროება მიზნობრივი დაფინანსება, რათა მიღწეული იქნეს სასურველი ეფექტი მოსახლეობის ჯანმრთელობის გასაუმჯობესებლად. საჭიროა გვქონდეს იმედი, რომ საქართველოს ახლო მომავალში ვალეოლოგია (მეცნიერება ჯანმრთელობაზე) მოვევლინება, როგორც XXI საუკუნის აღიარებულ დარგად, რომელიც წარმატებით განახორციელებს მოსახლეობის ჯანმრთელობის მართვის პროცესს.

დღეს, უნდა გვახსოვდეს, რომ მედიცინა განიცდის დიდი რევოლუციის მოახლოებას, რომელმაც არსებითად უნდა შეცვალოს ჯანდაცვის სისტემის სტრუქტურა, რაც ნიშნავს რეაქციისაგან(დაავადებისაგან) გადასვლას პრევენციაში.

ამრიგად, თანამედროვე მედიცინა ძირითადში ეყრდნობა ბრძოლას უკვე არსებული დაავადების კლინიკური გამოვლინებების პროცესში, თუმც ყოველთვის ღრმად ვერ წვდება მათი გამოვლენის მიზეზებს. აქედან გამომდინარე, თანამედროვე პათოლოგიის განვითარების მექანიზმები ბოლომდე რჩება გაურკვეველი. ამიტომ ორგანიზმის ასეთი „რემონტი“ არ იძლევა გრძელვადიან ეფექტს და წარმოადგენს დროებით ღონისძიებას. მომავალის მედიცინაში არსებული პრობლემები ისე უნდა აეწყოს და გადანაწილდეს, რომ აცილებული იქნეს დაავადებების

წარმოშობისა და განვითარების წინაპირობები. დიალექტიკური მიდგომით ნოზოლოგიის პრაქტიკული ცოდნა და კლინიკური მედიცინა - ეს მეცნიერების გუშინდელი დღეა ; სამედიცინო ვალეოლოგია (სანოლოგია) და რეაბილიტოლოგია - ეს გამაჯანსაღებელი მედიცინის განვითარების დღევანდელი დღეა.

უმაღლესი სამედიცინო განათლება ჯერ კიდევ დაულაგებელი ჯანდაცვის სისტემით ვერ მოიტანს დადებით შედეგს მოსახლეობის ჯანმრთელობის ეფექტურ დაცვაში. საჭიროა გამოინახოს ალტერნატული გზა, რათა ნაწილობრივად მაინც გადაიჭრას მოსახლეობის ჯანმრთელობის პრობლემური საკითხები. ასეთ დარგად შეიძლება დავასახელოთ ვალეოლოგია. ვალეოლოგია, როგორც მეცნიერება ეფუძნება თანამედროვე მედიცინის ნორმებსა და პროფილაქტიკის კრიტერიუმებს, ხალხური და აღმოსავლური მედიცინის კოლექტიურ გამოცდილებას. ის გამაჯანსაღებელი მედიცინის განვითარების დღევანდელი ეტაპია. ვალეოლოგია მეცნიერული ცოდნის მომიჯნავე და ინტეგრირებული დარგია მედიცინას, ფიზიოლოგიას, ფსიქოლოგიას, ფიზიკური აღზრდის თეორიას, სოციოლოგიასა და პედაგოგიკას შორის, რაც მომავლისკენ არის მიმართული და ხელს უწყობს ადამიანის ჯანმრთელობის ევოლუციურ განვითარებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ი. დოლიძე, გ.ჩახუნაშვილი - ვალეოლოგია (სანოლოგია-სამედიცინო მიმართულება), როგორც „ჯანმრთელობის მედიცინა“, სოციალური. ეკოლოგიური და კლინიკური პედიატრია, 2013, 15-10-9, 52- 54;
2. ი. დოლიძე, გ. ჩახუნაშვილი.- დაავადების პათოგენეზისა და სანოგენეზის სისტემური ანალიზი, სოციალური, ეკოლოგიური და კლინიკური პედიატრია, 2013, 15-10-9, 64-66;
3. ი. დოლიძე , ქვეყნის ჯანდაცვის კრახიდან ვალეოლოგიამდე, იმედი +, 2014, 7, 25-27;
4. ი. დოლიძე, სამედიცინო და პედაგოგიური ვალეოლოგიისადმი სისტემური მიდგომის თავისებურებანი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 2014, 13, 70-75;
5. ი. დოლიძე, სანოლოგიის როლი თანამედროვე მედიცინაში, მედიცინისა და მენეჯმენტის თანამედროვე პრობლემები, 2014, 1, 24-30;
6. გ. ჩახუნაშვილი, ინტეგრალური მეცნიერება, როგორც XXI საუკუნის აუცილებლობა (ვალეოლოგია, სანოლოგია), სოციალური, ეკოლოგიური და კლინიკური პედიატრია, 2015, 17-12-11, 27-31;
7. ი. დოლიძე, გ.ჩახუნაშვილი, ადამიანის ჯანმრთელობა მედიცინის, ჰიგიენისა და სანოლოგიის მეცნიერულ-პრაქტიკული პოზიციებიდან, სოციალური, ეკოლოგიური და კლინიკური პედიატრია, 2015, 17- 12-11, 37-41.

ИГОРЬ ДОЛИДЗЕ

РОЛЬ ПРОТИВОЭПИДЕМИЧЕСКИХ РЕВОЛЮЦИОННЫХ ПРОЦЕССОВ В САНОЛОГИЧЕСКОМ ОБРАЗОВАНИЙ

Резюме

Противоэпидемические революции (первое – направленное против инфекционных заболеваний и второе – для ликвидаций хронических неинфекционных заболеваний) не принесли желаемого эффекта. Сегодня, проблема индивидуального здоровья человека находится на этапе третьей противоэпидемической революций (управление здоровьем индивида). Здесь же необходимо отметить , что высшее медицинское образование еще в несовершенной системе здравоохранения не принесет положительного результата в эффективной защите здоровья населения. Надо искать альтернативную путь частичного решения проблемных задач здоровья населения. Такую отрасль можно назвать валеологией. Валеология, как наука опирается на достижениях норм современной

медицины и средств профилактического направления, основанных на базе коллективного опыта Народной и Восточной медицины. Сегодня оно находится на этапе научно – практического развития и является отраслью оздоровительной медицины. Валеология - это комплекс наук, или междисциплинарное направленное на стыке медицины, физиологии, психологии, теорий физического воспитания, социологии и педагогики с целью сохранения здоровья человека в условиях влияния на него меняющихся условий внешней и внутренней среды.

IGOR DOLIDZE

**THE ROLE OF THE ANTI-EPIDEMIC REVOLUTION IN
THE PROCESS OF SOCIOLOGICAL EDUCATION**

Summary

Anti-epidemic revolutions : The first, which was aimed at infectious diseases and the second – to prevent the emergence of chronic non-infectious diseases , did not yield the desired result. Today we are at the stage of the third antiepidemic revolution (individual health management). It should be noted here that the higher medical education is still inadequate to health care system. Higher medical education is still not well arranged into the public health system and is not bringing positive result in protecting public health. It is necessary to look for an alternative way to solve problematic issues of public health. Valeology is a sphere, that studies such topics. Valeology , as a sphere of science is based on medical norms and prophylactic criterions, collective experience based on folk and eastern (oriental) medicine. It is a new phase for developing sanitation medicine. Valeology mixes science studies and spheres like physiology, theory of physical education, sociology and pedagogic directions. Valeology is directed to future and helps to evolutionary development of human health.

ფსიქოლოგია

პემატ პინჯიხაძე
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის
პროფესორი

აზროვნება და გრძელება-ემოციები

როგორც ვიცით, ლოგიკური ოპერაციები აზროვნების სტრუქტურას განეკუთვნება, მაგრამ აზროვნება ყოველთვის არ არის ის პროცესი, რომელშიც მხოლოდ ლოგიკა და გონება მონაწილეობს. აზროვნების პროცესში ხშირად ერთვება ემოციები და ცვლის მას, ზოგჯერ — ძირეულადაც. აზრი ხშირად იცვლება სუბიექტური გრძნობის მიხედვით და ამის გამო შეიძლება ობიექტურობისგან შორსაც აღმოჩნდეს. ასე, რომ, ემოციონალური აზროვნება უფრო მეტად წინასწარ გათვლილ სასურველ შედეგზეა ორიენტირებული და არა ობიექტურ რეალობაზე, მაგრამ ისიც ჭეშმარიტებაა, რომ ემოციები სტიმულს აძლევენ აზროვნებას და აზროვნება ხდება უფრო მიზანმისინრაფული, მოქნილი, მკაფიო, ლალი, ამაღლებული. აზროვნების პროცესში ემოციები განსაკუთრებით მაშინაა მკაფიოდ გამოხატული, როცა წარმოებს პრობლემის გადაჭრის ხერხების ძიება და ხდება სასურველი შედეგის მიგნება. ასეთ შემთხვევაში ისინი ევრისტიკულ და რეგულატორულ ფუნქციებს ასრულებენ.

ემოციების ევრისტიკული ფუნქცია მდგომარეობს გამოყოფაში იმ ოპტიმალური ზონისა, რომლის ფარგლებშიცაა მოსანახი პრობლემის გადაჭრა, ხოლო ემოციების რეგულატორული ფუნქცია მდგომარეობს იმაში, რომ მათ შეუძლიათ მოახდინონ პრობლემის გადაჭრის ძიების აქტივიზირება მაშინ, როცა ეს ძიება სწორი მიმართულებით წარმოებს და შეანელონ იგი მაშინ, როცა ინტუიცია კარნახობს, რომ პრობლემის გადაჭრის ძიების მიმართულება შერჩეულია არასწორად.

ნებისმიერ შემთხვევაში პრობლემის ამოხსნის პოვნა ან მასთან მიახლოება მოსწავლის ემოციონალურ ამაღლებას იწვევს.

ეს იმას ნიშნავს, რომ გრძნობა-ემოციები აზროვნების შინაგანი თვისებაა, მას აზროვნება თვითონ წარმოშობს და იგი ნებისმიერ აზროვნებით პროცესს მისი განვითარების ყველა ეტაპზე ახლავს, მეტ-ნაკლები გამოხატულებით. არ არსებობს გრძნობა-ემოციები აზროვნების გარეშე და პირუკუ, არ არის აზროვნება გრძნობა-ემოციების გარეშე. უფრო ზუსტად, გრძნობა-ემოციები მდგომარეობს აზროვნებაში, მის რეალურ სუბიექტურობა-ობიექტურობაში.

ამის გამო, აქ აუცილებლადაა განსახილავი ერთი, ჩვენის აზრით, უმნიშვნელოვანესი საკითხი: უნდა გავცეთ პასუხი კითხვას: **რა არის ობიექტური რეალობა?**

— მხოლოდ გარესამყარო? — არამც და არამც!

ამ კითხვაზე პასუხი რომ გავცეთ, უპირველესად უნდა გავარკვიოთ: რა არის, რომელია ჩვენი ცნობიერების რეალური სარბიელი, ე. ი. უნდა დავადგინოთ ჩვენი მშობლიური ენისა და ჩვენი აზროვნების ობიექტური ფარგლები. აზროვნება ხომ არსებობს და ვითარდება მხოლოდ ენის ფარგლებში.

მაშასადამე, ისმის კითხვა: რა არის ჩვენი ცნობიერების უნივერსუმი?

— აი, რა:

1. გარესამყარო,
2. მხატვრულ-ლიტერატურული სახეები,
3. რელიგიურ-მითოლოგიური წარმოდგენები,
4. აბსტრაქცია.

ცნობიერების ამ ოთხივე უბანზე წარმოდგენები ერთნაირი უფლებისანი არიან, თუმცა, დონეებია სხვადასხვა, და ჩვენი აზროვნება ოთხივეს მოიცავს. ოთხივე ერთად განაპირობებს ნე-

ბისმიერ შემეცნებით პროცესს. ამასთან, აზროვნება მათ მიღმა არ არსებობს. როგორც ჩანს, ეს უნივერსუმი იწყება გარესამყაროთი, თავდება აბსტრაქციით. დანარჩენი ორი მათ შორისაა. გარესამყარო — ვიცით, რომ ობიექტური რეალობაა; ვნახოთ, რა არის აბსტრაქცია! აბსტრაქცია რომ არსებობს, ამაში ეჭვი არ გვეპარება. აბსტრაქცია არსებობს ჩვენს გონიერაში, ტვინში, და ეს უტყუარია. აბსტრაქცია რომ სუბიექტური იყოს, მაშინ ყოველ ადამიანს თავისი მათემატიკა ექნებოდა. მართკუთხედი ყველა ადამიანისათვის მართკუთხედია, ე. ი. მათემატიკური ცნებები ობიექტური რეალობაა, რომელიც აბსტრაქციაში არსებობს, აბსტრაქცია კი ობიექტური რეალობაა ჩვენს აზროვნებაში. ყოველი ადამიანისათვის აბსტრაქცია სუბიექტური აბსტრაქციისავე წიაღში, თავისი სპეციფიკით. წინააღმდეგ შემთხვევაში ყველა ადამიანი ერთნაირად იაზროვნებდა.

მაშასადამე, **ობიექტური რეალობა** შედგება ოთხი უკიდეგანო არეალისგან: **გარესამყარო, მხატვრულ-ლიტერატურული სახეები, რელიგიურ-მითოლოგიური წარმოდგენები, აბსტრაქცია**. გრძნობა-ემოციები ოთხივეს ახლავს თავისებურად და თავისი სპეციფიკური გამოვლინებით.

ამგვარად, საგანი **ობიექტური რეალობაა**, თუ იგი არსებობს: ან **გარესამყაროში**, ან **მხატვრულ-ლიტერატურულ სახეებში**, ან **რელიგიურ-მითოლოგიურ წარმოდგენებში**, ან **აბსტრაქციაში**.

მაგალითად: მთვარე კონკრეტულია, კვადრატი აბსტრაქტულია და ორივე რეალურია, ობიექტურად არსებული რეალობა: ერთი — გარესამყაროში, მეორე — აბსტრაქციაში. დემეტრე თავდადებული კონკრეტულია, სპირიდონ მცირიშვილი, ან ოტელო ლიტერატურული პერსონაჟებია და ყველა ობიექტურად არსებული რეალობაა, პირველი — გარესამყაროში, მეორე და მესამე — მხატვრულ-ლიტერატურულ სახეებში. ოტელო, ეს საოცარი მავრი, არასოდეს არ არსებულა, იგი შექსპირის მოგონილია, მაგრამ ჩვენ მის შესახებ ყველაფერი ვიცით, ისიც კი ვიცით, მის ცოლს რა ერქვა — დეზდემონა. ამავდროულად: მართლა არსებული, მაგრამ ან გარდასული მრავალი პიროვნების შესახებ არაფერი არ ვიცით, ისტორიამ არაფერი არ შემოგვინახა. უფრო მეტიც: დიდი ხანი არ არის, გარკვეულ წრეებში გავრცელებული იყო მოსაზრება, რომ ძველბერძენი ფილოსოფოსები მოგონილი პირებია და სხვ.

ნუ გავაიგივებთ ობიექტურ რეალობასა და გარესამყაროს! ობიექტური რეალობა უფრო ფართო ცნებაა.

ბუნებამ ადამიანს მიანიჭა შემეცნების უნარი და მისცა ამ შემეცნების ბუნებრივი საშუალებებიც. ადამიანმა კი თავისთვის შემეცნების უამრავი სხვა (წარმოებული თუ ხელოვნური) საშუალებაც შექმნა. გარესამყაროს ობიექტების შემეცნების ბუნებრივი საშუალებებია (ერთმანეთთან ჰარმონიულობაში): მხედველობა, სმენა, შეხება, ყნოსვა, გემო, გული, ინტუიცია და გონება. ყველა დანარჩენი არეალის ობიექტების შემეცნების ბუნებრივი საშუალებებია გული, ინტუიცია და გონება (ერთმანეთთან ჰარმონიულობაში).

აქვე ხაზი უნდა გავუსვათ ერთ უაღრესად მნიშვნელოვან საკითხსაც.

გრძნობა-ემოციებს ადამიანის ცხოვრებაში, მათი გამოვლინების ხარისხის შესაბამისად, სხვადასხვა როლის შესრულება შეუძლიათ, ზოგჯერ ეს როლები შესაძლოა ერთმანეთის საპირისპიროც იყოს:

შემოქმედებითი აზროვნების შემთხვევაში დადგებითი გრძნობა-ემოციები წინა პლანზე იწევს. მათ ძალუბთ გაანათონ, გაასხივოსნონ, გააკეთილშობილონ მოაზროვნის გონება, იქცნენ ზეშთაგონების ღვთაებრივ წყაროდ და ამ მოაზროვნე პიროვნებამ, მოსწავლე იქნება იგი, მასწავლებელი თუ სხვა ნებისმიერი, შეიძლება შექმნას რაღაც დიდებული და ამაღლებული.

კრიტიკული აზროვნების შემთხვევაში წინა პლანზე შესაძლოა უარყოფითმა ემოციებმა წამოიწიონ და, თუ ისინი აგრესიულობის თუნდაც ძალიან მცირე ხარისხით ხასიათდებიან, ძალუბთ დაბინდონ, დააბნელონ, გზას ააცდინონ, გააუკულმართონ მოაზროვნის გონება და ამ მოაზროვნე პიროვნებამ, მოსწავლე იქნება იგი, მასწავლებელი თუ სხვა ნებისმიერი, თუ იგი უარ-

ყოფით ემოციებს აჰყვა, შეიძლება საბედისწერო შეცდომაც კი დაუშვას. ამიტომ კრიტიკული აზროვნება ყოველთვის უმჯობესია გრძნობა-ემოციების გარეშე, ცივი გონებით, დამშვიდებულ გულზე.

მაშასადამე, გრძნობა-ემოციებს კარგის მოტანაც შეუძლიათ და ცუდისაც. ამიტომ სწავლების პროცესში მათ გამოყენებას სიფრთხილე სჭირდება, მათი გამოყენებისადმი შემოქმედებითი მიღებამა საჭირო.

ჩვენში დღემდე ემოციები სასწავლო მასალის ათვისებასთან შეუთავსებლად ითვლებოდა. ეს იდეა ძველი ფილოსოფიისა და მეცნიერული ტრადიციების ნაკარნახევია. თუმცა, საბჭოთა იდეოლოგითაც იყო განპირობებული. სინამდვილეში ცოდნის შეთვისების პროცესი და გრძნობა-ემოციები დინამიკურადაა ერთმანეთთან ურთიერთდაკავშირებული და ერთმანეთზე ურთიერთდამოკიდებული.

ადამიანი ბავშვობიდანვე განიცდის გარესამყაროს, შემდგომ — სხვა რეალობასაც, სუბიექტურ და ობიექტურ სინამდვილეს, და ეს განცდა შემეცნებაში აისახება; ადამიანი განცდისას შეიმეცნებს, ე. ი. გარკვეული გაგებით განცდა თვითონაა შემეცნება. ამ შემეცნებისას ადამიანი აქტიურია და ეს აქტიურობა ხორციელდება ნებელობითი პროცესების მეშვეობით. მაშასადამე, განცდები მოიცავს შემეცნების, გრძნობა-ემოციებისა და ნებელობის პროცესებს. აქედან სრულიად აქვარაა, თუ როგორი ორგანიზაცია გააჩნია მოსწავლის სასწავლო შემეცნების რთულ (შესაძლოა, — ურთულეს) სტრუქტურას.

ამგვარად, გრძნობა-ემოციები სწავლებისა და სწავლის განუყოფელი ნაწილი უნდა გახდეს. სხვა სიტყვებით, ჭეშმარიტი ცოდნის შეძენა, ეფექტური სწავლება და სწავლა შეუძლებელია გრძნობა-ემოციების მაღლის გარეშე.

მაგრამ პრინციპულად ჩნდება კითხვები: მოსწავლის აზროვნების განვითარებაში სად უნდა მოეძებნოს ადგილი გრძნობა-ემოციებს? როგორი უნდა იყოს მათი შეხამება პედაგოგიურ პროცესებთან? როგორია ლოგიკისა და გრძნობა-ემოციების ოპტიმალური ურთიერთმიმართება? და სხვ.

ამ ფონზე აუცილებელია, განხილულ იქნას საკითხი იმის შესახებ, თუ რა არის ადამიანის შინაგანი სამყარო, რომლის შესახებაც ჩვენ, რბილად რომ ვთქვათ, არაკორექტული შეხედულება გვაქვს. როგორია მისი სტრუქტურა?

ჩვენის აზრით, ამ კითხვებზე პასუხს სულ რამდენიმე ცნების ლოგიკურ სტრუქტურაში და მათ შორის ურთიერთმიმართებებში გარკვევა მოგვცემს.

ეს ცნებებია:

● **ადამიანის ორი სამყარო** — დიდი სამყარო — გული, მცირე სამყარო — ტვინი (გონება). ამ ორი სამყაროს ერთიანობა ქმნის ადამიანის მთელ შინაგან სამყაროს. მათი ჰარმონიული ერთიანობის შინაგანი იერარქიით ადამიანს ექმნება საკუთარი კოსმობიოლოგიური ველი, რომელიც კოსმოსური ენერგიითა დამუხტული და ადამიანი სამყაროს სრულიად ბუნებრივად შეიმეცნებს. ამ შემეცნების ხარისხი დამოკიდებულია ადამიანის შიდარიტმებისა და გარერიტმების თანხვდენილობის ხარისხზე.

● **გული** — ადამიანის დიდი სამყარო, რომელსაც მინიჭებული აქვს ბუნებრივი უნარი: იმედის, რწმენისა და სიყვარულის (ყველა სხვა ზნეობრივი ფასეულობა მათ საფუძველზე აღმოცენდება), დაკისრებული აქვს მიწიერი ფუნქცია: უზრუნველყოს ორგანიზმში სისხლის მიმოქცევა; ეს კი, თავის მხრივ, მრავალ სხვა ფაქტორთან ერთად, არეგულირებს ნივთიერებათა ცვლას; ამ დროს ორგანიზმში თანდათანობით ყალიბდება ურთულესი კანონზომიერებებით მონესრიგებული უჯრედული ბიოქიმიური ცვლილებებისა და გარდაქმნების მთელი სამყარო, რომელიც კოსმოსური ენერგიის ველში ექცევა და იმართება მისით. ეს სამყარო სუნთქავს ერთიანი ორგანიზმის, ცალკეული ორგანოების, ქსოვილების, უჯრედებისა თუ სუბუჯრედული სტრუქტურების ფრიად მონესრიგებული რიტმებით. ასეთი სამყარო ნებისმიერ ადამიანს გააჩნია და იგი სრულიად თავისებურია, ინდივიდუალური. გულის ნეირონულ სისტემას მოკლევადიანი და

გრძელვადიანი მეხსიერებები აქვს და იგი ტვინს მუდმივად აწვდის ინფორმაციას. სწორედ ამ ინფორმაციით იქმნება ადამიანის ემოციონალური გამოცდილება. სხვა სიტყვებით, გულის მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე ტვინში იქმნება გარკვეული ბაზა, რომელიც სრულად განსაზღვრავს ადამიანის რეაქციებსა და განწყობილებებს.

● **ტვინი** — ადამიანის მცირე სამყარო, რომელსაც მიწიჭებული აქვს პუნებრივი უნარი: მსჯელობის, მტკიცებისაკენ სწრაფვისა და ეჭვების. დაკისრებული აქვს მიწიერი ფუნქცია: მასში არსებული ასი მილიარდი ნეირონით არეგულიროს ადამიანის ორგანიზმისა და ცნობიერების ნებისმიერი რეაქცია გარესამყაროსადმი. ამასთან, გამოიყოფა ტვინის სამი უმნიშვნელოვანესი ბლოკი. 1. **ტონუსის ენერგეტიკული ბლოკი**, რომელიც განთავსებულია ტვინის სიღრმეში, ტვინის ღეროს ზედა ფენებში. ამ ბლოკის ერთ ნაწილში ნარმოებს ორგანიზმში ნივთიერებათა ქიმიური ცვლის რეგულაცია. მეორე, ბადისებრ ანუ რეტიკულარულ ნაწილში, აღმოცენდება აგზნების იმპულსები, რომლებიც თავიანთი ენერგიით კვებავენ ტვინის ქერქს. როგორც კი ეს ენერგეტიკული ნაკადი შეწყდება, მაშინვე ტვინის ქერქის ტონუსი ეცემა და ადამიანი ვარდება ნახევრადძილის მდგომარეობაში, შემდეგ ეძლევა ძილს. 2. **ძირითადი ბლოკი** განთავსებულია დიდი ნახევარსფეროების უკანა ნაწილში და მას ევალება გარესამყაროდან მიღებული ინფორმაციის გადამუშავება და შენახვა. 3. **მთავარი ბლოკი**, რომელიც ინახავს ადამიანის პიროვნებას, განთავსებულია შუბლის მიდამოებში. არის მეოთხეც, ეს არის **ამიგდალა**. იგი ნუშისებრი სხეულია, გაუღენთილია ნეირონებით, დაახლოებით ორნახევარი სანტიმეტრი ზომისაა, განთავსებულია ტვინის ორივე ნახევარსფეროში, — ყურის ყვრიმალის მიდამოებში და არეგულირებს ემოციებს. ამიგდალა ემოციონალურ მეხსიერებასთან დაკავშირებული ძირითადი კომპონენტია.

● **ფსიქიკა** (< *ძერძ. ψῆχικός* სულიერი, ცხოვრებისეული) — ტერმინი აღნიშნავს რთულ ცნებას, რომელიც გამოიყენება ფილოსოფიაში, ფსიქოლოგიასა და მედიცინაში. ეს არის ადამიანის გონებისა და გულის ურთიერთპარმონიულობის ხარისხი (რანგი). და სწორედ ეს რანგი განაპირობებს ქცევას. უფრო კონკრეტულად, **ქცევას** განაპირობებს: გონების მხრივ — ადამიანის **ცოდნა**, გამოცდილება და **აზროვნება**, გულის მხრივ — **გრძნობები**, განცდები და ემოციები, ხოლო ორივეს მხრივ ერთდროულად — **განწყობები** და **ინტუიცია**. მათი ურთიერთპარმონიულობის წყალობით მიმდინარეობს ფსიქიკური პროცესები, რომლებიც გაშუალებულია შემეცნებითი ფაქტორებით და გააჩნიათ შინაგანი სტრუქტურა. რაც უფრო ამაღლებულია გულისა და გონების ურთიერთპარმონიულობა, მით უფრო სრულყოფილია ფსიქიკური პროცესები. სწორედ ამიტომაა ფსიქიკური პროცესების დონეები სხვადასხვა ადამიანში სხვადასხვა.

● **ინტუიცია** (< *ლათ. intuitio* ჭვრეტა < *intueor* დაჟინებით უუყურებ) — 1. მიხვედრა, შორსმჭვრეტელობა, უშუალო, სტიქიური გრძნობა, გარემო ვითარებაში გარკვევის უნარი, რომელიც ემყარება ადრინდელ გამოცდილებას; ალღო. 2. **აზროვნებითი პროცესი**, რომელიც მდგომარეობს სინამდვილის უშუალო წვდომაში, ამოცანის ამოხსნის პრაქტიკულად მომენტალურ მონახვაში, ლოგიკური კავშირების არასაკმარისი გაცნობიერებისას. ინტუიცია ემყარება ქვეცნობიერს, წარმოსახვას, ემპათიას, გონების გამჭრიახობას, ალღოს. ინტუიციას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ადამიანის შემოქმედებითი საქმიანობისათვის, როცა აუცილებელია ახალი ცოდნის აღმოჩენა ან ადრე შეძენილის გამოყენება რეალობის გარდაქმნის ან სრულყოფის მიზნით. პრობლემის გადაჭრის პროცესში ადამიანის ინტელექტი და მისი ინტუიცია ერთიანობას ქმნიან. ისე, რომ, ინტუიციურისა და ლოგიკურის ურთიერთდაპირისპირება მთლად კორექტული ვერ არის. ინტუიცია ადამიანის გულისა და გონების ურთიერთპარმონიულობის ხარისხითაა განპირობებული, იგი ამ პარმონიულობაში აღმოცენდება. რაც უფრო ურთიერთპარმონიულია ადამიანის გული და გონება, მით უფრო განვითარებულია მისი ინტუიცია.

მაშასადამე, **ინტუიცია** არის ადამიანის ქვეცნობიერი უნარი, რომელსაც წარმოქმნის მისი გულისა და გონების პარმონიულობა. ამიტომაა ურთიერთკავშირში ადამიანის ფსიქიკა და **ინტუიცია**.

როგორც ვიცით, შემეცნების სახეებია: გრძნობითი, რაციონალური და ინტუიციური.

გრძნობითი შემეცნების პროცესში დომინანტია ადამიანის დიდი სამყარო — გული; და, თუ დიდი სამყარო თანხმობაშია მცირე სამყაროსთან, მაშინ გრძნობითი შემეცნების სამივე ეტაპიბრივი ფორმა: შეგრძნება, აღქმა და წარმოდგენა სრულიად ბუნებრივ და ფრიად აღზევებულ პირობებში მიმდინარეობს. საერთოდაც, დიდ სამყაროში წარმოქმნილ გრძნობებსა და ემოციებს მცირე სამყაროს კონტროლი სჭირდება.

რაციონალური შემეცნების პროცესში დომინანტია ადამიანის მცირე სამყარო — გონება; და, თუ მცირე სამყარო თანხმობაშია დიდ სამყაროსთან, მაშინ რაციონალური შემეცნების სამივე ფორმა: ცნება, მსჯელობა და დასკვნა სრულიად ბუნებრივად და ფრიად ამაღლებულად ვითარდება. საერთოდაც, მცირე სამყაროში წარმოქმნილ მტკიცებებსა და არგუმენტირებებს გრძნობები და ემოციები სულიერებას მატებს და შემეცნების პროცესი ფრიად აღზევებულად მიმდინარეობს.


ინტუიციური შემეცნების პროცესში მიიღწევა წვდომა რეალობის ისეთ შინაარსში, რომელიც ადამიანურ გამოცდილებაში მოცემული არ არის. ასეთებია: **აბსოლუტური, უსასრულო, მარადიული, ღვთაებრივი** და სხვ. ე. ი. ინტუიციური შემეცნება **იდეებში** წვდომას გულისხმობს, და სამყაროს იდეალური შემეცნება გაცილებით უფრო ღრმაა, ვიდრე ცნებითი, თუმცა, ძნელადაა გამოხატულებადი. იდეალური ცოდნისა და მისი გამოხატულების ფორმებია: პოეზია, ხელოვნება, რელიგია, მეცნიერების სილამაზე და მშვენიერება.

ინტუიციური შემეცნების პროცესში თანაბრადდომინანტურია ადამიანის ორივე სამყარო — დიდი და მცირე. ამ სამყაროთა თანაკვეთაში მათი ჰარმონიულობის რანგი ღვთაებრივ სიმაღლეს აღწევს.

ეს ყოველივე — ძალიან კარგი, მაგრამ ყურადღების მიღმა დაგვჩა ერთი უმნიშვნელოვანესი რამ, რაც ღვთაებრივი სიდიადით დომინირებს ყველა სამყაროულ მოვლენასა და საგანში, ადამიანის ცხოვრებასა და შემოქმედებაში, მის არსებაში. ეს — **ოქროს კვეთა** გახლავთ.

ხეობის პირამიდის, ტაძრების, ბარელიეფების, საყოფაცხოვრებო საგნებისა და ტუტანჰამინის სამაროვნიდან მოპოვებული სამკაულების პროპორციები მოწმობს, რომ ჯერ კიდევ უძველესი ეგვიპტელები სარგებლობდნენ იქროს კვეთით. იქროს კვეთის სიდიადე აზევებს კაცობრიობის მიერ მთელი მისი არსებობის მანძილზე შექმნილ შედევრებს.

მეტ კონკრეტულობაში დაინტერესებული მკითხველისათვის აღვნიშნავთ, რომ იქროს კვეთა მათემატიკური ტერმინია. ამბობენ, რომ (ნახ. 1) C წერტილი AB მონაკვეთს იქროს კვეთის პროპორციით ყოფს, ან, სხვა სიტყვებით, AB მონაკვეთის იქროს კვეთას ახდენს, თუ



ამგვარად, იქროს კვეთა არის მონაკვეთის ისეთი გაყოფა ორ ნაწილად, სადაც მონაკვეთის მცირე ნაწილი ისე შეეფარდება დიდ ნაწილს, როგორც დიდი ნაწილი შეეფარდება მთელ მონაკვეთს. გეომეტრიაში იქროს კვეთას საშუალო და კიდურა შეფარდებით გაყოფასაც უწოდებენ. ეს — რაოდენობრივ ჭრილში, მათემატიკაში. მაგრამ იგი იმდენად მშვენიერებამოსილი აღმოჩნდა, რომ გამოვიდა მათემატიკიდან და მთელი თავისი სიდიადით გადავიდა როგორც ვიზუალური, ისე აუდიალური და აბსტრაქტული აღქმის ხარისხობრივ სფეროში: აღმოჩნდა, რომ, თუ მთელის ნაწილების თანაფარდობა იქროს კვეთას უახლოვდება, მაშინ საოცრად აღზევებული მშვენიერება ისადგურებს შემეცნებით პროცესებში.

ოქროს კვეთა პირველად ევკლიდეს „საწყისებში“ გვხვდება. ევკლიდე მას იყენებს ხუთკუთხედისა და ათკუთხედის აგებისას. მაგრამ უდავოა, რომ ოქროს კვეთას იცნობდნენ პითაგორელები. ევკლიდეს შემდეგ ოქროს კვეთას იკვლევდნენ ჰიფსიკლე და პაპე ალექსანდრიელი.

მეთხუთმეტე-მეთექვსმეტე საუკუნეებში გაძლიერდა ინტერესი ოქროს კვეთისადმი. მისი გამოყენება ინტენსიური გახდა როგორც გეომეტრიაში, ისე ხელოვნებაში, განსაკუთრებით არქიტექტურაში. ლუკა პაჩილიძე (პაჩილომ) მას ტრაქტატი მიუძღვნა და „ლვთაებრივი პროპორცია“ უწოდა. ტერმინი „ოქროს კვეთა“ ლეონარდო და ვინჩიმშემოიღო. ოქროს კვეთა შეიქრა ფერწერაში, მუსიკაში, პოეზიაში და დაიმკვიდრა საოცრად ალზევებული მდგომარეობა.

ოქროს კვეთა აბსოლუტური ლვთაებრივი ჰარმონიაა.

სწორედ ეს ლვთაებრივი ჰარმონია აკავშირებს ერთმანეთთან ადამიანის დიდ და მცირე სამყაროებს. თუ უფრო ღრმად ჩავიხედავთ, ადამიანის დიდი სამყარო, მცირე სამყარო და ინტუიცია წყვილ-წყვილად ოქროს კვეთის პროპორციაში იმყოფებიან. როგორც კი ეს ჰარმონიულობაში კი ფრთხეს ისხამს **სინერგია** — ადამიანური და ლვთაებრივი ნების გაერთიანება, რომლის დროსაც ჭეშმარიტი სიბრძნის მადლი ზევდება და სწავლებაც ლვთაებრივ დონეზე მიმდინარეობს.

ჯერ კიდევ მეთორმეტე საუკუნეში გენიალურად თქვა შოთა რუსთაველმა:

„გული, ცნობა და გონება ერთმანეთზედა ჰკიდიან;

რა გული ნავა, იგიცა ნავლენ და მისკენ მიდიან;

უგულო კაცი ვერ კაცობს, კაცთაგან განაკიდიან“.

რუსთაველმა, როგორც ჩანს, ერთმანეთისგან განაცალკევა გული, ცნობა და გონება. მაგრამ დიალექტიკურ ერთმთლიანობაში მოაქცია სამივე და ამ განცალკევებაში ცნობა შუალედურია, იგი იპადება გულისა და გონების ურთიერთჰარმონიულობაში. მე მგონი, „ცნობა“-ში რუსთაველი სწორად ინტუიციას გულისხმობს.

ამაში ცხადად ჩანს რუსთაველის ფრიად ამაღლებული ჰედაგოგიური ალლო.

ეს — მეთორმეტე საუკუნის სწორუპოვარი მოღვანის უდავო გენიალურობაა.

ჩვენ კი მეოცე საუკუნის ჰედაგოგიკაში უგულებელვყავით გული, უარვყავით იგი და სულიერებისგან დაცლილ გონებრივ აღზრდას მივანიჭეთ დომინანტობა. მოსწავლეს რომ გაკვეთილზე გაეცინა, მასწავლებელი მას გაკვეთილიდან გააგდებდა, რას ხედავ სასაცილოსო, ეტყოდა. სწავლებაში სრულიად განვერიდეთ გრძნობებს, განცდებს, ემოციებსა და იუმორს.

დღეს, თითქოს დავიწყეთ ამაზე ლაპარაკი, მაგრამ, სამწუხაროდ, არასწორად, ცალკე, იზოლირებულად, „ემოციური აღზრდის“ სახით. ცალკე გამოვყავით იგი აღზრდის დიდაქტიკურ პრინციპებში.

ეს საკითხი, ვგონებ, იმსახურებს ყურადღებას!

ДЖЕМАЛ ДЖИНДЖИХАДЗЕ

МЫШЛЕНИЕ И ЭМОЦИИ

Резюме

Логические операции принадлежат структуре мышления, но мышление невсегда является тем процессом, в котором участвуют только логика и разум. В мыслительный процесс часто включаются эмоции, которые меняют его, иногда даже весьма существенно. Эмоциональное мышление чаще всего расчитано на желательные результаты, а не на объективную реальность, хотя часто эмоции стимулируют мышление и оно становится более целеустремленным, гибким, возвышенным. В мыслительном процессе эмоции ярко выражены особенно тогда, когда происходит поиск путей решения проблемы. Эмоции являются внутренними свойствами мышления и присущи процессу любого мышления на всех этапах его развития. Не существуют эмоций вне мышления и нет

мышления вне эмоций. В этой связи в статье изучены и исследованы понятия: *составляющие внутреннего мира человека, сердце, мозг и интуиция*.

JEMAL JINJIKHADZE

THINKING AND EMOTIONS
Summary

Logic operations belong to the structure of thinking, but thinking is not always the process where only the logics and mind are participating. In the process of thinking emotions are often emitting and change them, sometimes even fundamentally. Emotional thinking is more oriented to the desired outcome and not on objective reality, but often emotions give way to thinking and thinking becomes more purposeful, flexible, clear, delightful, and exalted. In the process of thinking emotions are clearly expressed, when you are looking for the ways of problem solving and finding the desired results. Sense-emotions are the inner aspect of thinking, thinking itself generates it and it exists and accompanies every stage of development of the thinking process. There are no sense-emotions without thinking and vice versa, there is no way of thinking without emotions. More precisely, sense-emotions are in thinking, its essence of real subjectivity-objectivity. These ties and links are studied and analyzed in the above article about the inner human world, heart, brain and intuition.

ჩვენი იუბილარები

პროფესორი ლეონიძე ჯახაია 85 წლისაა



ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის საპატიო აკადემიკოსს ლეონიძე გრიგოლის ძე ჯახაიას შეუსრულდა 85 წელი. იგი დაიბადა 1932 წლის 13 სექტემბერს ქალაქ სოხუმში, იქვე დაამთავრა სამუალო სკოლა ოქროს მედლით და სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტი წარჩინებით. 1963 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ადამიანის ცოდნის ბუნების შესახებ“, ხოლო 1970 წელს ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „მეცნიერებათა კლასიფიკაცია, როგორც ფილოსოფიური და მეცნიერებათმცოდნეობითი პრობლემა“. 1983-1993 წლებში იყო საქართველოს სახელმწიფო სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის ფილოსოფიის კათედრის გამგე. 1977-1978 წლებში მოღვაწეობდა სოფიის უნივერსიტეტში (ბულგარეთი), ხოლო 1983-1986 წლებში - კომენსკის სახელობის უნივერსიტეტში ბრატისლავაში (ჩეხისლოვაკია), სადაც დაჯილდოვდა მეტად პრესტიული იან ამოს კომენსკის მედლით.

ამ დროს სიტუაცია აფხაზეთში უკიდურესად დაიძაბა, დაიწყო ომი, სოხუმი დაეცა, და პროფესორი ლეონიძე ჯახაია ოჯახით აღმოჩნდა თბილისში დევნილის სტატუსით. მაგრამ თბილისში განაახლა ფუნქციონირება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალმა, სადაც პროფესორი ლეონიძე ჯახაია მუშაობდა ჯერ ფაკულტეტის დეკანის თანამდებობაზე, ხოლო შემდგომში - ფილოსოფიისა და სოციოლოგიის კათედრის გამგედ.

პროფესორი ლეონიძე ჯახაია იყო საქართველოს პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიის დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი. 1993 წლის 30 აპრილს საქართველოს განათლების სამინისტროს გაზეთში „განათლება“ დაიბეჭდა მისი წერილი სათაურით: „დროა ვიფიქროთ პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიაზე“. საქართველოს პედაგოგიურმა საზოგადოებრიობამ აქტიურად დაუჭირა მხარი ამ იდეას, და 1995 წელს იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის ეროვნულ ინსტიტუტში ჩატარდა კონფერენცია, რომელმაც დააფუძნა საქართველოს პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემია, რომლის პრეზიდენტად კონფერენციამ აირჩია პროფესორი ნათელა ვასაძე, ხოლო ვიცე-პრეზიდენტად - პროფესორი ლეონიძე ჯახაია.

პროფესორი ლეონიძე ჯახაია არის ავტორი 30 მონოგრაფიისა, 200-ზე მეტი სტატიისა უურნალ-გაზეთებში ქართულ, რუსულ, აფხაზურ, ინგლისურ, ფრანგულ, ბულგარულ, ჩეხურ და სლოვაცურ ენებძე. დაჯილდოებულია ღირსების მედლით.

2017 წლის სექტემბერში პროფესორმა ლეონიძე ჯახაიამ დაასრულა პედაგოგიური მოღვაწეობა სოხუმის უნივერსიტეტში, თუმცა დღემდე აგრძელებს სამეცნიერო მუშაობას.

პრესტატინი რამიშვილი - 80



ცნობილ ქართველ მეცნიერს, თვალსაჩინო მკვლევარსა და პედაგოგს, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, კონსტანტინე რამიშვილს დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდა.

პროფესორი კ. რამიშვილი იკვლევს თანამედროვე განათლების თეორიისა და პრაქტიკის პრობლემებს (უწყვეტი განათლება, მოზრდილთა განათლებისა და შედარებითი პედაგოგიკის საკითხები, პედაგოგიური მენეჯმენტი და ა.შ.). მისი კვლევის შედეგები, ხანგრძლივი მეცნიერული მუშაობის შედე-

გად შემუშავებული რეკომენდაციები და დასკვნები მოცემულია 150-ზე მეტ სამეცნიერო ნაშრომში.

პროფესორ კონსტანტინე რამიშვილის ნაშრომებში ჩანს ავტორის ფართო განათლება და ერუდიცია. მისი ნაშრომებიდან აღსანიშნავია: „შედარებითი პედაგოგიკა“, „მშობელთა უნივერსიტეტები“, „როცა მშობლები მერხთან არიან“, „მოზრდილთა განათლების თეორიული საფუძვლები“ და სხვ.

პედაგოგიკის მეცნიერებაში გარკვეული გამოცდილებით მოვიდა ბატონი კოტე. 1961 წელს, თბილისის ა.ს პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის წარმატებით დამთავრების შემდეგ მუშაობდა ბავშვთა კოლონიაში, მასნავლებლად ტოპოგრაფიულ ტექნიკუმში, სკოლის დირექტორის მოადგილედ კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის დარგში, საქართველოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს სახალხო უნივერსიტეტების მეთოდ-კაბინეტის გამგედ და საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობაში. პროფესორ კ. რამიშვილის პრაქტიკული და თეორიული გამოცდილება ფართოდ აისახა მის საკანდიდატო (1976) და სადოქტორო დისერტაციებში (1993).

1981 წელს პროფესორი კონსტანტინე რამიშვილი მუშაობას იწყებს თბილისის ა.ს პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში. 1982-1999 წლებში ის იყო რუსული ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანი, ხოლო 1999-2006 წ.წ. ხელმძღვანელობდა პედაგოგიკის კათედრას, სადაც კოლეგების დიდი პატივისცემით სარგებლობდა.

ბატონი კოტე ყოველთვის აქტიურად მონაწილეობს რესპუბლუკურ თუ საერთაშორისო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებზე. მისი მოხსენებები გამოირჩევა აქტუალობით, საკითხისადმი პასუხისმგებლური დამოკიდებულებით.

პროფესორი კონსტანტინე რამიშვილი უშურველად უზიარებს ახალგაზრდებს საკუთარ ცოდნასა და გამოცდილებას. მისი ხელმძღვანელობით დაცულია 15 საკანდიდატო და 5 სადოქტორო დისერტაცია. 2 წლის განმავლობაში (2004-2006) ის იყო პედაგოგიკის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე, 2002-2014 წ.წ. საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი.

2003 წელს არჩეული იქნა რუსეთის პედაგოგიურ და სოციალურ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად. 1999 წელს კიდევ ერთხელ იქნა აღიარებული პროფესორ კონსტანტინე რამიშვილის მეცნიერული ღვანლი და ის არჩეულ იქნა საერთაშორისო ორგანიზაციის „განათლება საზღვრებს გარეშე“ - პრეზიდიუმის წევრად. ბატონი კოტე არის აგრეთვე სამეცნიერო ჟურნალ „ინტელექტისა“ და საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის უურნალ „მოამბის“ რედკოლეგიის წევრი.

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობისათვის პროფესორი კონსტანტინე რამიშვილი დაჯილდოებულია განათლების წარჩინებული მუშაკისა და იაკობ გოგებაშვილის მედლით.

საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი გულითადად ულოცავს ღირსეულ მეცნიერს, შესანიშნავ პიროვნებას, პროფესორ კონსტანტინე რამიშვილს დაბადებიდან 80 წლისთავს და უსურვებს ჯანმრთელობას, ნაყოფიერ სამეცნიერო მუშაობას.

ინესსა ხატისკაცი – 80



პროფესორ ინესსა (ინგა) ხატისკაცს დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდა. მისი მრავალმხრივი და ნაყოფიერი სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობა 50 წელზე მეტს ითვლის.

ინესსა ხატისკაცი დაიბადა 1937 წელს ქ. თბილისში. 1955 წ. ჩაირიცხა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტზე, რომელიც 1960 წ. წარჩინებით დაამთავრა. 1999 წ. დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 2006 წ. სადოქტორო დისერტაცია თემაზე “ჰომოლოგიური და კვადრატული გარდაქმნების გამოყენება საინჟინრო გრაფიკის ამოცანების გადაწყვეტაში”. 1965 წლიდან მუშაობს და ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო გრაფიკისა და ტექნიკური მექანიკის დეპარტამენტში. 2015 წ. მიენიჭა ემერიტუსის საპატიო წოდება.

ქალბატონი ინესსა ნახევარი საუკუნეა პედაგოგიურ საქმიანობას ეწევა, იგი 90-მდე სამეცნიერო და მეთოდიკური ნაშრომის ავტორია, მათ შორის 2 მონოგრაფიის და 10-ზე მეტი სახელმძღვანელოსა და დამხმარე სახელმძღვანელოსი. მას მონაწილეობა აქვს მიღებული სამეცნიერო კონფერენციებში, დაჯილდოვებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საპატიო სიგელით. სამაგალითოა მისი დამოკიდებულება სტუდენტ-ახალგაზრდობასთან. იგი სარგებლობს დამსახურებული ავტორიტეტითა და სიყვარულით კოლეგებსა და თანამშრომლებს შორის.

ვულოცავთ ქალბატონ ინგას, ჩვენს მეგობარსა და თანამოაზრეს საიუბილეო თარიღს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას და ხანგრძლივ სიცოცხლეს.

თამაზ ლუკაშიძე იუგილარია



საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ თამაზ ნუცუბიძეს დაბადებიდან 70 წელი შეუსრულდა.

თამაზ ნუცუბიძე დაიბადა 1947 წლის 12 მაისს ქ. თბილისში, პროფესორ ქეთევან კლიმიაშვილი-ნუცუბიძისა და აკადემიკოს შალვა ნუცუბიძის სახელოვან ოჯახში.

პროფესორ თამაზ ნუცუბიძეს დამთავრებული აქვს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და ეკონომიკის ფაკულტეტები. მუშაობდა იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიურ მეცნიერებათა საკვლევ-სამეცნიერო ინსტიტუტში მეცნიერ მუშაკად.

1993 წელს აკადემიკოს დავით ლორთქიფანიძის ხელმძღვანელობით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია პედაგოგიკაში.

თამაზ ნუცუბიძე მუშაობს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საინჟინრო ეკონომიკის, მედია-ტექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორის აკადემიური თანამდებობაზე. იგი სისტემატურად მონაწილეობს საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში, აქვეყნებს სამეცნიერო ნაშრომებს სხვადასხვა ჟურნალებში.

პროფესორი თამაზ ნუცუბიძე ავტორია ორმოცდაათზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის, მათ შორის მონოგრაფიების, დამხმარე სახელმძღვანელოებისა და სწავლების მეთოდური სამუალებების.

პედაგოგიურ დარგში განსაკუთრებული დამსახურებისათვის დაჯილდოებულია იაკობ გოგებაშვილის სახელობის მედლითა და საპატიო სიგელით.

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ხანგრძლივი და ნაყოფიერი პედაგოგიური მუშაობისათვის სტუდენტი ახალგაზრდობის აღზრდაში გაწეული დიდი ღვაწლისათვის დაჯილდობულია საპატიო დიპლომით.

პროფესორ თამაზ ნუცუბიძის შინაარსიან განვლილ ცხოვრების გზაზე სიხარულიც ბევრი განუცდია და დაბრკოლებაც გადაულახავს, რომელსაც ყოველთვის გვერდში უდგას თანამოაზრე მეულლე — დამსახურებული პედაგოგი ცირა მამალაძე-ნუცუბიძე.

პროფესორ თამაზ ნუცუბიძეს ვულოცავთ იუბილეს, ვუსურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს და წარმატებებს სამეცნიერო და სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში.

თამარ გოგოლაშვილი - 70



საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, პროფესორ თამარ გოგოლაშვილს 70 წელი შეუსრულდა.

პროფესორმა თამარ გოგოლაშვილმა მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება მომავალი თაობის აღზრდა-განათლებისა და პედაგოგიკის მეცნიერების სამსახურს მიუძღვნა; პედაგოგიური საქმიანობა საბავშვო ბაგა-ბაღში დაიწყო, შემდეგ მუშაობდა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად თბილის 112-ე საშუალო სკოლაში. წლების განმავლობაში აგრეთვე მუშაობდა კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროში სხვადასხვა თანამდებობებზე. 1986 წლიდან თამარ გოგოლაშვილი საქართველოს განათლების სამინისტროს იგოგებაშვილის სახელობის პედაგოგიურ მეცნიერებათა ინსტიტუტის თანამშრომელია, სადაც მან გაიარ გზა უმცროსი მეცნიერ-მუშაკიდან წამყვან მეცნიერ-თანამშრომლამდე. ხოლო 2007 წლიდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორია.

თამარ გოგოლაშვილი წლების განმავლობაში კითხულობდა სასწავლო კურსებს ქ.თბილისის მასწავლებელთა დახმარებელთა დახმარებელთა ინსტიტუტში შრომითი/გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებელთათვის. განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ სფეროში მის მიერ დამუშავებული სტანდარტების, პროგრამების და სახელმძღვანელოების შედგენის მეთოდური გამართულობა, რაც ქართულ ეროვნულ ტრადიციებს ეფუძნებოდა.

თამარ გოგოლაშვილი ავტორია 9 გრიფირებული სახელმძღვანელოსი (საყოფაცხოვრებო შრომა, მე-5-6 კლასები, საყოფაცხოვრებო შრომის ტექნოლოგია, მე-7-8-9 კლასები, შრომითი სწავლება, პირველკლასელთათვის) და 5 დამხმარე სახელმძღვანელოსი (დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება, V-Xკლ, მძივი დეკორატიულ-გამოყენებით ხელოვნებაში), რომლითაც სხვადასხვა წლებში მიმდინარეობდა სწავლება საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში.

თამარ გოგოლაშვილია სამოცდაათი წლის იუბილეს ოთხმოცდაათამდე ნაშრომით ხვედება, მათ შორის გამორჩეული ადგილი მასწავლებელთათვის გამიზნულ მეთოდურ წიგნებს უჭირავს (საყოფაცხოვრებო შრომის V-IV კლასის მასწავლებლის წიგნი, საყოფაცხოვრებო შრომის ტექნოლოგიის VII-IX კლასის მასწავლებლის წიგნი, შრომითი სწავლება, მასწავლებლის წიგნი, მეთოდური რეკომენდაციები, პირველი კლასი, შრომითი სწავლების დიდაქტიკური მასალები დაწყებითი კლასებისათვის და სხვ.). ამაგდარი მეცნიერი და ახალგაზრდობის აღმზრდელი თამარ გოგოლაშვილი დაურაღავი შრომის მეცნიერული კვლევა-ძიების შედეგები მრავალჯერ განხდარა საჯარო განხილვის საგანი, ამას მოწმობს მისი აქტიურობა ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებზე.

მომავალი თაობის აღზრდა-განათლებაში დამსახურებისათვის თამარ გოგოლაშვილს დამსახურებულად მიენიჭა ქართველ პედაგოგთა უმაღლესი წოდება იაკობ გოგებაშვილის სახელბის პრემია, ხოლო პედაგოგიკური მეცნიერერების განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის იგი არჩეული იქნა საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად.

საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი და უუნალ „მოამბის“ რე-დაქცია გულითადად ვულოცავთ ჩვენს კოლეგად და თანამოაზრეს დაბადებიდან 70-ე წლის-თავს და ვუსურვებთ წარმტებებს პროფესიულ საქმიანობაში და პირად ცხოვრებაში.

იოსებ ჩასიაძე -70



პროფესორ იოსებ ბაციკაძეს დაბადებიდან 70 წელი შეუსრულდა. მისი მრავალმხრივი და ნაყოფიერი სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობა 45 წელზე მეტს ითვლის.

იოსებ ბაციკაძე დაიბადა 1947 წელს ქ. თბილისში. 1964 წ. ჩაირიცხა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტზე, რომელიც 1969 წელს წარჩინებით დაამთავრა. 2006 წელს დაიცვა დისერტაცია თემაზე “ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა სპეციალობებზე საინჟინრო გრაფიკის სწავლების ახალი მეთოდიკა და მისი განხორციელების გზები.” 1970 წლიდან დღემდე მუშაობს და ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა საქართველოს ტექნიკურ ინივერსიტეტში, 2011 წლიდან საინჟინრო გრაფიკისა და ტექნიკური მექანიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელია.

ბატონი იოსები თითქმის ნახევარი საუკუნეა პედაგოგიურ საქმიანობას ეწევა და ერთხელაც არ შეპარვია ეჭვი თავისი ცხოვრებისეული გზის არჩევაში. იგი 90-მდე სამეცნიერო და მეთოდური ნაშრომის ავტორია, მათ შორის 1 მონოგრაფიისა და 30-ზე მეტი სახელმძღვანელოსა და დამხმარე სახელმძღვანელოს ავტორი და თანაავტორი. მას მონაწილეობა აქვს მიღებული სამეცნიერო კონფერენციებში, აქვს მოპოვებული რამდენიმე გრანტი. სამაგალითოა მისი დამოკიდებულება სტუდენტ-ახა-ლგაზრდობასთან. სარგებლობს დამსახურებული ავტორიტეტით კოლეგებსა და თანამშრომლებს შორის.

ვულოცავთ ბატონ იოსებს, ჩვენს მეგობარსა და თანამოაზრეს საიუბილეო თარიღს, ვუსურვებთ ხანგრძლივ ნაყოფიერ მოღვაწეობას იმ კეთილშობლიურ საქმეში რასაც პედაგოგობა ჰქვია სახელად და აგრერიგად ესაჭიროება ჩვენს სამშობლოს.

მარაპ მალაძე-70



განათლების დაარგის თვალსაჩინო მოღვაწეს, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფია-ფიქიოლოგიის დეპატამენტის ხელმძღვანელს, ფიქიოლოგიის აკადემიურ დოქტორს, ასოცირებული პროფესორს, მერაბ მალრაძეს 70 წელი შეუსრულდა.

მერაბ გიორგის ძე მალრაძე დაიბადა 1947 წლის 5 ოქტომბერს, ხარაგაულის რაიონის სოფელ ლეღვანში. 1965 წელა დაამთავრა ლეღვნის საშუალო სკოლა, ხოლო 1970 წელს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფია-ფიქიოლოგიის ფაკულტეტი, ფიქიოლოგიის სპეციალობით.

მ. მალრაძე 1970-71 წლებში მუშაობდა პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფიქიოლოგიის კათედრაზე უფროს ლაბორანტად, ხოლო 1971-73 წლებში იყო ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიქიოლოგიის კათედრის ლაბორანტი. 1973-76 წლებში მუშაობას აგრძელებს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დამსახურის სახელობის ფიქიოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უმცროს მეცნიერთანამშრომლად. 1976 წელს საქართველოს მთავრობის დადგენილებით სამუშაოდ გადაყვანილი

იქნა ქ. ქუთაისში, იმავე დადგენილების მიხედვით შექმნილ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრში, სადაც მუშაობდა მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობაზე 1984 წლამდე.

1983 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე დაიცვა დისერტაცია თე-მაზე: „მოტივაციური ფაქტორების გავლენა უმცროსი სასკოლო ასაკის პავშვთა მნემურ აქტი-ვობაზე“ (მეცნიერ ხელმძღვანელები: პროფ. შ. ჩხარტიშვილი და პროფ. ვ. კაკაბაძე), რისთვისაც მიენიჭა ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი.

1984 - 90 წლებში მ. მალრაძე პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლების ქუთაისის ზონალური ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეა სამეცნიერო-მეთოდური მუშაობის დარგში, ხოლო 1977 წლიდან შეთავსებით კითხულობდა ლექციებს ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში.

1990 წლიდან კი სამუშაოდ გადადის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფსიქოლოგიის კათედრის დოცენტის თანამდებობაზე. 1998-2005 წლებში იყო ფსიქოლოგიის კათედრის გამგე. 2005 წლიდან დღემდე არის ფსიქოლოგიის და ფილოსოფიის კათედრების გაერთიანებით შექნილი ფილოსოფია-ფსიქოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, ხოლო 2013 წლიდან ამავე დეპარტამენტის ხელმძღვანელი.

2008 წელს მერაბ მალრაძე აირჩიეს საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად.

აქტიურ პედაგოგიურ საქმიანობასთან ერთად მ. მალრაძე ნაყოფიერ სამეცნიერო-კვლევით მუშაობას ეწევა. გამოქვეყნებული აქვს 70 - მეტი ნაშრომი თანამედროვე ფსიქოლოგიის აქტუალურ საკითხებზე. ადგილობრივ და საერთაშორისო რეფერირებულ სამეცნიერო ჟურნალებში მ. მალრაძის მიერ გამოქვეყნებული სტატიებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია განათლების ფსიქოლოგიის პრობლემებისადმი მიძღვნილი გამოკვლევები, სადაც იგი აღნიშნულ პრობლემებს განწყობის თეორიის ძირითად დებულებათა შუქზე და ქართული პედაგოგიური ფსიქოლოგიის ტრადიციების გათვალისწინებით განიხილავს.

მ. მალრაძე აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში იყო სამაგისტრო პროგრამის თანავტორი და ხელმძღვანელი განათლების ფსიქოლოგიაში. ამჟამად კი minor პროგრამის ხელმძღვანელია განათლების ფსიქოლოგიაში. არის ტრენინგ-მოდულის ავტორი განვითარებისა და სწავლის თეორიებში და 2010 წლიდან ატარებს ტრენინგებს იმერეთის რეგიონის საჯარო სკოლების მასწავლებლებთან, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მასწავლებელთა პროფესიული მომზადების ცენტრის დაკვეთით.

მერაბ მალრაძე აქტიურად მონაწილეობს რესპუბლიკურ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში. მისი ორგანიზებით და ხელმძღვანელობით აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა ორი სამეცნიერო კონფერენცია: „თანამედროვე ფსიქოლოგიის აქტუალური საკითხები“ - 2010 წელს, რომელიც მიეძღვნა ცნობილი ქართველი ფსიქოლოგის შალვა ჩხარტიშვილის 100 წლისთავს და დიდი ქართველი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, ქართული ფსიქოლოგიური სკოლის დამარსებლის და ორიგინალური ზოგადფსიქოლოგიური თეორიის ავტორის, დიმიტრი უზნაძის 130 წლისთავს.

მერაბ მალაძის ნაყოფიერი სამეცნიერო, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობა სათანადოდ დაფასდა იგი დაჯილდოებულია ღირსების ორდენით.

ბატონი მერაბი განვლილი შვიდიათეული წლის მიუხედავად, მხნედ გამოიყურება. გვჯერა, რომ ის კიდევ დიდხანს იქნება ფსიქოლოგიური მეცნიერების სადარაჯოზე და წარმატებით გააგრძელებს პედაგოგიურ საქმიანობას საქართველოს საკეთილდღეოდ.



საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, თბილისის უნივერსიტეტის პროფესორს, ლია მენთეშაშვილს 65 წელი შეუსრულდა.

პროფესორ ლია მენთეშაშვილის მთელი განვლილი ცხოვრება პედაგოგურ საქმიანობას უკავშირდება. პედაგოგის პროფესია მას პედაგოგმა მშობლებმა შეაყვარეს (მამა – ალექსანდრე მენთეშაშვილი რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი, 46 წელი სკოლის დირექტორი იყო).

ქალბატონმა ლიამ, თბილისის ა.ს. პუშკინის სახ. სახელმწიფო პედაგოგური ინსტიტუტის ქართული ფილოლოგიის ფაკულტეტის წარჩინებით დამთავრებისთანავე მუშაობა დაიწყო ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად ქ. თბილისის 152-ე სკოლაში, ხოლო შემდეგ მუშაობა განაგრძო 145-ე საშუალო სკოლაში. 1980 წელს ჩააბარა ზემოთ აღნიშნული ინსტიტუტის ასპირანტურაში პედაგოგიკის თეორიისა და ისტორიის სპეციალობით. 1984 წელს წარმატებით დაიცვა დისერტაცია თემაზე: „ჰუმანიზმის აღზრდა საშუალო სასკოლო ასაკის მოსწავლეებში“ (მეცნიერ-ხელმძღვანელი საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთი დამფუძნებელი, პროფ. ვლადიმერ გაგუა).

პროფ. ლ. მენთეშაშვილი 1987 წლიდან 2006 წლამდე იყო დოცენტი თბილისის ა.ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგურ ინსტიტუტში, შემდეგ სრული პროფესორი წმიდა გრ. ფერაძის სახელობის თბილისის უნივერსიტეტში, ხოლო 2009 წლიდან დღემდე არის თბილისის უნივერსიტეტის პროფესორი.

პროფ. ლ. მენთეშაშვილის კვლევის სფეროა: აღზრდის თეორია, უმაღლესი სკოლისა და ქართული პედაგოგიკის ისტორიის პრობლემები. ქალბატონი ლია 80-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომისა და საგაზეთო სტატიის ავტორია. მისი ნაშრომებიდან აღსანიშნავია: „მე-19 საუკუნის ქართველ განმანათლებელთა პედაგოგიური შეხედულებები (პროფ. ნ. შეროზიასთან თანაავტორობით, 2013), „სკოლისა და ოჯახის ერთობლივი მუშაობა განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმის პირობებში (2005), საკურსო სამუშაოები პედაგოგიკაში (მეთოდური სახელმძღვანელო პროფ. ვ. გაგუასთან თანაავტორობით, 2000), საკურსო სამუშაოები პედაგოგიკის ისტორიაში (მეთოდური სახელმძღვანელო, 2004), საოჯახო აღზრდა, სკოლა და ოჯახი (ბიბლიოგრაფიული მაჩვენებელი 1990–1999. 1999), კლასის ხელმძღვანელის მუშაობა მოსწავლეთა მშობლებთან (მონოგრაფია, 1987), ჰუმანიზმის სულისკვეთებით (მონოგრაფია, 1988).

პროფ. ლ. მენთეშაშვილი საკუთარ გამოცდილებას უზიარებს სტუდენტებს, მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს. მისი ხელმძღვანელობით დაცულია 4 საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია.

აღსანიშნავია ისიც, რომ პროფ. ლ. მენთეშაშვილი ხშირად არის დისერტაციების ოფიციალური შემფასებელი, მრავალი წიგნის რედაქტორი (8) და რეცენზენტი (14). იგი აქტიურად მონაწილეობს საერთაშორისო–სამეცნიერო კონფერენციებში. ქალბატონი ლია არის აგრეთვე თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების მეცნიერების ხარისხის მიმნიჭებელი სადისერტაციო საბჭოს წევრი, საერთაშორისო, რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო უურნალის „მეცნიერება და ცხოვრებას“ პასუხისმგებელი მდივანი.

ბოლო ორი ათწლეულია, რაც ჩვენი ქვეყნის განათლების სისტემაში განვითარებული პროცესების ფონზე, რეფორმატორთა მანტიას ამოფარებულმა ჩინოვნიკებმა, ყოვლად გაუმართლებელი და უფრო მეტიც, მავნე პოზიცია დაიკავეს განათლებაში არსებული მრავალი პრობლემის გადაჭრის თაობაზე, მათ შორის აშკარად ნეგატიური აზრი დაამკვიდრეს პედაგოგიკის მიმართაც. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენეს პედაგოგოვის მეცნიერების არსებობა და საჭიროებაც. საბედნიეროდ, ქართველ მეცნიერთა შორის აღმოჩნდნენ მაღლი მეცნიერული ლირებულების მატარებელი პიროვნებები, რომლებიც სიძნელეთა მიუხედა-

ვად, ყველაფერს აკეთებენ პედაგოგიკის, როგორც მეცნიერების განვითარებისა და პოპულარიზაციისათვის. ამ საქმეში გამორჩეული ლიდერი უპირობოდ პროფესორი ლია მენთეშაშვილია.

ქალბატონ ლიას ვულოცავთ საიუბილეო თარიღს და ვუსურვებთ პიდად წარმატებებს და მისთვის ჩვეული შემართებით კვლავაც დიდხანს ემსახუროს მომავალი თაობის აღზრდა-განათლების ეროვნულ საქმეს.

თამარ ლვინიანიძე-65



თამარ ლვინიანიძე დაიბადა 1952 წლის 15 აპრილს ქალაქ წყალტუბოში. 1969 წელს წარმატებით დამთავრა ქუთაისის 32-ე საშუალო სკოლა, 1974 წელს წარჩინებით - ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგის ფაკულტეტი ქართული ენის, ლიტერატურისა და გერმანული ენის სპეციალობით. 1974-1975 წლებში მუშაობდა ქართული ენის, ლიტერატურისა და გერმანულის ენის მასწავლებლად, ქუთაისის #3, #15, #31 საშუალო სკოლებში. 1978 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო პედაგოგოური ინსტიტუტის ასპირანტურაში. 1981 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია.

1975 წლიდან დღემდე მუშაობს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში. გაიარა გზა უფროსი ლაპორანტის თანამდებობიდან პროფესორობამდე, 4-ჯერ იყო არჩეული პედაგოგიური ფაკულტეტის დეკანად.

2002 წელს აირჩიეს საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის წევრად.

2002 წლის 15 აგვისტოდან დღემდე ხელმძღვანელობს შპს ტელე-რადიო კომპანია „რიონს“. უურნალისტურ საქმიანობას ეწეოდა სტუდენტობის დროიდან. წლების განმავლობაში გამოქვეყნებული აქვს მრავალი საგაზეთო სტატია.

თამარ ლვინიანიძე საქართველოს უურნალისტთა კავშირის წევრია 2001 წლიდან. ტელეკომპანია „რიონში“ არის რამდენიმე პროგრამის ავტორი და წამყვანი.

იგი არის ქუთაისი-ნიუპორტის ასოციაციის, საზოგადოებრის - „ქუთაისელი“ და „ბალისკი-დე“ პრეზიდიუმის, საქართველოს პროფესიონალ ქალთა ასოციაცია, „ასი ქართველი ქალის“, ქუთაისის პატივგების კომისიისა და საქართველოს უურნალისტთა ფედერაციის წევრი.

მრავალმხრივი საზოგადოებრივი საქმიანობისა და სტუდენტი-ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში დამსახურებისათვის 2007 წელს მიენიჭა ქუთაისის საპატიო მოქალაქის წოდება.

თამარ ლვინიანიძე 2009-2010 წლებში არჩეული იყო საქართველოს რეგიონულ მაუნიკებელთა ასოციაციის გამგეობის თავმჯდომარედ. ამჟამად არის ბორდის წევრი. 2-ჯერ, 2009, 2010-2011 წლებში ამერიკის ბიოგრაფიის ინსტიტუტმა მიანიჭა საქართველოს წლის ადამიანის წოდება და ქვეყნის წინსვლასა და განვითარებაში განსაკუთრებული წვლილისათვის დააჯილდოვა ოქროს მედლით. 2012 წელს იმავე ინსტიტუტმა მიანიჭა წლის საერთაშორისო ადამიანის წოდება.

მისი ბიოგრაფია შეტანილია ცნობარებში: „ვინ ვინ არის საქართველოში“ (2006, 2009 წწ.), „ჩვენ საქართველოს ქალები“ (2008 წ.) და „ქუთაისური ოჯახები“ (2008 წ). დაჯილდობულია ღირსების ორდენით, ნაციონალური ბიზნეს რეიტინგების ორდენით „ეკონომიკის ვარსკვლავი“. განათლების დარგში საუკეთესო პროექტებისათვის თამარ ლვინიანიძეს აღებული აქვს მრავალი გრანტები.

2015 წელს თამარ ლვინიანიძემ მიიღო დიპლომები „ყველაზე წარმატებულ ქალს მედიაში“ და „რეგიონული მედიის განვითარებაში შეტანილ წვლილისათვის“; 2015-2016 წლებში ქალაქ ქუთაისის მერიამ იგი დააჯილდოვა სპეციალური პრიზით ბიზნესის განვითარების ხელშეწყობისათვის, ხოლო 2017 წელს ევროპის ბიზნეს ასოციაციამ (ლონდონი) მანიჭა საუკეთესო მენეჯრის წოდება.

ყველგან, სადაც კი იღვანა თამარ ლვინიანიძემ, მან თავი გამოიჩინა, როგორც მიზანდასა-ხულმა და პრინციპულმა პიროვნებამ. იგი განსაკუთრებული სიყვარულით სარგებლობს აკაკი წრეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებში. ქალ-ლბატონი თამარი მრავალმხრივი და ნაყოფიერი მეცნიერ-მკვლევარია, რასაც ადასტურებს მის მიერ გამოქვეყნებული 40 სამეცნიერო ნაშრომი და 2 წიგნი.

ვულოცავთ ჩვენს კოლეგას და მეგობარს საიუბილეო თარიღს და ვუსურვებთ ჯანმრთელ სი-ცოცხლესა და ნაყოფიერ მოღვაწეობას.

გამოსათხოვარი

ერისა და ქვეყნის მსახური



საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიამ დიდი დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა პედაგოგიკისა და ფილოლოგის მეცნიერებათა დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ემერიტუს-პროფესორი იური ბიბილეიშვილი. ბატონმა იურიმ საკმაოდ რთული და წინააღმდეგობით აღსავსე გზა განვლო. პედაგოგიური, სამეცნიერო და საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე გამოვიდა როგორც ნიჭიერი, მრავალმხრივი შემოქმედი და მაძიებელი სულის ადამიანი. თავის ნიჭიერებას ის კარგად უხამებდა უდიდეს შრომისმოყვარეობას, იყო ფუტკარივით მშრომელი კაცი. სად არ ნახავთ მას — მოსწავლეებთან თუ მწერლებთან, განათლებისა თუ კულტურის დარგის მუშაკებთან, საზოგადო მოღვაწეებთან და ვინ მოთვლის კიდევ ვისთან. ყველაფერს ასწრებდა, ყველა ღონისძიებაში მონაწილეობდა და თავის წონად სიტყვას ამბობდა, ყველა საქმეში სამაგალითო, მისაბაძი და გამორჩეული პიროვნება იყო. პედაგოგიკის თეორიის, პედაგოგიკის ისტორიისა და ქართული ლიტერატურის გარდა, მისი მადლიანი კალამი შეეხო თეატრალურ ცხოვრებას, ისტორიისა და პოლიტიკის საკითხებს. იგი მოუსვენარი, დაუდგრომელი კაცის ცხოვრებით ცოცხლობდა და მოღვაწეობდა, სისტემატურად ეხმაურებოდა საქართველოში მიმდინარე მოვლენებს.

როგორც სკოლაში, ისე უმაღლეს სასწავლებელში იგი გამოირჩეოდა თავისი აქტიური ცხოვრებისეული პოზიციით. იყო ყველა საქმის ორგანიზატორი და სულის-ჩამდგმელი. 1956 წელს იოსებ სტალინის პიროვნების კრიტიკის გამო საქართველოს მრავალ უმაღლეს სასწავლებელში მოეწყო სტუდენტი ახალგაზრდობის მასობრივი გამოსვლები. ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში ამ გამოსვლების ერთ-ერთი ორგანიზატორი იყო პირველი კურსის სტუდენტი იური ბიბილეიშვილი, რისთვისაც ამავე წლის მაისში იგი დააპატიმრეს და ორი წელი მიუსაჯეს. შაპატიმროდან გამოსვლის შემდეგ იგი 1958 წელს აგრძელებს სწავლას ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია ფილოლოგიის ფაკულტეტზე და 1962 წელს ამთავრებს მას.

აქედან მოყოლებული იგი 5 წელს მუშაობდა ხულოს რაიონის სოფ. ღორჯომის საშუალო სკოლაში ქართული ენა-ლიტერატურის, ისტორიისა და საზოგადო-ებათმცოდნეობის მასწავლებლად. შემდეგ სხვადასხვა დროს იყო ბათუმის კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებელში ეთიკისა და ესთეტიკის მასწავლებლი, აჭარის კულტურის სამინისტროში მეთოდისტი, საქართველოს განათლების სამინი-სტროს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის ბათუმის ფიალიალის ქართული ენისა და ლიტერატურის მეთოდური კაბინეტის გამგე, საქართველოს კომპარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის ლექტორ-კონსულტანტი, ბათუმის საქალაქო საბჭოს აღმასკომის სამმართველოს უფროსის მოადგილე, აჭარის ვაჭრობის სამინისტროს კადრების განყოფილების უფროსი, ბათუმის განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორი, პარალელურად კი მუშაობდა ქ. ბათუმის 6 საშუალო სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად.

სადაც კი იმუშავა ბატონმა იურიმ, ყველგან თავი გამოიჩინა როგორც ერუდი-რებულმა, საზრიანმა, შორსმჭვრეტელმა და დაკისრებული მოვალეობისადმი მაღალი პასუხისმგებლობის მქონე პიროვნებამ.

1977 წლიდან ი. ბიბილეიშვილი მუშაობდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის ჯერ სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის პედაგოგიკა-ფსიქოლოგიის კათედრის ასისტენტად, უფროს მასწავლებლად, შემდეგ კი უნივერსიტეტის დოკენ-ტად, ასოცირებულ პროფესორად და სრულ პროფესორად, 2013 წელს კი მიენიჭა ემერიტუს-პროფესორის წოდება და გავიდა დამსახურებულ პენსიაზე.

ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარალელურად ი. ბიბილეიშვილი მუშაობდა გონიოს კოოპერაციულ ინსტიტუტში პროექტორად აღმზრდელობითი მუშაობის დარგში და პედა-

გოგიკის კათედრის გამგედ. სხვადასხვა დროს იყო აგრეთვე ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის პედაგოგიკა-ფსიქოლოგის კათედრასთან არსებულ მომავალ მასწავლებელთა ფაკულტეტის დეკანი, ინსტიტუტის ლექტორ-თანამშრომელთა ადგილკომის თავმჯდომარე, პედაგოგიკის კათედრის გამგის მოადგილე, საქართველოს პედაგოგიური საზოგადოების საინსტიტუტო ორგანიზაციის თავმჯდომარე, პედაგოგიურ მეცნიერებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელი და სხვა.

1995-1999 წლებში იყო საქართველოს მეოთხე მოწვევის პარლამენტის წევრი, 2001 წელს არჩეულ იქნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პარლამენტის წევრად. აქ იგი სათავეში ედგა განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ქვეკომიტეტს; 1999- 2004 წლებში იგი ხელმძღვანელობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის ნიკო ბერძენიშვილის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს. იყო საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი და აღნიშნული კავშირის აჭარის ორგანიზაციის კრიტიკის სექციის თავმჯდომარე, უურნალ „ჭოროხის“ სარედაქტო საბჭოს წევრი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი და განათლების მეცნიერებათა აკადემიის უურნალ „მოამბეს“ სარედაქტო საბჭოს წევრი, აჭარის ა.რ. ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ნიკო ნიკოლაძისა და გერონტი ქიქოძის პრემიების ლაურეატი. მაგრამ ბატონი იური, უნინარეს ყოვლისა, იყო საუკეთესო ლექტორი, აღმზრდელი. მისი ლექციები ორატორული ხელოვნების ნამდვილი ნიმუში იყო, მაგნიტივით იზიდავდა მსმენელებს.

ნავიდა ჩვენგან ჩვენი განუყრელი მეგობარი და დაგვიტოვა უზომო გულისტკივილი, რომლის ხსოვნას დავიწყების ბურუსი ვერასოდეს დაფარავს. ჩვენ, მის კოლეგებს ისლა დაგვრჩენია, რომ ვუსურვოთ — ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული.

ფარნაოზ ლომაშვილი



გარდაიცვალა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ფარნაოზ ლომაშვილი.

ფარნაოზ ლომაშვილი დაბადა 1929 წელს თიანეთში. სკოლის დასრულების შემდეგ სწავლა გააგრძელა თბილისის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ისტორიის ფაკულტეტზე. 1958 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, ხოლო 1971 წელს სადოქტორო დისერტაცია. ფარნაოზ ლომაშვილი წლების განმავლობაში მუშაობდა მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტში. 1973 წლიდან 2006 წლამდე იყო თბილისის ა.პუშკინის სახელობის პედაგოგიური უნივერსიტეტის კათედრის გამგე, პროფესორი. 2006 წლიდან მიენიჭა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო პროფესორის წოდება.

პროფესორ ფარნაოზ ლომაშვილს გამოქვეყნებული აქვს 260-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის 23 მონოგრაფია, საშუალო და უმაღლესი სკოლის 12 სახელმძღვანელო და დამხმარესახელმძღვანელობი ქართულ, რუსულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე.

აღსანიშნავია ფარნაოზ ლომაშვილის დამსახურება იმ თვალსაზრითაც, რომ მიერ შექმნილი სახელმძღვანელოები თავისუფალია საბჭოური იდეოლოგიური დოგმებისაგან. 16 წლის განმავლობაში (1990-2006 წწ) ქართულ, რუსულ, სომხურ და აზებაიჯანულ ენებზე რეგულარულად გამოდიოდა მისი სახელმძღვანელოები საქართველოს ისტორიაში მე-9, მე-10, 11-ე კლასებისათვის. ნიშანდობლივია ისიც, რომ ამ სახელმძღვანელოთა სრულყოფა ხორციელდებოდა თვით ფ. ლომაშვილის მიერ შედგენილი ახალი ახალი სახელმწიფო სტანდარტებისა და და სასწავლო სასწავლო გეგმების საფუძველზე, რაც ქართული ისტორიოგრაფიის მიღწევათა გამოყენება-განზოგადებასთან ერთად, აქტიურ და შრომატევად სამეცნიერო-კვლევით მუშაობასაც მოითხოვდა.

პროფესორი ფარნაოზ ლომაშვილი იკვლევდა მეცხრამეტე-მეოცე საუკუნეების საქართველოს ისტორიის საკითხებს. მისი ბოლო ნაშრომებია ისტორიოგრაფიული ნარკვევი „წინ ჯავახიშვილისაკენ“, „ქართული ცივილიზაცია 3000 წლისაა“ და ისტორიის ფილოსოფიის სამტომეული, რომელიც 2000-ზე მეტ გვერდს შეიცავს და დაწერილია ისტორიისა და ფილოსოფიის მიჯნაზე და ორივე მეცნიერების მიღწევებს ითვალისწინებს. ასეთი ნაშრომი არა მარტო საქართველოში და ბოსტსაბჭოთა სივრცეში არ შექმნილა, არამედ იშვიათი მოვლენაა მსოფლიოშიც.

ბატონი ფარნაოზი მისთვის ჩვეული შრომისმოყვარეობით საქმიანობდა საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიაში. იგი აქტიურად ეხმიანებოდა აკადემიის ყველა წამოწყებას. სუსტი ჯანმრთელობის მიუხედავად, 2015 კიდევ ერთხელ მიიპყრო პედაგოგიური და სამეცნიერო საზოგადოების ყურადღება ღრმაშინაარსიანი, ანალიტიკური რეცენზიით, როცა განათლების მეცნიერებათა აკადემიის მიერ გამოცემულ „საქართველოს განათლების მატიანეს“ დაულოცა გზა.

დიდია ფარნაოზ ლომაშვილის წვლილი ისტორიკოსთა ახალი თაობების მომზადების საქმეში. მისი ხელმძღვანელობით ნარმატებით განხორციელდა არაერთი სადოქტორო კვლევა. საქართველოში ძნელად მოიძებნება სკოლა, სადაც ბატონი ფარნაოზის მიერ განსწავლული მასწავლებელი არ შეგვხვდეს. ყველა მათგანს ემახსოვრება მათი დამრიგებელი პროფესორის სულგრძელობა, უშუალობა, მიმტევებლობის უნარი, თუმცა იმასაც ვერ დაივიწყებენ, რომ ბატონი ფარნაოზი ისტორიის გაყალბებას, სიცრუეს და ქვეყნის ინტერესების საზიანოდ კომპრომისს არავის პატიობდა. სწორედ ასეთი იყო ღვაწლმოსილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე ფარნაოზ ლომაშვილი. მისი ნათელი ხსოვნა მარად დარჩება ასეულობით მისი ნამოწაფარისა და ქართველი ინტელექტუალური საზოგადოების მეხსიერებაში.

მოთა ეურდაძე



ქართველ მეცნიერ-პედაგოგთა რიგებს გამოაკლდა ცნობილი სწავლული, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთი დამაარსებელი, ამავე აკადემიის უხუცესი წევრი, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი შოთა ქურდაძე.

ბატონი შოთა ქურდაძე დაიბადა 1926 წლის 17 აგვისტოს ხაშურის რაიონის სოფელ იტრიაში. 1945 წელს დაამთავრა ხაშურის რაიონის დაბა სურამის საშუალო სკოლა, 1949 წელს კი - გორის 6. ბარათაშვილის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. 1955 წელს მან დაამთავრა იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტურა და დაიცვა დისერტაცია პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად, აკადემიკოს დავით ლორთქიფანიძის ხელმძღვანელობით. 1968 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია და მიენიჭა პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი.

იგი სხვადასხვა დროს მუშაობდა ხაშურის რაიონის სოფელ ალის საშუალო სკოლის დირექტორად, ამავე რაიონის სოფელ ქემფერის საშუალო სკოლის დირექტორად, დაბა სურამის სკოლა-ინტერნატის დირექტორად და სხვა.

1953 წელს ბატონი შოთა ქურდაძე აირჩიეს გორის ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიისა და დაწყებითი განათლების ფაკულტეტის დეკანად. 1967-78 წწ. იგი დაინიშნა ამავე უმაღლებლივ პროფესიონალური დოკტორის ხარისხი.

1978 წლიდან 2007 წლამდე იყო ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესიონალური სასწავლო-სამეცნიერო დარგში, შემდგომ კი - ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის გამგე, 2007 წელს აირჩიეს გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორად, 2014 წელს გადაიყვანეს ამავე უნივერსიტეტის ემერიტუს პროფესორად.

ბატონი შოთა 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორია, მათ შორის - სასწავლო სახელ-მძღვანელოების, სამეცნიერო მონოგრაფიებისა და მეტად ღირებული სამეცნიერო-მეთოდური ნაშრომებისა.

მისი აღზრდილი სტუდენტები, ასპირანტები და დოქტორები წარმატებით იღვწიან პედაგო-გიურ სარპიელზე, სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებსა და სახელმწიფო სტრუქტურებში.

ზნემაღალი პიროვნების, კეთილსინდისიერი მეცნიერის, ღირსეული მოქალაქის, ახალგაზ-რდების ერთგული დამრიგებლის, ჩინებული ოჯახის ბურჯის, პროფესორ შოთა ქურდაძის ღვაწლი და საქმე კვალს დასტოვებს მისი აღზრდილების, მეგობრების, კოლეგებისა და ახლობ-ლების ხსოვნაში.

ს ა რ ჩ ი ვ ი

ზოგადი პედაგოგიკა

ლია მენთეშაშვილი - საოჯახო აღზრდის ზოგიერთი ასპექტი	5
ლელა თავდგირიძე, ნატო შეროზია - პროფესიული ორიენტაცია პიროვნული ზრდისა და კარიერული წინსვლის ერთ-ერთი ფაქტორი	10
თამარ გოგოლაშვილი - თაობებს გადავცეთ ძირძველი ტრადიციული პროფესია - მექვევრეობა	14
ოთარ გოგილაშვილი - საქართველოში ინკლუზიური განათლების შესახებ	19
ნინო იაშვილი - საჯარო სკოლებში მოქმედ სახელმძღვანელოებთან დაკავშირებული პრობლემები	24
კონსტანტინე რამიშვილი - საგანმანათლებლო პროცესის სუბიექტების ურთიერთქმედების ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური საკითხისათვის	26
მალხაზ ბაძალუა - პედაგოგიკის და ეთიკის კრიმინოლოგიასთან - ურთიერთკავშირის საკითხები	30

სკოლამდელი აღზრდა

ნუგზარ აბაკელია - სკოლისათვის კოგნიტური მზაობა	33
ლილი მექვაბიშვილი - სკოლამდელი აღზრდის პრობლემები და მათი გადაწყვეტის გზები საქართველოში	36

პედაგოგიკის ისტორია

მაია ახვლედიანი, იმერ ბასილაძე - მელიტონ კელენჯერიძე გაბრიელ ეპისკოპოსის უკანასკნელი დღეების შესახებ	39
ნოდარ ბასილაძე - ილია ჭავჭავაძე - მშობლიური ენის ქომაგი	42

საგანთა სრულების მეთოდიკა

გიორგი ბერძულიშვილი - ფუნქციებთან დაკავშირებული საოლიმპიადო ამოცანების ამოხსნის ზოგიერთი სპეციალური ხერხი	48
აკაკი ზოიძე - ქართული ენის სიწმინდისათვის „ქართულად ხსნილად უბნობდი“	53
მალვინა შანიძე - აკაკი წერეთლის ნაწარმოებები დაწყებითი კლასების ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოებში	59

შმაღლესი სკოლის პედაგოგია

მადონა მეგრელიშვილი - ინგლისური ფილოლოგიის დეპარტამენტის კვლევითი პროფილი და თანამედროვე გამოწვევები	66
ავთანდილ ასათიანი - საქართველოს უსდ კურსდამთავრებულთა დასაქმების ზოგიერთი პრობლემა და მათი შესაძლო გადაჭრის გზები	71
იგორ დოლიძე - სანოლოგიური განათლების პროცესში ეპიდსაწინააღმდეგო რევოლუციების როლი	77

ფსიქოლოგია

ჯემალ ჯინჯიხაძე - აზროვნება და გრძნობა-ემოციები	83
ჩვენი იუბილარები	90
გამოსათხოვარი	99

C O N T E N T

General Pedagogics

LIA MENTESHASHVILI - TEACHING UNIVERSITY SOME ASPECTS OF FAMILY UPBRINGING	5
Lela Tavdgiridze, Nato Sherozia - Professional Orientation as one of the Personal Growth and Career Advancement Factor	10
Tamar Gogolashvili - Delegating generations with the ancient traditional professions – “Mekvreveoba” (Taking care of huge wine vessels)	14
Otar Gogilashvili - On inclusive education in Georgia	19
Nino iashvili – Problems related to Current Textbooks at Public Schools.....	24
Konstantine Ramishvili - Problems of Psychologo-pedagogical Co-operation of Subjects in Educational Process	26
Malkhaz Dzabaghua - Ratio of pedagogy and ethics with criminology	30

Preschool Upbringing

Nugzar Abakelia – Cognitive Readiness for School	33
Lili Mekvabishvili - Problems of preschool education in Georgia and the ways of solving them	36

History of Pedagogy

Maia Akhvlediani, Imeri Basiladze - Meliton Kelenjeridze about the last days of Bishop Gabriel	39
Nodar Basiladze - Ilia Chavchavadze – Georgian language fan	42

Methodology of Teaching Disciplines

Giorgi Berdzulishvili - Some special method of solving olympic tasks related to functions	48
Akaki Zoidze – For the Purity of Georgian language “Speak Georgian Clearly”	53
Malvina Shanidze – Akaki Tsereteli stories in primary schools in Georgian language and literature	59

Higher Education Pedagogy

Megrelishvili Madonna - Research Profile of the English Philology Department and Modern Challenges	66
Avtandil Asatiani - Some problems of employment of the graduates of Higher Schools of Georgia and the possible ways of its solution	71
Igor Dolidze - The role of the anti-epidemic revolution in the process of sociological education	77

Psychology

Jemal Jinjikhadze - Thinking and Emotions	83
--	----

OUR BIRTHDAY PEOPLE	90
FAREWELL	99

С О Д Е Р Ж А Н И Е

Общая педагогика

Лия Ментешашвили – Некоторые аспекты семейного воспитания	5
Лела тавдигиридзе, Нато Шерозия – Профессиональная ориентация личного развития как один из факторов карьерного роста	10
Тамар Гоголашвили - Передадим поколениям старейшую традиционную профессию - «мемквевреоба»	14
Отар Гоголашвили - Об инклюзивном образовании в Грузии	19
Нино Яшвили - О проблемах действующих в публичных школах учебников	24
Константин Рамишвили - К вопросу психолого-педагогического взаимодействия субъектов образовательного процесса	26
Малхаз Бадзагуа - Соотношение педагогики и этики с криминологией	30

Дошкольное воспитание

Нугзар Абакелия - Когнитивная готовность к школе	33
Лили Меквабишвили - Проблемы дошкольного воспитания и пути их решения в Грузии	36

История педагогики

Майя Ахвледiani, Имер Басиладзе - Мелитон Келенджериidзе о последних днях епископа Габриэла	39
Нодар Басиладзе - Илья Чавчавадзе — покровитель грузинского языка	42

Методика преподавания

Гиорги Бердзулишвили – Специальные способы решения связанных с функциями задач для олимпиады	48
Акакий Зойдзе – О чистоте грузинского языка «картулат хснилад убнобди»	53
Мальвина Шанидзе – Произведения Акакия Церетели в учебниках грузинского языка и литературы для начальных классов	59

Педагогика высшей школы

Мадона Мегрелишвили - Исследовательский профиль департамента английской филологии и вызовы современности	66
Автандил Асатиани - Некоторые проблемы трудоустройства выпускников высших учебных заведений Грузии и возможные пути их решения	71
Игорь Долидзе - Роль противоэпидемических революционных процессов в санологическом образовании	77

Психология

Джемал Джинджихадзе - Мысление и эмоции	83
НАШИ ЮБИЛЯРЫ	90
ПРОЩАЛЬНОЕ СЛОВО	99

ავტორთა საყურადღებოდ!

„საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის მოამბე“ არის რეცენზირებადი და რეფერირებადი პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი.

რეფერირებულია სრულიად რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო და ტექნიკური ინფორმაციის ინსტიტუტის (ВИНИТИ РАН) საერთაშორისო რეფერატულ ჟურნალში და საქართველოს ტექინფორმის ქართულ რეფერატულ ჟურნალში.

შეტანილია საქართველოს სწავლულ ექსპერტთა საბჭოს პრეზიდიუმის მიერ დამტკიცებულ სამეცნიერო ჟურნალების ნუსხაში, რომლის თანახმადაც, ჟურნალში გამოქვეყნებული სტატია ჩაითვლება დისერტაციისათვის გამიზნულ სამეცნიერო ნაშრომად.

ჟურნალი მოეწოდება საქართველოს სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების და

კვლევითი დაწესებულებების თითქმის ყველა ბიბლიოთეკას, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკას, ეროვნულ ბიბლიოთეკას, ტექინფორმს და სხვ.

გამოსაქვეყნებელი ნაშრომი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- სამეცნიერო სტატია შეიძლება დაწერილი იყოს ქართულ, რუსულ ან ინგლისურ ენაზე;

• ნაშრომს უნდა ახლდეს რეზიუმე (მინიმუმ 150 სიტყვა) ქართულ, ინგლისურ ან რუსულ ენებზე. ამავე ენაზე უნდა ითარგმნოს ავტორის სრული სახელი, გვარი და ნაშრომის სათაური;

• ნაშრომი უნდა იყოს აწყობილი Microsoft Word -ში;

• ქართული ნაშრომი იწყობა Sylfaen შრიფტით;

• რუსული და ინგლისური ნაშრომები იწყობა Times New Roman შრიფტით;

• შრიფტის ზომა 12, ინტერვალი 1,5; ველის ზომა მარჯვენა მხარეს - 30 მმ, მარცხენა, ზედა და ქვედა ველი უნდა იყოს 20-20 მმ.

• ნაშრომის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 6-7 ნაბეჭდ A4 ზომის გვერდს, თანდართული ძირითადი ლიტერატურის ჩამონათვალით (არაუმეტეს 8-10 დასახელებისა) და რეზიუმების ჩათვლით;

• ნაშრომს ცალკე ფურცელზე უნდა დაერთოს ავტორის საკონტაქტო რეკვიზიტები: მისამართი (სახლის, სამსახურის, სასწავლებლის). სამეცნიერო ხარისხი და წოდება,

თანამდებობა, ტელეფონის ნომერი, ფაქსი, ელ-ფოსტა;

• ნაშრომი უნდა მოგვაწოდოთ CD დისკით და ამობეჭდილი სახით ერთ ეგზემპლარად A 4 ზომის ქაღალდზე;

• ნაშრომში გამოქვეყნებულ მასალაზე პასუხისგებელია ავტორი.

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვირეკეთ ტელეფონზე 5 95 44 91 21

საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემია
საქართველო, თბილისი, 0144, წინანდლის ქ. №9
ტელ: 5 95 44 91 21; 5 93 62 88 42
E-mail: ganatlebisakademia@gmail.com

ACADEMY OF EDUCATIONAL SCIENCES OF GEORGIA
Tsinandali Str.9, 0144. Tbilisi, Georgia
Tel: 5 95 44 91 21; 5 93 62 88 42
E-mail: ganatlebisakademia@gmail.com

АКАДЕМИЯ ОБРАЗОВАТЕЛЬНЫХ НАУК ГРУЗИИ
Грузия, Тбилиси, 0144, ул. Цинандали №9
Тел.: 5 95 44 91 21; 5 93 62 88 42
E-mail: ganatlebisakademia@gmail.com

© საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემია
© ACADEMY OF EDUCATIONAL SCIENCES OF GEORGIA
© Академия образовательных наук Грузии



თბილისი, 0179, ა. ჯოლობაურეანის №4, 19, ტელ: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversal@gmail.com